

# წმიდა ცხოვრების დოქტორინა და პრაქტიკა



Shepherds Global Classroom არსებობის მიზანია ქრისტეს სხეულის აღჭურვა, სასწავლო გეგმის (კურიკულუმების) მიწოდების გზით, რათა მთელს მსოფლიოში გამოიზარდონ ქრისტიანი ლიდერები. ჩვენ მიზნად ვისახავთ გავამდიდროთ ადგილობრივი სასწავლო პროგრამები 20-კურსიანი კურიკულუმის ინსტრუმენტის გადაცემით სულიერი მასწავლებლების ხელში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

ამ კურსის უფასოდ ჩამოტვირთვა შესაძლებელია ელ მისამართზე: <https://www.shepherdsglobal.org/courses>

წამყვანი ავტორი: დოქტორი რანდალ მაკელვაინი (Dr. Randall D. McElwain)

საავტორო უფლებები © 2019 Shepherds Global Classroom  
მეორე გამოცემა, ნათარგმნია ინგლისურიდან ქართულ ენაზე

ყველა უფლება დაცულია.

მესამე მხარის მასალებზე დაცულია მფლობელების საავტორო უფლებები და მათი გავრცელება ხდება შესაბამისი ლიცენზიით.

გამოყენებული ბიბლიები: ახალი გადამუშავებული გამოცემა 2015, სბს-სტოკჰოლმი 2013, სბს-სტოკჰოლმი 2001, საქართველოს საპატრიარქო გამოცემა

**ნებართვის შეტყობინება:**

ეს კურსი შეიძლება დაიბეჭდოს და გავრცელდეს უფასოდ ბეჭდურ და ციფრულ ფორმატში შემდეგი მითითებების შესაბამისად: (1) კურსის შინაარსის რაიმე სახით შეცვლა დაუშვებელია; (2) არ შეიძლება კურსის წიგნების ასლების გაყიდვა მოგების მიზნით; (3) საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ თავისუფლად და უფასოდ გამოიყენონ/დააკოპირონ ეს კურსი, მაშინაც კი, თუ ისინი იღებენ სწავლის საფასურს; და (4) კურსის თარგმნა დაუშვებელია Shepherds Global Classroom-ის ნებართვისა და ზედამხედველობის გარეშე.

# სარჩევი

კურსის მიმოხილვა .....	5
(1) სიწმიდის მშვენიერება .....	7
(2) სიწმიდე ურთიერთობაა - „ღმერთთან ერთად სიარული“ .....	25
(3) სიწმიდე ღვთის ხატებაა ადამიანში .....	35
(4) სიწმიდე გამოყოფაა (განცალკევებაა) .....	49
(5) სიწმიდე განუყოფელი გულია - „იყავი სრულყოფილი“ .....	73
(6) სიწმიდე სიმართლეა .....	87
(7) სიწმიდე ღვთის სიყვარულია .....	103
(8) სიწმიდე მოყვასისადმი სიყვარულია .....	123
(9) წმიდად ცხოვრება სულით სისავსეში ცხოვრებაა .....	147
(10) სიწმიდე ქრისტეს მსგავსებაა .....	165
(11) სიწმიდე ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობაა .....	193
(12) შესაძლებელია წმიდად ცხოვრება? .....	207
დასკვნითი პროექტი .....	225
რეკომენდებული რესურსები .....	227
დავალებების ჩაწერა .....	229



# კურსის მიმოხილვა

## კურსის აღწერა

ამ კურსში მოცემულია წმიდა ცხოვრების ბიბლიური აღწერა, რომელსაც ღმერთი მოელის და უზრუნველყოფს ქრისტიანისთვის.

## განმარტებები და მითითებები კლასის ლიდერებისთვის

ეს კურსი განიხილავს წმიდა ცხოვრების მოძღვრებას და პრაქტიკას. თქვენ უნდა დაუთმოთ 90-120 წუთი თითოეულ გაკვეთილს, იმის გარდა, რაც კლასგარეშე დავალებების შესასრულებლად იქნება საჭირო.

ნიშანი ► მიუთითებს **განსახილველ კითხვაზე**. როდესაც ასეთი ნიშანი შეგხვდებათ, დაუსვით კითხვა(ები), რომელიც მოჰყვება მას და მიეცით საშუალება სტუდენტებს განიხილონ პასუხი. ეცადეთ, რომ კლასის ყველა სტუდენტი იყოს ჩართული დისკუსიაში. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ სტუდენტებს სახელდობრ.

ბევრი სქოლიო ეხება წმიდა წერილის მითითებას. თუ მუხლ(ები) არ არის მოცემული ტექსტში, სთხოვეთ სტუდენტებს მოძებნონ ისინი და წაიკითხონ გაკვეთილის განმავლობაში.

თითოეული გაკვეთილი მოიცავს ორ დავალებას:

1. **მოკლე ნარკვევი დავალებულ თემაზე.** კლასის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ, ეს ნარკვევი შეიძლება იყოს წარმოდგენილი წერილობითი ან ზეპირად.
2. **დავალება წმიდა წერილის დასამახსოვრებლად.** ისინი უნდა განიხილებოდეს ყოველ გაკვეთილზე. კურსის ბოლოს სტუდენტებს უნდა შეეძლოთ კურსის განმავლობაში დამახსოვრებული ყველა მუხლის ციტირება.

კურსის ერთ-ერთი მიზანია მოამზადოს სტუდენტები მასწავლებლებად. კლასის ხელმძღვანელმა სტუდენტებს უნდა მისცეს შესაძლებლობა, განავითარონ თავისში მასწავლებლური უნარები. მაგალითად, კლასის ხელმძღვანელმა დროდადრო უნდა მისცეს მოსწავლეს, გაკვეთილის მცირე მონაკვეთის სწავლების საშუალება.

თითოეულმა სტუდენტმა უნდა მოამზადოს **დასკვნითი პროექტი**. ეს პროექტი უნდა შედგებოდეს სამი ქადაგების ან გაკვეთილისგან, წმიდად ცხოვრების თემაზე. ის შეიძლება აჩვენებდეს წმინდა ცხოვრების ბიბლიურ ან პრაქტიკულ ასპექტებს. თუ შესაძლებელია,

თითოეულმა სტუდენტმა უნდა გააკეთოს პრეზენტაცია თითო ქადაგების ან გაკვეთილის და ჩაიწეროს ის კლასის ხელმძღვანელისთვის.

თუ სტუდენტს სურს მიიღოს სერთიფიკატი Shepherds Global Classroom-გან, ის უნდა დაესწროს გაკვეთილებს და შეასრულოს დავალებები. კურსის ბოლოს მოცემულია ფორმა შესრულებული დავალებების ჩასაწერად.

# გაკვეთილი 1

## სიწმიდის მშვენიერება

### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) დააფასოს ღვთის სიწმიდის მშვენიერება და მისი გეგმა, რომ ჩვენც წმიდადგვყოს.
- (2) უარყოს სიწმიდის ცრუ ცნებები და აღიაროს სიწმიდის ბიბლიური ცნებები.
- (3) იყოს აღჭურვილი იმისთვის, რომ აუხსნას ახალ მორწმუნეს რას ნიშნავს იყო წმიდა.
- (4) დაიმახსოვროს 1 პეტრეს 1:14—16.

### კურსის შესავალი

სიწმიდე ბიბლიის ერთ-ერთი მთავარი თემაა. წმიდა წერილში ღმერთმა გვაჩვენა ვინ არის ის: ის არის წმიდა ღმერთი. შემდეგ ღმერთმა დაგვანახა, ვინ შეიძლება გავხდეთ მისი მადლით: ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ წმიდა ხალხი.

ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეს აქვს სიწმინდის წყურვილი. როგორც ღვთის შვილები, ჩვენ ვესწრაფით, მას დავემსგავსოთ. სამწუხაროდ, თანამედროვე ეკლესიის დიდმა ნაწილმა მიიღო მცდარი აზრი, რომ სიწმიდე შეუძლებელია. იმის ნაცვლად, რომ ესწრაფოდნენ ქრისტეს დამსგავსებოდნენ, ბევრი ეგრეთ წოდებული ქრისტიანი თანხმდება დამარცხებულ, ცოდვილ ცხოვრებას. გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრების ნაცვლად, ბევრი ქრისტიანი ირჩევს „ცოდვის მართვას.“

ასზე მეტი წლის წინ, ჯონ ჰაიდმა, დიდმა მისიონერმა ინდოეთში, თქვა: „რაც ჩვენ გვჭირდება დღეს არის სიწმიდის აღორძინება.“ თუ ეს ასე იყო მაშინ, ეს ნამდვილად ასეა ოცდამეტთე საუკუნის ცოდვილ სამყაროში.

თუ სიწმიდე ასე მნიშვნელოვანია ღმერთისთვის, ჩვენ კითხვა უნდა დავსვათ: „რას ნიშნავს იყო წმიდა?“ თუ სიწმიდე მცნებად არის მოცემული ბიბლიაში, ჩვენ კიდევ უნდა ვიკითხოთ: „შესაძლებელია თუ არა წმიდა ცხოვრებით ცხოვრება?“

ამ კურსში ჩვენ გავიგებთ, რას ნიშნავს ღმერთის ნათქვამი: „იყავით წმიდა, რადგან მე ვარ წმიდა.“ როდესაც ჩვენ შევიმეცნებთ ბიბლიაში სიწმიდის შესახებ გზავნილს, დავინახავთ, რომ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია ყოველი ქრისტიანისთვის. თითოეული გაკვეთილი მოიცავს სამ ელემენტს:

- ჩვენ შევისწავლით ბიბლიური სიტყვების მნიშვნელობას, როგორიცაა „წმიდა“, „განწმედა“ და „სრულყოფილი.“ ამ განყოფილებაში წარმოდგენილია სიწმიდის ბიბლიური თეოლოგია.
- ჩვენ შევისწავლით წმიდა ცხოვრების პრაქტიკულ ასპექტებს. ჩვენ გავიგებთ, რას გვასწავლის ბიბლია წმიდა ცხოვრების, სუფთა გულისა და ქრისტეს მსგავსი სულის შესახებ.
- ჩვენ გადავხედავთ ქრისტიანის ცხოვრებას, რომელიც აჩვენებს, რას ნიშნავს იყო წმიდა. ჩვენ ვნახავთ, როგორ მოქმედებს წმიდა ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში.

### **წმიდა წერილები წასაკითხად და განსახილველად**

სანამ ამ გაკვეთილს გააგრძელებთ, ყურადღებით წაიკითხეთ წმინდა წერილის ქვემოთ მოცემული თითოეული ადგილი და განიხილეთ კითხვები. აქ გაეცნობით ზოგიერთ თემას, რომელსაც ამ გაკვეთილებში განვიხილავთ.<sup>1</sup>

- წაიკითხეთ ლევიანთა 19:2. ამ მონაკვეთის მიხედვით, რატომ უნდა ყოფილიყო ისრაელი წმიდა?
- წაიკითხეთ 1 პეტრეს 1:15—16. როგორი ქცევა უნდა ჰქონდეთ მორწმუნებს?
- წაიკითხეთ ებრაელთა 12:14. ამ მონაკვეთის მიხედვით, რა ორი თვისება უნდა გამოიჩინონ ქრისტიანებმა, თუ მათ სურთ უფლის ნახვა?
- წაიკითხეთ 1 თესალონიკელთა 4:3—8. რა ცოდვებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს ღმერთი ყველა მორწმუნეს? რისკენ მოუწოდა ღმერთმა თავის ხალხს?
- წაიკითხეთ გამოცხადების 20:6. რა სულიერი მახასიათებელი აქვს მათ, ვინც მონაწილეობას მიიღებს პირველ აღდგომაში?

### **სიწმიდის მშვენიერება**

- როდესაც გესმით ადამიანის დახასიათება, როგორც "წმიდა", რა სურათი გესახებათ? თქვენი წარმოდგენა დადებითია თუ უარყოფითი? რატომ?

ერთხელ ერთი მისიონერი ეწვია მოხუც აფრიკელ ბელადს. ბელადმა ჰკითხა: „რა არის ქრისტიანი?“ მისიონერმა უპასუხა: „ქრისტიანი მტერს პირუტყვს არ პარავს. ქრისტიანი მტრის ცოლთან ერთად არ გარბის. ქრისტიანი არ კლავს თავის მტერს.“

<sup>1</sup> ეს კითხვები შეაგროვა მეუფე ტიმოთე კიპმა.

ბელადმა თქვა: „გასაგებია. ქრისტიანობა იგივეა, რაც სიბერე! როცა ახალგაზრდა ვიყავი, ჩემს მტერს თავს დავესხი და ცოლი და პირუტყვი მოვპარე. ახლა ძალიან მოხუცი ვარ, რომ ჩემს მტერს ვესხმოდე; მე ქრისტიანი ვარ!“

სამწუხაროდ, ასე ფიქრობს ბევრი ადამიანი წმიდა ცხოვრების შესახებ. ისინი ფიქრობენ, რომ სიწმიდე სხვა არაფერია, თუ არა ცოდვების ჩამონათვალი, რომლებიც თავიდან უნდა იქნას აცილებული. მათ აკლიათ სიწმიდის მშვენიერება, რაზეც ღვთის სიტყვა გვასწავლის.

### მცდარი შეხედულებები სიწმიდის შესახებ

ჩვენი ღმერთი წმიდა ღმერთია. ღვთის ხალხი წმიდა უნდა იყოს. ეს ცენტრალური გზავნილია ბიბლიაში. თუმცა, სიწმინდის შესახებ ბევრი მცდარი წარმოდგენა არსებობს.

1. **ზოგიერთს მიაჩნია, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეიძლება იყოს წმიდა.** ისინი ქრისტიანებს ორ ჯგუფად ყოფენ. პირველი ჯგუფი თავისი რწმენით ქრისტიანია და მათ მიიღეს ქრისტე მხსნელად, მაგრამ ისინი ერთგულად არ ემორჩილებიან ღმერთს თავიანთ ქმედებებში და დამოკიდებულებებში. მეორე ჯგუფს შეადგენენ ქრისტიანები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ დონეს - მღვდლები, პასტორები ან წმიდანები. ამ იდეის მიხედვით, მხოლოდ რამდენიმე ქრისტიანია წმიდა.
2. **ზოგიერთს სჯერა, რომ ჩვენ ვხდებით წმიდანი სხვა ადამიანებისგან განცალკევებით ცხოვრებით.** მრავალი წლის წინ, ზოგიერთი „წმიდა ადამიანი“ საცხოვრებლად უდაბნოში წავიდა. ერთმა კაცმა ოცდაჩვიდმეტი წელი გაატარა მიწის ზემოთ ამაღლებულ პლატფორმაზე. მას სჯეროდა, რომ ჩვენ წმიდები ვხდებით სხვა ადამიანებისგან ცალკე გამოყოფით.
3. **ზოგიერთს მიაჩნია, რომ ჩვენ წმიდანი გავხდებით მხოლოდ მაშინ, როცა მოვკვდებით.** მათ სჯერათ, რომ ჩვენ ვერასდროს შევასრულებთ ღვთის განზრახვას ამ ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენ მივაღწევთ სიწმიდეს, როცა მოვკვდებით. ამ რწმენით სიკვდილი ჩვენი მტერი კი არა, მეგობარია. სიკვდილის შემდეგ ჩვენ საბოლოოდ მივაღწევთ ღვთის იმ მიზანს, რაც მას აქვს თავისი ხალხის მიმართ.
4. **ზოგს მიაჩნია, რომ ჩვენ წმიდები გავხდებით წესების მიყოლით.** მათ სჯერათ, რომ ჩვენ ვხდებით წმიდები გარკვეული სტილით ჩაცმულობით, ან იმ სიის მიყოლით, თუ რისი კეთება შეიძლება და რისი არა. მათ სჯერათ, რომ სიწმიდე გარეგნულ ფორმებში მდგომარეობს და არა გარდაქმნილ გულში.
5. **ზოგს მიაჩნია, რომ იმის მტკიცებულება, რომ ადამიანი წმიდაა, ენების ან სასწაულების განსაკუთრებული ნიჭის ფლობაა.** სიწმიდეს ისინი წმიდად ცხოვრებით კი არ ზომავენ, არამედ ნიშნებითა და სასწაულებით.

**6. და ბოლოს, ბევრს მიაჩნია, რომ სიწმიდე შეუძლებელია!** მათ სჯერათ, რომ სიწმიდე არის იდეალი, რომელიც ღმერთმა მოგვცა, რათა გაგვეკეთებინა საუკეთესო, მაგრამ ამ სამყაროში ეს არარეალურია. ამ რწმენით ვერავინ მიაღწევს ღვთის მცნებას „იყავით წმიდა.“

თუმცა, ღმერთის მცნება „იყავით წმიდა“ არის ბრძანება, რომელსაც მას სურს, რომ დავემორჩილოთ. ღმერთი კეთილი მამაა; ის არასოდეს გვიბრძანებს იმის გაკეთებას, რაც შეუძლებელია, მისი მადლით. ვიყოთ წმიდა, ნიშნავს ვიყოთ ისეთი, როგორიც ღმერთმა შეგვქმნა. ჩვენი ძალით წმიდა გული შეუძლებელია, მაგრამ ღვთის ძალით წმიდა გული შესაძლებელია ყოველი მორწმუნესთვის. სიწმიდე მოდის ღვთის მადლიდან და არა ჩვენი ძალისხმევით.

► სიწმიდის ამ ცრუ იდეებიდან რომელია ყველაზე გავრცელებული იმ მხარეში, სადაც თქვენ მსახურებთ? არის თუ არა სიწმიდე მშვენიერი თქვენი ერთობის ქრისტიანებს შორის?

### **სიწმიდის ბიბლიური გამოხატულება**

სიწმიდის ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური იდეებისგან განსხვავებით, ბიბლია გვიჩვენებს სიწმიდეს, როგორც მშვენიერ შესაძლებლობას ღვთის შვილებისთვის. დაფიქრდით იმაზე, თუ რას ეწოდება ბიბლიაში წმიდა. არცერთი მათგანი არ არის მახინჯი და საზიზღარი; ისინი ლამაზები და მიმზიდველები არიან.

- ღვთის წმიდა ბუნება მშვენიერი და დიდებულია.
- ტაძარში წმიდა ნივთები მშვენიერი იყო.
- ისრაელი იყო მოწოდებული, რომ ყოფილიყო წმიდა ერი, რომელიც მიიზიდავდა სხვა ადამიანებს ღმერთთან. მისი სიწმიდე იზიდავდა ხალხს; და არა უკუაგდებდა მათ.<sup>2</sup>
- ეკლესია წმიდა ხალხად არის მოწოდებული. ის უნდა იყოს მშვენიერი პატარძალი, რომელიც მომზადებულია თავისი ნეფესთვის.

თითოეული ეს სურათი მიმზიდველია. ბიბლია გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი სიწმინდე არ არის დაკავშირებული ძალდატანებასთან და შიშთან. პირიქით, ეს არის ჩვენი ზეციერი მამის სიყვარულით სავსე საჩუქარი. თუ ჩვენ ვხედავთ სიწმიდეს, როგორიც ის არის, უნდა გვწყუროდეს წმიდა გული და წმიდა ცხოვრება. თუ ჩვენ ვიქადაგებთ სიწმიდეს ისე, როგორც

<sup>2</sup> შეიძლება თქვათ: „მაგრამ რა შეიძლება ითქვას ფარისევლებზე? ისინი ითვლებოდნენ „წმიდა“ ადამიანებად, მაგრამ სხვებს დევნიდნენ.“ ამ გავვეთილებში დავინახავთ, რომ ფარისევლის „სიწმიდე“ არ იყო ნამდვილი სიწმიდე. მათი სიმართლე იყო გარეგნული პროფესია და არა ჭეშმარიტი სიწმიდე.

ამას ბიბლია გვასწავლის, ჩვენს ხალხს უნდა მოსწყურდეს წმიდა გული და წმიდა ცხოვრება. სიწმიდე მშვენიერი საჩუქარია მოსიყვარულე მამისგან.

### **სიწმიდის მშვენიერება ჩანს ღვთის თავდაპირველ ქმნილებაში**

#### **ღმერთმა შექმნა სრულყოფილი სამყარო**

დაწყებული ედემით, ულამაზესი ბალით. გაიხსენეთ ყველაზე ტკბილი, გემრიელი ხილი, რაც კი ოდესმე გიჭამიათ; ედემის ნაყოფი უფრო ტკბილი და გემრიელი იყო. დაფიქრდი ყველაზე ლამაზ ყვავილზე, რაც კი ოდესმე გინახავთ; ედემის ყვავილები უფრო ლამაზი იყო. ღმერთმა შექმნა სრულყოფილი სამყარო, სამყარო ცოდვის შედეგების გარეშე. მან შექმნა სამყარო ტკივილის, ცრემლებისა და სიკვდილის გარეშე.

რაც მთავარია, ღმერთმა შექმნა გულწრფელი მეგობრობის სამყარო ღმერთსა და ადამიანს შორის. არაფერი აშორებდა ადამიანს თავის შემოქმედს. ღმერთი ყოველ დღე სტუმრობდა ადამსა და ევას. არცერთ სხვა ქმნილებას არ ჰქონდა ეს პრივილეგია. ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისთან განსაკუთრებული ურთიერთობისთვის. ედემის ბალში იყო სრულყოფილი მშვიდობა ღმერთსა და ადამიანს შორის.

#### **სატანამ გააფუჭა ღვთის სრულყოფილი სამყარო**

სატანას სურდა ამ სრულყოფილი სამყაროს განადგურება. სატანას სმულდა ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა. უპირველეს ყოვლისა, სატანას სმულდა ღმერთისა და ადამიანის ახლო მეგობრობა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გაენადგურებინა სიყვარულისა და ნდობის ეს ურთიერთობა.

სატანას არ შეეძლო უშუალოდ ადამიანის განადგურება, ამიტომ მან გადაწყვიტა გაენადგურებინა ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობა. სატანამ იცოდა, რომ ღმერთი წმიდაა და რომ ღმერთმა ადამიანი თავის ხატად შექმნა. სატანას სურდა გაენადგურებინა ღვთის წმინდა გამოხატულება ადამიანში. წმიდა ღმერთსა და წმიდა ადამიანს ექნებოდათ უწყვეტი ურთიერთობა, მაგრამ სატანას შეუძლია გაანადგუროს ეს ურთიერთობა ადამიანის ცოდვაში ცდუნებით.

სატანა ევასთან გველის სახით მივიდა. გველმა ეჭვქვეშ დააყენა ღვთის ბრძანება. მან პირთხა: „ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა, ბალის არცერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო?” მას სურდა, რომ ევას ღმერთის სიკეთეში ეჭვი შეეტანა. ევამ უპასუხა: „ბალის ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა. მაგრამ შუა ბალში რომ ხეა, მის ნაყოფზე გვითხრა ღმერთმა - არ შეჭამოთ და არც შეეხოთ, თორეშ მოკვდებითო” (დაბადების 3:1-6).

გველი ადანაშაულებდა ღმერთს ადამისა და ევასგან სიკეთის დამალვაში. გველმა უთხრა: „არ მოკვდებით. მაგრამ იცის ღმერთმა, რომ შეჭამთ თუ არა იმ ხის ნაყოფს, თვალი აგეხილებათ და ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი შეიქნებით.“ გველმა აცდუნა ევა ამპარტავნობით: „ღმერთივით გახდებით.“

ევამ მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა, ადამსაც მისცა და მანაც შეჭამა. ადამმა და ევამ იცოდნენ, რომ დაარღვიეს ღვთის კანონი. როცა ღმერთი ბაღში მივიდა, შერცხვათ და დაემალნენ მას. ღმერთსა და ადამიანს შორის მჭიდრო მეგობრობა დაირღვა.

### ღმერთმა არ მიატოვა თავისი ქმნილება

მათი ცოდვის გამო ღმერთმა განდევნა ადამი და ევა ედემის ბალიდან. ცოდვამ დაარღვია ურთიერთობა ღმერთსა და ადამიანს შორის. ცოდვამ დააზიანა ადამიანში ღვთის ხატება. მაგრამ მისი სიყვარულის გამო ღმერთმა არ დატოვა ადამიანი ამ საშინელ მდგომარეობაში. ღმერთს შეეძლო ეთქვა: „ადამ, შენ გამოიწვიე ეს არეულობა. ეს შენი პრობლემა! მე მივდივარ.“ ამის ნაცვლად, მოსიყვარულე ღმერთი ჩვენი სამყაროს ნაწილი გახდა და ჩვენი ცოდვის სამკურნალო საშუალება მოგვცა.

ეს წამალი მოიცავდა პატიების გზას. ღმერთმა მოგვცა გზა, რათა აღედგინა ურთიერთობა წმიდა ღმერთსა და დაცემულ ადამიანს შორის. ეკლესია ყოველთვის ქადაგებდა: „ცოდვილები შეიძლება გამართლდნენ ღვთის წინაშე.“ ჯვრის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ცოდვების მიტევების მიღება.

ეს მშვენიერი ამბავია! მაგრამ ზოგჯერ ეკლესიას ავიწყდება ღვთიური წამლის მეორე მხარე. ცოდვისგან ღვთის წამალი მოიცავდა არა მხოლოდ მიტევების გზას, არამედ აღდგენის გზასაც. ღმერთმა ადამიანში თავისი ხატების აღდგენის გზა უზრუნველყო.

ღმერთი არ იყო კმაყოფილი იმით, რომ ეთქვა: „შეიძლება გათავისუფლდე ცოდვის სასჯელისაგან, მაგრამ არასოდეს განთავისუფლდები ცოდვის ძალაუფლებისგან.“ არა! ღმერთმა გაითვალისწინა გზა, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანი წმიდად გამხდარიყო. ღმერთი ბაღში წმიდებთან ერთად დადიოდა; მას არ შეუძლია ცოდვილებთან სიარული. ღმერთს სურს ურთიერთობა თავის ხალხთან, ამიტომ მან მოგვცა გზა, რათა ჩვენ წმიდები გაგვხადოს.

მთელ წმიდა წერილში ჩვენ ვხედავთ, რომ ღმერთი მუშაობს წმიდა ხალხის შესაქმნელად, ვისთანაც მას შეუძლია ურთიერთობა. ღმერთი არ ამბობს: „ვიცი, რომ ცოდვილი ხარ, მაგრამ თვალს დავხუჭავ შენს ცოდვაზე და ჩავთვლი, ვითომ მართალი ხარ.“ პირიქით, ღმერთი გვპირდება, რომ თავის ხალხს წმიდას გახდის.

დაგადგენს უფალი თავის წმიდა ხალხად, როგორც შეგფიცა, თუ დაიცავ უფლის, შენი ღმერთის მცნებებს და ივლი მისი გზებით (მეორე რჯულის 28:9).

ღმერთს სურს თავისი ხალხი წმიდად აქციოს. ეს არის ღმერთის განზრახვა თავისი ხალხისთვის. ღმერთი გვპირდება, რომ მის ხალხს „უწოდებენ წმიდა ხალხს, უფლის მიერ გამოსყიდულთ“ (ესაიას 62:12).

### სიწმიდის მშვენიერება ჩანს ღვთის ბუნებაში

დაცემის გამო ადამიანი აღარ იყო წმიდა. ჩვენ მალევე დავივიწყეთ ღვთის წმიდა ბუნება. ღმერთმა შეგვქმნა „მის ხატად.“ ახლა ჩვენ შევქმენით ღმერთი ჩვენს ხატად - ეჭვიანი, მოძულე და ამაყი.

ბაბილონელებმა გადმოგვცეს მარდუკის ამბავი, რომელიც დედის მოკვლით გახდა მთავარი ღმერთი. ბერძნებმა ზევსის ამბავი გადმოგვცეს, რომელსაც ბევრი ბედია (საყვარელი) ჰყავდა. რომაელებმა გადმოგვცეს ამბავი სიმთვრალისა და მგრძნობელობის ღმერთის, ბახუსის შესახებ.

ეს ღმერთები არ იყვნენ წმიდები. ადამიანები, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ამ ღმერთებს, ჰგავდნენ მათ ღმერთებს. ხალხი ცრუობდა, იპარავდა და თაღლითობდა, ისევე როგორც მათი ღმერთები ცრუობდნენ, იპარავდნენ და თაღლითობდნენ. ცოდვილმა ადამიანმა შექმნა ცოდვილი ღმერთები. თავის მხრივ, ამ ღმერთებმა ნება მისცეს ადამიანს განეგრძო თავისი ცოდვილი ცხოვრება. ჩვენ დავემსგავსეთ ღმერთებს, რომლებსაც თაყვანს ვცემთ.

იეჰოვა არ ჰგავს ამ ცრუ ღმერთებს. ღმერთი წმიდაა. წმიდა წერილი მრავალგზის მოწმობს ღვთის სიწმიდეზე. წითელი ზღვის გადაკვეთის შემდეგ ისრაელის ხალხი ადიდებდა თავის წმიდა ღმერთს. მღეროდნენ: „ვინ არის ღმერთთა შორის შენი მსგავსი, უფალო? ვინ არის შენსავით დიდებული სიწმიდეში...“ (გამოსვლის 15:11).

მეფსალმუნე მღეროდა: „შენ კი წმიდაო, ისრაელის ხოტბათა შორის მკვიდრობ“ (ფსლმუნის 21:3). ისრაელი ადიდებდა ღმერთს მისი სიწმიდის გამო. მეფსალმუნემ ღმერთს უწოდა „ისრაელის წმიდა“ (ფსლმუნის 70:22; 77:41; 88:18).

წინასწარმეტყველები მოწმობდნენ, რომ ღმერთი წმიდაა. მეფსალმუნეს მსგავსად ღმერთს უწოდებდნენ „ისრაელის წმიდას.“<sup>3</sup> ესაიამ ღმერთს „ისრაელის წმიდა“ ოცდაექვსჯერ უწოდა. ესაია პატივს მიაგებდა „მაღალს და ამაღლებულს, მას, ვინც მარადიულია და წმიდაა მისი სახელი“ (ესაიას 57:15). სიწმინდე იმდენად არის ღმერთის ხასიათის ნაწილი, რომ ღმერთისთვის „თავის სიწმიდის“ დაფიცება იგივე იყო, რაც „თავისი თავის“ დაფიცება

<sup>3</sup> ესაიას 5:19; 10:20; იერემიას 50:29; 51:5; ეზეკიელის 39:7

(ამოსის 4:2; 6:8). „აბაკუმმა დაამოწმა, რომ ღმერთი „მეტად სუფთაა შენი თვალები რომ უმზიროს ბოროტებას” (აბაკუმის 1:13). წინასწარმეტყველებმა იცოდნენ, რომ ღმერთი წმიდაა.

ზეცაში ღვთის თაყვანისცემა აღნიშნავს მის სიწმიდეს. სერაფიმები მღერიან: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ცაბაოთ უფალი” (ესაიას 6:3). იოანემ გამოცხადებაში იხილა ოთხი არსება, რომლებიც ადიდებდნენ ღმერთს. ისინი მღეროდნენ: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, არის და მოვა!” (გამოცხადების 4:8). ჩვენი ღმერთი წმიდა ღმერთია.

### სიწმიდის მშვენიერება ჩანს ღვთის გეგმაში თავისი ხალხისთვის

წმიდა ღმერთმა შექმნა კაცობრიობა მასთან ურთიერთობისთვის, მაგრამ ჩვენმა ცოდვამ დაგვაშორა ღმერთს. თუმცა ღმერთს გადაწყვეტილი ჰქონდა აღედგინა ურთიერთობა თავის ხალხთან. ვინაიდან მხოლოდ წმიდა ადამიანებს შეუძლიათ წმიდა ღმერთის თანდასწრებაში ცხოვრება, მან მოგვცა გზა, რომლითაც შეუძლია წმიდად გვაქციოს. ღმერთმა ასწავლა სიწმიდის მნიშვნელობა ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ წმიდანი. ამ პროცესს ორი ნაწილი აქვს:

1. ღმერთმა ასწავლა ადამიანს წმიდა ღმერთის ბუნება. მარდუკი, ზევსი და ბახუსი ძლიერები, მაგრამ უზნეოები იყვნენ. ღმერთმა გამოავლინა თავი, როგორც ძლიერი და წმიდა.
2. ღმერთმა ასწავლა ადამიანს წმიდა ადამიანების ბუნება. თქვა ღმერთმა: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი” (ლევიანთა 19:2). ვინაიდან ღმერთი წმიდაა, მისი ხალხიც წმიდა უნდა იყოს.

ესაია უქადაგებდა ცოდვილ ერს. ცოდვამ გაანადგურა ღვთის ხალხის მშვენიერება. ისრაელი ღვთის რჩეული ხალხიდან, დაეცა დამარცხებული და ტყვეობაში წაყვანილი ხალხის სამარცხვინო სტატუსამდე. ის აღარ იყო მშვენიერი; ის იყო შერცხვენილი მონა. მაგრამ ესაიამ იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც ისრაელის „ერები დაინახავენ შენს სიმართლეს.” იმ დღეს ისრაელი „მშვენიერების გვირგვინად იქნება უფლის ხელში” (ესაიას 62:2-3).

ადამიანები, რომლებსაც არასწორად ესმით სიწმიდის გზავნილი ბიბლიაში, ხშირად ასახავს სიწმიდეს ლეგალიზმის, მკაცრი წესებისა და მკაცრი სახეების თვალსაზრისით. ეს არ არის ბიბლიური შეხედულება სიწმიდეზე. სამაგიეროდ, წმიდად ყოფნა ნიშნავს ღვთის სიწმიდის მშვენიერების ჩვენებას. სიწმიდე გაძლევს სასიხარულო თავისუფლებას, იცხოვრო წმიდა ღმერთთან მჭიდრო ურთიერთობაში. ბიბლიაში სიწმინდე არასოდეს ჟღერს უხალისოდ; ეს არის სიხარულისა და სილამაზის გამომხატველი ტერმინი!

ბიბლიაში ღმერთი ავლენს თავის წმიდა ბუნებას. შემდეგ ღმერთი ასწავლის თავის ხალხს როგორ იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ღმერთი გვიჩვენებს, რომ თავის ხალხს მისცემს ძალას, რომ ვიყოთ ისეთები, როგორებიც მან მოგვიწოდა, რომ ვიყოთ. მისი მადლით ღმერთს შეუძლია წმიდა ხალხის შექმნა. ღმერთი არ უგულებელყოფს ცოდვას თავის შვილებში; პირიქით, ის გვწმედს. წმიდა ღმერთს სურს ურთიერთობა წმიდა ხალხთან.

### რას ნიშნავს იყო წმიდა?

თავისი სიტყვის მეშვეობით ღმერთმა ასწავლა თავის ხალხს, რას ნიშნავს იყო წმიდა. როდესაც ღმერთმა დაიწყო თავისი ხალხის სწავლება, მათ არაფერი იცოდნენ სიწმიდის შესახებ. მათ არასოდეს უნახავთ წმიდა ღმერთი ან წმიდა ხალხი. ღმერთმა ასწავლა სიწმიდის მნიშვნელობა ისევე, როგორც ჩვენ ვასწავლით ბავშვს ლაპარაკს.

როდესაც პატარა ბავშვს ვასწავლით, ჩვენ ვანიშნებთ სკამზე და ვამბობთ: „სკამი.“ ჩვენ მივანიშნებთ მანქანაზე და ვამბობთ: "მანქანა". ეტაპობრივად ბავშვი სწავლობს სიტყვების მნიშვნელობას. ბავშვი სწავლობს სიტყვა "სიყვარულის" მნიშვნელობას დედის მიერ გამოვლენილი სიყვარულის შეგრძნებით. ბავშვი იგებს სიტყვა „სამართლიანობის“ მნიშვნელობას, როდესაც მშობელი სამართლიანად სჯის დაუმორჩილებლობისთვის.

ღმერთმა ასევე გვასწავლა სიწმიდის მნიშვნელობა. ჩვენ, როგორც დაცემულმა ადამიანებმა, არ ვიცოდით, რას ნიშნავს იყო წმიდა. ღმერთმა თანდათან გაუმხილა სიწმიდის მნიშვნელობა თავის ხალხს სიტყვისმიერი გამოხატულებების საშუალებით, რომლებიც ასახავს რას ნიშნავს იყო წმიდა. როდესაც ბიბლიის მეშვეობით მივყებით სიტყვა სიწმიდის მნიშვნელობას, დავინახავთ:

1. სიწმიდე ნიშნავს ღმერთთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებას. დაბადების წმიდა მამაკაცები (ისეთები, როგორიცაა ენოქი და აბრამი) იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ღმერთთან. ისინი „ღმერთთან ერთად დადიოდნენ“. წმიდა ადამიანთა ცხოვრების ჩვენებით ღმერთმა გამოავლინა, რომ წმიდა არის ადამიანი, რომელსაც ახლო ურთიერთობა აქვს ღმერთთან.
2. იყო წმიდა ნიშნავს აირეკლო ღვთის ხატება. სიწმიდე არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისება. სიწმიდე მხოლოდ ღმერთის თვისებაა. ისრაელს მოუწოდა „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, თქვენი ღმერთი“ (ლევიანთა 19:2). იყო წმიდა ნიშნავს აირეკლო ღვთის ხატება და გამოავლინო შენს ცხოვრებაში. იყო წმინდა ნიშნავს იყო ღმერთის მსგავსი.
3. იყო წმიდა ნიშნავს ღმერთისთვის გამოყოფას. პირველად ბიბლიაშია გამოყენებული სიტყვა „წმიდა“ და ეხება იმ დღეს, რომელიც გამოყოფილია ღვთის განსაკუთრებული

მიზნებისთვის. შაბათი წმინდა იყო; ის გამოყოფილი იყო დანარჩენი ექვსი დღისგან. როგორც ბავშვი სწავლობს „სკამის“ მნიშვნელობას, ღმერთმა მიუთითა მეშვიდე დღეზე და თქვა: „ის წმიდაა.“

4. იყო წმიდა ნიშნავს, გქონდეს განუყოფელი გული. ისტორიულ წიგნებში ღმერთი იყენებს სიტყვას „სრულყოფილი“ ადამიანების აღსაწერად, რომლებსაც ჰქონდათ „განუყოფელი გული.“ იყო წმიდა ნიშნავს იყო თანმიმდევრული ღვთისადმი მიძღვნაში. წმიდა გულს უყვარს ღმერთი განუყოფლად.
5. იყო წმიდა ნიშნავს, იცხოვრო მართალი ცხოვრებით. წინასწარმეტყველები უქადაგებდნენ ხალხს, ვინც ფიქრობდა: „ჩვენ თაყვანს ვცემთ ტაძარში და ვწირავთ მსხვერპლს. ჩვენ წმიდები ვართ.“ წინასწარმეტყველებმა აჩვენეს, რომ საკმარისი არ არის რიტუალების დაცვა. იყო წმიდა ნიშნავს ღვთისა და სხვების მიმართ სამართლიანად ცხოვრებას. წმიდა ხალხს მოგვეთხოვება „სამართლიანი მოქმედება, მოწყალების სიყვარული და ჩვენი ღმერთის წინაშე თავმდაბლად სიარული“ (მიქას 6:8).
6. იყი წმიდა ნიშნავს გქონდეს ღმერთისა და მოყვასისადმი სრულყოფილი სიყვარული. სახარებები გვიჩვენებს ღმერთის სიწმიდის სრულ გამოვლინებას იესო ქრისტეს ცხოვრებაში. იესოს ჰქონდა წმიდა გული, რომელიც სრულად ემორჩილებოდა მამის ნებას. იესოს ჰქონდა წმიდა ხელები, რომლებიც მოქმედებდნენ სრულყოფილი სიყვარულით სხვების მიმართ. იესომ აჩვენა, რომ იყო წმიდა, ნიშნავს გვიყვარდეს ღმერთი და გვიყვარდეს მოყვასი, როგორც საკუთარი თავი.
7. იყო წმიდა ნიშნავს იცხოვრო სულიწმიდის სისრულეში. საქმეებში ჩვენ ვხედავთ ქრისტიანების მაგალითს, რომლებიც აღივსნენ ღვთის სულით. სულიწმიდის ძალით ისინი წმიდა ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ჩვენ წმიდანი ვართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვცხოვრობთ სულიწმიდის სისრულეში.

8. იყო წმიდა ნიშნავს იყო ქრისტეს მსგავსი. იესო იყო წმიდა გულისა და წმიდა ხელების სრულყოფილი მაგალითი. ეპისტოლები აჩვენებს, რომ ჩვეულებრივ ქრისტიანებს შეუძლიათ იესო ქრისტეს მაგალითს მიყვნენ.

ეპისტოლები გვაწვდიან პრაქტიკულ მითითებებს წმიდა ცხოვრებით ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ეს წერილები გვასწავლის როგორ ვიცხოვროთ ქრისტეს მსგავს ადამიანებად.

9. **სიწმიდე გვამზადებს, რომ ღმერთი ვიხილოთ.** ედემში ღმერთმა მოამზადა ბალი, სადაც წმიდა ადამიანებს შეეძლოთ მამასთან სრულყოფილ ურთიერთობაში ეცხოვრათ. ცოდვის გამო ბალიდან გამოძევებულები აღმოვჩნდით, მაგრამ ღმერთმა არ დათმო თავისი გეგმა. გამოცხადებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ღვთის ხალხი ოდესმე იხილავს მის სახეს. ვერც ერთი ცოდვილი ვერ იხილავს მას, მაგრამ ღმერთი ამზადებს წმიდა ხალხს, რომლებიც მარადისობას მის თანდასწრებაში გაატარებენ. ეს არის ღმერთის განზრახვა თავისი ხალხის მიმართ.

„ჩვენ უნდა ვიყოთ წმიდები, რადგან ეს არის ერთი დიდი მიზანი, რისთვისაც ქრისტე მოვიდა სამყაროში.

იმის თქმა, რომ ადამიანები დახსნილნი არიან ცოდვის დანაშაულისგან, მაგრამ არა მისი მათ გულებში ბატონობისგან, ეწინააღმდეგება მთელი წმიდა წერილის მტკიცებულებებს.

იესო არის მხსნელი სრულფასოვნად. ის უბრალოდ ცოდვის გამო დანაშაულის გრძნობას კი არ გვაშორებს; ის ანგრევს მის ძალას.”

- პერიფრაზირებულია

ეპისკოპოსი ჯეი. სი.რაილისგან

### დასკვნა: წმიდა ღმერთი მოუწოდებს თავის ხალხს სიწმიდისკვენ

დოქტორი ჯონ სტოტი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მახარებელი. ერთ-ერთ ბოლო ქადაგებაში დოქტორმა სტოტმა ისაუბრა ღვთის განზრახვაზე თავისი ხალხის მიმართ.<sup>4</sup> ჩვენ მადლით ვართ დახსნილნი, რწმენის მეშვეობით; ჩვენ სიკვდილიდან სიცოცხლეში ვართ გადაყვანილნი. რატომ? ღმერთის მიზანია ჩვენი გადარჩენა ქრისტეს დამსგავსებით. დოქტორმა სტოტმა თქვა: „ქრისტეს მსგავსება არის ღვთის ნება თავისი ხალხისთვის.”

ახალი აღთქმის სამი ტექსტი გვიჩვენებს, თუ როგორ გვამზადებს დედამიწაზე ქრისტეს მსგავსებაში ზრდა, ღმერთთან ცხოვრებისთვის. ეს ტექსტები აჩვენებს სიწმიდის მნიშვნელობას მორწმუნის ცხოვრებაში.

<sup>4</sup> John Stott Address at Keswick. (June 20, 2014). Retrieved from <https://leightonfordministries.org/reflections-essays/john-stott-address-at-keswick/>, December 20, 2019.

**რომაელთა 8:29** წარსულს უყურებს და გვიჩვენებს ღვთის მარადიულ განზრახვას მისი შვილებისთვის:

ვინც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა, რათა იყოს პირმშო მრავალ ძმას შორის.

ღვთის მარადიული განზრახვა არის ის, რომ ჩვენ ვიყოთ „მისი ძის ხატების მსგავსნი“. თავიდანვე ღვთის განზრახვა იყო ჩვენი ქრისტეს მსგავსებაში მიყვანა. რომაელთა 8:28 გვპირდება, რომ „ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე სასიკეთოდ ეწევა.“ ეს დაპირება არის „მისი განზრახვით მოწოდებულებისთვის“. რა არის მისი მიზანი? ღმერთის წინასწარ განსაზღვრული მიზანია, თავისი შვილები თავისი ძის ხატად აქციოს. ღმერთმა გვიხსნა, რათა გაგვხადოს წმიდები.

პავლემ კოლასელ ქრისტიანებს შეახსენა მშვენიერი ცვლილება, რომელიც ღმერთმა მოახდინა მათ ცხოვრებაში: „თქვენც, ოდესღაც რომ გაუცხოებულნი და გონებით მტრები იყავით თქვენი ბოროტი საქმეების გამო, ახლა კი შეგირიგათ თავის ხორციელ სხეულში.“ ქრისტეს სიკვდილით, ღმერთთან „მტრულად“ განწყობილი ადამიანები ახლა „შეურიგდნენ“ მას. შემდეგ პავლემ ამ მორწმუნებს შეახსენა ღმერთის განზრახვა, შეერიგებინა ისინი თავისთან: „რათა წარგადგინოთ თქვენ წმიდები, უბიწონი და უბრალონი თავის წინაშე“ (კოლასელთა 1:21-22).

„ღმერთს კაცობრიობისთვის ერთი წინასწარ განსაზღვრული მიზანი აქვს - სიწმიდე. მისი ერთადერთი მიზანია წმიდანთა წარმოება. ის მოვიდა ადამიანების გადასარჩენად, რადგან მან შექმნა ისინი წმიდად“.

- ოსვალდ ჩემბერსი

პავლეს არ უთქვამს უბრალოდ: „თქვენ შეურიგდით ღმერთს, რათა მარადისობა გაატაროთ ზეცაში.“ ეს მშვენიერი ამბავია! მაგრამ ეს არ არის სრული კარგი ამბავი. პავლე ამბობს: „შეურიგდით ღმერთს, რათა იყოთ წმიდები“. ღმერთის განზრახვაა მისი შვილები წმიდა და უმწიკვლო გახადოს.

**2 კორინთელთა 3:18** ხედავს აწმყოს და აჩვენებს, თუ როგორ სრულდება ეს მიზანი დღეს მორწმუნის ცხოვრებაში:

ჩვენ კი ყველანი, რიდეახდილი სახის მსგავსად ვხედავთ უფლის დიდებას, ვუმზერთ რა სარკეში ამ ხატებას და გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან.

სულიწმიდის ძალით ჩვენ „გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში.“ ღვთის განზრახვა სრულდება მისი შვილების გარდაქმნაში სულიწმიდის ძალით. დღითი დღე უფრო მეტად ვემსგავსებით ქრისტეს.

## 1 იოანეს 3:2 ხედავს მომავალს და აჩვენებს ღვთის განზრახვის საბოლოო შესრულებას:

საყვარელნო! ახლა ღვთის შვილები ვართ, ოღონდ ჯერ არ გამომჟღავნებულა, რანი ვიქნებით. მაგრამ ვიცით, რომ, როცა გამოჩნდება, მისი მსგავსნი ვიქნებით, რადგან ვიხილავთ მას, როგორიც არის.

გამოცხადების წიგნი ხედავს იმ დღეს, როდესაც ღმერთს პირისპირ ვიხილავთ. იმ დღეს ჩვენც მას დავემსგავსებით. ღვთის განზრახვა სრულად და სამარადისოდ შესრულდება. ჯონ სტოტმა დაასკვნა: „ჩვენ ქრისტეს მსგავსები, ქრისტესთან ვიქნებით სამუდამოდ.”

როგორც ქრისტიანებს, ჩვენი სწრაფვა წმიდად ცხოვრებისკენ გვამზადებს იმ დღისთვის, როდესაც ვიხილავთ ღმერთს და შესრულდება მისი მიზანი ჩვენს ცხოვრებაში. ამან უნდა გვიბიძგოს, რომ სერიოზულად მოვეკიდოთ სიწმიდეში ზრდას. დღითიდღე უფრო მეტად გარდავიქმნებით მის ხატებაში.


სიწმიდე არ არის ადამიანური იდეა; სიწმიდე არის ღმერთის ხასიათი. სიწმიდის ჩვენი გაგება ეფუძნება ბიბლიაში გამოვლენილ ღვთის ხასიათს. როდესაც ჩვენ ვცდილობთ უფრო და უფრო დავემსგავსოთ მას, ჩვენ ვთანამშრომლობთ ღვთის მარადიულ განზრახვასთან. სიწმიდე არის ღმერთის მარადიული განზრახვა ყოველი მორწმუნესთვის. როგორც ღვთის შვილებს, ჩვენ უნდა გვქონდეს ჟინი, დავინახოთ ეს მიზანი ჩვენს გულებში და ცხოვრებაში.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - სამუელ კაბუ მორისი

1873 წელს სამუელ მორისი დაიბადა ლიბერიაში, დასავლეთ აფრიკაში, როგორც პრინცი კაბუ, ტომის ბელადის ვაჟი.<sup>5</sup> როდესაც მამამისი ბრძოლაში დამარცხდა, კაბუ გამოსყიდვის მიზნით შეიიპყრეს. ერთ დღეს კაბუმ დაინახა კაშკაშა შუქი და გაიგონა ზეციდან ხმა, რომელმაც უთხრა, რომ გაქცეულიყო. თოკები, რომლებიც მას იჭერდა, მიწაზე დაეცა და კაბუ ჯუნგლებში გაიქცა.

ის რამდენიმე დღე დადიოდა ჯუნგლებში, სანამ არ ჩავიდა ქალაქ მონროვიაში. ქალაქში ახალგაზრდა ბიჭმა კაბუ ეკლესიაში მიიწვია.

როდესაც კაბუ ეკლესიას ეწვია, მისიონერი პავლეს მოქცევის ამბავს ყვებოდა. როდესაც მან თქვა ზეციდან გამოსულ კაშკაშა შუქზე და ხმაზე, კაბუმ გააცნობიერა, რომ ეს იყო ის ხმა, რომელიც მან გაიგო ჯუნგლებში! მალევე მან მიიღო ქრისტე მხსნელად, მოინათლა და მიიღო სახელი სამუელ მორისი.



<sup>5</sup> Image: "Samuel Morris", Samuel Morris: A Spirit Filled Life (1921), retrieved from <https://commons.wikimedia.org/w/index.php?curid=39596012>, public domain

მომდევნო ორი წლის განმავლობაში სამუელ მორისი ხატავდა სახლებს, რათა ერჩინა თავი სანამ ის ბიბლიას სწავლობდა. მას განსაკუთრებით აინტერესებდა სულიწმიდის შესწავლა და სულის ძალით ცხოვრება. მას შემდეგ რაც მისიონერმა უთხრა, რომ მან ასწავლა ყველაფერი, რაც იცოდა, მორისმა ჰკითხა: „ვინ იყო თქვენი მასწავლებელი?“ მან უთხრა მას ამერიკაში სიწმინდის მქადაგებლის შესახებ, სახელად სტივენ მერიტი. ფულისა და ტრანსპორტის გარეშე მორისი ფეხით გაემართა უახლოეს საზღვაო პორტში, რათა ამერიკაში მიმავალი გემი ეპოვა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა სულში ცხოვრების შესახებ მეტი გაეგო.

მას სანაპიროზე ეძინა გემის მოლოდინში. როდესაც გემი შემოვიდა, მორისმა სთხოვა კაპიტანს წაეყვანა ის ამერიკაში. კაპიტანმა უარი თქვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისი ეკიპაჟის ორი წევრი გაიქცა. შემდეგ კაპიტანმა უთხრა მორისს, რომ მას შეეძლო მუშაობა ნიუ-იორკში ტრანსპორტირების სანაცვლოდ. მოგზაურობის დროს მას ეკიპაჟის წევრები ცუდად ეპყრობოდნენ და გემზე ყველაზე სახიფათო დავალებებს აძლევდნენ. თუმცა, სამუელმა გამოავლინა ქრისტესმიერი სიყვარული გემზე თავის თანამებრძოლების მიმართ, სანამ კაპიტანმა და ეკიპაჟის უმეტესობამ ქრისტიანობა არ მიიღო იმ დროისთვის, როცა გემი ნიუ-იორკში ჩავიდა.

როდესაც მორისი ნიუ-იორკში ჩავიდა, მან იპოვა სტივენ მერიტის მისია და უთხრა მას მისი სურვილი, მეტი გაეგო სულიწმიდის შესახებ. მისტერ მერიტი შეხვედრაზე უნდა წასულიყო, თუმცა მორისი საღამომდე მისიაში დატოვა. როდესაც ის დაბრუნდა, დაინახა სამუელი, რომელიც ლოცვით შეხვედრას უძღვებოდა. ამერიკაში თავის პირველ ღამეს სამუელ მორისმა თითქმის ოცი ადამიანი მიიყვანა ქრისტესთან.

სტივენ მერიტი დაეხმარა სამუელ მორისს ტეილორის უნივერსიტეტში ჩარიცხვაში, რათა მომზადებულიყო ლიბერიაში ევანგელიზაციისთვის. მორისი ინდიანაში მდებარე კამპუსში ფულის გარეშე, მაგრამ ღვთის უზრუნველყოფის სრული რწმენით ჩავიდა. მან უნივერსიტეტის პრეზიდენტს სთხოვა: „გთხოვთ მომეცით ოთახი, რომელიც სხვას არავის სურს.“ გვიან ღამით მის თანაკურსელებს ესმოდათ მისი „მამაჩემთან საუბარი.“ ღმერთისადმი მისმა აბსოლუტურმა ნდობამ გავლენა მოახდინა როგორც კამპუსზე, ისევე მიმდებარე ეკლესიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ მორისი აპირებდა ლიბერიაში დაბრუნებას, ღმერთს განსხვავებული გეგმა ჰქონდა. ტეილორის უნივერსიტეტში ჩასვლიდან ორ წელიწადში სამუელ მორისი გარდაიცვალა პნევმონიით. ის მხოლოდ ოცი წლის იყო, მაგრამ მშვიდად მიიღო ღვთის გეგმა. სამუელმა უნივერსიტეტის პრეზიდენტს უთხრა: „ეს ჩემი სამუშაო არ არის. ეს მისია. მე დავასრულე ჩემი საქმე. ის ჩემზე უკეთესებს გაგზავნის აფრიკაში, სამუშაოს შესასრულებლად.“

მორისის ცხოვრებამ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა ადამიანებზე, რომ დაკრძალვის პროცესისთვის ქუჩებში ასობით ადამიანი გამოვიდა. რამდენიმე თანაკურსელი ჩავიდა აფრიკაში მისიონერად და მსახურობდნენ „პრინც კაბუს სახსოვრად.” ტეილორის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა თქვა: „სამუელ მორისი იყო ღვთის მაცნე ტეილორის უნივერსიტეტში. ის ფიქრობდა, რომ აქ მისიისთვის მოსამზადებლად მოვიდა. ამის ნაცვლად, ღმერთმა ის გამოგზავნა, რათა მოემზადებინა ტეილორის უნივერსიტეტი მისი მისიისთვის მთელ მსოფლიოში. ყველა, ვინც მას ხვდებოდა, აღფრთოვანებული იყო ღმერთისადმი მისი ამაღლებული, მაგრამ უბრალო რწმენით.”

დღეს, ინდიანას შტატში, ფორტ უეინში სამუელ მორისის საფლავზე მემორიალური დაფაზე წერია:

სამუელ მორისი  
1873-1893  
წწ. პრინცი კაბუ  
დასავლეთ აფრიკის მკვიდრი  
ცნობილი ქრისტიანი მისტიკოსი  
უბრალო რწმენის მოციქული  
სულით სავსე ცხოვრების გამომხატველი

სამუელ მორისის ხანმოკლე ცხოვრება აჩვენებს, რომ ყველა მორწმუნეს შეუძლია სულიწმიდის ძალით ცხოვრება. წმინდა გული და წმიდა ცხოვრება არის ღმერთის მიზანი ყოველი მორწმუნესთვის.

## პირველი გაკეთილის მიმოხილვა

- (1) სიწმიდის მშვენიერება ჩანს ღვთის თავდაპირველ ქმნილებაში. ღმერთმა შექმნა სრულყოფილი სამყარო ცოდვის გარეშე.
- (2) სიწმიდის მშვენიერება ღვთის ბუნებაში ჩანს. ღმერთი წმიდა ღმერთია.
- (3) სიწმიდის მშვენიერება ჩანს ღვთის გეგმაში თავისი ხალხისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვამ გარყვნა ადამიანის ბუნება, ღმერთმა არ დათმო თავისი გეგმა წმიდა ხალხის ჩამოსაყალიბებლად. წმიდა ღმერთსა და დაცემულ კაცობრიობას შორის ურთიერთობის აღსადგენად, ღმერთი გვასწავლის:
- როგორია წმიდა ღმერთი
  - როგორია წმიდა ადამიანი
- (4) სიწმიდის შესახებ ბევრი მცდარი წარმოდგენა არსებობს. ესენი შედგება:
- მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეიძლება იყოს წმიდა.
  - ჩვენ წმიდები ვხდებით სხვა ადამიანებისგან განცალკევებით ცხოვრებით.
  - ჩვენ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ვხდებით წმიდები.
  - ჩვენ ვხდებით წმიდები გარკვეული წესების დაცვით.
  - იმის მტკიცებულება, რომ ადამიანი წმიდაა, ჩანს ენებით საუბრის განსაკუთრებულ ნიჭი ან სასწაულებში.
  - სიწმიდე შეუძლებელია.
- (5) სიწმიდის შესახებ სიმართლე მარტივია. აი რას ნიშნავს იყო წმიდა:
- იყო წმიდა ნიშნავს ღმერთთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებას.
  - იყო წმიდა ნიშნავს ღვთის ხატების არეკვლას.
  - იყო წმიდა ნიშნავს ღმერთისთვის გამოყოფას.
  - იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს განუყოფელი გული.
  - იყო წმიდა ნიშნავს მართალ ცხოვრებას.
  - იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს ღმერთისა და მოყვასისადმი სრულყოფილი სიყვარული.
  - იყო წმიდა ნიშნავს სულიწმიდის სისრულეში ცხოვრებას.
  - იყო წმიდა ნიშნავს, იყო ქრისტესმსგავსი.
  - სიწმიდე გვამზადებს ღმერთის სახილველად.

(6) ახალი აღთქმის სამი ტექსტი გამოხატავს სიწმიდის მნიშვნელობას მორწმუნის ცხოვრებაში.

- რომაელთა 8:29 გვიჩვენებს ღვთის მარადიულ განზრახვას, ჩამოგვაყალიბოს თავისი ძის ხატად.
- 2 კორინთელთა 3:18 გვიჩვენებს, რომ ღვთის განზრახვა სრულდება, როდესაც ჩვენ ყოველდღიურად ვიცვლებით ქრისტეს ხატების მსგავსებაში.
- 1 იოანეს 3:2 გვიჩვენებს ღვთის განზრახვის შესრულებას; როდესაც ღმერთს ვიხილავთ, მისი მსგავსები ვიქნებით.

### გაკვეთილის დავალებები

(1) წარმოიდგინეთ, რომ ახალმოქცეულმა ქრისტიანმა გითხრათ: „ბიბლიაში წავიკითხე, რომ ღმერთი მოგვიწოდებს ვიყოთ წმიდები, როგორც ისაა წმიდა. ეს შეუძლებლად ჩანს! რას ნიშნავს იყო წმიდა?” დაწერეთ ერთგვერდიანი პასუხი ამ ახალმოქცეული ქრისტიანისთვის. კლასის მომდევნო შეხვედრაზე თითოეულმა სტუდენტმა წაიკითხოს თავისი პასუხი. მიეცით დრო, რათა განიხილონ პასუხები კლასში.

(2) შემდეგი გაკვეთილი დაიწყეთ 1 პეტრეს 1:14—16-ის წაკითხვით.

(3) ეს კურსი მოიცავს დასკვნით პროექტს, რომელიც უნდა მოხდეს გაკვეთილის ბოლო დღეს. თქვენ ახლავე უნდა დაიწყოთ ამ პროექტზე მუშაობა. გადახედეთ გაკვეთილის ბოლოში მოცემულ დეტალებს ამ პროექტის შესახებ.



## გაკვეთილი 2

### სიწმიდე ურთიერთობაა - „ღმერთთან ერთად სიარული“

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) დააფასოს ღვთის მიერ ყოველდღიური ურთიერთობების უზრუნველყოფა მის ხალხთან.
- (2) გააცნობიეროს, რომ ჩვენ წმიდანი ვართ ღმერთთან ურთიერთობით და არა ადამიანური ძალისხმევით.
- (3) ერთგულად მიუძღვნას დრო ღმერთთან ყოველდღიური ურთიერთობის დამყარებას.
- (4) იყოს მზადყოფნაში, რომ დაეხმაროს სხვა მორწმუნეებს ღმერთთან ურთიერთობის განვითარებაში.
- (5) დაიმახსოვროს 1 იოანეს 1:6-7.

#### აბრაამი: ადამიანი, რომელიც ღმერთთან ერთად დადიოდა

წარმოიდგინეთ, რომ 75 წლის ხართ, ცხოვრობთ კერპთაყვანისმცემლურ ქვეყანაში და მოულოდნელად გესმით ღმერთის ხმა თქვენდამი! როგორ უპასუხებდით?

უთხრა უფალმა აბრაამს: "წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ" (დაბადების 12:1). „მიატოვე ყველაფერი და გამომყევი!" ღმერთმა არ უთხრა აბრაამს, სად მიიყვანდა მას. მან უბრალოდ თქვა: „გამომყევი." აბრაამმა ირწმუნა ღმერთი და გაჰყვა ღმერთს ურიდან ხარანამდე და ხარანიდან ქანანამდე. აბრაამმა 1600 კილომეტრზე მეტი გაიარა, ღვთის ბრძანების მორჩილების გამო.

#### ლოცვა სიწმიდისთვის

„უფალო, მე ვთმობ საკუთარ გეგმებსა და მიზნებს,  
ყველა ჩემს სურვილებს და იმედებს  
და ვიღებ შენს ნებას ჩემი ცხოვრებისთვის.  
მე გადმოგცემ ჩემს თავს, ჩემს სიცოცხლეს, ჩემს  
ყველაფერს,  
შენ სრულად, რომ სამუდამოდ შენი იყოს.  
შემავსე და დამბეჭდე შენი სულიწმიდით,  
გამომიყენე როგორც გინდა,  
მიმავლინე სადაც გინდა,  
გამოავლინე მთელი შენი ნება ჩემს ცხოვრებაში  
ნებისმიერ ფასად ახლა და სამუდამოდ.“

- ბეტი სტემი

(მოწამე ჩინეთში)

აბრაამი ენდობოდა დაპირებებს, რომლებიც შეუძლებელი ჩანდა. მას სჯეროდა, რომ ღმერთი აჩუქებდა მას ვაჟს, მიუხედავად იმისა, რომ სარა მშობიარობის ასაკს გადასული იყო. მას სჯეროდა, რომ ღმერთი მისცემდა მას აღთქმულ მიწას, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ფლობდა მიწას ქანანში. მას სჯეროდა, რომ ღმერთი მას დიდ ერად აქცევდა, მიუხედავად იმისა, რომ შვილები არ ჰყავდა.

აბრაამს, კაცს წარმართული საზოგადოებიდან, „ღვთის მეგობარი ეწოდა“. ის ღმერთთან ერთად დადიოდა.

► სთხოვეთ თქვენი კლასის სამ წევრს, დაამოწმონ ღმერთთან მათი სიარულის შესახებ. როგორ დაიწყო ეს სიარული? რა გაკვეთილები ისწავლეთ სიარულის დროს?

### სიწმიდე ხუთწიგნეულში: სიარული ღმერთთან ერთად

წმიდა ხალხი ღმერთთან ერთად დადის; ისინი ღმერთთან ერთად ატარებენ დროს. როდესაც ისინი ღმერთთან ერთად დადიან, ისინი უფრო ემსგავსებიან მას. იყო წმიდა ნიშნავს ღმერთთან ერთად სიარულს, ღმერთთან ღრმა ურთიერთობის დამყარებას.

ღმერთი დადიოდა ადამთან და ევასთან ერთად ედემის ბალში. მას შემდეგ, რაც ცოდვამ დაარღვია ეს იდეალური ურთიერთობა, ადამი და ევა დაემალნენ ღმერთს. ცოდვამ განაშორა ადამიანი ღმერთს.

ცოდვა არღვევს ღმერთთან ურთიერთობას; ცოდვა არღვევს ადამიანებს შორის ურთიერთობას; ადამმა ევა დაადანაშაულა. ადამმა და ევამ ცოდვა გაიზიარეს, მაგრამ ცოდვამ დააზიანა მათი ურთიერთობა ერთმანეთთან. ღმერთის მიზანია, რომ მისი შვილები მშვიდობიანად დადიოდნენ მასთან და ერთმანეთთან. სატანის მიზანია გაანადგუროს ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან და ერთმანეთთან.

ცოდვამ დააზიანა ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობა, მაგრამ ღმერთმა ამ ურთიერთობის აღდგენის გზა მოგვცა. მსხვერპლშეწირვა საშუალებას იძლეოდა წმიდა ღმერთთან ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ჩვენ არ შეგვიძლია გავხდეთ წმიდები ადამიანური ძალისხმევით; ჩვენ ვხდებით წმიდები წმიდა ღმერთთან ურთიერთობით.

ძველი აღთქმის განმავლობაში ვხვდებით წმიდა ადამიანთა მაგალითებს, რომლებიც ღმერთთან ერთად დადიოდნენ. ისინი ღმერთთან ერთად ლამაზ ბალში აღარ დადიოდნენ. ცოდვის გამო ადამიანები ღმერთთან ერთად დადიოდნენ ცოდვის ბნელ სამყაროში. მაგრამ ცოდვილ სამყაროშიც კი შესაძლებელია ღმერთთან ერთად სიარული. ეს არის სიწმიდე.

## ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს თვითდისციპლინას

ღმერთთან ახლო სიარული მოითხოვს თვითდისციპლინას, რათა უარი ვთქვათ ცოდვილ სურვილებზე. წარლვნამდე ბნელ საუკუნეებში ენოქი „ღმერთთან ერთად დადიოდა“ (დაბადების 5:24). ენოქმა საკუთარ თავს ასწავლა ცდუნებაზე უარის თქმა.

ენოქი ისეთივე ცდუნებით იყო გარშემორტყმული, როგორც მისი მეზობლები, მაგრამ ენოქის ურთიერთობა ღმერთთან მართავდა მის პასუხს ცდუნებაზე. სხვებმა თქვეს: „ეს სიამოვნება კარგი ჩანს; მე ამით ვისიამოვნებ.“ ენოქმა თქვა: „ეს სიამოვნება კარგია ჩემი ხორცისთვის, მაგრამ ბოროტია ჩემი ღმერთისთვის. მე არ დავაზიანებ ჩემს ურთიერთობას ღმერთთან ფიზიკური სურვილების გამო.“

ჩვენ არ „დავიმსახურებთ“ სიწმიდეს თვითდისციპლინის გზით. მხოლოდ ღვთის მადლი გვხდის წმიდად. მადლით ვართ დახსნილნი; ჩვენ წმიდანი ვართ მადლით. თუმცა, მადლი არ ნიშნავს, რომ თვითდისციპლინა ზედმეტია.

დალას უილარდი წერდა: „მადლი არ ეწინააღმდეგება ძალისხმევას; მადლი ეწინააღმდეგება გამომუშავებას (მოგებას).”<sup>6</sup> სიარული ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ძალისხმევაც კი ღვთის მადლის შედეგია. ჩვენი ძალისხმევა არ გამოიმუშავებს ღვთის მადლს; ჩვენი ძალისხმევა არის სასიხარულო პასუხი მის მადლზე. როგორც ღვთის შვილები, ჩვენი ძალისხმევით არ მოვიპოვებთ ღვთის კეთილგანწყობას, მაგრამ ვაცნობიერებთ თვითდისციპლინის საჭიროებას.

## ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს მორჩილებას

ღმერთმა გაგზავნა აბრაამი იმ ადგილებში, რომელიც არასოდეს უნახავს. „წავიდა აბრაამი, როგორც უფალმა უთხრა ...“ (დაბადების 12:4). აბრაამი ღმერთთან ერთად დადიოდა მორჩილებით. წმიდა გული მორჩილი გულია:

რწმენით დაემორჩილა აბრაპამი მოწოდებას, წასულიყო ქვეყანაში, მემკვიდრეობად რომ უნდა მიეღო; და ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა (ებრაელთა 11:8).

ღმერთს არ მიუცია აბრაამისთვის ქანაანის რუკა. მას არ გაუმხელია აბრაამისთვის მოგზაურობის დეტალები. მან უბრალოდ მოუწოდა აბრაამს გაჰყოლოდა - და აბრაამი დაემორჩილა. ღმერთთან ერთად სიარული მორჩილებას მოითხოვს. სიწმიდეში ცხოვრება მორჩილებას მოითხოვს.

„სულიერ საკითხებში გაგების წესი არის არა ინტელექტი, არამედ მორჩილება“.

- ოსვალდ ჩემბერსი

<sup>6</sup> Dallas Willard, *Hearing God* (Westmont: InterVarsity Press, 2012), 254

## **ღმერთთან ერთად სიარული გულისხმობს მზარდ რწმენას**

როდესაც აბრაამმა დატოვა თავისი სახლი, ღვთის დაპირებების არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა. აბრაამი ღმერთთან ერთად დადიოდა რწმენით. როდესაც ღმერთთან ერთად დავდივართ, ვსწავლობთ მის სრულ ნდობას, ჩვენი რწმენა ღრმავდება, როცა მასთან ერთად ვატარებთ დროს. ეს მნიშვნელოვანი იყო აბრაამისთვის, რადგან ის კიდევ უფრო დიდი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, ვიდრე სამშობლოს დატოვება.

ქანაანში ღმერთმა მოუწოდა აბრაამს, შეეწირა თავისი ძე, ისაკი. ღმერთი დაპირდა აბრაამს, რომ ის იქნებოდა მრავალი ერის მამა. მრავალი წლის შემდეგ აბრაამს და სარას შეეძინათ ძე. ახლა ღმერთმა მოსთხოვა აბრაამს, მსხვერპლად შეეწირა ის. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ამბობს: „რწმენით მიიყვანა აბრაჟამმა მსხვერპლად ისაკი, როცა გამოიცადა” (ებრაელთა 11:17).

რადგან აბრაამი ღმერთთან ერთად დადიოდა, ენდობოდა მას. აბრაამი ღმერთთან ერთად დადიოდა, ამიტომ მას შეეძლო ღმერთს მინდობოდა მაშინაც კი, როდესაც ბოლომდე არ ესმოდა ღვთის ბრძანებები. აბრაამი ღმერთთან ერთად დადიოდა მზარდი რწმენის ურთიერთობაში.

ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს, მისდამი ნდობას. როცა ღმერთთან ერთად დავდივართ, რთულ ადგილებშიც კი ვენდობით მას. ღმერთს ვაძლევთ ნებას, გააკეთოს ის, რაც მას საუკეთესოდ მიაჩნია ჩვენი ცხოვრებისთვის.

ეს პრინციპი გვხვდება მთელ წმიდა წერილში. წარმოუდგენელი განსაცდელების დროს იობმა აღმოაჩინა, რომ ღმერთს ენდობოდა. გადასახლებაში იერემიამ აიღო ღვთის დაპირება, რომ ბოროტიდან სიკეთეს მოუტანდა (იერემიას 29:10-14). მტკივნეული „ეკლით სხეულში“ გატანჯულმა პავლემ აღმოაჩინა, რომ „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“ (2 კორინთელთა 12:9).

აბრაამისა და ღვთის ხალხის შესახებ ამბები, მთელი ისტორიის მანძილზე, გვასწავლის, რომ ღმერთთან ერთად სიარული გულისხმობს მისი მცნებების სრულ მორჩილებას და მისი დაპირებების სრულ ნდობას. როცა მასთან ერთად დავდივართ, მისდამი ნდობა უფრო ღრმავდება.

## **ღმერთთან ერთად სიარული ექსკლუზიური ურთიერთობაა**

სიარულის გამოხატულება გავრცელებულია წმიდა წერილში. სამწუხაროდ, ისრაელი ღმერთთან ერთად სიარულის ნაცვლად ხშირად ცოდვაში დადიოდა. ისრაელის მრავალი მეფე „დადიოდა ცოდვაში.“ მათ ააგეს ურთიერთობა ცოდვასთან. „აბიამი დადიოდა ყველა იმ ცოდვაში, რომელიც მასზე უწინ მამამისს ჰქონდა ჩადენილი“ (1 მეფეთა 15:3). სხვა მეფეები

„თავიანთი მამების გზით დადიოდნენ“ და არა ღმერთთან ერთად. მათაც ცოდვასთან ააგეს ურთიერთობა; ღმერთთან ერთად კი არ დადიოდნენ.

ღმერთთან ერთად სიარული ექსკლუზიური ურთიერთობაა. ღმერთი მოშურნე ღმერთია (გამოსვლის 34:14; მეორე რჯულის 4:24; იესო ნავეს 24:19). არ შეიძლება ერთდროულად დადიოდე ღმერთთან ერთადაც და ცოდვაშიც. მეფსალმუნემ ჰქითხა: „უფალო, ვინ დაისადგურებს შენს კარავში? ვის შეუძლია შენს წმიდა მთაზე დამკვიდრება?“ რა მოთხოვნებია ღვთის თანდასწრებით ცხოვრებისთვის?

„თუ ქვეყნიერბასთან  
ერთად ვივლი,  
ღმერთთან ერთად  
სიარულს ვეღარ შევძლებ.“  
- დუაიტ ლ. მუდი

ვინც უმწიკვლოდ დადის, სიმართლის მქმნელია და ჭეშმარიტებას ლაპარაკობს თავის გულში. ვინც თავისი ენით არავის გაჭორავს, ცუდს არ უკეთებს მოყვასს და აუგს არ ამბობს ახლობლებზე (ფსალმუნის 14:1-3).

მალაქიამ თქვა: „დაღალეთ უფალი თქვენი სიტყვებით, თან კითხულობთ: რითი დავღალეთო? მალაქიმ უპასუხა: იმით, რომ ამბობთ: ყოველი ავისმქმნელი კარგია უფლის თვალში და ასეთნი ეამებიანო; ან: სად არისო მართლმსაჯულების ღმერთი’“ (მალაქიას 2:17). ისრაელს სურდა ყოფილიყო ღმერთის მეგობარი, თუმცა აგრძელებდა განზრახ ცოდვას. ამის გამო, მალაქიამ გააფრთხილა, რომ განკითხვის დღე მოდიოდა ღუმელივით აგიზგიზებული. იმ დღეს იქნება ყველა ქედმაღალი და ბოროტმოქმედი ჩალასავით (მალაქიას 4:1). წმიდა ღმერთს არ შეუძლია ცოდვის უგულებელყოფა.

ღმერთმა დაადანაშაულა ისრაელი, სხვა ერების მსგავსად ცოდვების ჩადენის გამო, ნაცვლად იმისა, რომ ღვთის რჯულის მორჩილებაში ეცხოვრათ. „რადგან ჩემი წესებით არ დადიოდით და ჩემი დადგენილებებით არ იქცეოდით, არამედ იმ ხალხების წესებით იქცეოდით, თქვენ გარშემო რომ არიან“ (ეზეკიელის 11:12). ისრაელს არ შეეძლო ღმერთთან ერთად სიარული, სანამ ისინი ცოდვაში დადიოდნენ. ისრაელს არ შეეძლო ევლო ღვთის გზაზე და ცოდვის გზაზე ერთდროულად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღვთის რჩეული ხალხი იყვნენ, ღმერთმა დასაჯა ისინი ცოდვის გამო. მათ არ შეეძლოთ ღმერთთან ერთად სიარული, სანამ ცოდვაში დადიოდნენ.

### სიწმიდე პრაქტიკაში: ღმერთთან ერთად სიარული მუდმივი ურთიერთობაა

როდესაც ღმერთთან ერთად დავდივართ, ვიზრდებით მასთან ურთიერთობაში. მეორე რჯულის მე-6 თავში მოსემ წარმოადგინა რას ნიშნავს ღმერთთან ერთად სიარული. მან თქვა, რომ ისრაელიანებმა უნდა ასწავლონ ღვთის რჯული თავიანთ შვილებს. როდის? ნებისმიერ დროს:

შთაუნერგე ისინი შენს ძეებს და ელაპარაკე მათ შესახებ სახლში ჯდომისას და გზაზე სიარულისას, დაწოლისას და ადგომისას (მეორე რჯულის 6:7).

ადამიანი, რომელიც ღმერთთან ერთად დადის, თანმიმდევრულ ურთიერთობას ინარჩუნებს მასთან. არ არსებობს განსხვავება „ნორმალურ ცხოვრებასა“ და „ეკლესიურ ცხოვრებას“ შორის.“ წმიდა ადამიანები არ არიან „კვირადღის ქრისტიანები“, რომლებიც ღმერთს მხოლოდ ეკლესიაში ემსახურებიან. წმიდა ადამიანებს სურთ ღმერთთან თანმიმდევრული, მზარდი ურთიერთობა.

როდესაც ისრაელმა ვერ შეძლო ღმერთთან ყოველდღიური, მზარდი ურთიერთობის დამყარება, მათ მალევე სხვა ღმერთებისკენ გაიწიეს. როდესაც სოლომონი უყურადღებო გახდა ღმერთთან ურთიერთობაში, ის მალევე ცოლების ცრუ ღმერთებისკენ გადაიხარა.

ადრეული ეკლესიაც კი ამ საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ეფესოში ეკლესია პავლემ დააარსა დრამატული აღორძინების პერიოდში. მოციქული იოანე გარკვეული პერიოდი მათ მოძღვრად მსახურობდა. მარიამი, იესოს დედა, ცხოვრობდა ეფესოში. მათ პირველწყაროდან ჰქონდათ შესანიშნავი ცოდნა სახარების რეალობის შესახებ. მაგრამ ერთი თაობის განმავლობაში იოანემ ეს გაფრთხილება წარმოთქვა:

მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული. ამიტომ გაიხსენე, სად დაეცი, მოინანიე და აკეთე პირვანდელი საქმეები.. (გამოცხადების 2:4-5).

რა მოხდა? იმის გამო, რომ მათ ვერ შეინარჩუნეს ადრეული სიყვარულის ცეცხლი და რადგან ვერ განაგრძეს ღმერთთან ურთიერთობაში ზრდა, მათი სიყვარული განელდა.

ჩვენ ამას ვხედავთ ადამიანურ ურთიერთობებში. თქვენ წარმოიდგინეთ მამაკაცი, რომელმაც ლამაზი ცოლი მოიყვანა, კედელზე ქორწინების მოწმობა დაკიდა, მაგრამ ცოლს დროს არასოდეს უთმობს? არის მათი ქორწინება ჯანსაღი? არა! ჯანსაღი ქორწინების ასაშენებლად ქორწინების მოწმობაზე მეტია საჭირო. ჯანსაღი ქორწინება წლების განმავლობაში იზრდება, რადგან ორი ადამიანი აგრძელებს ერთმანეთის მიმართ სიყვარულში ზრდას.

ანალოგიურად, ჩვენ მოწოდებულნი ვართ განვაგრძოთ ღმერთის მიმართ სიყვარულში ზრდა. ღმერთთან ერთად სიარული ნიშნავს განაგრძო მასთან დროის გატარება. ღმერთთან ერთად სიარული ნიშნავს განაგრძო ზრდა მასთან ურთიერთობაში. აი რას ნიშნავს იყო წმიდა.

სიარული უწყვეტი მოქმედებაა. ის გულისხმობს განგრძობად, მუდმივ ურთიერთობას. წმიდა ადამიანი აგრძელებს ღმერთთან ურთიერთობაში ზრდას. ღმერთისადმი ჩაბარების მომენტი არ არის პროცესის დასასრული. წმიდა ცხოვრება გულისხმობს ღმერთთან მუდმივ

სიარულს. ღმერთთან ერთად ჩვენი სიარული იწყება ხელახლა შობიდან და გრძელდება მანამ, სანამ ღმერთს პირისპირ არ ვიხილავთ. სიწმიდეში ცხოვრება მუდმივი ურთიერთობაა.

იესო ასწავლიდა თავის მოწაფეებს, რომ სულიერი ცხოვრება მთლიანად დამოკიდებულია მასთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე.

დარჩით ჩემში, მე კი თქვენში. როგორც ლერწი ვერ მოისხამს ნაყოფს თავისით, თუ ვაზზე არ დარჩა, ასევე თქვენც - თუ არ დარჩებით ჩემში. მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ (იოანეს 15:4-5).

ზოგიერთი ქრისტიანი ფიქრობს ღმერთთან მის ურთიერთობაზე, როგორც „ცოდვილის ლოცვაზე“, რასაც ოდნავ შეცვლილი ცხოვრება მოჰყვება. ღმერთთან ურთიერთობის ბიბლიური სურათი ბევრად განსხვავებულია. ქრისტიანული ცხოვრება ვაზს უკავშირდება (იოანეს 15:1-17). ჩვენი სულიერი ცხოვრება ნარჩუნდება ვაზთან ყოველდღიური ურთიერთობით. ვაზს მოწყვეტილი ლერწი მალე კვდება; ვაზისგან მოწყვეტილი ქრისტიანი მალე კვდება.

ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს, რომ დრო გავატაროთ მასთან. თქვენ ვერ შეძლებთ ვინმესთან ერთად სიარულს, მასთან დროის გატარების გარეშე! წმიდა ხალხი ღმერთთან ერთად ატარებს დროს. ზოგჯერ ისინი მსხვერპლად იღებენ ბიზნეს შესაძლებლობებს და გართობას, ღმერთთან დროის გატარების გამო. მათ ესმით, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მათი ურთიერთობა ღმერთთან. იესოს ფეხებთან მჯდომი მარიამის მსგავსად, წმიდა ადამიანებმა იციან, რომ „ერთადერთი რამ, რაც საჭიროა“ ღმერთთან გატარებული დროა (ლუკას 10:41).

წმიდა ხალხი ღმერთთან დროის გატარებას პრიორიტეტად აქცევს. მათ იციან, რომ ლოცვა და წმიდა წერილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა საქმიანობა - თუნდაც მსახურება. მათ ახსოვთ, რომ იესო ხშირად „ადრე დგებოდა“ მამის წინაშე სალოცად, ამიტომ ცდილობენ ჩვევად ჩამოიყალიბონ ლოცვაში დროის გატარება.


წმიდა ადამიანებს ესმით, რომ ღმერთთან ერთად სიარული ნიშნავს, მისი მითითებების გაყოლას. ისინი მგრძნობიარენი არიან მისი ხელმძღვანელობის მიმართ და არ კითხულობენ მარტივად: „ამის კეთება ცოდვაა?“ ისინი კითხულობენ: „მიმაახლოებს ეს ღმერთთან?“ მათ სურთ ღმერთს აამონ ყველა გადაწყვეტილებაში. რადგან წმიდა ადამიანებს აქვთ წმიდა გული, ისინი სიფრთხილით აკავებენ თავის ხელებს ცოდვისგან. მათ ესმით, რომ ღმერთთან ურთიერთობა მოითხოვს ჩვენგან გამოფოფას ყველაფრისგან, რაც მას არ მოსწონს.

► როგორია პრაქტიკული გზები ვაზთან უფრო ღრმა ურთიერთობის გასავითარებლად?

► რა სამი გამოწვევა არსებობს, რომლებიც ხელს უშლის ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას?

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ფრენსის რიდლი ჰევერგალი

ფრენსის ჰევერგალის მამა ინგლისის ეკლესიის მსახური იყო. 14 წლის ასაკში ფრენსისმა დაამოწმა თავისი რწმენა ქრისტესადმი.<sup>7</sup> სიცოცხლის ბოლომდე ჰევერგალს (1836-1879) სურდა ღმერთთან ახლოს სიარული. მან დაწერა: „ოჰ, მას რომ შეეძლოს მაქციოს ჭურჭლად, რომ ვიყო განწმენდილი და (მზად) მოძღვრის მიერ გამოსაყენებლად! არის დრო, როცა მისდამი ისეთ სიყვარულს ვგრძნობ, რომ სიტყვები არ მყოფნის ამის აღსაწერად... მაგრამ მაინც მინდა მივუახლოვდე. მოძღვრების ცოდნა კი არა, არამედ მასთან ყოფნა იძლევა ამას.” რამდენადაც ღმერთთან ერთად დადიოდა, იმდენად ის უფრო მიუახლოვდა მას.



1873 წელს ჰევერგალმა დაამოწმა, რომ ის „განიწმიდა ყოველგვარი ცოდვისგან და იქცა წმიდანად ღვთის სულის მუდმივი განწმენდის ძალით.” მის ღმერთთან ერთად სიარულს არაფერი უშლიდა ხელს. მისი ლოცვა ღვთისადმი მორჩილების შესახებ ცნობილ საგალობლად იქცა: „აიღე ჩემი სიცოცხლე და იყოს შენდამი მოძღვნილი, უფალო.”

ჰევერგალმა ყველაფერი ღმერთს გადასცა. აი ეს ნიშნავს ღმერთთან ერთად სიარულს. ეს მასთან იმდენად ახლოს ყოფნაა, რომ ყველაფერი მას ეკუთვნის. ღმერთთან ერთად მთელი სიცოცხლის მანძილზე სიარულის შემდეგ, ჰევერგალის ბოლო სიტყვები იყო: „სილამაზეა! მშვენიერია სამოთხის კარიბჭესთან ასე ახლოს ყოფნა! კურთხეული განსვენება!” მისმა ძმამ დაწერა, რომ მისი სახე „ისეთი გაბრწყინებული იყო, თითქოს უკვე ელაპარაკებოდა მას.”

ქალბატონი ჰევერგალი ღმერთთან ერთად დადიოდა; ის წმიდა პიროვნება იყო. ღმერთთან ერთად სიარული არ არის მხოლოდ ბიბლიურ დროში მცხოვრები ადამიანებისთვის. დღეს შეგიძლია ღმერთთან ერთად სიარული; შეგიძლია იყო წმიდა.

<sup>7</sup> Image: "Frances Ridley Havergal", *Christmas Sunshine with Love and Light for the New Year* (1886), retrieved from [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Frances\\_Ridley\\_Havergal.jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Frances_Ridley_Havergal.jpg), public domain.

(Frances Havergal) ფრენსის ჰევერგალის ისტორია ადაპტირებულია, Wesley L. Duewel, *Heroes of the Holy Life* (Grand Rapids: Zondervan, 2002), 80-89.

## **მე- 2 გაკვეთილის მიმოხილვა**

- (1) იყო წმიდა ნიშნავს ღმერთთან ურთიერთობის შენარჩუნებას. სიწმიდე ღმერთთან ერთად სიარულია.
- (2) ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს თვითდისციპლინას, რომ თქვა „არა“ არასწორ სურვილებზე.
- (3) თვითდისციპლინა არ უარყოფს მადლის ძალას. მადლით ვართ დახსნილნი; ჩვენ წმიდანი ვართ მადლით.
- (4) ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს ღვთის მცნებებისადმი სრულ მორჩილებას. ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთთან ერთად სიარული და ამავდროულად ცოდვაში სიარული.
- (5) ღმერთთან ერთად სიარული მოითხოვს ღვთის დაპირებების სრულ ნდობას.
- (6) ღმერთთან ერთად სიარული ნიშნავს მასთან თანმიმდევრული, ყოველდღიური ურთიერთობის დამყარებას.
- (7) წმიდა ცხოვრება მოითხოვს ყოველდღიურ ურთიერთობას ვაზთან. ჩვენი სულიერი ცხოვრება მთლიანად ღმერთთან ჩვენს ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

## **გაკვეთილის დავალებები**

- (1) წარმოიდგინეთ, რომ ახალმოქცეულმა ქრისტიანმა გითხრათ: „მინდა ღმერთთან უფრო ღრმა ურთიერთობა მქონდეს. მე მიყვარს ღმერთი, მაგრამ მიჭირს გავიგო, როგორ გავიზარდო მასთან ურთიერთობაში. მე ვერ ვხედავ ღმერთს, ამიტომ ის მიუწვდომელი ჩანს. როგორ მოვიქცე?” დაწერეთ ერთგვერდიანი წერილი, რომელშიც დაეხმარებით ამ მორწმუნეს იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ღმერთთან ურთიერთობაში. მომდევნო გაკვეთილზე თითოეულმა სტუდენტმა უნდა წაიკითხოს თავისი პასუხი და ჰქონდეს დრო, რათა განხილულ იქნას პასუხები.
- (2) შემდეგი გაკვეთილი დაიწყეთ 1 იოანეს 1:6-7-ის წაკითხვით.

## გაკვეთილი 3

### სიწმიდე ღვთის ხატებაა ადამიანში

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გაიგოს ღმერთის გეგმის მნიშვნელობა, ადამიანში მისი ხატების აღდგენის შესახებ.
- (2) ამოიცნოს პროცესი, რომლის მეშვეობითაც ღმერთი აღადგენს თავის ხატებას ჩვენში.
- (3) უზრუნველყოს, რომ ღმერთმა განახორციელოს თავისი გეგმა და ყოველდღიურად მის ხატებაში გარდაქმნას.
- (4) დაიმახსოვროს 2 კორინთელთა 3:17-18.

#### მოსე: კაცი, რომელსაც უბრწყინავდა სახე

ეს იყო ყველაზე დიდი დღე მოსეს ცხოვრებაში (გამოსვლის 33:17-23). ის ფარაონის სასახლეში გაიზარდა. ის ხვდებოდა მსოფლიოს ყველაზე ძლიერამოსილ მამაკაცებს. მაგრამ დღეს მოსე ფარაონზე დიდს უნდა შეხვედროდა. ის შეხვედროდა უფალს (იაჰვეს), აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთს.

მოსე ღმერთს ესაუბრა ცეცხლმოდებულ მაყვლოვანთან. ის უყურებდა ღმერთს, როგორ ანადგურებდა ის ფარაონის ჯარს წითელ ზღვაზე. მაგრამ დღეს მოსე ღმერთს უფრო ახლოს დაინახავდა, ვიდრე მაყვლოვანთან ან წითელ ზღვასთან.

დღეს მოსე უფლის (იაჰვეს) წინაშე იდგა. მოსეს მხოლოდ ერთი თხოვნა ჰქონდა: „მახილვინე შენი დიდება.“ ღმერთმა უთხრა მოსეს, რომ ეს შეუძლებელი იყო. „ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, რადგან არ ძალუდს ადამიანს მიხილოს და ცოცხალი დარჩეს.“ მაგრამ ღმერთმა მოსეს განსაკუთრებული წყალობა მისცა:

აპა, ადგილია ჩემთან: დადექი ამ კლდეზე, და როცა ჩაივლის ჩემი დიდება, კლდის ნაპრალში მოგათავსებ და დაგფარავ ჩემი ხელით, ვიდრე გავივლი; მოგაშორებ ხელს და დაინახავ ჩემს ზურგს, მაგრამ სახეს ვერ იხილავ (გამოსვლის 33:21-23).

მოსემ იხილა ღვთის დიდების მხოლოდ მცირე ნაწილი, მაგრამ როცა ბანაკში დაბრუნდა, მისი სახე ბრწყინავდა. ყოველ ჯერზე, როდესაც მოსე ღვთის წინაშე იმყოფებოდა, „ბრწყინავდა მისი სახის კანი. ჩამოიფარებდა ხოლმე რიდეს სახეზე, სანამ კვლავ უფალთან მივიდოდა სალაპარაკოდ“ (გამოსვლის 34:35). მოსეს სახე ირეკლავდა ღვთის დიდებას. მოსე გაბრწყინებული სახის მქონე კაცი იყო.

ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილი; ჩვენ შევიქმენით ღვთის დიდების გამოსახატად. მიუხედავად იმისა, რომ ცოდვამ დააზიანა ღვთის ხატება ადამიანში, ღმერთი ცდილობს აღადგინოს მისი ხატება ყველა მორწმუნები. იყო წმიდა ნიშნავს, იყო ჩვენი ზეციერი მამის მსგავსი. ღმერთის მიზანია აღადგინოს თავისი ხატება თავის ხალხში.

### სიწმიდე არის ღვთის ხატება ადამიანში

► დაფიქრდით ქრისტიანზე, რომელიც არის სიწმიდის ნიმუში. ჩვენი ზეციერი მამის რა თვისებებს ხედავთ ამ ადამიანის ცხოვრებაში?

ხუთწიგნეული გვიჩვენებს, რომ ღმერთი წმიდა ღმერთია. რადგან ღმერთი წმიდაა, ის თავის ხალხს სიწმიდისკენ მოუწოდებს. ჩვენ შექმნილნი ვართ, რომ დავემსგავსოთ ჩვენს ზეციერ მამას; ჩვენ შექმნილნი ვართ, რომ ვიყოთ წმიდები. ღმერთის მიზანია თავისი შვილები თავის ხატად აქციოს.

იყო ვინმეს ხატება ნიშნავს მას დაემსგავსო. ჩვენ შევიქმენით ღვთის ხატად. ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთს ჩვენნაირი სახე აქვს; ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სულები ღვთის ბუნების ასარეკლად შეიქმნა. ჩვენ შევიქმენით, რომ ვიყოთ ღვთის ხატების სარკეები. ისევე, როგორც სარკე ასახავს ადამიანის სახეს, ჩვენ შევიქმენით ღვთის ხატების ასარეკლად.

ჩვენ შევიქმენით, რომ ვიყოთ უმწიკვლონი და წმიდანი, როგორც ღმერთია უმწიკვლო და წმიდა. იყო წმიდა ნიშნავს ღვთის ხატების არეკვლას. ღმერთი თავის შვილებს უბრძანებს: „იყავით წმიდა“. რატომ? „რადგან წმიდა ვარ მე. შენ უნდა იყო ჩემნაირი“ (ლევიანთა 11:45; 1 პეტრეს 1:16). ჩვენ შევიქმენით რათა ვიყოთ წმიდა ხალხი; ჩვენ შევიქმენით, რათა დავემსგავსოთ ჩვენს ზეციერ მამას.

### ჩვენ შევიქმენით ღვთის ხატად

შექმნის ისტორიის კულმინაციაა კაცობრიობის შექმნა „ღვთის მსგავსად“ (დაბადების 1:27). ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა, კარგი იყო, მაგრამ მხოლოდ ადამიანი შეიქმნა ღვთის ხატად. ღმერთმა ადამიანი საკუთარი თავის მსგავსი შექმნა. ღმერთმა „დიდება და ღირსება დაადგა გვირგვინად“ (ფსალმუნის 8:5\*).

ადამიანს უსაზღვრო ღირსება აქვს, რადგან ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილნი. პავლე წერს, რომ ადამიანი „ღვთის ხატება და დიდებაა“ (1 კორინთელთა 11:7). ჩვენ შევიქმენით ღვთის დიდების ასარეკლად.

ლოცვა სიწმიდისთვის

„უფალო, შექმენი ჩემი  
სული

შენს სარკედ,  
მხოლოდ შენ  
რომ ანათებდე ჩემში,  
რომ ხალხმა დაინახონ  
შენი სიყვარული,  
შენი კეთილშობილება....“  
- ბლანშ მერი კელი

## **ღმერთის ხატება ადამიანში დაზიანდა ცოდვით დაცემის შედეგად**

ცოდვამ გააფუჭა ადამიანში ღვთის ხატება. დაბადების პირველი თავი ამბობს, ადამიანი შეიქმნა „ღვთის მსგავსად“; დაბადების 6-ის მიხედვით კი, „ყოველ ხორციელს გაერყვნა თავისი ზნე“ (დაბადების 6:12). ადამიანი იმდენად შორს წავიდა ღვთის გეგმისგან, რომ „მუდამჟამს უკეთური იყო მათი გულისთქმა“ (დაბადების 6:5).

დიდება, რომელიც ადამიანს მიენიჭა შექმნისას, სირცხვილად იქცა. პავლე გრაფიკულად ასახავს იმას, რაც ადამიანმა დაკარგა უფლისგან ცრუ ღმერთებისკენ მიქცევით. დაცემის გამო ადამიანებმა „უხრწნადი ღმერთის დიდება გაცვალეს ... ხატების მსგავსებაში“. შედეგად:

- „გადასცა ისინი ღმერთმა მათივე გულისთქმების უწმიდურებას“
- „გადასცა ისინი ღმერთმა სამარცხვინო ვნებებს“
- „ღმერთმა უკუღმართ გონებას გადასცა ისინი“ (რომაელთა 1:23-28).

ეს ყველაფერი დაცემის შედეგია. ცოდვის გამო ადამიანის დიდება სირცხვილად იქცა. დაირღვა ღვთის ხატება; ადამიანი აღარ ჰგავდა თავის შემოქმედს.

## **ღვთის ხატება აღდგენილ იქნება მის ხალხში**

თუმცა ღმერთმა ადამიანი მარტო არ დატოვა. მსხვერპლშეწირვა იყო ცოდვის სასჯელის აღსრულებისა და ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობის აღდგენის საშუალება. მაგრამ ღვთის განზრახვა უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვენი ცოდვის გამო სასჯელის გადახდა. ღმერთი ცდილობს ადამიანი წმიდად აქციოს, როგორც ის არის წმიდა:

- ჩვენ შევიქმნით ღვთის ხატად (დაბადების 1-2).
- ცოდვის გამო ადამიანში ღვთის ხატება დაზიანდა (დაბადების მე-3 თავი).
- დაწყებული მესიის დაპირებით, დაბადების 3:15-ში და დამთავრებული ზეცაში, ღმერთი აღადგენს თავის ხატებას ადამიანში.

იოანე დაგვპირდა, რომ თუ მასში დავრჩებით, „რომ გამოცხადდება, გაბედულება გვქონდეს და არ შევრცხვეთ მისი მოსვლისას“ (1 იოანეს 2:28). როდესაც მისი ხატების მსგავსებაში გარდავიქმნებით, დავიბრუნებთ დაცემის შედეგად დაკარგულ დიდებას. ჩვენი სირცხვილი წაშლილია და მის მოსვლას გაბედულად ვხვდებით. როდესაც ჩვენ ვიზრდებით ღვთის

ხატების მსგავსებაში, ჩვენ წმიდები ვხდებით. როგორც ღმერთია წმიდა, მისი ხალხიც წმიდა ხდება.

### ისრაელი მოწოდებული იყო ღვთის ხატების წარმოჩენისთვის

ღმერთმა მოუწოდა ისრაელს წმიდა ხალხი ყოფილიყო. მისი მიზანი იყო აღედგინა ისრაელში თავისი ხატება. ღმერთმა აირჩია ისრაელი თავის სპეციალურ წარმომადგენლად სხვა ერებში. მან გამოარჩია ისრაელი, როგორც მისი რჩეული ხალხი, რომელიც აჩვენებდა მის წმიდა ბუნებას სხვა ერებს.

ღმერთმა ისრაელს უწოდა „მღვდელთა სამეფო“. „იქნებით ჩემთვის მღვდელთა სამეფოდ და წმიდა ერად“ (გამოსვლის 19:6). მღვდლის საქმე, ხალხისთვის ღმერთის წარმოჩენა იყო. ისრაელის მისია იყო ღმერთის წარმოჩენა ყველა ერისთვის. ღმერთმა მოუწოდა ისრაელს, რათა ეჩვენებინათ მისი წმიდა ბუნება სხვა ერებისთვის. ამ მისიის შესასრულებლად ისრაელი წმიდა უნდა ყოფილიყო.

როდესაც ისრაელი ღმერთის ერთგული იყო, ის ასახავდა ღვთის წმიდა ბუნებას; ის ღვთის სიწმიდის სარკე გახდა. როდესაც ისრაელი კერპებისკენ მიიქცა, მან აირევლა კერპების ცოდვილი ბუნება; ის კერპების ცოდვის სარკე გახდა. როდესაც ისრაელი ვერ დაემსგავსა ღმერთს, მან ვერ შეძლო თავისი მისიის შესრულება მსოფლიოსთვის.

### ეკლესია მოწოდებულია აჩვენოს ღმერთის ხატება

ახალ აღთქმაში ეკლესია მოწოდებულია იყოს ღვთის წმიდა ხალხი. ეკლესიას ეწოდება „სამღვდელოება“, რომელიც წარმოაჩენს ღმერთს მსოფლიოსთვის.

თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ (1 პეტრეს 2:9).

ისევე, როგორც ღმერთმა აირჩია ისრაელი, რათა ეჩვენებინათ მისი ხატება ერებისთვის, მან აირჩია ეკლესია, რათა „გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ.“ ღმერთმა აირჩია ეკლესია, რათა წარმოეჩინა მისი ბუნება მათთვის, ვინც მას არ იცნობს. ამისათვის ეკლესია უნდა ასახავდეს ღვთის ხატებას. მისი მისიის შესასრულებლად ეკლესია უნდა იყოს წმიდა.

როდესაც ეკლესია ღმერთის ერთგულია, ის ღმერთის მსგავსია; ის ასახავს ღვთის წმიდა ბუნებას. როდესაც ეკლესია მიმართულია პოპულარობის, სიმდიდრისა და ძალაუფლების კერპებისკენ, ის მათ ჰგავს; ის ასახავს მისი ცრუ ღმერთების ცოდვილ ბუნებას. როდესაც

ეკლესია ვერ ემსგავსება ღმერთს, ის ვერ ახერხებს თავის მისის შესრულებას მსოფლიოსთვის.


### ღვთის ხატება აღდგება ყველა მორწმუნები

ჩვენ შევიქმენით, რომ დავემსგავსოთ ჩვენს ზეციერ მამას. ჩვენ ღვთის ხატად შევიქმენით, მაგრამ ეს ხატება ცოდვით დაცემის შედეგად დაზიანდა. ღვთის ხატება ჯერ კიდევ არსებობს, (დაბადების 9:6). მაგრამ ის ცოდვით არის დაფარული.

წარმოიდგინეთ, რომ პიროვნებამ ჩინეთში არქეოლოგიური გათხრებისას, მშვენიერი ანტიკვარული ლარნაკი აღმოაჩინა. თავიდან მას ლამაზი შესახედაობა არ ექნებოდა; ის ჭუჭყითა და ტალახით იქნებოდა დაფარული. დამთვალიერებელს შეიძლება ეთქვა: „გადააგდეთ. უსარგებლოა!“ მაგრამ ექსპერტმა იცის, რომ ჭუჭყის ქვეშ ლამაზი და ძვირფასი ნივთია.

ღვთის ხატება ადამიანში ცოდვით დაცემამ დააზიანა. ღვთის ხატება დაიფარა ცოდვის ჭუჭყითა და ტალახით, მაგრამ ღმერთი აღადგენს ჩვენში თავის ხატებას. „ვინაიდან, ვინც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა“ (რომაელთა 8:29). როგორც იესო ჰავას თავის მამას, ჩვენც უნდა დავემსგავსოთ ჩვენს მამას. სიწმიდე არის „ღმერთის მსგავსება“; სიწმიდე არის ადამიანში ღვთის ხატების აღდგენა.

მიქელანჯელოს პიეტა არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქანდაკება იტალიაში.<sup>8</sup> 1972 წელს ფსიქიურად დაავადებულმა მამაკაცმა ჩაქუჩი აიღო და ქანდაკება დაამტვრია. ხელოვანები თვეების განმავლობაში მუშაობდნენ დაზიანების გამოსასწორებლად. იმის გამო, რომ ეს ქანდაკება ძალიან ღირებულია, ისინი ფრთხილად მუშაობდნენ ორიგინალური გამოსახულების აღსადგენად. დღეს ვერ შეამჩნევთ, სად ჰქონდა დაზიანება ქანდაკებას. ხელოვანებმა პიეტას პირვანდელი მშვენიერება დაუბრუნეს.



ცოდვით დაცემამ გააფუჭა ღვთის უდიდესი ქმნილება. ცოდვამ დააზიანა ადამიანში ღვთის ხატება. იმის გამო, რომ ადამიანი ღმერთისთვის ღირებულია, მან დაიწყო ჩვენში თავისი ხატების აღდგენა. დაცმიდან დღემდე ღმერთი მუშაობს მადლის მეშვეობით, რათა

<sup>8</sup> mage: "Michelangelo's Pieta 5450 cut out black" taken by Stanislav Traykov on December 4, 2005, edited by Niabot, retrieved from [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Michelangelo%27s\\_Pieta\\_5450\\_cut\\_out\\_black.jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Michelangelo%27s_Pieta_5450_cut_out_black.jpg), licensed under CC BY 2.5, desaturated from the original.

აღადგინოს კაცობრიობა ჩვენი თავდაპირველი სილამაზით. ღმერთის მიზანია აღადგინოს ჩვენში მისი მშვენიერი ხატება.

ბევრ ადამიანს სახარების შესახებ არასრული გაგება აქვს. მათი კონცეფცია სახარების შესახებ არის:

1. ცოდვილი ვიყავი.
2. ღმერთმა გადამარჩინა.
3. ახლა შემიძლია სამოთხეში მოვხვდე.

ეს კარგი ამბავია - მაგრამ ეს არ არის მთელი სახარება! სახარების სასიხარულო ამბავი გვამცნებს ღვთის მარადიულ განზრახვას:

1. ცოდვილი ვიყავი.
2. ღმერთმა გადამარჩინა.
3. ახლა ღმერთი აღადგენს თავის ხატებას ჩემში.
4. სამოთხეში მე „მისი მსგავსი ვიქენები, რადგან ვიხილავ მას, როგორიც არის“ (1 იოანეს 3:2). ღვთის განზრახვა თავისი ხალხის მიმართ აღსრულდება.

არ არის ეს საოცარი? ღმერთმა გადაგარჩინა იმისთვის, რომ თავის მსგავსი გაგხადოს. ეს არის წმიდად ცხოვრების მშვენიერება. როგორც წმიდა ხალხი, ჩვენ ვიქენით განახლებულნი ღვთის ხატების მსგავსებაში.

ღმერთმა ისრაელიანები ეგვიპტიდან იხსნა, რათა მათ შორის სიყვარულით ეცხოვრა. ღმერთს ისრაელი არ გაუთავისუფლებია იმისთვის, რომ ქანაანელების მსგავსად ეცხოვრათ. ღმერთმა გაათავისუფლა ისინი, რათა მას დამსგავსებოდნენ.

„სულიწმიდის  
ყოვლისმომცველი  
მტკიცებულება ადამიანის  
ცხოვრებაში, არის იესო  
ქრისტესადმი უტყუარი  
ოჯახური მსგავსება და  
თავისუფლება ყველაფრისგან,  
რაც მას არ ჰგავს“.

- ოსვალდ ჩემბერსი

ანალოგიურად, ჩვენც დახსნილნი ვართ ღმერთთან ახლო ურთიერთობისთვის და მის ხატებაში გარდაქმნისთვის. ღმერთმა გვიხსნა ჩვენი ცოდვისგან, რათა გავმხდარიყავით წმიდები, როგორიც ის არის. ჩვენ შევიქმენით მისი დიდების ასარეკლად.

### სიწმიდე პრაქტიკაში: სიწმიდე და პირადი თვისებები

ზოგიერთს სჯერა, რომ წმიდა ადამიანს გარკვეული, განსხვავებული ტიპის პირადი თვისებები აქვს. გაიხსენეთ თქვენი პასუხი ამ გაკვეთილის დასაწყისში დასმულ კითხვაზე:

„დაფიქრდით ქრისტიანზე, რომელიც სიწმიდის ნიმუშია. ჩვენი ზეციერი მამის რა მახასიათებლებს ხედავთ ამ ადამიანის ცხოვრებაში?“ ისინი ძირითადად პიროვნული თვისებების მიხედვით აღწერეთ? ხშირად ასე ვაკეთებთ!

თუმცა, როცა ახალ აღთქმას ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ სულთმოფენობის დღეებში ყველა ტიპის პიროვნება იყო წარმოდგენილი. ყველა ტიპის ადამიანი აღივსო სულით. სულთმოფენობის შემდეგ, მოწაფეები უეცრად სხვა ტიპის პიროვნებებად არ გადაქცეულან. ამის ნაცვლად, ღმერთი მუშაობდა მათი ბუნებრივი პიროვნებების მეშვეობით, რათა განეხორციელებინა თავისი მიზნები ახლებურად.

თომა არ გამხდარა უეცრად ნათელი, ოპტიმისტი ადამიანი. თომა ალბათ სიკვდილამდე მშვიდი და ჩაფიქრებული პიროვნება იყო. სიმონ პეტრე მოულოდნელად არ გამხდარა კუთხეში შეუმჩნევლად მჯდომი, მშვიდი ადამიანი. სულთმოფენობის შემდეგაც კი, პეტრე იყო ის, ვინც თავდაჯერებულად იტყოდა: „არა (არავითარ შემთხვევაში), უფალო!“ (საქმეების 11:8).

ღმერთმა თითოეული ჩვენგანი უნიკალურ პიროვნებად შეგვერძნა. განწმენდა არ ანადგურებს ამ მახასიათებლებს. პირიქით, როცა საკუთარ თავს ღმერთს ვუმორჩილებთ, მისი ხატება ბრწყინავს ჩვენი პიროვნებიდან.

**შესაძლებელია თუ არა, რომ ღვთის ხატება გამობრწყინდეს ჩვენი პიროვნების მეშვეობით?**

როგორი იქნება ეს ყველაფერი ყოველდღიურ ცხოვრებაში? "ა ტიპის" კონკურენტუნარიანი, კომუნიკაბელური ადამიანი, რომელმაც მთლიანად გადასცა ღმერთს თავი, კვლავაც დარჩება "ა ტიპის" პიროვნებად. მორცხვი ადამიანი, რომელიც თავს არიდებს ხალხმრავლობას, კვლავაც მორცხვი იქნება. თუმცა, ორივე შემთხვევაში, განწმედილი ადამიანი ღმერთს ნებას აძლევს, რომ მათი პიროვნების „უხეში კიდეები დაამუშაოს“, როდესაც დაინახავს სფეროს, რომელიც არ ირეკლავს ღვთის ხატებას.

მოვიყვან მაგალითს. პასტორი გრეგი და პასტორი მარკი ძლიერი პიროვნებები იყვნენ. ორივეს ძლიერი დარწმუნებულობა ჰქონდა. ორივე კარგი "მოსაუბრე" იყო და კარგად შეეძლოთ კამათი. ორივე ლიდერის პოზიციაზე იყო. მათი ძლიერი დარწმუნებულობის გამო, ორივე მამაკაცს ზოგჯერ შეეძლო სხვების შეურაცხყოფა მათი სიტყვებით.

პასტორ გრეგს ვიცნობდი სიცოცხლის ბოლოსკენ. მან მითხრა: „ბოდიშს არასდროს ვიხდი. არ აქვს მნიშვნელობა რას ფიქრობს ხალხი ჩემს ნათქვამზე. მათი ბრალია თუ არასწორად გამიგებენ. მე ვიცი, რომ ჩემი გული მართალია!“ მიუხედავად იმისა, რომ გრეგის გული შეიძლება გულწრფელი იყო, მის მიერ დამოძღვრილ ეკლესიებში ხალხს ხშირად ტკივილი

ადგებოდა მისი სიტყვებით. მან ბოლომდე ვერ გაითავისა ის, რომ დაეთმო ღვთის ხატებისთვის თავისი პიროვნება, რათა ის გამობრწყინებულიყო მასში.

პასტორი მარკი ასევე ძლიერი ლიდერი იყო. თუმცა, მან გაითავისა, რას ნიშნავს ღვთის ხატების არევლა და გამოვლინება. მან ისწავლა თქმა: „ბოდიში. ზედმეტად უხეშად ვთქვი.“ მან ისწავლა სამართლიანობასთან ერთად მოწყალების გამოვლენაც. პასტორი მარკის მრევლი ამბობდა: „ჩვენი პასტორი იესოსავით გვექცეოდა.“

სიწმიდე არ ცვლის თქვენი პირადი თვისებების ტიპს; სიწმიდე მგრძნობიარედ გაგვევთ სულიწმიდის ხმის მიმართ, როდესაც სული ამბობს: „ბოდიში უნდა მოიხადო. ძალიან უხეში იყავი.“

თუ საზოგადოების ყურადღებას გაურბიხარ, სიწმიდე არ გაქცევს ღია, კომუნიკაბელურ ადამიანად, რომელსაც უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. თუმცა, სიწმიდე გაიძულებს, რომ განზე გადადო შენი ყოყმანი, როდესაც ღმერთი გეტყვის: „მინდა, რომ გამოხვიდე და იხელმძღვანელო ამ სიტუაციაში.“

ევერეტ კატელს მოჰყავს სამი მაგალითი, რომლებიც ასახავს, თუ როგორ უყვარს სატანას ჩვენი ბუნებრივი მიდრეკილებების გადაქცევა ისეთ რამედ, რაც არღვევს ღვთის ხატებას ჩვენს ცხოვრებაში.<sup>9</sup>

### **მაგალითი 1: ჭამა**

შიმშილი ბუნებრივი გრძნობაა. შესაძლებელია ჭამა „ღვთის სადიდებლად“ (1 კორინთელთა 10:31). არავინ უნდა ეძიოს სულიერი გამოცდილება, რომელიც დათრგუნავს შიმშილს.

თუმცა, ბევრ ადამიანში სატანამ ეს ბუნებრივი მადა სიხარბედ, გაუმაძლრობად გადაქცია. იმის ნაცვლად, რომ ბუნებრივი და ნორმალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შეჭამო, ჭამა ხდება ეგოისტური მადის დაკმაყოფილების საშუალება.

გაუმაძლრობის პრობლემიდან გამოსავალი არ არის იმაში, რომ ჭამისგან სიამოვნების მიღება შეწყვიტოთ. გამოსავალი არის თვითკონტროლში, რომელიც ხელს უშლის ბუნებრივ მადას რაიმე სახითათოში და თუნდაც ცოდვად გადაქცევაში.

### **მაგალითი 2: მგრძნობელობა**

შემდეგ ევერეტ კატელი უფრო რთულ მაგალითს იძლევა. წებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ნორმალური ემოციები, აქვს გარკვეული ხარისხის მგრძნობელობა ტკივილისა და ტანჯვის მიმართ. ეს ნორმალურია და არ არის ცოდვა. თუმცა, თუ დავუშვებთ, რომ ეს

<sup>9</sup> Everett L. Cattell, *The Spirit of Holiness* (Newberg: Barclay Press, 2015), 30-35

მგრძნობელობა გადაიზარდოს საკუთარი თავის სიბრალულში, ის გადაიქცევა ეგოცენტრულ და მოკიდებულებაში, რომელიც ზღუდავს ჩვენს უნარს, ვემსახუროთ ღმერთს ეფექტურად და გამოვავლინოთ მისი ხატება სხვებისთვის.

ისევ და ისევ, გამოსავალი არ არის მთელი ემოციური მგრძნობელობის აღმოფხვრა და სხვა ადამიანების სიტყვებისა და ქმედებების მიმართ გულგრილობა. პირიქით, ჩვენ უნდა ვისწავლოთ დავუქვემდებაროთ ეს მგრძნობელობა ღმერთს და მივცეთ საშუალება, წარმართოს და გააკონტროლოს ჩვენი რეაქცია ტკივილებზე.

### მაგალითი 3: ენა

ალბათ ეს ყველაზე რთული მაგალითია. ყველა ჩვენგანმა უნდა გამოვიყენოთ ენა. ჩვენ არ შეგვიძლია ვილოცოთ: "ღმერთო, გთხოვ, ამოძირკვე ჩემი ენა". თუმცა, ენას კონტროლიდან გასვლის საშუალება არ უნდა მივცეთ.

კატელს მოჰყავს მისიონერის მაგალითი, რომელიც ხშირად მართალი იყო თავის მოსაზრებებში, მაგრამ გულს ტკენდა სხვებს თავისი ხისტი სიტყვებით. სულიერი ცხოვრების კონგრესზე მისმა ნათქვამმა, იქ დამსწრე ბევრ ადამიანს ტკივილი მიაყენა. იმ ღამეს ღმერთმა ამხილა მისიონერი იმაში, რომ მისი ენით სხვებს ტკივილი მიადგა.

მისიონერმა ილოცა და შემდეგ დილის მსახურებაზე წავიდა. მან იქ მყოფ ხალხს უთხრა: „ჩემი პრობლემა ლიქიორი რომ ყოფილიყო, უფრო მარტივი იქნებოდა. ალკოჰოლს გადავაგდებდი და დავამთავრებდი. მაგრამ ჩემი პრობლემა ჩემი ენაა. მე არ შემიძლია მისი ამოკვეთა ღვთის სადიდებლად. მაგრამ მე მივანდე ჩემი ენა ღმერთს და მჯერა, რომ სულიწმიდა დამეხმარება მისი ღვთის სადიდებლად გამოყენებაში.”

მეუფე კატელი მიუთითებს ორ შეცდომაზე, რომელიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ენა:

1. იმის თქმა, რომ: „მე ცოდვილი ვარ და ვერ ვაკონტროლებ ენას. მე უნდა გავაგრძელო ენით ცოდვა, რადგან ღვთის მადლი არ არის საკმარისად ძლიერი ჩემი პრობლემის მოსაგვარებლად.”
2. იმის თქმა, რომ: „ვილოცე, რომ ღმერთმა წმიდად მყოს. ასე რომ, ის გააკონტროლებს ჩემს ენას. მე არაფრის გაკეთება არ მჭირდება საკუთარი თავის მოსაწესრიგებლად. მე უბრალოდ ღმერთს მივენდობი.”

სწორი მიდგომა ამბობს: „მე ჩემი გული - და ჩემი ენა - ღმერთს გადავეცი და დავუთმე. ჩემი გული სუფთაა, მაგრამ ვიცი, რომ მაინც უნდა გავაკონტროლო ჩემი ენა. სანამ რამეს ვიტყვი, უნდა დავფიქრდე. უნდა ვილოცო, სანამ რამეს ვიტყვი. და თუ ნაჩქარევად რაიმეს ვიტყვი,

თავი უნდა დავიმდაბლო და მოვინანიო.” წმიდა ადამიანი მალევე წავა განაწყენებულ ძმასთან, თავმდაბალი მონანიებით (მათეს 5:23-24).

► რა არის თქვენთვის საშიში ზონა? იფიქრეთ ბუნებრივ მადაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცოდვილი დამოკიდებულებები ან ქცევები. მოიყვანეთ მაგალითი იმისა, თუ როგორ გიქმნით ეს მადა ხანდახან პრობლემებს. შემდეგ მოიყვანეთ მაგალითი იმისა, თუ როგორ დაგეხმარათ ღმერთი ამ მადის მოწესრიგებაში.

### როგორ აყალიბებს ღმერთი წმიდა ადამიანის პიროვნებას?

როდესაც ჩვენ ვცდილობთ ავირეკლოთ ღმერთის ხატება ჩვენს ცხოვრებაში, ღმერთი მუშაობს მრავალი გზით, რათა ჩვენ ჩამოგვაყალიბოს ისეთ პიროვნებებად, როგორებიც მას სურს, რომ არქეოლოგის მსგავსად, რომელიც ჩინეთში აღმოაჩენს იშვიათ ლარნაკს და ფრთხილად აპრიალებს მას, სანამ არ გაბრწყინდება, ღმერთიც ფრთხილად აპრიალებს თავის შვილებს, სანამ ჩვენ არ ვიბრწყინებთ და არ ავირეკლავთ მის ხატებას.

როგორ აყალიბებს ღმერთი თავის ხალხს თავის ხატად? ამ გაკვეთილის დასაწყისში ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ირეკლავდა მოსე ღვთის ხატებას. მოსეს ცხოვრებაზე დაკვირვება გვაძლევს რამდენიმე მაგალითს იმის შესახებ, თუ როგორ გვაყალიბებს ღმერთი თავის ხატად.

ადრეულ ასაკში მოსე ყოველთვის არ ირეკლავდა ღვთის ხატებას. მისმა ფეთქებადმა ხასიათმა აიძულა ის, კაცი მოეკლა და ამით მან საფრთხე შეუქმნა მის სარგებლობას ღვთის სამეფოში (გამოსვლის 2:11-15). თუმცა, ღმერთმა მოსე ჩამოაყალიბა ადამიანად, რომელიც „ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო დედამიწის ზურგზე” (რიცხვთა 12:3). მოსე სწრაფად ჩავარდა სასოწარკვეთილებაში, (გამოსვლის 5:22-23). მაგრამ ღმერთმა ჩამოაყალიბა მისგან კაცი, რომელიც ერთგული იყო, რათა თავისი ხალხი უდაბნოში ორმოცი წლის განმავლობაში ეტარებინა. როგორ შეცვალა ღმერთმა მოსეს ხასიათი?

### (1) ღმერთი იყენებს თავის სიტყვას, თავისი შვილების მის ხატებაში გარდასაქმნელად.

ღმერთის მიერ გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი მისი სიტყვაა. როდესაც ჩვენ ვინახავთ ღვთის სიტყვას ჩვენს გულში, ის იყენებს მას ჩვენს მოსამართად (ფსალმუნის 118:9-11). როდესაც მოსემ მიიღო ღვთის რჯული უშუალოდ ღვთის ხელიდან, ამან ჩამოაყალიბა მისი გაგება და ხასიათი.

წმიდა ხალხი სიტყვის ხალხია. მათ იციან, რომ ღვთის სიტყვაში დაინახავენ ღმერთის ბუნებას. მათ იციან, რომ ღვთის სიტყვაში გაიგებენ, თუ როგორ უნდა ირეკლავდეს მათი ხასიათი ღვთის ხასიათს. მე არ ვიცი არც ერთი დიდი ქრისტიანი ისტორიაში, რომელსაც არ შეესწავლა სიტყვა.

## **(2) ღმერთი რთულ გარემოებებს იყენებს, რათა თავისი შვილები მის ხატად ჩამოაყალიბოს.**

ეგვიპტელის მკვლელობის გამო მოსემ ორმოცი წელი გაატარა უდაბნოში. ალბათ ბევრჯერ იფიქრა: „მე დავკარგე ჩემი შესაძლებლობა. ცხვრის მოვლაზე მეტს ვერასოდეს შევძლებ.“ მაგრამ ღმერთმა გამოიყენა ეს ორმოცი წელი, რათა მოსე ლიდერად ჩამოეყალიბებინა.

ერთ-ერთი ყველაზე გამამხნევებელი მუხლები პეტრეს ცხოვრებიდან არის ის, როდესაც იესომ იწინასწარმეტყველა მისი მარცხი სასამართლოზე. იესომ გააფრთხილა პეტრე: „სატანამ მოითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოთ ....“ მან გაამხნევა პეტრე: „მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რომ არ დაილიოს შენი რწმენა.“ შემდეგ კი დაჰპირდა, რომ პეტრეს (დროებითი) მარცხიდან ღმერთი სიკეთეს მოიტანდა: „და როცა კვლავ მოიქცევი, განამტკიცე შენი ძმები“ (ლუკას 22:31-32). ღმერთმა გამოიყენა პეტრეს მარცხის დამღუპველი გარემოებაც კი, რომ პეტრე უფრო ეფექტური გაეხადა.

წმიდა ხალხი რთულ ვითარებაში ღვთის განგებას ენდობა. მათ სწამთ რომაელთა 8:28, რადგან ისინი ცდილობენ იცხოვრონ რომაელთა 8:29-ის შესაბამისად. ღმერთი გვპირდება: „ჩვენ კი ვიცით, რომ ღვთის მოყვარულებს, მისი განზრახვით მოწოდებულებს, ყოველივე სასიკეთოდ ეწევა.“ შემდეგ ის გვეუბნება იმ „მიზნის“ შესახებ, რომელიც ღმერთს შეაქვს თავისი შვილის ცხოვრებაში: „ვინც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა.“

ყველაფერი, რაც წმიდა ადამიანს ემართება, არ არის კარგი! მაგრამ ყველაფერი, რაც ხდება, „ერთად მუშაობს“ ღვთის კეთილი განზრახვის შესასრულებლად - ჩამოგვაყალიბოს მისი ძის ხატების მსგავსად.

## **(3) ღმერთი ადამიანებს იყენებს, რათა თავისი შვილები მის ხატად ჩამოაყალიბოს.**

ეს შეიძლება იყოს ყველაზე რთული სამიდან. ღმერთი იყენებს ადამიანებს - ხშირად რთულ ადამიანებს - იმისათვის, რომ ჩამოგვაყალიბოს თავის ხატებაში. როდესაც მოსეს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობები მძიმედ დააწვა, ღმერთმა გამოიყენა მისი სიმამრი ითრო (რომელიც ისრაელიანიც კი არ იყო) მოსესთვის რჩევის მისაცემად, რამაც ის უფრო ეფექტური გახადა (გამოსვლის 18:1-27).

ჩვენ შეგვიძლია კიდევ ერთხელ შევხედოთ სიმონ პეტრეს. იოანესთან ურთიერთობით და მოგვიანებით პავლესთან დაპირისპირებით, პეტრე უფრო და უფრო ყალიბდებოდა ღვთის ხატად. პავლე „პირისპირ შეეწინააღმდეგა მას“, როდესაც პეტრემ ვერ შეასრულა ის გაკვეთილები, რაც სულმა მას ასწავლა წარმართებთან ერთად ჭამასთან დაკავშირებით (გალატელთა 2:11). როგორც უფროსი მოციქულისთვის, ეს პეტრესთვის უხერხული უნდა ყოფილიყო. ის მიჰყვებოდა ქრისტეს მაშინ, როცა პავლე ჯერ კიდევ კლავდა ქრისტიანებს!

მაგრამ პეტრემ ღმერთს ნება მისცა, რომ პავლეს მეშვეობით ემუშავა, რათა ის უფრო ახლოს მიეყვანა იმ შედეგამდე, რომელიც ღმერთს სურდა, რომ პეტრეს მიეღწია.

წმიდა ადამიანები ღმერთს უფლებას აძლევენ იმუშაოს სხვა ადამიანების მეშვეობით, რათა მათი ხასიათი თავის ხატად ჩამოაყალიბოს. იგავები ამბობს: „რკინა რკინას ლესავს, კაცი კი - თავისი მოყვასის სახეს” (იგავების 27:17). ცულის ბასრი კიდე ილესება ცულის ფოლადთან ხახუნით. ასევე, როდესაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან, მათი უნარები იხვეწება (ილესება).

წმიდად ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე ერთჯერადი კრიზისის მომენტი. ეს არის ყოველდღიური გარდაქმნა ღვთის ხატად. როდესაც ჩვენ ვემორჩილებით ღვთის მუშაობას ჩვენს ცხოვრებაში, ის თანდათანობით გვაყალიბებს თავის ხატად. ეს არის ფაქტობრივი წმიდად ცხოვრება.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ფრენკ კროსლი

წმიდა გული არ არის დარეზერვებული პასტორებისთვის ან მისიონერებისთვის. ღმერთს სურს შეცვალოს ყველა ქრისტიანი თავის ხატად. ფრენკ კროსლიმ გამოავლინა ღვთის ხატება ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ფრენკ კროსლი არ ყოფილა მქადაგებელი; ის იყო კროსლი ენჯინისის (Crossley Engines) მფლობელი. ის არ ცხოვრობდა ცდუნებისგან დაფარულ გამოქვაბულში; ის ცხოვრობდა მანჩესტერში, დიდ ინდუსტრიულ ქალაქში.

ფრენკ კროსლი მე-19 საუკუნის ინგლისში მდიდარი ბიზნესმენი იყო. მოქცევიდან მალევე, კროსლიმ მოისმინა ხსნის არმიის ახალგაზრდა გოგონას დამოწმება სულიწმიდის გარდამქმნელი ძალის შესახებ. კროსლიმ უთხრა თავის ცოლს: „მე მინდა ვიცნობდე ღმერთს, როგორც ეს გოგონა იცნობს.” ის მეორე ღამეს დაბრუნდა და დაიწყო სუფთა გულის ძიება.

მას შემდეგ, რაც ღმერთმა განწმინდა მისი გული რწმენით, კროსლის სურდა მეტი გაეკეთებინა, ვიდრე ფულის გამომუშავება. მან გადაწყვიტა მქადაგებელი გამხდარიყო. ის დაუკავშირდა ხსნის არმიის გენერალ უილიამ ბუტს, მაგრამ ბუტმა ბრძნულად ურჩია მისტერ კროსლის, გაეგრძელებინა ბიზნესმენობა. გენერალ ბუტს მიაჩნდა, რომ ფრენკ კროსლი უფრო ეფექტური იქნებოდა ღმერთისთვის, თავისი ბიზნესის მეშვეობით მსახურებით.

მისტერ კროსლიმ იკითხა: „როგორ შემიძლია გამოვამჟღავნო ღვთის ხატება ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ მოექცეოდა იესო ჩემს თანამშრომლებს?” მან თავისი ქარხანა ქალაქის ყველაზე ღარიბ უბანში გადაიტანა გაჭირვებულთა დასახმარებლად. ის თავის მუშაკებს ეპყრობოდა როგორც ქრისტიან მმებს.

ფრენკ კროსლიმ აჩვენა წმიდა გული ქრისტეს მსგავსი დამოკიდებულებით. დღითი დღე მისტერ კროსლი ირეკლავდა ღმერთის ხატებას სხვა ადამიანების მიმართ მოპყრობაში. კონკურენტი ბიზნესმენი ერთხელ შეხვდა მისტერ კროსლის რთულ კონტრაქტან დაკავშირებით. მოგვიანებით მან თქვა: „მისტერ კროსლი მექცეოდა ისევე, როგორც იესო ქრისტე მომექცეოდა.“ ამ ბიზნეს კოლეგამ დაინახა ღვთის ხატება ფრენკ კროსლიში.

ფრენკ კროსლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა არ იყო: „როგორ შევძლო მეტი ფულის გამომუშავება?“ ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იყო: „ვემსგავსები თუ არა ჩემს ზეციერ მამას?“ ამ ყველაფრით მისტერ კროსლიმ გარშემომყოფებს ღვთის ხატება უჩვენა. ეს არის სიწმიდე.

### მე - 3 გაკვეთილის მიმოხილვა

- (1) იყო წმიდა ნიშნავს აირეკლო ღვთის ხატება.
- (2) ღვთის ხატება კაცობრიობაში ცოდვით დაცემამ დააზიანა.
- (3) ბიბლიის ერთ-ერთი მთავარი თემაა ადამიანში ღვთის ხატების აღდგენა.
- (4) ღვთის მარადიული მიზანია აღგვადგინოს მისი ხატების მსგავსებაში.
- (5) როდესაც ისრაელი ღვთის ერთგული იყო, ის აჩვენებდა ღვთის ხატებას ერებს.
- (6) როდესაც ეკლესია ღმერთის ერთგულია, ჩვენ მის ხატებას ვაჩვენებთ ჩვენს გარშემო მყოფ ქვეყნიერებას.
- (7) ჩვენში ღვთის ხატება ცოდვამ დააზიანა. თუმცა, ღმერთი მუშაობს ყველა მორწმუნის ცხოვრებაში, რათა ჩვენ უფრო და უფრო დაგვამსგავსოს მას.
- (8) სახარების კეთილი უწყება:
  - ცოდვილი ვიყავი.
  - ღმერთმა გადამარჩინა.
  - ღმერთი აღადგენს ჩემში თავის ხატებას.
  - სამოთხეში მე ვიქნები მისი მსგავსი, რადგან ვიხილავ მას როგორიც არის.
- (9) ღმერთი მუშაობს იმისთვის, რომ თავისი შვილები მის ხატად ჩამოაყალიბოს. განურჩევლად ჩვენი პიროვნებისა, მას სურს საკუთარი თავის ჩვენი მეშვეობით წარმოჩენა. ღმერთი იყენებს თავის სიტყვას, ცხოვრებისეულ ვითარებასა და სხვა ადამიანებს, რათა ჩვენ მის ხატად ჩამოვყალიბდეთ.

## გაკვეთილის დავალებები

(1) დაწერეთ 2-3 გვერდიანი ნარკვევი თემაზე: „ღვთის ხატება ჩემში“. უპასუხეთ ოთხ კითხვას:

- თუ ჩემი ოჯახის წევრები შემომხედავენ, დაინახავენ ჩემში ღვთის ხატებას?
- რას დაინახავს ჩემი ოჯახის წევრი, რა არ ჰგავს ჩემში ღვთის ხატებას?
- რა სამი პრაქტიკული ნაბიჯი შემიძლია გადავდგა, რათა გამოვამჟღავნო ღმერთის ხატება ჩემს ცხოვრებაში?
- რომელ გარემოებებსა თუ ადამიანებს იყენებს ღმერთი იმისთვის, რომ ახლა ჩამომაყალიბოს თავის ხატად?

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი 2 კორინთელთა 3:17—18-ის წაკითხვით.

## გაკვეთილი 4

### სიწმიდე გამოყოფაა (განცალკევება)

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გააცნობიეროს ცოდვისგან განშორების მნიშვნელობა, თითოეული ქრისტიანისთვის
- (2) დააფასოს ღმერთისთვის გამოყოფილობის პრივილეგია
- (3) შეიმუშაოს გამოყოფის (განცალკევების) ბიბლიური გაგების პრაქტიკული პრინციპები
- (4) დაიმახსოვროს 2 კორინთელთა 6:16-18.

#### მოსე: კაცი, რომელიც იდგა წმიდა მიწაზე

როდესაც უდაბნოში ცხვრებს აძოვებდა, მოსემ დაინახა მაყვლოვანის ბუჩქი, რომელიც ცეცხლის ალში იყო, მაგრამ არ იწვოდა. როდესაც მოსე მიუახლოვდა ამ უცნაურ სანახაობას, მან გაიგონა ღმერთის მოწოდება: „მოსე, მოსე!“ მოსემ უპასუხა: აქა ვარ. ღმერთმა გააფრთხილა: „ნუ მოუახლოვდები; გაიხადე ფეხსამოსი ფეხთაგან, რადგან ეს ადგილი, რომელზეც დგახარ, წმიდა მიწაა“ (გამოსვლის 3:5).

ძველ სამყაროში ფეხშიშველი სიარული მოკრძალებასა და მოწიწებას გამოხატავდა. არავის ჰქონდა უფლება ფარაონის თანდასწრებით სანდლები სცმოდა. მოსე ფარაონზე დიდის წინაშე იდგა. ის იდგა ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე. მოსე წმიდა მიწაზე იდგა.

რა იყო განსაკუთრებული იმ ადგილზე, სადაც მოსე იდგა? რა ხდიდა მას წმიდად? იქ შეღობილი ადგილი იყო წარწერით „წმიდა მიწა“? არა. ვინმემ ჩაატარა რელიგიური ცერემონია, რათა მიწას წმიდა დარქმეოდა? არა.

ეს მიწა მხოლოდ იმიტომ იყო წმიდა, რომ ღმერთს ეკუთვნოდა. ღმერთმა გამოყო ეს მიწის ნაკვეთი დანარჩენი უდაბნოდან და წმიდად გამოაცხადა; ღმერთმა „განწმიდა“ ეს მიწა. ეს ასახავს მნიშვნელოვან გაკვეთილს სიწმიდის შესახებ. ეს მიწა წმიდა იყო, რადგან ის ღმერთმა გამოყო. ის რაც წმიდაა ღმერთის მიერაა გამოყოფილი და გამოცალკევებული.

#### ლოცვა სიწმიდისთვის

„ყოვლისშემძლე ღმერთო,  
შენ შეგვემნი შენთვის,  
და ჩვენი გულები ვერ ისვენებენ,  
სანამ

ისინი შენში არ იპოვიან სიმშვიდეს.  
მოგვმადლე გულის სიწმიდე და  
მიზნის სიმტკიცე, რომ არავითარმა  
ეგოისტურმა ვნებამ შეგვიშალოს  
ხელი შენი ნების გაგებაში და  
არავითარმა სისუსტემ შეგვიშალოს  
ხელი მის აღსრულებაში.“

- ნეტარი ავგუსტინე

წლების შემდეგ ღმერთი მოსეს სინას მთაზე ისევ შეხვდა. და კვლავ გამოყო ღმერთმა მიწის ეს მონაკვეთი როგორც წმიდა. მოსემ ხალხს მოუწოდა, რომ მთას მოშორებოდნენ. მათ ეკრძალებოდათ მთაზე ასვლა და მის ირგვლივ რაიმე ადგილის შეხება, რადგან ის წმიდა იყო. ღვთის ყოფნა მთაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ მოსემ გააფრთხილა ხალხი, რომ ვინც მთას შეეხება, „უსათუოდ მოკვდება” (გამოსვლის 19:12). მთა ღმერთს ეკუთვნოდა. მოსე წმიდა მიწაზე იდგა.

### სიწმიდე არის გამოყოფა

სიწმიდე ღმერთის თვისებაა. წმიდა წერილში სიტყვა "წმიდა" ეხება ღმერთს ან ღმერთისას. მოსესა და ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანის ისტორიაში, მიწა წმიდა იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთს ეკუთვნოდა. იყო წმიდა ნიშნავს ღმერთისთვის იყო გამოყოფილი. ხუთწიგნეულის მრავალი მაგალითი გვიჩვენებს, რომ „წმიდა“ საგნები გამოირჩევიან საზოგადო სარგებლობისა და ჩვეულებრივისაგან.

### წმიდა დღე

პირველად სიტყვა „წმიდა“ ბიბლიაში ჩნდება, ეს ეხება არა ადამიანს, არამედ დღეს. შექმნის ექვსი დღის ბოლოს ღმერთმა გამოარჩია მეშვიდე დღე დანარჩენი ექვსი დღისგან.

აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჲყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა მან ყოველი საქმისაგან, რასაც აკეთებდა (დაბადების 2:3).

მეშვიდე დღე წმიდა იყო, რადგან ღვთისთვის იყო გამოყოფილი; ის აღარ იყო ჩვეულებრივი. ესაიამ თქვა, რომ შაბათი გამოყოფილი იყო ყველა სხვა დღეებისგან. ეს დღე არ იყო „საკუთარი გზებისთვის“ ან „საკუთარი თავის სიამისთვის“; ის ღმერთს ეკუთვნოდა (ესაიას 58:13). შაბათი ღმერთმა გამოყო თაყვანისცემისთვის.

შაბათისადმი ისრაელის ერთგულებამ გამოხატა მათი ერთგულება ღმერთის მიმართ. ღმერთმა, რომელმაც შაბათი გამოყო, გამოყო ისრაელიც.

უთხრა უფალმა მოსეს: "ასე უთხარი ისრაელის შვილებს: დაიცავით ჩემი შაბათები, ნიშანია იგი ჩემსა და თქვენ შორის თაობიდან თაობამდე, რათა იცოდეთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი გამწმედელი' " (გამოსვლის 31:12-13).

იყო წმიდა ნიშნავს იყო ღმერთის მთერ და ღმერთისთვის გამოყოფილი. ღმერთმა განწმიდა შაბათი; ღმერთი განწმედს თავის ხალხს.

## წმიდა საგნები

მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოყოფილი იყო სხვა მიწისგან, წმიდა იყო; ღმერთს ეკუთვნოდა. დღე, რომელიც გამოყოფილი იყო სხვა დღეებისგან, წმიდა იყო; ღმერთს ეკუთვნოდა. ღმერთისთვის გამოყოფილი ყველაფერი წმიდა იყო.

სამოსი, რომელიც მღვდლებს ეცვათ, წმიდა იყო (გამოსვლის 28:2). ის ღვთისგან სპეციალური მითითებით იყო შექმნილი და მას ეკუთვნოდა. შესაწირავი, რომელიც ხალხმა მიიტანა კარავში, წმიდა იყო; ის ღვთისთვის იყო გამოყოფილი (გამოსვლის 28:38). მღვდლები ღვთისმსახურებაში სპეციალურ ზეთს იყენებდნენ. ღმერთმა ბრძანა: „იქნება ეს ჩემთვის წმიდა საცხები ზეთი თაობიდან თაობამდე” (გამოსვლის 30:31). სხვა ვერავინ გამოიყენებდა ამ ზეთს; ის ღმერთის მიერ გამოსაყენებლად იყო გამოყოფილი.

კარვის მოსავლელად ღმერთმა ისრაელის ყველა კაცს მოსთხოვა გადაეხადა გადასახადი, რომელსაც „საწმიდრის შეკელი“ ეწოდება” (გამოსვლის 30:13, 24; 38:24-26; ლევიანთა 5:15; 27:3, 25; რიცხვთა 3:47, 50; 7:13). ეს ფული არ გამოიყენებოდა საერთო სარგებლობისთვის. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეს იყო სრულიად განსხვავებული მონეტა, ვიდრე ჩვეულებრივი შეკელი. ის წმიდა იყო; ის ღმერთს ეკუთვნოდა.

კარავში ავეჯი წმიდა იყო. ღმერთმა უბრძანა მოსეს გამოეყო ეს ავეჯი ყველა სხვა მასალისგან. „გაწმიდე ისინი და გახდება წმიდათა წმიდა; და ყოველივე, რაც შეეხება, წმიდა გახდება” (გამოსვლის 30:29).

ყოველი საგანი იყო ან წმიდა ან საერთო მოხმარების. საერთო მოხმარების არ ნიშნავდა ცოდვილს; ეს ნიშნავდა, რომ ნივთი არ იყო გამოყოფილი ღმერთის მიერ გამოსაყენებლად. ისრაელს ესმოდა სამი შესაძლებლობა ნებისმიერი ნივთისთვის:

1. **ბინძური** - ვერავინ გამოიყენებდა მას. ის „აკრძალული“ იყო ღვთის ხალხისთვის.
2. **სუფთა** - ეს იყო ჩვეულებრივი, საერთო გამოყენებისთვის.<sup>10</sup>
3. **წმიდა** - ის გამოყოფილი იყო ღვთის გამოსაყენებლად. მას მხოლოდ ღვთის მსახურებაში იყენებდნენ.

სანამ ისრაელი ქანაანში შევიდოდა, ღმერთმა ხეების დარგვის მითითებები მისცა.

<sup>10</sup> (ბევრი თარგმანი იყენებს სიტყვას "ბიწიერი" "ჩვეულებრივი" ობიექტების აღსანიშნავად. მეფე ჯეიმსის ვერსია იყენებს სიტყვას "უწმიდური". არცერთი ეს სიტყვა არ ნიშნავს "ცოდვილს". ეს სიტყვები უბრალოდ ნიშნავს, რომ ობიექტი არ იყო „გამოყოფილი“ წმიდა გამოყენებისთვის.).

1. პირველი სამი წლის განმავლობაში ნაყოფი „უნდა იყოს თქვენთვის წინადაუცვეთლად, არ უნდა შეიჭამოს“. ცერემონიულად უწმინდური იყო.
2. „მეოთხე წელს იყოს ყოველი მისი ნაყოფი წმიდა, უფლის საქებარ შესაწირად“. მეოთხე წლის ნაყოფი გამოიყო ღვთის გამოსაყენებლად. ის წმიდა იყო.
3. მეხუთე წლიდან დაწყებული, „ჭამეთ მისი ნაყოფი“. ხე ახლა სუფთა იყო და ხელმისაწვდომი იყო საერთო გამოყენებისთვის (ლევიანთა 19:23-25).

### **წმიდა ადგილები**

კარავი წმიდა იყო, რადგან ღვთისთვის იყო გამოყოფილი. კარავში ყველაფერი გამოყოფილი იყო ღვთის გამოსაყენებლად. ადგილს, სადაც ღმერთი მღვდელმთავარს ხვდებოდა, უწმიდესი ადგილი (წმიდათაწმიდაი) ეწოდებოდა.

მოგვიანებით იერუსალიმის ტაძარი წმიდა იყო, რადგან ის ღვთის მსახურებისთვის იყო გამოყოფილი. ტაძარი წმიდა იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთს ეკუთვნოდა. ეზეკიელმა იხილა ხილვა, რომელშიც ღვთის დიდება ტაძარს ტოვებდა, ისრაელის ცოდვის გამო (ეზეკიელის 10).

ღვთის დიდების დატოვების შემდეგ, ტაძარი აღარ იყო წმიდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 63 წელს რომაელი გენერალი პომპეუსი შევიდა წმიდათაწმიდაიში და ნახა, რომ ის ცარიელი იყო. იმის გამო, რომ ღმერთი იქ აღარ ცხოვრობდა, ტაძარი აღარ იყო წმიდა.

### **წმიდა ტომი**

ლევის ტომი გამოყოფილ იქნა ღმერთისთვის. ისრაელის ეგვიპტის დატოვების წინა ღამეს, თითოეული ეგვიპტურ ოჯახში პირმშო იქნა მოკლული. ისრაელის პირმშოები გადარჩნენ, რადგან ისინი დაემორჩილნენ ღვთის ბრძანებას, რომ კრავის სისხლი ყოფილიყო წასმული ყოველი სახლის კარის წირთხლებზე.

ისრაელს ახსოვდა ეგვიპტიდან გათავისუფლება ორი გზით. პირველი, ყველა ებრაული ოჯახი ყოველწლიურად ჭამდა „პასექის ვახშამს“. ეს ტრაპეზი აღნიშნავდა ისრაელის ეგვიპტიდან გამოხსნას.

მეორე გზა, როგორ ახსოვდა ისრაელს ეგვიპტიდან გათავისუფლება, კიდევ უფრო დრამატული იყო. ისრაელისთვის რომ შეეხსენებინა მათი პირმშოების ხსნა, ღმერთმა უბრძანა:

გამომიყავი ისრაელის შვილთაგან ყოველი პირმშო, საშოს გამღები, კაციდან ვიდრე პირუტყვამდე, ჩემია იგი (გამოსვლის 13:2).

სიტყვა „მომიძღვენი“ (გამომიყავი) არის ებრაული სიტყვიდან, რომელიც ითარგმნება როგორც „გაწმედა“ ან „გამოყოფა“. ყოველი ოჯახის პირმშო ღმერთს ეკუთვნოდა. ღმერთმა აირჩია ლევის ტომი მთელი ისრაელის პირმშოს წარმომადგენლად. ეს ტომი მთელი ხალხის ნაცვლად მსახურობდა.

აპა, ავიყვანე ლევიანი ისრაელიანთაგან, ყოველი პირმშოს სანაცვლოდ, რომელიც საშოს გააპობს; ჩემები იქნებიან ისინი; ვინაიდან ჩემია ყველა პირველშობილი, რადგან იმ დღეს, როცა განვგმირე ყოველი ეგვიპტელი პირმშო, ჩემთვის განვიწმიდე ყველა პირველშობილი ისრაელიანთაგან; ადამიანიდან პირუტყვამდე ჩემები არიან, მე ვარ უფალი (რიცხვთა 3:12-13).

გამოსვლის 29-ე თავში ღმერთმა დანიშნა მღვდლების კურთხევის წესი. სიტყვა „წმიდა“ ამ თავში ცხრაჯერ არის გამოყენებული. ლევიანები იყვნენ მიძღვნილნი პირმშოების ნაცვლად; ტომი მთლიანად ღმერთს ეკუთვნოდა.

► რატომ იყო მნიშვნელოვანი ღვთისთვის ხაზგასმით აღენიშნა გზავნილი ისრაელის გამოყოფის შესახებ?

რატომ გაამახვილა ყურადღება პავლემ ამ გზავნილზე კორინთოს (2 კორინთელთა 6:14-7:1) და თესალონიკის (1 თესალონიკელთა 4-5) ეკლესიებისთვის? რატომ არის ეს გზავნილი მნიშვნელოვანი დღეს?

ეს მაგალითები (წმიდა დღე, წმიდა ადგილები და ა.შ.) გვიჩვენებს, რომ იყოს წმიდა ნიშნავს იყოს ღმერთისთვის გამოყოფილი. ეს გვეხმარება გავიგოთ წმიდად ცხოვრების მნიშვნელობა დღეს. წმიდა ადამიანი მთლიანად ღმერთს ეკუთვნის. ის გამოყოფილია ღვთის მიზნებისთვის. იყო წმიდა ნიშნავს იყო ცოდვისგან გამოყოფილი და ღმერთისთვის გამოყოფილი.

### იყო წმიდა ნიშნავს იყო ცოდვისგან გამოყოფილი

რადგან ღმერთი წმიდაა, მისი ხალხი წმიდა უნდა იყოს. ცოდვილ ადამიანს არ შეუძლია წმიდა ღმერთთან ურთიერთობა. წმიდა ადამიანები თავს არიდებენ ყველაფერს, რაც ღმერთს არ მოსწონს.

### წმიდა ღმერთს სძულს ცოდვა

(1) ღმერთმა გამოავლინა თავისი სიწმიდე წარლვნის დროს.

ღვთის შექმნილი სამყარო იყო „ძალიან კარგი“, მაგრამ ცოდვამ გარყვნა მისი ქმნილება. როდესაც ღმერთმა შეხედა ადამიანს, მან დაინახა ბოროტება ადამიანის გულში.

და იხილა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ქვეყანაზე, რომ მუდამჟამს უკეთური იყო მათი გულისთქმა. მაშინ შეწუხდა უფალი, ადამიანი რომ შექმნა ამქვეყნად და დანაღვლიანდა (დაბადების 6:5-6).

ნოე და მისი ოჯახი გადარჩნენ, რადგან ნოე წმიდა ცხოვრებით ცხოვრობდა. „მართალი, უმწიველო კაცი იყო ნოე თავის თაობაში; ღმერთის გზებით დადიოდა იგი” (დაბადების 6:9). ის ცოდვისგან განშორებული დარჩა.

### (2) ღმერთმა გამოავლინა თავისი სიწმიდე ნადაბისა და აბიჰუს განკითხვისას.

აარონის უფროსი ვაჟები გამოარჩიეს ღვთის მსახურებისთვის. როდესაც მათ დაარღვიეს საკრებულო კარვის სიწმიდე, „გამოვიდა ცეცხლი უფლისგან, შთანთქა ისინი და დაიხოცნენ უფლის წინაშე” (ლევიანთა 10:2). ლევიანებში არ არის დეტალები ნადაბისა და აბიჰუს ცოდვის შესახებ, მაგრამ ღმერთმა თქვა: „წმიდად უნდა მომეპყრას ვინც მომიახლოვდება და განვდიდდები მთელი ხალხის წინაშე” (ლევიანთა 10:3). ღვთის მღვდლები მის კარავს წმიდად უნდა მოეპყრონ. ნადაბი და აბიჰუ ფიქრობდნენ, რომ შეეძლოთ წმიდასაც ისევე მოქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივს.

### (3) ღმერთმა აჩვენა თავისი სიწმიდე მოსესა და აპარონის განკითხვისას.

უთხრა ღმერთმა მოსეს და აპარონს, რომ ისინი ვერ შეიყვანდნენ ისრაელს აღთქმულ მიწაზე, რადგან „არ გამოავლინეთ ჩემი სიწმიდე ისრაელის ძეთა თვალწინ” (რიცხვთა 20:12). მას შემდეგ, რაც ღმერთმა უბრძანა მოსეს კლდესათვის ეთქვა, რათა წყალი წამოსულიყო იქიდან, მოსემ დაარტყა კლდეს. ღმერთმა გაასამართლა მოსე იმის გამო, რომ მან არ განადიდა ღმერთი ხალხის წინაშე.

ვინაიდან ღმერთი წმიდაა, მას არ შეუძლია ცოდვის იგნორირება. ხუთწიგნეულში ათჯერ არის მოხსენიებული ცოდვა, როგორც „სისამაგლე უფლის წინაშე“, რაც ღმერთს სძულს. წმიდა ღმერთს სძულს ცოდვა.

### წმიდა ხალხს სძულს ცოდვა

ღმერთი არის სიწმიდის ღმერთი და სიყვარულის ღმერთი. ადამიანის ცოდვამ წარმოშვა პრობლემა. როგორ შეეძლო წმიდა ღმერთს ცოდვილ ადამიანთან ურთიერთობის დამყარება? როგორ შეეძლო ღმერთს ეჩვენებინა თავისი სიყვარული ადამიანის მიმართ და ამავდროულად თავისი სიწმიდის ერთგული ყოფილიყო?

ღმერთმა მისცა თავისი რჯული, რათა დახმარებოდა თავის ხალხს, ეცხოვრათ წმიდად. რჯული არ ყოფილა მოცემული იმისთვის, რომ ცხოვრება გაგვრთულებოდა; ის მოგვეცა დასახმარებლად, რომ ღმერთთან სწორი ურთიერთობა დაგვემყარებინა. რჯულმა ღვთის

ხალხს მისცა ცოდვისგან განშორების მოდელი. წმიდა ადამიანებს სძულთ ცოდვა ისევე, როგორც წმიდა ღმერთს სძულს ცოდვა.

ახალი აღთქმის მწერლები ასწავლიდნენ, რომ ღმერთისთვის გამოყოფა მოითხოვს ცოდვისგან განშორებას. იაკობი კითხვას სვამს: „განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღმერთის მტერი ხდება” (იაკობის 4:4). თქვენ ვერ იქნებით ერთდროულად ღმერთის და ცოდვის მეგობარი. არ შეიძლება ღმერთთან ერთადაც და ამავდროულად ცოდვაშიც სიარული. წმიდა ცხოვრება მოითხოვს ცოდვისგან გამოყოფას.

„იესო მოკვდა არა  
იმისთვის, რომ  
შეერიგებინა ადამიანები  
ცოდვასთან, არამედ  
ცოდვისაგან რომ ეხსნა  
ისინი“.

- რ.ე. ჰოვარდი

პავლემ მისწერა იმ ადამიანებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ღვთის მადლი მათ საშუალებას აძლევდა გაეგრძელებინათ განზრახ ცოდვის ჩადენა. მათ ჰკითხეს: „მაშ, ახლა რა, ხომ არ ვცოდოთ, რაკი რჯულის ქვეშ კი არა, მადლის ქვეშ ვართ?” (რომაელთა 6:15). პავლეს პასუხი მტკიცე იყო. „არამც და არამც! ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ?” არსებობს მხოლოდ ორი არჩევანი (რომაელთა 6:16):

1. თუ ცოდვას გადასცემთ თავს, დასასრული სიკვდილია.
2. თუ საკუთარ თავს ღმერთს დაუთმობთ, დასასრული სიმართლეა.

არ შეიძლება ორივეს ერთდროულად დაუთმოთ თავი, ცოდვასაც და ღმერთსაც. ქრისტიანები „გათავისუფლდით რა ცოდვისაგან, სიმართლის მონები გახდით” (რომაელთა 6:18). როგორც ღვთის შვილები, ჩვენ ცოდვისგან განშორებულები უნდა ვიყოთ.

პავლემ ეს პრაქტიკული ტერმინებით გამოხატა, რომლებიც გამოხატავენ ჩვენს პასუხისმგებლობას, თავიდან ავიცილოთ განზრახ ცოდვა. „როგორც გადასცემდით თქვენს ასოებს მონებად უწმიდურებას და ურჯულოებას ურჯულოებისათვის, ახლა ასევე გადაეცით თქვენი ასოები მონებად სიმართლეს - განსაწმედად” (რომაელთა 6:19).

შეუძლებელია ცოდვასთან მეგობრობის შენარჩუნება ღვთისთვის ცხოვრებისას. ღმერთისთვის გამოყოფა მოითხოვს ცოდვასთან განშორებას. ჩვენ ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ ურთიერთობა ღმერთთანაც და ცოდვასთანაც. მას შემდეგ, რაც ადამია და ევამ შესცოდეს, ისინი „დაემალნენ უფალ ღმერთს ბაღის ხეებს შორის” (დაბადების 3:8). ცოდვასთან კავშირმა განაპირობა ღმერთთან განშორება.

ხსნა არ გვათავისუფლებს იმისთვის, რომ ცოდვაში ვიცხოვროთ. ხსნა გვათავისუფლებს ცოდვისგან, რათა ვიყოთ წმიდები. ხსნის მიზანია ღვთის ხალხის სიწმიდემდე მიყვანა. ღმერთის მიზანია გვიხსნას ცოდვისგან და გამოგვყოს მასთან ურთიერთობისთვის.<sup>11</sup>

მე ვმოგზაურობდი ტაივანში მთაზე. გზის გვერდით იყო ციცაბო კლდე, რომელიც შორს ქვემოთ მდინარემდე ეშვებოდა. როგორ ფიქრობთ, ვთხოვე ავტობუსის მძღოლს, ეჩვენებინა, თუ რამდენად ახლოს შეეძლო კლდესთან გავლა? არა! მინდოდა რაც შეიძლება მოვშორებულიყავი კიდეს. ასევე წმიდა ადამიანი ცდილობს მოშორდეს ცოდვას. ცხოვრების ყველა სფეროში წმიდა ადამიანი გაურბის ცოდვილი ცხოვრების წესს. წმიდა ადამიანი ცდილობს რაც შეიძლება შორს იდგეს ცოდვისგან და რაც შეიძლება ახლოს ღმერთთან.

პეტრე მოციქულმა ასე თქვა: „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი.“ როგორ შევძლებთ ამის გაკეთებას? წმიდად ცხოვრებით. „განეშორენით ხორციელ გულისტქებს, რომლებიც თქვენი სულის წინააღმდეგ იბრძვიან. კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის“ (1 პეტრე 2:9-12). ღვთის ხალხის წმიდა ცხოვრება, მისი კუთვნილების ნიშანია. წმიდა ხალხი ცოდვას განრიდებულია, რადგან ისინი არიან „ხალხი მის საკუთრებაში“, ხალხი, რომელიც ღმერთს ეკუთვნის. წმიდა ადამიანს სურს მთლიანად ღმერთს ეკუთვნოდეს.

პავლემ შეახსენა კორინთელებს, რომ „უმართლო ვერ დაიმკვიდრებს ღვთის სამეფოს.“ მან ჩამოთვალა ზოგიერთები, ვინც გამორიცხულ იქნება: „ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადედლებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძღველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს.“ შემდეგ ის ახსენებს მათ, რომ: „ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი უწინ.“ კორინთელი ქრისტიანები ბოროტ გარემოში გაიზარდნენ და ამ ცოდვებს სჩადიოდნენ.

მაგრამ პავლე უარს ამბობს ქრისტიანების ამ მდგომარეობაში დატოვებაზე. ის არ ამბობს: „ახლა თქვენ ხართ ქრისტიანები, რომლებიც სჩადიხართ უზნეობას, კერპთაყვანისმცემლობას, მრუშობას, ჰომოსექსუალობას, ქურდობას, სიხარბეს, სიმთვრალეს და ა.შ.“ პირიქით, პავლე ამბობს: „მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით“ (1 კორინთელი 6:9-11).

<sup>11</sup> John N. Oswalt, *Called to Be Holy: A Biblical Perspective* (Nappanee: Evangel Publishing House, 1999), 33

პავლე ხარობს: „აღარ ხარ ის, რაც იყავი! თქვენ აღარ ხართ დაკავშირებული იმ ცოდვებთან. თქვენ განშორდით ცოდვას და ახლა ღმერთს ეკუთვნით.“ წმიდად ყოფნა ნიშნავს ცოდვისგან განშორებას, რათა გამოყოფილები და მიძღვნილები ვიყოთ ღმერთისთვის.

### იყო წმიდა ნიშნავს იყო ღმერთისთვის გამოყოფილი

ყუზია კარგი მეფე იყო, ის „სწორად იქცეოდა უფლის თვალში... ეძიებდა ღმერთს... შეეწია ღმერთი ყუზიას ფილისტიმელების წინააღმდეგ“ (2 ნეშტა 26:4-7). ყუზიამ დიდ წარმატებას მიაღწია პოლიტიკურად. მან გააფართოვა იუდას ტერიტორია და დაიბრუნა მიწები, რომლებიც დაიკარგა სუსტი მეფეების მმართველობის დროს. „ეგვიპტემდე განითქვა მისი სახელი, რადგან დიდად გაძლიერდა იგი“ (2 ნეშტა 26:8).

ყუზია ძლიერი მეფე იყო, მაგრამ მის ამბავს სამწუხარო დასასრული აქვს. „როცა გაძლიერდა, გაუამაყდა გული თავის დასაღუპად, უღალატა უფალს, თავის ღმერთს“ (2 ნეშტა 26:16).

რამ მოუტანა ღვთის სასჯელი ყუზიას? მეფე სამსხვერპლოზე საკმევად შევიდა უფლის ტაძარში. მან დაარღვია გამიჯვნა საყოველთაოსა და წმიდას შორის. შედეგად „სიკვდილის დღემდე კეთროვანი იყო მეფე ყუზია და კეთროვანისთვის გამოყოფილ სახლში იჯდა, რადგან მოკვეთილ იქნა უფლის სახლიდან“ (2 ნეშტა 26:21).

მეფე ყუზიას არ მოუკლავს, არ მოუპარავს და არ უმრუშია. ის კერპებს არ სცემდა თაყვანს და არც ჯადოქრებისგან იღებდა კონსულტაციას. ყუზიამ შესცოდა, გამოყოფის შესახებ ღვთის კანონების დარღვევით. თავის სიამაყეში ყუზია წმიდა სამსხვერპლოს შეხეო. „გაუამაყდა გული... უღალატა უფალს, თავის ღმერთს.“

თავისი სიამაყეში მეფე ყუზიამ დაარღვია ტაძრის სიწმიდე. რჯული ასწავლიდა ღვთის ხალხს, რომ ისინი განშორებული უნდა იყვნენ ცოდვისგან, რათა შეეძლოთ ღმერთთან სრულყოფილი ურთიერთობა. წმინდა ცხოვრება არის ღმერთისთვის გამოყოფა.

ისტორიულ წიგნებში მოცემულია ადამიანებისა და საგნების მრავალი მაგალითი, რომლებიც ღმერთისთვის იყვნენ გამოყოფილნი. ისევე როგორც ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანის ბუჩქთან, ღმერთმა გამოყო მიწა, როგორც წმიდა ადგილი. „უთხრა იეჰუას უფლის მხედრობის თავმა: „გაიხადე ფეხსამოსი, რადგან ადგილი, რომელზეც დგახარ, წმიდაა“. ასეც მოიქცა იეჰუა“ (იესო ნავეს 5:15).

როდესაც ისრაელი თავს დაესხა იერიხოს, ღმერთმა უბრძანა მათ გაენადგურებინათ ყველაფერი: „უფლისთვის დარისხდება ქალაქი და ყველაფერი, რაც მასშია... მაგრამ მთელი ვერცხლი და ოქრო, სპილენძისა და რკინის ჭურჭელი წმიდაა უფლისთვის, უფლის საგანძურში უნდა შევიდეს“ (იესო ნავეს 6:17, 19). იერიხოში ეს ჭურჭელი არ იყო წმიდა; ისინი წმიდანი გახდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ღმერთმა მოითხოვა ისინი თავისთვის.

უბრძანა დავითმა **ლევიანებს**: „განიწმიდენით თქვენ და თქვენი მოძმენი, რათა შეძლოთ უფლის, ისრაელის ღმერთის კიდობნის იმ ადგილზე მიტანა, მე რომ მოვუმზადე მას” (1 ნეშტა 15:12). სანამ კიდობანს იერუსალიმში დააბრუნებდნენ, ლევიანებმა ღვთის მიზნებისთვის გამოყვეს თავი.

ცოდვისგან გამოყოფა არ არის წმიდა ადამიანების საბოლოო მიზანი. ისრაელი გამოეყო მის გარშემო მყოფი ცოდვილი ერებისგან, რათა ყოფილიყო ღმერთისთვის გამოყოფილი, როგორც მისი ძვირფასი საკუთრება (ლევიანთა 20:26 და გამოსვლის 19:5). ტაძრის კურთხევის დროს სოლომონი ლოცულობდა: „რადგან შენ გამოარჩიე ისინი დედამიწის ყველა ხალხთაგან შენთვის სამკვიდრებლად, როგორც შენი მსახურის, მოსეს მეშვეობით გაქვს ნათქვამი, ეგვიპტიდან ჩვენი მამების გამოყვანისას, ღმერთო, უფალო” (3 მეფეთა 8:53). ღმერთმა გამოყო ისრაელი ყველა სხვა ერისგან, რათა ის მას ეკუთვნოდეს. ისრაელს ხვდა პატივი, ყოფილიყო ღვთის „სამკვიდრებელი.”

აფრთხილებდა რა კორინთელებს, ურწმუნოებთან ურთიერთობის შესახებ, პავლემ ესაიას ციტირება მოახდინა: „ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! - ამბობს უფალი - უწმიდურს ნუ მიეკარებით” (2 კორინთელთა 6:17-18). როგორც ახალგაზრდა ქრისტიანს, მახსოვს ქადაგებები სიწმიდისა და გამოყოფის შესახებ, რომელიც ამ მუხლით სრულდებოდა. მქადაგებლები მოუწოდებდნენ ღვთის ხალხს, „გამოეყავით უწმიდურს.”


გამოყოფის შესახებ გზავნილი ხშირად ნეგატიური იყო. თუმცა მუხლი მშვენიერი დაპირებით გრძელდება! ჩვენ განშორებულნი ვართ ცოდვისგან, რათა გამოყოფილნი ვიყოთ ღმერთისთვის. პავლე აგრძელებს ამ დაპირებით: „მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა, და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი - ამბობს უფალი ყოვლისმპყრობელი.”

ყოველივე უწმინდურისაგან განშორება სიხარულს არ გვართმევს. პირიქით, ჩვენ განშორებულნი ვართ ცოდვისგან, რათა გვქონდეს ღმერთთან ერთად სიარულის სიხარული. ქრისტიანები განშორებულნი უნდა ვიყოთ ცოდვისგან, რათა სრულად ვეკუთვნოდეთ ღმერთს. წმიდა ადამიანები სიხარულით შორდებიან ცოდვას, რადგან იციან, რომ ცოდვისგან განშორება საშუალებას აძლევს მათ ზეციერ მამასთან უახლოვესი ურთიერთობა დაამყარონ.

ეს პრინციპი ჩანს რჯულში, საკვებსა და ტანსაცმელთან დაკავშირებით. რატომ თქვა ღმერთმა: „არ ჭამოთ გარკვეული საკვები“ ან „არ ატაროთ გარკვეული სახის მასალისგან შექმნილი ტანსაცმელი”? ეს წესები იყო ობიექტური გაკვეთილები, რათა ესწავლებინა ისრაელისთვის, რომ მას თავი ღმერთისთვის უნდა გამოეცალკევებინა. ეს წესები მიანიშნებდა, რომ ისრაელი ღვთის კუთვნილი ხალხია. უთხრა ღმერთმა ისრაელს: „ძვირფასნი ხართ ჩემს თვალში და ღირსეულნი, მე შეგიყვარეთ თქვენ” (ესაიას 43:4). რა ლამაზი ილუსტრაციაა! ისრაელი არ ყოფილა გამოყოფილი ღმერთისთვის დასასჯელად; ის

გამორჩეული იყო პატივისა და სიყვარულისთვის. ის იყო ღვთის მიერ „გამორჩეული ყველა ხალხისგან, მის საკუთრებად“ (გამოსვლის 19:5).

ეს აზრი ილუსტრირებულია კარავში. ისინი, ვინც რიტუალურად უწმინდურები იყვნენ, „ბანაკს გარეთ“ რჩებოდნენ. ისინი, ვინც რიტუალურად სუფთანი იყვნენ, რჩებოდნენ, „ბანაკს შიგნით.“ ბანაკის შუაგულში მღვდლები სწირავდნენ მსხვერპლს „კარავში“. წმიდათაწმიდაიში მხოლოდ მღვდელმთავარი შედიოდა. ამ შეთანხმებამ ხალხს ვიზუალური შეხსენება მისცა, რომ ცოდვისგან განშორება საშუალებას გვაძლევს ვიყოთ გამოყოფილნი ღმერთისთვის. ამან ხალხს დაანახა, რას ნიშნავდა ღვთის წმიდა თანდასწრების სიახლოვეში ყოფნა.



1 = წმიდათაწმიდაი (მღვდელმთავარი)

2 = კარავი (მღვდლები)

3 = ბანაკს შიგნით (სუფთა)

4 = ბანაკს გარეთ (უწმიდური)

„ღმერთისთვის ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელო დეტალი არ არსებობს“.

- ოსვალდ ჩემბერსი

როდესაც ხალხი მიჰყვა განშორების (გამოყოფის) წესებს, მათ გაიგეს, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ წმიდანი, ცხოვრების ყველა სფეროში. ღმერთს აქვს ძალაუფლება მთელს ცხოვრებაზე.

ლევიანთა 17-26-ს ეწოდება „წმიდა კოდექსი“. წმიდა კოდექსმა ასწავლა ისრაელს როგორ ეცხოვრა წმიდა ერად. უმცირესი დეტალებიდან უდიდეს პრინციპებამდე, რჯულის ეს წესები ღვთის სიწმიდით იყო შთაგონებული. მათ აჩვენეს ისრაელს, როგორ უნდა ყოფილიყვნენ წმიდანი, ამ ცოდვილ სამყაროში. მათ ასწავლეს ისრაელს ცოდვისგან გამოყოფა. რაც მთავარია, ისინი ასწავლიდნენ, რომ ისრაელი უნდა ყოფილიყო გამოყოფილი „უფალი, თქვენი ღმერთისათვის, რომელმაც გამოგიყვანათ ეგვიპტის ქვეყნიდან“ (ლევიანთა 19:36).

ლევიანთა მე-20 თავში ღმერთმა თქვა: „იქნებით ჩემთვის წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი და მე გამოგაცალკევეთ სხვა ხალხებისგან, რათა ჩემთვის ყოფილიყავით“ (ლევიანთა 20:26). „მე გამოგაცალკევეთ სხვა ხალხებისგან“. რატომ? „რათა ჩემთვის ყოფილიყავით.“ ეს იყო ღმერთისთვის გამოოფა.

ლევიანთა 20:26-ში მოყვანილი ებრაული სიტყვა „განცალკევებული“ გამოყენებულია დაბადების 1:4-ში, როდესაც ღმერთმა „გაყო“ ან „განაშორა“ ნათელი ბნელისგან. სინათლესა

და სიბნელუს ვერ გააერთიანებთ; ისინი საპირისპიროები არიან. ღმერთმა მოითხოვა ისრაელის სრული და მთლიანი გამოყოფა გარშემო მყოფი ცოდვილი ერებისგან.

ღმერთმა მოუწოდა თავის ხალხს სრულად გამოყოფოდნენ ცოდვას. რატომ? რათა ისინი სრულად და მთლიანად მისი კუთვნილება გამხდარიყვნენ. ეს წესები ცხადყოფს, რომ მთელი ცხოვრება ღმერთს ეკუთვნის. წმიდა ხალხისთვის მთელი ცხოვრება ღვთის ძალაუფლების ქვეშაა. იყო წმიდა ნიშნავს, იყო გამოყოფილი (მიძღვნილი) ღმერთისთვის ყველა სფეროში. ჩვენ გამოყოფილნი ვართ ცოდვისგან, რათა ღმერთს ვეკუთვნოდეთ.

► რომელი უფრო რთული ჩანს - ცოდვისგან გამოყოფა თუ ღმერთისთვის გამოყოფა? რატომ?

**სიწმიდე პრაქტიკაში: „ქვეყნიერებაზე, მაგრამ არა ქვეყნიერების“**

### ბიბლიური დაყოფა იძლევა მსოფლიოს მოწმეს

იესო ლოცულობდა, რომ მისი მოწაფეები ყოფილიყვნენ ქვეყნიერებაზე, მაგრამ არა ქვეყნიერებისანი. დანიელმა უარი თქვა „თავი შეებილწა მეფის რჩეული ულუფით და მისი სასმელი ღვინით“ (დანიელის 1:8). ისტორიის მანძილზე ღვთის ხალხი თავს განცალკევებით იყენებდა, მის გარშემო მყოფი საზოგადოების ცოდვებისგან. ამან ღვთის ხალხს საშუალება მისცა, ყოფილიყვნენ თავიანთი სამყაროს მოწმენი.

ისრაელი იყო მოწოდებული „მღვდლების ერად“, წმიდა ერად, რომელსაც მიჰყავდა ღმერთთან სხვა ერები (გამოსვლის 19:6). როდესაც ისრაელი ღმერთის ერთგული იყო, ის ასრულებდა ამ მისიას. რახაბმა თქვა: „თქვენდამი შიშმა მოგვიცვა...შედრკა ჩვენი გული, აღარავის შერჩა მხნეობა“. რატომ? იმიტომ რომ ისრაელი იყო ძლიერი ერი დიდი ჯარით? არა! რადგან: „უფალი, თქვენი ღმერთი, ღმერთია მაღლა ზეცაში და დაბლა დედამიწაზე“ (იესო ნავეს 2:9-11). როდესაც ისრაელი ღმერთისთვის იყო გამოყოფილი, ის ყველა ერისთვის იყო მოწმობად.

ჩვენ ვხედავთ ამ პრინციპს იოსების ცხოვრებაში. იმის გამო, რომ იოსები თავს განცალკევებით იყენებდა ეგვიპტის ცოდვებისგან, ის გახდა მოწმედ ფარაონის წინაშე. „ნუთუ ვიპოვით ასეთ კაცს, რომელშიც ღვთის სულია?“ (დაბადების 41:38). იოსებს ეგვიპტელებივით რომ ეცხოვრა, მას არასოდეს მიეცემოდა შესაძლებლობა, ყოფილიყო მოწმედ ფარაონის წინაშე.

იესო ლოცულობდა, რომ მისი მიმდევრები ყოფილიყვნენ ქვეყნიერებაზე, მაგრამ არა ქვეყნიერებისანი. ეს ფრაზა ზოგჯერ არასწორად არის გაგებული ქრისტიანების მიერ, რომლებსაც სურთ იცხოვრონ გულმოდგინედ, ღვთისმოსავი ცხოვრებით. ისინი შეცდომით ფიქრობენ, რომ „ქვეყნიერებაზე“ ყოფნა აუცილებელი ბოროტებაა, რომელიც ღვთის ხალხმა სამოთხისკენ მიმავალ გზაზე უნდა გადაიტანონ.

თუმცა, გახარებული, რომ მისი მიმდევრები „ქვეყნიერებისგან არ არიან“, იესო ლოცულობდა: „როგორც შენ მომავლინე ქვეყნიერებაზე, მეც ასევე მივავლინე ისინი ქვეყნიერებაზე“ (იოანეს 17:16-18). იესო ლოცულობდა, რომ მის მიმდევრებს ეფექტურად ემსახურათ ქვეყნიერებაზე. იესო ლოცულობდა, რომ ჩვენ არ ვიყოთ „ქვეყნიერებისგან“, სანამ „ქვეყნიერებაზე“ ვართ წარგზავნილნი. ცოდვისგან განშორებულებმა შეგვიძლია შევასრულოთ ჩვენი მოწოდება, შევცვალოთ სამყარო. როგორც ღვთის შვილები, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მარილი და სინათლე ცოდვილი ქვეყნიერებისთვის.

მოციქულებმა იცოდნენ, რომ წმიდად ცხოვრება დამოწმებაა ქვეყნიერებისთვის. პეტრემ მოუწოდა მორწმუნებს ეცხოვრათ ღვთისმოსაობით, როგორც მოწმეებს ურწმუნოთა წინაშე:

კეთილად მოიქეცით წარმართთა შორის, რათა რაშიც გაძაგებენ, როგორც ბოროტმოქმედებს, იმაში დაინახონ თქვენი კეთილი საქმეები და ადიდონ ღმერთი მონახულების დღეს (1 პეტრეს 2:12).

პავლემ მისწერა ტიტეს, კუნძულ კრეტას ეკლესიის წინამდლოლს. იქ მორწმუნები გარშემორტყმული იყვნენ წარმართებით. პავლემ უთხრა ტიტეს, რომ ქრისტიანებმა უნდა იცხოვრონ „რათა ყოველნაირად შეამკონ ჩვენი მაცხოვარი ღვთის მოძღვრება“ (ტიტეს 2:10). რადგან ქრისტიანები წმიდა ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მათი ქცევა სახარებას „ამშვენებდა“. წმიდა ადამიანების ქცევა, სახარებას მიმზიდველს გახდის ჩვენს სამყაროში.

პავლემ ფილიპეში მცხოვრებ ქრისტიანებს ღვთისმოსაობისკენ მოუწოდა. ისინი ცოდვისგან განშორებულები უნდა დარჩენილიყვნენ. ისინი უნდა ყოფილიყვნენ „უბიწონი და სუფთანი, ღვთის შეუბილწავი შვილები ჭირვეულ და უკუღმართ თაობაში, რომელშიც ისე ანათებენ, როგორც მნათობები სამყაროში“ (ფილიპელთა 2:15).

როდესაც ღვთის ხალხი წმიდა ცხოვრებით ვცხოვრობთ, ჩვენ „ვანათებთ, როგორც მნათობები სამყაროში.“ ღვთის შვილების ცხოვრება უნდა იყოს ნათელი მოწმობა ბნელ სამყაროში. ცოდვისგან განშორება არ არის რჯულისმიერი მცდელობა „ხსნის მოსაპოვებლად.“ ცოდვისგან განშორება საშუალებას გვაძლევს შევასრულოთ იესოს მოწოდება, ვიყოთ „ქვეყნიერების სინათლე“ და „მიწის მარილი“ (მათეს 5:13-14). წმიდა ხელები ძლიერი მოწმობაა ჩვენი სამყაროსთვის.

### ბიბლიური გამოყოფის პრინციპები

ბევრი ადამიანისთვის „ქვეყნიერებისგან გამოყოფა“ არის იმის სია, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. ხშირად განშორება (გამოყოფა) განისაზღვრება წესების ჩამონათვალით. ბევრი ადამიანი ამას განსაზღვრავს ტანსაცმლის ჩამონათვალით, რომელსაც

არ ჩაიცვამს, ადგილებით, სადაც არ წავლენ და გართობებით, რომელში მონაწილეობასაც არ მიიღებენ.

რა თქმა უნდა, მართალია, რომ წმიდა ადამიანები არ ჩაიცვამენ გარკვეული სახის ტანსაცმელს და არ წავლენ გარკვეულ ადგილებში. წმიდა ადამიანს სურს ასიამოვნოს ღმერთს ცხოვრების ყველა სფეროში. თუმცა, ცოდვისგან გამოყოფა და ღმერთისთვის გამოყოფა უფრო მეტია, ვიდრე წესების ჩამონათვალი.

გამოყოფის მხოლოდ წესების სიით განსაზღვრის ერთ-ერთი პრობლემა იმაშია, რომ წესები იცვლება დროთა განმავლობაში, ხშირად მცირე ახსნა-განმარტებით. ერთი ეკლესია განსაზღვრავს გამოყოფას თავის წესების სიით; სხვა ეკლესია, თავისი წესებით. უკეთესი მიდგომაა, ამის განსაზღვრა ბიბლიური პრინციპებით, რომლებიც ჭეშმარიტია ნებისმიერ დროს და ყველა კულტურაში.

როგორც ქრისტიანები, ჩვენი ცხოვრების წესი უნდა ასახავდეს ღვთის სიტყვისადმი ჩვენს მორჩილებას და სულიწმიდის ხელმძღვანელობას. თუ ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ ადამიანები, რომლებიც გამოყოფილნი ვართ ღმერთისთვის, როგორც „წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი,” (1 პეტრეს 2:9). ჩვენ ნებით დავემორჩილებით მისი სიტყვის სწავლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია პირდაპირ არ ეხება თანამედროვე ცხოვრების ბევრ ასპექტს, ის ადგენს პრინციპებს, რომლებიც გვიხელმძღვანელებს. რა პრინციპებით უნდა იმართებოდეს წმიდა ადამიანის ცხოვრების წესი?

### (1) მოკრძალების პრინციპი

მოკრძალების პრინციპი ადასტურებს, რომ ჩვენმა ჩაცმულობამ და ქცევამ პატივი უნდა სცეს ღმერთს და თავიდან უნდა ავიცილოთ ყველაფერი, რაც სამარცხვინოა მის თვალში. ჩვენი ჩაცმულობა და ქცევა იმართება ჩვენი, ღმერთის განდიდების სურვილით.

მთელს ბიბლიაში სიშიშვლე იყო სამარცხვინო. მას შემდეგ, რაც შესცოდეს, ადამს და ევას შერცხვათ, რადგან „მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ“ (დაბადების 3:7). ასე რომ, მათ „გადააკერეს ლეღვის ფოთლები და არდაგები გაიკეთეს“. როდესაც ღმერთი მათ ბალში შეხვდა, მან უფრო სრულყოფილი „გაუმზადა უფალმა ღმერთმა ადამსა და მის ცოლს ტყავის სამოსელი და შემოსა“ (დაბადების 3:21).

წმიდა წერილის დანარჩენ ნაწილშიც სიშიშვლე სირცხვილის ნიშანია.<sup>12</sup> წინასწარმეტყველები იყენებდნენ სიშიშვლეს, როგორც ღვთის სასჯელის სიმბოლოს (ესაიას 20:1-4; ოსიას 2:3; ეზეკიელის 23:29). როგორც ღვთის ხალხი, ჩვენმა ჩაცმულობამ უნდა გამოხატოს, რომ პატივს

<sup>12</sup> (მაგალითად, სიშიშვლე იყო ღვთის სასჯელის სიმბოლო (ოსიას 2:3; ეზეკიელის 23:29)

ვცემთ მოკრძალების ღვთიურ ნორმებს. ჩვენც უნდა შეგვრცხვეს სიშიშვლის, რომელიც ღვთის წინასწარმეტყველთათვის სირცხვილის სიმბოლო იყო. ჩვენი ტანსაცმელი უნდა იყოს ისეთი, რომ წარმოაჩენდეს ღვთის წმიდა და სუფთა ხალხს.

მოკრძალება ბიბლიაში მოიცავდა განსხვავებას სქესებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლია არ განსაზღვრავს ისრაელიანების ტანსაცმლის კონკრეტულ ფორმებს, ღმერთმა უბრძანა თავის ხალხს, შეენარჩუნებინათ გენდერული განსხვავება მათ ტანსაცმელს შორის (მეორე რჯულის 22:5).

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ ჩვენმა მორთულობამ უნდა აჩვენოს, რომ ჩვენ ღვთის ხალხი ვართ. პავლემ დააპირისპირა ორი სახის მორთულობა:

ასევე დედაკაცებიც, შესაფერისი სამოსლით, მორცხვობით და თავშეკავებით შემკულნი; არა ნაწნავებითა და ოქროთი ან მარგალიტებითა და ძვირფასი ტანსაცმლით, არამედ კეთილი საქმეებით, როგორც შეჰვერით დედაკაცებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა ირჩიეს (1 ტიმოთეს 2:9-10).

პავლე კრძალავს, სამკაულებისა და ტანსაცმლის, ასევე თმის საჩვენებელი სტილით ექსტრავაგანტულ გაფორმებას. ამავე დროს, პავლე აფასებს „შესაფერისი სამოსლით“ მორთულობას, რომელიც „შეჰვერით დედაკაცებს, რომლებმაც ღვთისმოსაობა ირჩიეს.“ ეს არის „კეთილი საქმეებით“ მორთულობა, რომელიც ქრისტიანებმა უნდა ეძიონ.

პავლეს სწავლება გვიჩვენებს დამოკიდებულებას გარეგნულ მორთულობასა და შინაგან სულს შორის. პავლეს ტიმოთესადმი მიწერილი წერილის ამ ნაწილში ის მოუწოდებს ეკლესიაში ლოცვისკენ. ის ეუბნება ტიმოთეს, თუ როგორ უნდა ილოცონ ქრისტიანებმა. ის თითოეული სქესის საკითხს ეხება.

პავლე წერს, რომ კაცები უნდა ლოცულობდნენ „რისხვისა და ეჭვის გარეშე.“ ჩვენ არ უნდა შევიდეთ ღვთის თანდასწრებაში რისხვის სულით. პავლე წერს, რომ ქალებმა უნდა ილოცონ მოკრძალებისა და მორჩილების სულით; ეს აისახება თუნდაც ტანსაცმელსა და მორთულობაში. ჩვენ არ უნდა მივიდეთ ღმერთის წინაშე სიამაყითა და საკუთარი თავის დიდებით. წმიდა ადამიანებს აქვთ მოკრძალება, რომელიც აისახება მათი ცხოვრების ყველა სფეროში.

პეტრემ იგივე დამოკიდებულება გაგვაცნო გარეგნობასა და შინაგან სულს შორის.

ზედაპირული ნუ იქნება თქვენი მშვენება: თმის ნაწნავებში, ოქროს სამკაულებსა ან ჩაცმულობაში, არამედ შინაგან, დაფარულ კაცში, უხრწენელ სილამაზეში, ფაქიზ და მშვიდ სულში, რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე. ასე იმკობდნენ თავს

წარსულში ღმერთის მოიმედე წმიდა ცოლები, ემორჩილებოდნენ რა თავიანთ ქმრებს... (1 პეტრეს 3:3-5).

პავლეს მსგავსად, პეტრეც გამოყოფს ორი სახის მორთულობას. ის კრძალავს დახვეწილი ვარცხნილობებით, სამკაულებით და ტანსაცმლით გარეგნულ მორთულობას. შემდეგ ის ბრძანებს შინაგანად შემკობას „ფაქიზ და მშვიდ სულში, რაც ესოდენ ძვირფასია ღმერთის წინაშე.“ წმიდა ადამიანები უფრო მეტად ზრუნავენ იმაზე, რომ იყვნენ „ძვირფასები ღმერთის თვალში“, ვიდრე იყვნენ მოწონებულები ამ სამყაროს მიერ. „ასე იმკობდნენ თავს ღმერთის მოიმედე წმიდა ცოლები.“

როგორც ქრისტიანები, ჩვენი გართობა უნდა ასახავდეს, რომ ჩვენ გამოყოფილები (მიძღვნილები) ვართ ღმერთისთვის. პავლე გვარიგებს, რომ ქრისტიანებმა უნდა შევივსოთ გონება იმით, რაც უფრო მეტად დაგვამსგავსებს ქრისტეს.

და ბოლოს, ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც უმანკოა, რაც საყვარელია, რაც სასახელოა, ყოველივე, რაც მოსაწონი და სანაქებოა, იმაზე იფიქრეთ (ფილიპელთა 4:8).

როგორც წმიდა ხალხი, ცხოვრების ყველა სფეროს ღმერთი უნდა აკონტროლებდეს. როდესაც ლევიანთა წიგნს ვკითხულობთ, ვხედავთ, რომ არაფერია ისეთი მცირე და უმნიშვნელო, რომ ღვთის ყურადღებას იმსახურებდეს. მისთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია! ეს არა იმის გამო, რომ ღმერთი ტირანია, რომელსაც სურს გააკონტროლოს ცხოვრების ყველა სფერო. ეს იმიტომ ხდება, რომ ღმერთი მოსიყვარულე მამაა, რომელიც ზრუნავს თავისი შვილების ცხოვრების ყველა ასპექტზე. ჩვენს ზეციერ მამას არ სურს, რომ მისმა შვილებმა ჩაიცვათ ტანსაცმელი, რომელიც შეურაცხყოფს იმ სხეულს, რომელიც მან სიყვარულით შექმნა. ჩვენს ზეციერ მამას არ სურს, რომ მისმა შვილებმა გონება აივსონ გართობით, რომელიც შთააგონებს ცოდვილ და სამარცხვინო აზრებს. ჩვენ ვართ „მისი სამკვიდრებელი ხალხი“ და ის ზრუნავს ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტზე.

► გამოიყენეთ მოკრძალების პრინციპი, რომელიც თქვენს კულტურაშია მიღებული. რა სფეროებია (როგორც ჩაცმულობა, ასევე ცხოვრების წესი) გამოწვევა თქვენს სამყაროში მოკრძალების შესანარჩუნებლად?

## (2) სახლმმართველობის პრინციპი

სახლმმართველობის პრინციპი ადასტურებს, რომ ყველაფერი რაც გვაქვს ღმერთს ეკუთვნის. როგორც ღვთის შვილები, ჩვენ ვიყენებთ ჩვენს ფულს და რესურსებს ისე, რომ პატივი მივაგოთ მას.

მეთვრამეტე საუკუნეში ზოგიერთი ქრისტიანი იცავდა ჩაცმულობის მკაფრ სტილს. მათ უარი თქვეს ტანსაცმლის ნებისმიერ მორთულობაზე. ტანსაცმელზე არ ატარებდნენ მზზინავ ღილებს; მამაკაცებს არ ეკეთათ ჰალსტუხი; ეცვათ მხოლოდ ნაცრისფერი ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმელი. ეს აჩვენებდა, რომ ისინი ძალიან მოკრძალებულები იყვნენ.

თუმცა, ჯონ უესლიმ იქადაგა ჩაცმულობის შესახებ ქადაგება, რომელშიც ჩიოდა, რომ მოკრძალების ეს გამოვლინება მხოლოდ გარეგანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტანსაცმელი მარტივი ჩანდა, ზოგიერთმა ქრისტიანმა უგულებელყო სახლმართველობის პრინციპი. ისინი ლონდონიდან პარიზში მიემგზავრებოდნენ, რათა თავიანთი ტანსაცმლისთვის ყველაზე ძვირადღირებული მასალები ეყიდათ. დიახ, ისინი ყიდულობდნენ მხოლოდ ნაცრისფერ ქსოვილს - მაგრამ ყიდულობდნენ ძვირადღირებულ ქსოვილს, თავიანთი სიმდიდრის წარმოსაჩენად. ისინი მოკრძალებულები იყვნენ, მაგრამ არ იყვნენ ღვთის ფულის კარგი მმართველები (ჯონ უესლი, "ჩაცმულობის შესახებ" ჯონ უესლის ნაშრომებიდან, (Grand Rapids: Baker Books, 1996)).

უესლი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ქვეყნიერებისგან გამოყოფა ნიშნავს, იყო ფულის კარგი მმართველი, რომელსაც ღმერთი გვაძლევს. ის ქადაგებდა, რომ წმიდა ადამიანმა არ უნდა დახარჯოს ფული ექსტრავაგანტულ, გამომწვევ ტანსაცმელში. შესაძლებელია მოკრძალებული ტანსაცმელი ატაროთ, მაგრამ იყოთ მფლანგველი არჩევანში. პავლემ თქვა, რომ ჩვენი მორთულობა არ უნდა იყოს „ძვირფასი ტანსაცმელი“ (1 ტიმოთეს 2:9).

სახლმართველობის პრინციპი არ ნიშნავს ყოველთვის ყველაზე იაფი ნივთის ყიდვას. ხანდახან კარგი ხარისხის ტანსაცმელი, რომელიც უფრო ძვირია, გაცილებით დიდხანს გაძლებს. ზოგიერთი ეკლესია ზოგავს 100 დოლარს იაფი სანტექნიკის დაყენებით - და შემდეგ ხარჯავს ასობით დოლარს გაუონვის გამოსასწორებლად! ეს არის ცუდი სახლმართველობა.

სახლმართველობის პრინციპი ამბობს: „ჩვენ ვართ იმ ფულის მმართველები, რომელიც ღმერთმა მოგვანდო. ის გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ ვართ განმკარგავნი იმ ტალანტებისა, რომელიც ღმერთმა მოგვცა. უნდა გამოვიყენოთ ის მისი დიდებისთვის. ყველაფრით, რასაც ვაკეთებთ, მას პატივს უნდა მივაგებდეთ.“

► გამოიყენეთ სახლმართველობის პრინციპი, რომელიც თქვენს კულტურაშია მიღებული. როგორ შეიძლება თქვენი ეკლესიები იყვნენ ღვთის რესურსების კარგი მმართველები?

### (3) ზომიერების პრინციპი

ზომიერების პრინციპი ადასტურებს, რომ ჩვენ არ მივცემთ უფლებას "რამეებს" (თუნდაც კარგ რამეებს) გააკონტროლონ ჩვენი ცხოვრება. ერთ-ერთი გამოწვევა იმისა, რომ ქვეყნიერებაზე

ვიყოთ, მაგრამ არა ქვეყნიერნი არის ის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყნიერებაზე! ჩვენს სამყაროში არის ბევრი რამ, რომლითაც შეგვიძლია და უნდა ვისარგებლოთ. წმიდა ცხოვრება მოითხოვს თავშეკავებას ან ზომიერებას კარგ რაღაცებშიც კი.

მაგალითად ავიღოთ საჭმელი. შიმშილი ბუნებრივი გრძნობაა; ეს არ არის ცოდვილი გრძნობა. პავლემ დაწერა, რომ უნდა ვჭამდეთ „ღვთის სადიდებლად“ (1 კორინთელთა 10:31). ჭამა ცოდვა არ არის. მაგრამ, თუ მე ვარ გაუმაძლარი, რომელსაც არ გააჩნია თვითკონტროლის უნარი, მე არ ვჭამ ღვთის სადიდებლად. ქვეყნიერება ჭამს საკუთარი თავის დაკმაყოფილებისთვის; თუ კვებით ჩვევებში თავშეუკავებელი ვარ, მე „ქვეყნიერებისგან“ ვარ. ამის ნაცვლად, მე უნდა ვჭამო „ღვთის სადიდებლად.“ ეს ნიშნავს, რომ მე ვავლენ თვითკონტროლს და ვტკბები იმ კარგი საკვებით, რომელსაც ღმერთი მაძლევს.

კორინთელები ამტკიცებდნენ, რომ მათ შეეძლოთ სექსუალური უზნეობის ჩადენა, რადგან ისინი ღვთის სულიერი შვილები იყვნენ და სხეულს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ისინი ამბობდნენ: „საჭმელი მუცლისთვისაა, ხოლო მუცელი საჭმლისთვის.“ მათ თავიანთი კულტურიდან ჰქონდათ მოსაზრება, რომ სხეულს უფლება აქვს მიიღოს ყველაფერი, რაც სურს.

საპასუხოდ პავლემ კორინთელთა სწავლებების ციტირება მოახდინა და შემდეგ უარყო ცრუ იდეები, რომლებიც მათ სწავლებებს ემყარებოდა. „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები. „საჭმელი მუცლისთვის, ხოლო მუცელი საჭმლისთვის; ღმერთი კი ერთსაც მოსპობს და მეორესაც“ (1 კორინთელთა 6:12-20). ის აგრძელებს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოები არიან?“ პავლე ასკვნის: „თქვენს თავს არ ეკუთვნით, ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენს სხეულებში.“

პავლეს პრინციპი ასეთია - მართლზომიერმაც კი არ უნდა გაგვაკონტროლოს. ღმერთს აქვს ძალაუფლება ქრისტიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე, ჩვენს სხეულებზეც კი. ყოველივეთი, რასაც ვაკეთებთ, პატივი უნდა მივაგოთ ღმერთს. ეს მოითხოვს, რომ ვიცხოვროთ ზომიერებითა და თვითკონტროლით.

როგორ ვლინდება ეს ყოველდღიურ ცხოვრებაში? ეს ნიშნავს თვითკონტროლს იმაში თუ რას ვჭამთ და ვსვამთ. ეს ნიშნავს თვითკონტროლს გართობის დროს. მე, როგორც წმიდა პიროვნება, „არაფერს დავემონები.“ სრულიად უდანაშაულო გართობაც კი არასწორია (ჩემთვის), თუ ჩემზე დომინირებს. ზომიერების პრინციპი ასწავლის თვითკონტროლს ყველა სფეროში.

ნება მომეცით, მოვიყვან პირად მაგალითს. უნდა გესმოდეთ, რომ ეს თქვენთვის წესი არ არის! მე ვიყენებ ამ მაგალითს იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება ეს პრინციპები იყოს დაკავშირებული პირად სისუსტეებთან და პიროვნულ თვისებებთან.

ვიყიდე ახალი კომპიუტერი, მასში იყო თამაში, რომელსაც "ტეტრისი" ჰქვია. თამაშში ცუდი არაფერია. ეს არ არის ძალადობრივი ან სექსუალური თამაში. ეს მარტივი თავსატეხია. თუმცა, მალევე მივხვდი, რომ ეს თამაში ჩემზე "დომინირებდა"! დავჯდებოდი სამუშაოდ - და მალევე ვიწყებდი თამაშს. ვიტყოდი: "შევისვენებ მუშაობისგან და ცოტას ვითამაშებ ტეტრისს". ოცდაათი წუთის შემდეგ ვიტყოდი: "კიდევ ერთ თამაშს დავასრულებ". ერთი საათის შემდეგ ისევ ვთამაშობდი. ბოლოს ღმერთმა შემახსენა ზომიერების პრინციპი. „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ მე არაფერს დავემონები.“

ამის გამო გავიგე, რომ ტეტრისი უნდა წავშალო კომპიუტერიდან. არის თუ არა ეს ბიბლიური „წესი“? არა! ბიბლიაში არსადაა ნახსენები სიტყვა ტეტრისი! მაგრამ ჩემთვის ზომიერების პრინციპი ნიშნავს თამაშის თავიდან აცილებას, რომელსაც შეუძლია ჩემი კონტროლი.

პრინციპები უფრო ფართოა, ვიდრე წესები. არ არსებობს ბიბლიური სწავლება ტეტრისის წინააღმდეგ. თუ ტეტრისი თქვენი საყვარელი თამაშია, არ არის საჭირო ჩემს გამო მიატოვოთ. მაგრამ ჩემთვის, ჩემი სისუსტის გამო, ტეტრისი მახეა. თუ ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით, ღმერთს ვკითხავთ: „როგორ ვიცხოვრო ისე, რომ შენ გაამო?“

► გამოიყენეთ ზომიერების პრინციპი რომელიც თქვენს კულტურაშია მიღებული. რა სფეროებია გამოწვევა თქვენს ცხოვრებაში ბიბლიური ბალანსის შესანარჩუნებლად?

#### (4) მართებულობის პრინციპი

როდესაც ტიმოთე, ბერძენი მამისა და ებრაელი დედის ვაჟი, შეუერთდა პავლეს და სილას მათი მისიონერული მოგზაურობისას, პავლემ მოითხოვა ტიმოთეს წინადაცეთა ეფექტური მსახურების მიზნით (საქმეების 16:3). მანამდე, პავლემ უარი თქვა ახალმოქცეული ბერძენი ტიტეს წინადაცეთაზე (გალატელთა 2:3). ამ სიტუაციებში პავლეს განსხვავებული მიდგომები გვასწავლის მსახურების მნიშვნელოვან პრინციპს.

ტიტეს შემთხვევაში, პავლე მხარს უჭერდა ჭეშმარიტებას, რომ ჩვენ რწმენის მეშვეობით, მადლით ვართ დახსნილნი. მოქცეული წარმართისგან ებრაული რჯულის დაცვა ძირს უთხრის ქრისტიანული თავისუფლების გზავნილს. პავლე მტკიცედ დაუპირისპირდა მათ, ვისაც სურდა მოეთხოვა ტიტეს წინადაცეთა (გალატელთა 2:1-6). მოციქულთა საქმეების მე-15 თავში იერუსალიმის ეკლესიამ აღიარა, რომ წინადაცეთა არ იყო საჭირო მოქცეული წარმართებისვის.

მოციქულთა საქმეების მე-16 თავში პავლემ ტიმოთეს სთხოვა წინადაცეთა. რატომ? არა გადარჩენის მიზნით, არამედ სინაგოგებში ეფექტური მსახურების მიზნით.

► წაიკითხეთ 1 კორინთელთა 9:19-23.

პავლეს იგივე პრინციპი ილუსტრირებულია კორინთელთა მიმართ წერილში. სახარების გულისთვის პავლე მზად იყო გაეღო მსხვერპლი იმ სფეროებში, რომლებიც ბიბლიურ პრინციპებთან არ იყო დაკავშირებული. ის არ წასულა კომპრომისზე ბიბლიურ მრწამსთან, მაგრამ შესწირა თავისი თავისუფლებები მსახურების გულისთვის.

ეს მიუთითებს ქრისტიანებისთვის მნიშვნელოვან პრინციპზე. ზოგიერთი რამ შეიძლება იყოს შესაბამისი ერთ სიტუაციაში და არა მიზანშეწონილი მეორეში. ეფექტური მსახურების მიზნით, ლიდერმა შეიძლება დათმოს გარკვეული „თავისუფლებები“ ისეთ სფეროებში, რომლებიც არ შეურაცხყოფს მის საკუთარ რწმენას. ეს არ არის ბიბლიური სწავლების სფეროები, არამედ პირადი რწმენისა და კულტურული პრაქტიკის სფეროები.

გარი მისიონერია აფრიკაში. ის გრძელ წვერს იზრდის. მის ქვეყანაში წვერი ასაკისა და ავტორიტეტის სიმბოლოა. ტომის ბელადი ყოველთვის ატარებს გრძელ წვერს. გარის წვერი პატივისცემას იმსახურებს მათ შორის, ვისთანაც ის ცდილობს სახარების გავრცელებას. ის წვერს ატარებს მართებულობის პრინციპის გამო.

რიკი მისიონერია აზიაში. რიკის ქვეყანაში წვერი ასოცირდება უსუფთაობასთან და მოუწესრიგებელ გარეგნობასთან. ამ ქვეყანაში გადასვლისთანავე რიკმა დაინახა, რომ მისი წვერი შეზღუდულია მის ეფექტურობას. მან წვერი მართებულობის პრინციპის გამო გაიპარსა.

წვერი სწორია თუ არასწორი? არცერთი! ორივემ ისწავლა მართებულობის პრინციპის დაცვა - რა არის საუკეთესო იმ სიტუაციისთვის, რომელშიც ღმერთი მაყენებს?

► იპოვეთ სფეროები, სადაც მართებულობის პრინციპი მოითხოვს, რომ გაწიროთ თქვენი პირადი თავისუფლებები, რათა მიაღწიოთ გარშემოყოფებს ქრისტესთვის?

#### (5) პასუხისმგებლობის პრინციპი: ვის წინაშე ვარ პასუხისმგებელი?

მე ხშირად ვეკითხები ჩემს კოლეჯის სტუდენტებს: „გირჩევნიათ წესები თუ პრინციპები თქვენი საერთო საცხოვრებლის სახელმძღვანელოსთვის?“ ისინი ჩვეულებრივ მპასუხობენ: „ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ პრინციპებს!“

შემდეგ ვეკითხები: „რისი მორჩილება უფრო ადვილია: წესის, რომელიც ამბობს: „შუქი შუაღამისას უნდა ჩაქრეს“ თუ პრინციპის, რომელიც ამბობს: „თქვენ ემზადებით მსახურებისთვის“. დაიმინეთ საკმარისად ადრე, რომ კარგად დაისვენოთ და მზად იყოთ ყოველ დილით პირველ გაკვეთილამდე ყურადღება გაამახვილოთ კლასის სამუშაოზე“? სტუდენტები მალევე ხვდებიან, რომ პრინციპი მოითხოვს ჩვენგან ბევრად მეტს, ვიდრე მარტივი წესი!

პრინციპები შეიძლება რთული იყოს. ერთ-ერთი გასაღები არის იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ ვპასუხობთ ღმერთს გამოყოფის საკითხში. არ შეიძლება გქონდეთ წესი, რომელიც ამბობს: „\_\_\_\_\_ გრამი საკვები დღეში ზომიერია. ამაზე მეტი სიხარბეა და გაუმაძლრობა.” ეს შეუძლებელია! ამის ნაცვლად, უნდა გვახსოვდეს, რომ მე ვარ პასუხისმგებელი ღმერთის წინაშე თვითკონტროლის საკითხში.

ერთი ადამიანი შეასრულებს საოფისე სამუშაოს, რომელიც მოითხოვს კარგ კოსტუმებს; სხვა ადამიანი ცუდი მენეჯერი იქნება, თუ ფერმაში სამუშაოდ კარგ კოსტუმს იყიდის!

ღმერთმა შეიძლება განსხვავებული რწმენა მისცეს სხვადასხვა ადამიანს მათი მსახურების პირობების, მათი წარმომავლობისა და ცოდვების მიხედვითაც კი, რომლისკენაც მათ მიდრეკილება აქვთ. ჩვენ ყველა ერთნაირები არ ვართ; ჩვენ ყველა ერთმანეთს არ ვგავვართ. ჩვენს ძმებსა და დებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ცხოვრების წესი. სანამ განსხვავებები არ ეწინააღმდეგება წმიდა წერილის სწავლებებს, ეს განსხვავებები შეიძლება იყოს ბიბლიური თავისუფლების ნიშანი.

ამის გამო ორი რამ უნდა მახსოვდეს:

1. მე არ უნდა განვსაჯო სხვა ადამიანის გული. ისინი პასუხისმგებელნი არიან ღმერთთან ქვეყნიერებისგან მათი გამოყოფისთვის (რომაელთა 14:4).
2. გულდასმით უნდა განვსაჯო ჩემი გული. მე ვარ პასუხისმგებელი ღმერთთან ქვეყნიერებისგან ჩემი გამოყოფისთვის.

### მათ მიაკვლიეს საიდუმლოს - გრაფი ცინცენდორფი და მორავიელები

მეთვრამეტე საუკუნეში ქრისტიანთა ჯგუფი მორავიიდან, დევნისგან თავის დასაღწევად, გერმანიაში გაიქცა. ისინი დასახლდნენ გრაფი ნიკოლაუს ფონ ცინცენდორფის მამულში, რომელიც მათი ლიდერი გახდა. ჰერნჰუტში ამ მამულში, ცხოვრობდა 300-ზე მეტი მორავიელი, რამდენიმე წლის მანძილზე.<sup>13</sup>



მორავიელები ჭეშმარიტი სიწმიდის მიმდევრები იყვნენ. ისინი ცხოვრობდნენ უბრალო ცხოვრებით და ხელმძღვანელობდნენ წმიდა წერილის პრინციპებით. ისინი ცნობილნი იყვნენ ბიბლიის გულდასმით შესწავლითა და ლოცვისადმი ერთგულებით. 1727 წელს მორავიელებმა საფუძველი ჩაუყარეს ლოცვით

<sup>13</sup> Image: "Portrait of Count Zinzendorf" by J. Archer, *The Life of Nicholas Lewis Count Zinzendorf* (1838), retrieved from [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Portrait\\_of\\_Count\\_Zinzendorf.jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Portrait_of_Count_Zinzendorf.jpg), public domain.

შეხვედრას, რომელიც გრძელდებოდა ყოველდღე თცდაოთხი საათის მანძილზე, ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

მორავიელები ცდილობდნენ მთლიანად ღმერთის კუთვნილებად ყოფილიყვნენ. რა შედეგი მოჰყვა გამოყოფილი (მიძღვნილი) ცხოვრებისადმი ამ ერთგულებას? ღმერთმა ისინი ძლიერად გამოიყენა.

მორავიელებმა დიდი გავლენა მოახდინეს სხვა ქრისტიანებზე. მორავიელმა მისიონერმა პეტერ ბელერმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯონ და ჩარლზ უესლის მოქცევაში. რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც ჯონ უესლი დარწმუნდა, რომ მიიღო ხსნა მორავიის სამლოცველოში ოლდერსგეიტის ქუჩაზე, ის გაემგზავრა ჰერნჰუტში, რათა მეტი გაეგო ამ ერთგული მორწმუნების სულიერი გამოცდილების შესახებ. უესლებიდან უილიამ კერიმდე, ერთგულ ქრისტიანებზე გავლენას ახდენდა, მორავიელების სიწმიდისკენ სწრაფვა.

მორავიელებს მიჰქონდათ მძლავრი ევანგელისტური მოწმობები მთელ მსოფლიოში. 1727 წლის ლოცვის შეხვედრის დაწყებიდან ექვს თვეში, ოცდაექვსმა ახალგაზრდა მორავიელმა მოხალისემ დაიწყო მისიონერული მსახურება - იმ დროს, როდესაც უცხოური მისიები თითქმის უცნობი იყო პროტესტანტულ ეკლესიებში. მეთვრამეტე საუკუნეში 300-ზე მეტი მისიონერი გაიგზავნა გამოყოფილი ქრისტიანების ამ მცირე ჯგუფიდან. ზოგიერთი პირველი პროტესტანტი მისიონერი მორავიელებმა გაგზავნეს. ქრისტიანები, რომლებიც გამოყოფილნი არიან ღმერთისთვის, შეიძლება გამოყენებული იყვნენ ღვთის მიერ, მათი სამყაროს გარდაქმნისთვის.

#### მე - 4 გაკვეთილის მიმოხილვა

(1) იყო წმიდა ნიშნავს, იყო გამოფოფილი ან მიძღვნილი ღმერთისთვის. მაგალითები მოიცავს:

- წმიდა დღე
- წმიდა საგნები
- წმიდა ადგილები
- წმიდა ტომი

(2) იყო წმიდა ნიშნავს იყო ცოდვისგან განშორებული (გამოყოფილი). რადგან ღმერთს სძულს ცოდვა, ღვთის ხალხსაც სძულთ ცოდვა.

(3) იყო წმიდა ნიშნავს იყო ღმერთისთვის გამოყოფილი (მიძღვნილი). ცოდვისაგან განშორების მიზანი ღმერთისთვის გამოყოფაა.

(4) წმიდა ადამიანები ცოდვისგან თავს შორს იჭერენ. ღმერთთან ახლოს ცხოვრება ნიშნავს, ცოდვისგან შორს ცხოვრებას.

(5) წმიდა ცხოვრებამ მოამზადა ისრაელი მსოფლიოს მოწმედ. წმიდა ცხოვრება ქრისტიანებს შესაძლებლობას აძლევს მსოფლიოს დაუმოწმოს.

(6) ბიბლიური გამოყოფა იწყება გულიდან.

(7) ქვეყნიერებისგან გამოყოფის პრინციპები მოიცავს:

- მოკრძალების პრინციპი
- სახლმართველობის პრინციპი
- ზომიერების პრინციპი
- მართებულობის პრინციპი
- პასუხისმგებლობის პრინციპი

### **გაკვეთილის დავალებები**

(1) აირჩიეთ ერთი საკითხი, რომელშიც გამოყოფა რთულია თქვენი საზოგადოების ქრისტიანებისთვის. ამ თავში მოცემული პრინციპების გამოყენებით, დაწერეთ 1-2 გვერდიანი ნარკვევი, სადაც მიგვანიშნებთ, თუ როგორ შეიძლება ქრისტიანები გამოეყონ ცოდვას და მიუძღვნან თავი ღმერთს, თქვენს მიერ არჩეულ საკითხის მიხედვით.

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი 2 კორინთელთა 6:16—18-ის წაკითხვით.



## გაკვეთილი 5

### სიწმიდე განუყოფელი გულია - „იყავი სრულყოფილი“

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გაიგოს, რომ ძველი აღთქმის ტერმინი „სრულყოფილი“ აღნიშნავს განუყოფელ გულს.
- (2) გაიაზროს გაყოფილი გულის სულიერი საფრთხე.
- (3) გადასცეს თავი ღმერთს, უდავო „დიახ“-ით.
- (4) დაიმახსოვროს ფსალმუნის 85:11—12.

#### ხალები: კაცი განუყოფელი გულით

ისრაელიანები ხალხი მზად იყვნენ ქანაანში შესასვლელად. ღმერთმა მათ უდაბნო გადაალახვინა და ისინი მხოლოდ რამდენიმე წუთის სავალზე იყვნენ აღთქმული მიწიდან. მოსემ გაგზავნა თორმეტი მზვერავი მიწის შესასწავლად. ორმოცი დღის შემდეგ მზვერავები დაბრუნდნენ მშვენიერი ყურძნით და ქანაანის საოცრებებზე ინფორმაციით. მაგრამ, ისინი ამბობდნენ რომ, ქანაანელები ძლიერები არიან და დიდ ქალაქებში ცხოვრობენ. მათ თვალში კალიებივით ვჩანდითო!

მხოლოდ ორ მზვერავს, იესო ნავეს ძეს და ხალებს სჯეროდათ ღვთის დაპირების, გამარჯვების შესახებ. ხალებმა თქვა: „წავიდეთ და დავიმკვიდროთ ის ქვეყანა, რადგან ძალგვიძს მათი ძლევა“ (რიცხვთა 13:31). იესო ნავეს ძემ და ხალებმა ნახეს იგივე მიწა, რაც სხვა მზვერავებმა. მათ დაინახეს ქალაქები უზარმაზარი კედლებით. მათ დაინახეს დიდი მეომრები.

მაგრამ იესო ნავეს ძემ და ხალებმა დაინახეს ის, რაც სხვა მზვერავებმა ვერ დაინახეს - მათ დაინახეს, რომ ღმერთი, რომელმაც ისრაელი ეგვიპტიდან გამოიყვანა, ისრაელს ქანაანში შეიყვანდა. მათ დაინახეს, რომ ღმერთი, რომელმაც დასცა ფარაონის ჯარი, იერიხოს კედლებსაც დასცემდა. მათ დაინახეს, რომ აბრაამის ღმერთი იყო მოსეს ღმერთიც. ღმერთმა თქვა, რომ ხალებს „სხვა სული ჰქონდა და ბოლომდე მომყვებოდა“ (რიცხვთა 14:24).

იმის გამო, რომ ისინი არ ერწმუნენ მას, ღმერთმა დასაჯა უფროსი თაობა უდაბნოში სიკვდილით. ორმოცი წლის შემდეგ ისრაელი შევიდა ქანაანში და დადგა მიწის განაწილების დრო. ხალები ოთხმოც წელზე მეტის იყო. უთხრა იესო ნავეს ძეს: „ჯერ კიდევ ძლიერი ვარ, როგორც იმ დღეს, მოსემ რომ გამგზავნა... ახლა მომეცი ეს მთა დიდი და გამაგრებული ქალაქებით.“ დიახ, იქ იყო ძლიერი ქალაქები, ძლიერი მეომრებით. მაგრამ ხალებს ღვთის

დაპირებების რწმენა ჰქონდა. „ეგებ უფალი იყოს ჩემთან და გავნდევნო ისინი, როგორც ბრძანა უფალმა” (იესო ნავეს 14:11-12).

რამ მისცა ხალებს ასეთი თავდაჯერებულობა? განუყოფელმა გულმა. ხალებმა თქვა: „მე კი ბოლომდე მივყევი უფლის, ჩემი ღმერთის კვალს” (იესო ნავეს 14:8). ხალები მთელი გულით ენდობოდა ღმერთს. ის იყო განუყოფელი გულის მქონე კაცი.

### სრულყოფილი გული არის განუყოფელი გული

ისტორიული წიგნები მოგვითხრობს ისრაელის ტრაგიკული წარუმატებლობის შესახებ იმაში, რომ ყოფილიყო ის, რადაც ღმერთმა მოუწოდა თავის ხალხს, რომ ყოფილიყო. ისტორიული წიგნები გვიჩვენებს, თუ როგორ გადაუხვია ისრაელმა ღვთის გეგმებისგან. ისრაელი იყო მოწოდებული, რათა წარმოედგინა ღმერთი სხვა ერებისთვის. ამის ნაცვლად, ის ცრუ ღმერთებს მიუბრუნდა. მისი წარუმატებლობის გამო ისრაელი დამარცხდა და გადაასახლეს. მისი დიდება სირცხვილად იქცა.

ორგულობის ტრაგიკულ სურათებთან ერთად, ისტორიულ წიგნებში ნაჩვენებია წმიდა ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ ღმერთს. მაშინ, როდესაც ისრაელში ბევრმა უღალატა ღმერთს (მსაჯულების წიგნი), ახალგაზრდა მოაბიელი ქვრივი ერთგული იყო (რუთი). გადასახლებაშიც კი (4 მეფეთა), ახალგაზრდა ებრაელი გოგონა დაემორჩილა ღვთის მოწოდებას და გადაარჩინა თავისი ხალხი (ესთერი). ეს ხალხი ღმერთს მთელი გულით ემორჩილებოდა. ისინი წმიდები იყვნენ.

ისტორიული წიგნები გვასწავლიან, რომ იყო წმიდა ნიშნავს ღმერთს ემსახურო სრული ერთგულებით. სიწმიდე არ ნიშნავს სრულყოფილ შესრულებას. სიწმიდე ნიშნავს ემსახურო ღმერთს განუყოფელი გულით.

ძველი აღთქმის ადრეულ თარგმანებში სიტყვა „სრულყოფილი“ გამოიყენებოდა ებრაული სიტყვის შალემის გადმოსათარგმნად. შალემი ატარებს იდეას „იყო სრულური“. იყო სრულყოფილი, ნიშნავს იყო სრულური. იყო წმიდა ნიშნავს ეკუთვნოდე ღმერთს სრულად.

შალემი დაკავშირებულია ებრაულ სიტყვასთან, რომელიც ნიშნავს მშვიდობას, შალომს. იყო ღმერთის წინაშე სრულყოფილი ნიშნავს გქონდეს მასთან მშვიდობა („სრულად იყოს თქვენი გული მიღვნილი უფლისადმი“) (3 მეფეთა 8:61). გქონდეს „სრულყოფილი გული“ ნიშნავს გქონდეს გული, რომელიც არის „სრული“ ან „განუყოფელი“, გული, რომელსაც ერთგულება აქვს მხოლოდ ერთის მიმართ. მოდით შევხედოთ ისტორიულ წიგნებში სიტყვების „სრულყოფილი“ ან „განუყოფელი“ რამდენიმე მაგალითს.

## არმია განუყოფელი (ერთიანი) მიზნით

საულის სიკვდილის შემდეგ ჩრდილოეთის ტომებმა იშბოშეთი გაამეფეს, ხოლო იუდას სახლი დავითს გაჰყვა. იყო ორწლიანი სამოქალაქო ომი, რომელშიც დავითი იუდას ხელმძღვანელობდა, ჩრდილოეთის ტომების წინააღმდეგ. ორი წლის შემდეგ იშბოშეთი საკუთარმა მეთაურებმა მოკლეს. ლაშქარი გაერთიანდა დავითის გასამეფებლად მთელს ისრაელზე. ერი ახლა ერთი მეფის ქვეშ იყო გაერთიანებული.

ყველანი გამოცდილი მებრძოლნი იყვნენ, საომრად დარაზმულნი; მთელი გულით მოვიდნენ ხებრონს, დავითის გასამეფებლად ისრაელზე. დანარჩენი ისრაელიც ერთსულოვანი იყო დავითის გასამეფებლად (1 ნეშტა 12:38).

ლაშქარი „მთელი გულით (შალემით) მოვიდა ხებრონში დავითის გასამეფებლად.“ ადრეულ თარგმანებში გამოიყენება ფრაზა „სრულყოფილი გულით“ (მეფე ჯეიმსის ვერსია (KJV)). „სრულყოფილი“ არ ნიშნავს იმას, რომ ჯარში არავინ შესცოდა. ეს ნიშნავს, რომ ერი იყო დავითის „სრულიად ერთგული“. ისინი ერთი მეფის ქვეშ იყვნენ გაერთიანებულნი. ამ მუხლში შალემი არ არის რელიგიური ტერმინი; ეს არის პოლიტიკური ტერმინი. შალემი ნიშნავს მეფისადმი განუყოფელ ერთგულებას.

## სამსხვერპლო მთლიანი (დაუმუშავებელი) ქვებით

როდესაც ისრაელი აღთქმულ მიწაზე შევიდა, იესო ნავეს ძემ ღებალის მთაზე სამსხვერპლო ააგო. იესო ნავეს ძემ ააგო სამსხვერპლო „მთლიანი (შალემის) ქვებისგან, რომლებზეც რკინა არ აღმართულა“ (იესო ნავეს 8:31). „დაუმუშავებელი“ იგივე სიტყვაა, რაც „მთელი“ ან „სრულყოფილი“. იყო შალემი, ნიშნავს იყო განუყოფელი.

## განუყოფელი გული

ტაძრის მიძღვნისას სოლომონმა მოუწოდა ისრაელიანებს ემსახურათ ღმერთისთვის განუყოფელი გულით.

ამიტომ სრულად იყოს თქვენი გული მიძღვნილი (შალემი) უფლისადმი, თქვენი ღმერთისადმი, რათა ცხოვრობდეთ მისი წესებით და იცავდეთ მის მცნებებს, როგორც დღეს (3 მეფეთა 8:61).

ეს არის იგივე სიტყვა, რომელიც გამოიყენება დავითის მეთაურობით გაერთიანებული ჯარის აღსაწერად. ეს არის იგივე სიტყვა, რომელიც გამოიყენება დაუმუშავებელი ქვების აღსაწერად. სოლომონმა მოუწოდა ისრაელს ღმერთის განუყოფელი ერთგულებისკენ. თუკი ისრაელიანებს ექნებოდა ეს განუყოფელი გული, ისინი „ივლიდნენ მისი გზებით და

დაიცავდნენ მის მცნებებსა და დადგენილებებს.” განუყოფელი გულის მქონე ადამიანი ნებით ემორჩილება ღმერთს.

### გაყოფილი გულები და განუყოფელი გულები

ისრაელის მეფეების ისტორია გვიჩვენებს, რომ ღმერთი მოუწოდებს თავის ხალხს ემსახურონ მას განუყოფელი გულით. ღმერთი ეძებს წმიდა ადამიანებს. ღმერთი ეძებს განუყოფელ გულებს.

### მეფე სოლომონი: გაყოფილი გული

ტაძრის მიძღვნისას სოლომონმა მოუწოდა ისრაელს, რომ განუყოფელი გულით ემსახურათ ღმერთსისთვის. სამწუხაროდ, სოლომონმა არ შეასრულა საკუთარი რჩევა. „სიბერის ჟამს მიდრიკეს სოლომონის გული მისმა ცოლებმა უცხო ღმერთებისკენ და ისე სრულად მიძღვნილი (შალემი) აღარ იყო მისი გული უფლის, თავისი ღმერთის მიმართ, როგორც დავითის, მამამისის გული” (3 მეფეთა 11:4).

სოლომონის გული გაიყო. მას სურდა ისრაელის ღმერთის თაყვანისცემა და ამავდროულად სხვა ღმერთების მიმართ მსახურებაც. თქვენ ვერ შეძლებთ იყოთ ერთგული როგორც უფლის (იაჰვეს), ისე სხვა ღმერთების მიმართ. 3 მეფეთა წიგნის ავტორი არ ამბობს, რომ სოლომონმა მიატოვა უფლის (იაჰვეს) თაყვანისცემა. სოლომონმა განაგრძო მსხვერპლშეწირვა ტაძარში, მაგრამ მისი გული გაიყო. ის ცდილობდა ემსახურა ღმერთისთვის გაყოფილი გულით.

### მეფე დავითი: განუყოფელი გული

3 მეფეთა 11:4-ში ჩვენ ვკითხულობთ ღვთის შეხედულებას დავითისა და სოლომონის გულების შესახებ. დავითის გული განუყოფელი იყო; სოლომონის გული კი გაიყო. ადამიანური გადმოსახედიდან დავითის მრუშობა და მკვლელობა შეიძლება უფრო უარესად მივიჩნიოთ, ვიდრე სოლომონის განდგომილება. რატომ ამბობს მეფეთა წიგნის ავტორი, რომ დავითის გული „სრულიად ერთგული“ იყო უფლის მიმართ?

განსხვავება დავითის ცოდვაზე პასუხშია. როცა

წინასწარმეტყველი დავითს დაუპირისპირდა, დავითმა მაშინვე მოინანია. დავითს თავი არ დაუცავს. ამის ნაცვლად, მან აღიარა ღვთის წინაშე: „შენ, მხოლოდ შენ შეგცოდე და ბოროტება ჩავიდინე შენს თვალში” (ფსალმუნის 50:4). დავითი განუყოფელი გულით ემსახურებოდა ღმერთს. მისი გული შალემი იყო. მისი გული განუყრელი იყო.

### ლოცვა სიწმიდისთვის

„და მოვუკვდე ჩემს თავს,  
რათა შენში ვიცოცხლო;  
და დავცარიელდე, რათა  
ავიგსო შენში;  
და არაფერი ვიყო ჩემთვის,  
რათა შენთვის ყველაფერი  
ვიყო.”

- ერასმუსი

85-ე ფსალმუნი ასახავს დავითის დიდ სურვილს ჰქონდეს განუყოფელი გული. 85-ე ფსალმუნში დავითი ლოცულობს დახსნისთვის იმ მტრებისგან, რომლებიც მის მოკვლას ცდილობენ. ამ ლოცვის შუაში დავითი ღადადებს: „წარმართე ჩემი გული შენი სახელის მოშიშებით” (ფსალმუნის 85:11). დავითი ლოცულობს განუყოფელი გულისთვის. ის ცდილობდა ღმერთისღვის სრულყოფილი გულით ემსახურა.

### მეფე ასა: გაყოფილი გული

ასა იუდეის ტახტზე ძვ.წ 910 წელს ავიდა. ის უფლის (იაჰვეს) ერთგული იყო; მან გაანადგურა ცრუ ღმერთების სამსხვერპლოები; მან დაანგრია მაღალი ადგილები, რომლებიც კერპთაყვანისმცემლობისთვის იყო გამოყენებული. როდესაც ქუშელი გენერალი ზერახი უზარმაზარი ჯარით თავს დაესხა იუდას, ასამ ღმერთს შეჰდალადა ხსნისთვის:

უფალო! მხოლოდ შენ შეგიძლია შეეწიო უძლურს ძლიერის წინააღმდეგ. შეგვეწიე უფალო, ღმერთო ჩვენო, რადგან შენს სახელზე მინდობილნი გამოვედით ამ ურდოს წინააღმდეგ. უფალო! ჩვენი ღმერთი ხარ შენ, და ნურავინ შეძლებს შენზე აღმატებას (2 ნეშტა 14:11).

ღმერთმა უპასუხა ასას ლოცვას. „შემუსრა უფალმა ქუშელნი ასასა და იუდას წინაშე და გაიქცნენ ქუშელნი” (2 ნეშტა 14:12). ასა სრულად მიენდო ღმერთს და ღმერთმა მას დიდი გამარჯვება მიანიჭა.

გავიდა ოცი წელი და ასა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამჯერად ჩრდილოეთის ტომების მეფე ბაყაშა დაემუქრა იუდას. მისი შიშით ასამ გადაწყვიტა სამხედრო ალიანსის დამყარება სხვა ერთან. მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას არამის მეფე ბენ-ჰადადთან. იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ ღმერთს მინდობოდა, ასა წარმართ მმართველს მიენდო.

საპასუხოდ, წინასწარმეტყველმა ხანანმა შეახსენა ასას წარსული გამარჯვება ქუშელთა უზარმაზარ არმიაზე. მან შეახსენა ასას, რომ როდესაც „უფალს მიენდე, ხელში ჩაგიგდო ისინი.” რატომ გააკეთა ღმერთმა ეს? რადგან „მთელ დედამიწას ადევნებს თვალს უფალი, რათა განამტკიცოს და მხარი დაუჭიროს მათ, ვინც მთელი გულით (შალემი) მასზეა მინდობილი” (2 ნეშტა 16:9).

როდესაც ასა ღმერთს სრულად მიენდო, ღმერთმა მას დიდი გამარჯვება მიანიჭა. მაგრამ ახლა ასა არამის მეფეს ეყრდნობოდა. იმის გამო, რომ ასა მხოლოდ ღმერთზე აღარ იყო დანდობილი, ღმერთი აღარ იხსნიდა მას საფრთხისგან. ხანანმა ასა გააფრთხილა, რომ ომები მოუწევდა მთელი მისი მეფობის განმავლობაში.

ასას მეფობის ბოლო წლები, მისი ადრეული წლების, ნათელი იმედების მხოლოდ აჩრდილი იყო. სიცოცხლის ბოლოს ასა ავად გახდა, მაგრამ „თავის სნეულებაშიც არ უძებნია უფალი” (2 ნეშტა 16:12).

ასას მეფობა ბევრ სხვა მეფეზე უკეთესი იყო. ასას არასოდეს მიუტოვებია უფლის (იაჰვეს) თაყვანისცემა, მაგრამ მისი გული არ იყო განუყოფელი ღვთის მიმართ. მან ვერ შეძლო ღმერთზე სრულად მინდობა. ამის გამო ასამ ვერ მიაღწია ღვთისგან საუკეთესოს.

ასას ცხოვრება გაყოფილი გულის საფრთხის ნათელი მაგალითია. პირველ შემთხვევაში ასა ღმერთს მთლიანად მიენდო. მეორე შემთხვევაში ის განაგრძობდა ღვთის ხალხის წინამდღოლად მსახურებას, მაგრამ მისი გული არ იყო სრულყოფილი. ღმერთის სრული ნდობის ნაცვლად, მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ღვთის მტერთან. ასას გაყოფილი გული ჰქონდა.

### მეფე ამაცია: გაყოფილი გული

ამაცია აჩვენებს გაყოფილი გულის საფრთხეს. ამაციას მეფობა დიდი დაპირებით დაიწყო: ”სწორად იქცეოდა უფლის თვალში” (4 მეფეთა 14:3; 2 ნეშტა 25:2). ასას მსგავსად, ამაციამაც კარგად დაიწყო.

თუმცა, ორივე - მეფეების და ნეშტა წიგნები აფრთხილებენ საშიშროების შესახებ. მეფეთა წიგნის ავტორი ამბობს, რომ ამაცია სწორად იქცეოდა უფლის თვალში, „მაგრამ არა მამამის დავითივით.” ნეშტა წიგნის ავტორი ამბობს, რომ ამაცია სწორად იქცეოდა უფლის თვალში, „მაგრამ არა მთელი გულით.” მან არ დაანგრია ”მაღალი ადგილები”. ამის გამო ხალხი აგრძელებდა ცრუ ღმერთებისთვის მსხვერპლშეწირვას. გაყოფილი გულის მქონე ლიდერმა, ერი უბედურებაში შეიყვანა.

ასას მსგავსად, ამაციამაც აღმოაჩინა, რომ ღმერთის მიმართ გაყოფილი გულით მსახურებას უბედურება მოაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამაციას მეფობა კარგად დაიწყო, მან მოგვიანებით ედომის ღმერთების თაყვანისცემა დაიწყო. სასჯელად ღმერთმა დაუშვა ჩრდილოეთ სამეფოსგან ამაციას დამარცხება. ამაციას ადრეული მეფობის დაპირება არასოდეს შესრულებულა, რადგან მას გაყოფილი გული ჰქონდა. ამაციას გული არ იყო სრულყოფილი.

### სიწმიდე პრაქტიკაში: სიწმიდე იწყება გულიდან

იესო ესაუბრებოდა რელიგიურ წინამდღოლებს, რომლებიც ძალიან ზრუნავდნენ გარეგნობაზე, მაგრამ არ უფრთხილდებოდნენ გულს.

ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, პიტნის, კამისა და კვლიავის მეათედს რომ იხდით და ივიწყებთ უმთავრესს რჯულში - სამართალს, წყალობასა და რწმენას. ესეც უნდა გაგეკეთებინათ და არც ის მიგევიწყებინათ. ბრმა წინამძღვრებო! კოლოს მწურავნო და აქლემის მშთანთქმელნო! (მათეს 23:23-24).

ეს რელიგიური ლიდერები ყურადღებით იცავდნენ რჯულის კანონებს, მაგრამ არ იცავდნენ უფრო მნიშვნელოვან, შინაგან რჯულს. იესომ დაგმო მათი ცრუ რელიგია. „თქვენ კოლოს წურავთ (წვრილმანებზე ამახვილებთ ყურადღებას), მაგრამ აქლემს შთანთქავთ (დიდი პრობლემების იგნორირებას ახდენთ). სიწმიდე გულიდან იწყება.

თუ მხოლოდ გარეგნობაზე ვიფიქრებთ, შეიძლება ვთქვათ:

- „მე წმინდა ვარ, რადგან არ ვიცვამ \_\_\_\_\_.”
- „მე წმინდა ვარ, რადგან არ მივდივარ \_\_\_\_\_.”
- „მე წმინდა ვარ, რადგან არ ვუყურებ \_\_\_\_\_.”

როდესაც ვაცხადებთ, რომ წმიდები ვართ იმის გამო, რასაც ვაკეთებთ ან არ ვაკეთებთ, შეიძლება ფარისევლებს დავემსგავსოთ. იესომ მოუყვა ფარისეველზე, რომელიც ლოცულობდა: „გმადლობ შენ ღმერთო, რომ სხვა ადამიანების მსგავსი არა ვარ - მძარცველი, უსამართლო და მრუში ან როგორიც ეს მებაჟეა. კვირაში ორჯერ ვმარხულობ და მეათედს ვიძლევი ყოველი ჩემი შენაძენიდან” (ლუკას 18:11-12). ამ ფარისეველმა სიწმიდე თავისი მოქმედებებით განსაზღვრა: „არა ვარ მძარცველი; უსამართლო; ვმარხულობ; მეათედს ვიძლევი“. ის ამტკიცებდა, რომ წმიდა იყო, მაგრამ მისი გული არ იყო წმიდა.

ფარისევლები ამაყობდნენ ქვეყნიერებისგან განშორებით, მაგრამ მათი გული არ იყო წმიდა. იესომ თქვა: „შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსენი არიან მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით“ (მათეს 23:27). გარეგნულად, ფარისევლები ქვეყნიერებას გამოყოფილნი იყვნენ; შინაგანად კი ცოდვილნი.

► რომლის გაზომვა უფრო ადვილი ჩანს - გარეგნობის თუ შინაგანი სიწმიდის? რომლის გაყალბება უფრო ადვილია - გარეგნობის თუ შინაგანი სიწმიდის? რომლის ხაზგასმა უფრო გვსურს - გარეგნობის თუ შინაგანი სიწმიდის?

### მაგალითი ხიზკიაჰუსგან

გამოყოფის კანონები მნიშვნელოვანი იყო იმის სწავლებისთვის, რომ ღმერთს სჭირდება წმიდა ხალხი. მაგრამ ღმერთი ყოველთვის უფრო მეტად ზრუნავდა თავისი ხალხის გულებზე, ვიდრე რიტუალებზე.

ხიზკიაპუს გამოღვიძებიდან ეს ისტორია ასახავს ამ პრინციპს. ტაძრის გაწმედის შემდეგ ხიზკიაპუმ აღადგინა პასექის დღესასწაული. მან მოუწოდა ერს „მისულიყვნენ უფლის სახლში, იერუსალიმში, უფლის, ისრაელის ღმერთის პასექის აღსასრულებლად.“ ხიზკიაპუს მაცნებმა მთელი ისრაელი მოიარეს და ხალხი ამ ცერემონიაზე მოიწვიეს. ბევრგან ხალხი „ამასხარავებდნენ და აბუჩად იგდებდნენ. მხოლოდ ზოგიერთებმა აშერის, მენაშესა და ზებულონის ტომთაგან დაიმდაბლეს თავები და მოვიდნენ იერუსალიმში“ (2 ნეშტა 30:1, 10-11).

როდესაც მათ დაიწყეს პასექის კრავების დაკვლა, „ბევრი იყო განსაწმენდი კრებულში.“ იმის გამო, რომ ერი დიდი ხნის განმავლობაში იყო ტაძარში თაყვანისცემის გარეშე, ხალხი უწმიდური იყო და მზად არ იყო პასექის აღსანიშნავად. რა უნდა გაეკეთებინათ მღვდლებს? ღმერთმა ნება მისცა ხალხს აღენიშნათ პასექი, რადგან მათი გული ღმერთს ეძებდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ რიტუალურად განწმედილნი.

ხალხის უმრავლესობა, მეტწილად ეფრემის, მენაშეს, ისაქარისა და ზებულონის ტომებიდან არ განწმენდილა, მაგრამ მაინც ჭამეს პასექი, დაწერილის საწინააღმდეგოდ, რადგან ასე ილოცა მათთვის ხიზკიაპუმ: „სახიერმა უფალმა აპატიოს ყველას, ვინც გული მოიმზადა ღმერთის, უფლის, თავისი მამების ღმერთის საძიებლად, თუმცა საწმიდის წესით არ განწმენდილან“. ისმინა უფალმა ხიზკიაპუსი და აპატია ხალხს (2 ნეშტა 30:18-20).

ღმერთი ეძებდა განუყოფელ გულებს. მაშინაც კი, როდესაც ხალხი ვერ ასრულებდა გამოყოფის რიტუალებს, ღმერთი ეძებდა გულებს, რომლებიც გამოყოფილი იყო ღმერთის საძიებლად.

### წმიდა ხალხი თავის გულებს ღმერთს უძღვნის

სიწმიდე ყოველთვის ღმერთით იწყება. ყველაფერი წმიდა მას ეკუთვნის. ღმერთმა განწმიდა შაბათი, მიწა ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანის ბუჩქთან, ისრაელის პირმშოები, კარავი, სამსხვერპლო და ლევიანები. ღმერთმა ეს თავისთვის მოითხოვა. ისინი წმიდანი გახდნენ ღვთის თანდასწრებით.

სიწმიდე იწყება ღმერთით, მაგრამ ღმერთი მოგვიწოდებს, თავი მივუძღვნათ მას. თუ ჩვენ წავიკითხავთ მხოლოდ იმ მუხლებს, რომლებშიც ღმერთი ამბობს: „მე განწმედთ“, შეიძლება გადავწყვიტოთ, რომ განწმედა მხოლოდ ღმერთის მოქმედებაა. თუმცა, ბიბლია გვიჩვენებს, რომ სიწმინდე ადამიანისგან პასუხს მოითხოვს.

გამოსვლის მე -19 თავში მოყვანილია მაგალითი. ღმერთმა უბრძანა მოსეს: „წადი ხალხთან და განწმიდე ისინი.“ „ასე რომ, მოსემ... განწმიდა ხალხი“. მოსემ ხალხი გამოყო ღვთის

მიზნებისთვის. მოგვიანებით ღმერთმა თქვა: „ღვთისმსახურნიც, რომლებიც უფალს მიეახლებიან, უნდა განიწმიდონ” (გამოსვლის 19:10-22). მღვდლებისთვის იყო ნაბრძანები, გამოეყოთ თავი ღვთის მიზნებისთვის. ისინი უნდა ყოფილიყვნენ წმიდები; მათ საკუთარი თავები უნდა გამოეყოთ ღმერთისთვის.

განუყოფელი გული მოიცავს ორ ასპექტს:

1. ღმერთი გვპირდება, რომ გამოარჩევს თავის ხალხს: „მე ვარ უფალი, თქვენი განწმედელი” (გამოსვლის 31:13). ღმერთი განწმედს თავის ხალხს.
2. ღმერთი უბრძანებს თავის ხალხს, გამოეყავით: „განიწმიდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე” (ლევიანთა 11:44; 20:7).

ჩვენ თავს განვწმედთ ღვთის მადლის საპასუხოდ. წმიდა ხალხი ნებით განიწმიდება ღმერთისთვის. ისინი ღმერთს უპირობოდ უთმობენ თავიანთ თავს.

ლევიანთა მე-20 თავში ბრძანებას „მომიძღვენით თავები და იყავით წმიდა“ მოჰყვება დაპირება: „მე ვარ უფალი, თქვენი განწმედი.“ ორივე მუხლში ერთი და იგივე ებრაული სიტყვაა. ეს შეიძლება ასე ითარგმნოს: „გამოჰყავით თავები.... მე ვარ უფალი, რომელიც გამოგარჩევთ“ (ლევიანთა 20:7-8).

განწმედა მოიცავს ორივეს, როგორც ღვთის მოქმედებას, ასევე ჩვენს პასუხს. ჩვენ არ ვხდებით წმიდები ჩვენი ძალისხმევით, მაგრამ არც ვამბობთ: „თუ ღმერთს სურს, რომ წმიდა ვიყო, ის განმწმედს ჩემი პასუხის გარეშე.“ ჩვენ ვპასუხობთ ღვთის მადლს იმით, რომ მივუძღვნით მას ჩვენს თავს. განუყოფელი გული მოითხოვს სრულად მიძღვნას.

სიწმიდე მხოლოდ ღმერთისგან იღებს სათავეს. თუმცა ღმერთი მოგვიწოდებს დავემორჩილოთ მას. ჩვენ წმიდები ვართ, როდესაც ვემორჩილებით ღვთის მოწოდებას. პავლე წერდა: „ამიტომ, გევედრებით ძმებო, ღვთიური თანაგრძნობის მეშვეობით წარუდგინეთ თქვენი სხეულები ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად, ანუ თქვენი გონივრული მსახურება“ (რომაელთა 12:1). პავლემ მოგვიწოდა, სრულად დავემორჩილოთ ღვთის განზრახვებს. იმიტომ, რომ ღმერთი გვპირდება, რომ ის გაგვწმედს. ჩვენ სრულად უნდა დავემორჩილოთ. სიწმიდე არის მრძანებაც („განიწმიდეთ თავი“) და დაპირებაც („მე განგწმედთ თქვენ“).

„ჩვენ შევძლებთ გამოვადგეთ ღმერთს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნებას მივცემთ, გვაჩვენოს ჩვენი ხასიათის ღრმა და დაფარული სფეროები. ჩვენ ვერც კი ვცნობთ შურს, სიზარმაცეს ან სიამაყეს საკუთარ თავში, როცა მათ ვხედავთ. მაგრამ იესო გაგვიმხელს ყველაფერს, რაც გვენდა ჩვენში, სანამ მისი მადლი მოქმედებას დაიწყებდა“. - ოსვალდ ჩემბერსი

## წმიდა ხალხი სრულ „დიახ“-ს ეუბნება ღმერთს

სოლომონის, ასას და ამაციას ცხოვრება გვიჩვენებს გაყოფილი გულის საშიშროებას. გაყოფილი გული არ არის ღმერთის განზრახვა თავისი ხალხისთვის. წმიდა გული არის განუყოფელი გული. მაშ, რას ნიშნავს გქონდეს განუყოფელი გული? რას ნიშნავს გქონდეს გული, რომელიც არის შალემი ანუ „სრულყოფილი“?

ქრისტიანები მოწოდებულნი არიან ღვთის მსახურებად. მსახურის საქმეა გააკეთოს ის, რასაც მისი ბატონი სთხოვს. კარგი მსახური არ სვამს კითხვას: „ეს არის ის, რაც ავირჩიე?“ კარგი მსახური ნებით ასრულებს იმას, რასაც მისი ბატონი ბრძანებს. მსახურის საქმეა თქვას სრული და უპირობო „დიახ.“

ანალოგიურად, ადამიანი, რომელიც ემსახურება ღმერთს განუყოფელი გულით, ნებით პასუხობს „დიახ“ ღვთის მოწოდებას. ეს არის განუყოფელი გული. მოსემ მოუწოდა ისრაელს, რომ ემსახურათ ღმერთისთვის განუყოფელი გულით:

ახლა რას ითხოვს უფალი, შენი ღმერთი შენგან, ისრაელ? მხოლოდ იმას, რომ გეშინოდეს უფლის, შენი ღმერთის, დადიოდე მისი გზით, გიყვარდეს უფალი ღმერთი და ემსახურო მას მთელი შენი გულით და მთელი შენი არსებით; დაიცვა უფლის მცნებანი და დადგენილებანი, რომელთაც შენდა სასიკეთოდ გამცნებ დღეს? (მეორე რჯულის 10:12-13).

კოლეჯის სტუდენტობისას, ელიზაბეტ ელიოტმა თავის დღიურში დაწერა: „უფალო, მე ვთქვი მარადიული „დიახ“. დამეხმარე, არასოდეს მივიხედო უკან, რაკიდა გუთანს ხელი მოვკიდე. გაასწორე ჯვრის გზა ჩემს წინაშე. მომეცი სიყვარული, რომ ადგილი არ დარჩეს გზააბნეული ფიქრისთვის ან ნაბიჯისთვის.“<sup>14</sup> ელიოტს განუყოფელი გული ჰქონდა; ის სრულყოფილი იყო ღვთის თვალში.

„მე ვთქვი მარადიული „დიახ“.

დამეხმარე, არასოდეს

მივიხედო უკან.“

- ელიზაბეტ ელიოტი

ამ ლოცვის შემდგომ წლებში ელიზაბეტ ელიოტი მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მისი მეუღლე, ჯიმ ელიოტი, მოკლეს ეკვადორში 1956 წელს, როდესაც ის ჰუაორანის ტომის ევანგელიზაციას ცდილობდა. ელიზაბეთი მოგვიანებით გახდა მისიონერი იმ ხალხისთვის, ვინც მისი ქმარი მოკლა. მხოლოდ მას, ვინც თქვა „მარადიული დიახ“ შეეძლო წასულიყო მისიონერად მისი ქმრის მკვლელებთან.

წმიდა ადამიანი ემსახურება ღმერთს განუყოფელი გულით. წმიდა ადამიანი ეუბნება ღმერთს „მარადიულ დიახს“. ეს ნიშნავს ღმერთისთვის სრულად მინდობას. როდესაც წმიდა


<sup>14</sup> Elisabeth Elliot, *Passion and Purity* (Old Tappan: Fleming H. Revell Co., 1984), 25

ადამიანმა იცის ღვთის ნება, ის ნებით ემორჩილება მას. მისი გული არ არის გაყოფილი; ის მთლიანად ღმერთს ეკუთვნის. წმიდა ადამიანი ეუბნება ღმერთს "დიახ" სრულად მინდობის დროს.

წმიდა ადამიანი ყოველდღიურად აგრძელებს „დიახ“-ის თქმას. მას შემდეგ, რაც ელიზაბეტ ელიოტმა „მარადიული დიახ თქვა“, მას კვლავ უწევდა გადაწყვეტილებების წინაშე დადგომა. ბევრჯერ იყო, როცა მან კიდევ ერთხელ თქვა: „დიახ, უფალო.“ ზოგიერთ ქრისტიანს მიაჩნია, რომ „ერთჯერადად ნათქვამი დიახ“ ერთხელ და სამუდამოდ მოხსნის თქვენი ვალდებულების ყველა მომავალ გამოცდას. ერთხელ და სამუდამოდ სრულად მინდობა მნიშვნელოვანია, მაგრამ სატანა გააგრძელებს თქვენი ვალდებულების გამოცდას. კვლავ და კვლავ, თქვენ განაგრძობთ იმის თქმას: „დიახ, უფალო, ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის.“ ეს არის წმიდა ცხოვრების მუდმივი „დიახ“.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ჯორჯ მიულერი

ჯორჯ მიულერი იყო დიდი ქრისტიანი მეცხრამეტე საუკუნეში.<sup>15</sup> მან ააშენა ხუთი დიდი ბავშვთა სახლი და ზრუნავდა 10000-ზე მეტ ობოლზე. მიულერმა მილიონობით დოლარი შეაგროვა თავისი ბავშვთა სახლების დასახმარებლად და სხვა მისიონერებისთვის. მის გარდაცვალებამდე მიულერმა უზრუნველყო განათლება 122 000 ბავშვისთვის, გაავრცელა თითქმის 2 000 000 ბიბლია და 100 მილიონზე მეტი წიგნი და ბროშურა. მან ეს გააკეთა ისე, რომ არც ერთი ადამიანისთვის არ უთხოვია ფული. მან გადაწყვიტა მხოლოდ ღმერთისთვის ეთხოვა დახმარება.



როდესაც ღმერთმა მოუწოდა მიულერს ბავშვთა სახლების ასაშენებლად, მიულერს ჯიბეში ორმოცდაათი ცენტი ჰქონდა! მიულერმა უპასუხა ღვთის მოწოდებას მის მზრუნველობაზე სრული დამოკიდებულებით. მიულერს მხოლოდ ორმოცდაათი ცენტი ჰქონდა, მან ესეც ღმერთს მისცა და ყველაფერი დანარჩენიც ღმერთს მიანდო. მოგვიანებით მიულერმა დაამოწმა, რომ ობლებისთვის სადილი არასოდეს გამორჩენიათ; ღმერთმა უზრუნველყო ყველა საჭიროება.

მიულერი ახალგაზრდობაში ბოროტი ცხოვრების წესით ცხოვრობდა, თექვსმეტი წლის ასაკში ციხეშიც კი იჯდა. თუმცა, ოცი წლის ასაკში ჯორჯ მიულერმა სიცოცხლე ქრისტეს

<sup>15</sup> Adapted from Roger Steer, *Spiritual Secrets of George Muller* (PA: OMF Books, 1985) and J. Gilchrist Lawson, *Deeper Experiences of Famous Christians* (Anderson: Warner Press, 1911).

Image: "Mr George Muller" by Frank Holmes, *George Müller, The Modern Apostle of Faith* (1898), retrieved from [https://commons.wikimedia.org/wiki/File:Mr\\_George\\_Muller.jpg](https://commons.wikimedia.org/wiki/File:Mr_George_Muller.jpg), public domain.

ჩააბარა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მიუღერმა განიცადა სულიერი გამარჯვების პერიოდები, მაგრამ ასევე ჰქონდა გარკვეული ბრძოლის სფეროებიც. საბოლოოდ, ოცდაოთხი წლის ასაკში, მიუღერი მივიდა „გულის მთლიანად და სრულად მიძღვნამდე. მე სრულად გადავეცი თავი უფალს.“

სამოცდაათი წლის ასაკში მიუღერმა დაიწყო საზღვარგარეთ მოგზაურობა საქადაგებლად. სამოცდაათიდან ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკის შუალედში, მან იმოგზაურა ორმოცდაორ ქვეყანაში და უქადაგა 3 000 000-ზე მეტ ადამიანს.

სიცოცხლის ბოლოს ჯორჯ მიუღერს ჰკითხეს მისი მსახურებრივი ცხოვრების საიდუმლო. მან უპასუხა: ”იყო დღე, როდესაც მე მოვკვდი ჩემი თავისთვის (ჩემი მოსაზრებებისა და სურვილებისთვის), ქვეყნიერების მოწონებისთვის ან უარყოფისთვის და თუნდაც ჩემი მეგობრების მოწონებისთვის ან დადანაშაულებისთვის. მას შემდეგ მხოლოდ ღვთის მოწონებაზე ვზრუნავ“: ჯორჯ მიუღერს განუყოფელი გული ჰქონდა. ის სრულყოფილი იყო ღვთის თვალში.

## მე - 5 გაკვეთილის მიმოხილვა

- (1) იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს განუყოფელი გული.
- (2) ებრაული სიტყვა შალემი ნიშნავს „განუყოფელს.“ ეს სიტყვა დაკავშირებულია შალომთან, რაც ნიშნავს „მშვიდობას.“ გქონდეს „სრულყოფილი“ ან „განუყოფელი“ გული, ნიშნავს გქონდეს წრფელი ერთგულებით სავსე გული.
- (3) სოლომონის, ასას და ამაციას ცხოვრება გვიჩვენებს გაყოფილი გულის საშიშროებას. მათგან ვერც ერთმა სრულად ვერ აამა ღმერთს, რადგან მათ გაყოფილი გულები ჰქონდათ.
- (4) სიწმიდე იწყება გულიდან. იესომ მსჯავრი დასდო მათ, ვინც ზრუნავს გარეგნულ გამოხატულებაზე და არა სუფთა გულზე.
- (5) ჩვენ სრულად უნდა მივუმღვნათ თავი ღმერთს. ღმერთი განწმენდს თავის ხალხს. ღმერთი მოუწოდებს თავის ხალხს განიწმიდონ თავი მისი მადლის საპასუხოდ.
- (6) წმიდა ხალხი სრულ „დიახ“-ს ეუბნება ღმერთს. როგორც ერთგული მსახური, ისინი ნებით ეუბნებიან დიახს თავის ბატონს.
- (7) მას შემდეგ რაც ჩვენ ვთქვით "მარადიული დიახ", ჩვენ უნდა გავაგრძელოთ "დიახ"-ის თქმა ყოველდღიურად.

## **გაკვეთილის დავალებები**

(1) მოამზადეთ ქადაგება თემაზე „ცხოვრება განუყოფელი გულით.” თქვენ შეგიძლიათ შექმნათ თქვენი საკუთარი მონახაზი, ან შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი:

- A. გაყოფილი გულის ბიბლიური მაგალითი
- B. გაყოფილი გულით ცხოვრების საშიშროება
- C. გაყოფილი გულის წამალი

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი ფსალმუნის 85:11—12-ის წაკითხვით.



## გაკვეთილი 6

### სიწმიდე სიმართლეა

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გააცნობიეროს, რომ შინაგანი სიმართლე უნდა აისახოს გარეგნულ ქცევაში.
- (2) გამოიყენოს სიწმიდის პრინციპები პრაქტიკულ ეთიკურ გადაწყვეტილებებში.
- (3) შეაფასოს მისი პირადი ეთიკა.
- (4) დაიმახსოვროს მიქას 6:8.

#### ეზეკიელი: ადამიანი, რომელმაც იხილა ღვთის გეგმა მომავლის შესახებ

ისრაელი აღარ იყო წმიდა ერი. ის თაყვანს სცემდა კერპებს; ის ჩაგრავდა ღარიბებს; მან შეურაცხეო შაბათი. სასჯელად ღმერთმა თავისი ხალხი გადასახლებაში გაგზავნა. მან ბაბილონის ჯარს იერუსალიმის აღების და ტაძრის დანგრევის ნება მისცა. ვინაიდან ღვთის ხალხი აღარ იყო წმიდა, მან აღარ მიიღო მათი თაყვანისცემა. ვინაიდან ღვთის ხალხი აღარ იყო განშორებული ცოდვას, მან აღარ მიიღო მათი თაყვანისცემა.

თუმცა ღმერთს მაინც ჰქონდა განზრახვა თავისი ხალხისთვის. ტაძრის დანგრევიდან ათი წლის შემდეგ ღმერთმა ხილვა მისცა ეზეკიელს, ბაბილონის მახლობლად ტყვეობაში მცხოვრებ წინასწარმეტყველს. ეზეკიელმა იხილა ღვთის გეგმა მომავლის შესახებ.

ეზეკიელის ხილვაში გადასახლება დასრულდა; სასჯელი დასრულდა; ღმერთის თანდასწრება დაბრუნდა. ტაძარი ღვთის დიდებამ აავსო. ღმერთმა წყლით განბანა თავისი ხალხი და განწმინდა გარეგნული უსამართლობისაგან. მან ამოუღო „ქვის გული“ და მისცა მათ „ახალი გული და ახალი სული.“ მან შეასრულა თავისი დაპირება: „ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და ისე გავაკეთებ, რომ ჩემი წესებით იაროთ და ჩემი სამართალი დაიცვათ და აღასრულოთ“ (ეზეკიელის 36:25-27). ისრაელი წმიდაა შინაგანად და გარეგნულად.

ეზეკიელმა იხილა ტაძარი, რომელიც აკურთხებდა ყველა ერს. მტკნარი წყალი აღდგენილი ტაძრიდან მკვდარ ზღვაში მიედინებოდა. ხეები აძლევდნენ ნაყოფს საკვებად და ფოთლებს სამკურნალოდ. ედემის სილამაზე აღდგა.

ხილვის ყველაზე დიდებული ნაწილი არის ბოლო წინადადება: „იმ დღიდან ქალაქს ერქმევა „უფალი არის იქ“ (ეზეკიელის 48:35). ღმერთის განზრახვა თავისი ხალხის მიმართ სრულდება: წმიდა ხალხი ცხოვრობს წმიდა ღმერთის წინაშე!

► განიხილეთ გარე მტკიცებულებები იმისა, რომ ადამიანი წმიდაა. რა გარეგნულ ქმედებებს უნდა ველოდოთ ადამიანისგან, რომლის გულიც წმიდა?

### **წინასწარმეტყველთა პრობლემა: ისრაელი არ იყო მართალი**

წინასწარმეტყველებმა ღვთის ბრალდება წაუყენეს ერს, რომელმაც დაარღვია აღთქმა. წინასწარმეტყველურ წიგნებში, ისევე როგორც ხუთწიგნეულში, სიტყვა „წმიდა“ აღნიშნავს იმას, რაც ღმერთს ეკუთვნის და მისთვის არის გამოყოფილი. იერუსალიმი და ტაძარი წმიდა იყო, რადგან ღმერთს ეკუთვნოდა.

#### **ღმერთი წმიდაა**

ოცდაერთჯერ მოიხსენია ესაიამ „ისრაელის წმიდა“. სერაფიმები მღეროდნენ: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ცაბაოთ უფალი! სავსეა მისი დიდებით მთელი დედამიწა!“ (ესაიას 6:3).

„გამოჩნდება წმიდა ღმერთი სიმართლეში“ (ესაიას 5:16). ეზეკიელმა იხილა დღე, როდესაც ღმერთი თავის სიწმიდეს გამოავლენს ყველა ერსში. „განვდიდდები, წმიდად გამოვჩნდები და გამოვცხადდები მრავალი ერის თვალწინ და მიხვდებიან, რომ მე ვარ უფალი“ (ეზეკიელის 38:23).

ღვთის სასჯელი ცხადყოფს მის წმიდა ბუნებას. მიქამ გააფრთხილა, რომ ისრაელის ცოდვის გამო, „უფალი გამოდის თავისი ადგილიდან, ჩამოვა და ფეხქვეშ გათელავს დედამიწის სიმაღლეებს“ (მიქას 1:2-3). ღმერთმა დასაჯა ისრაელი, რადგან წმიდა ღმერთი არ დაუშვებს, რომ ცოდვა დაუსჯელი დარჩეს.

ღმერთის მიერ ისრაელის გამოსყიდვა აჩვენებს, რომ ის წმიდაა. ღმერთმა გამოისყიდა ისრაელი არა იმიტომ, რომ მან დაიმსახურა გადარჩენა, არამედ მისი წმიდა სახელის გულისთვის ხალხებს შორის.

ასე ამბობს უფალი ღმერთი: შენი გულისთვის არ ვაკეთებ ამას, სახლო ისრაელისა, არამედ ჩემი წმიდა სახელისთვის, იმ ხალხებში რომ შებღალე, სადაც მიხვედი. განვწმედ ჩემს დიად სახელს, ხალხებში შებღალულს, თქვენ რომ შებღალეთ მათ შორის (ეზეკიელის 36:22-23).

ღმერთი არ დაუშვებს, რომ მისი წმიდა სახელი შერცხვენილი იყოს ისრაელის ცოდვით. ის დაპირდა, რომ დააბრუნებდა ისრაელს თავის მიწაზე, რათა ეჩვენებინა თავისი სიწმიდე სხვა ერების წინაშე.

ასე ამბობს უფალი ღმერთი: შემოვკრებ ისრაელის სახლს ხალხებიდან, რომლებშიც გაიფანტნენ, წმიდად გამოვჩნდები მათში ხალხთა დასანახად და დამკვიდრდებიან თავიანთ მიწაზე, მე რომ მივეცი ჩემს მსახურს, იაკობს (ეზეკიელის 28:25).

ეს გასაოცარი დაპირებაა. ღმერთი დაპირდა, რომ გამოავლენდა თავის სიწმიდეს ისრაელის გამოსყიდვით და მისი სახლში დაბრუნებით. ღმერთი დაპირდა, რომ გამოავლენდა თავის სიწმიდეს იმ ხალხში, რომელიც მან გადასახლებაში გაგზავნა. სიწმიდე ღმერთს ეკუთვნის.

### ისრაელი არ იყო წმიდა

ვინაიდან სიწმიდე ღმერთს ეკუთვნის, ჩვენ წმიდანი ვართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვცხოვრობთ წმიდა ღმერთთან ურთიერთობაში. წინასწარმეტყველებმა განაცხადეს, რომ ისრაელი აღარ იყო წმიდა, რადგან ისინი ცხოვრობდნენ თავიანთი ცოდვილი სურვილების შესაბამისად და არა ღმერთთან მორჩილებითა და სიყვარულით.

ესაიაში ღმერთმა თქვა, რომ იგი დაშორდა იუდას მისი ცოდვის გამო. ღმერთმა უარყო ისრაელი, რადგან მათ უარი თქვეს სიმართლით ცხოვრებაზე.

მათი შრომა - უმართლობის ჩადენაა და ძალმომრეობის საქმეა მათ ხელებში. ბოროტისკენ გაურბით ფეხები, უდანაშაულო სისხლის დასაღვრელად მიისწრაფიან. მათი ფიქრები უმართლო ფიქრებია, ძალადობა და განადგურებაა მათ გზებზე (ესაიას 59:6-7).

ღმერთმა უბრმანა იერემიას სელის სარტყელი დაემარხა. თეთრი სელის ნაჭერი სიწმიდის სიმბოლო იყო. იერემიამ სარტყელი დამარხა მანამ, სანამ ტალახმა და ჭუჭყმა არ გააფუჭა ქსოვილი. ეს სიმბოლირებს იუდას უწმინდურებას. ღმერთმა იუდა აირჩია მართალ ხალხად. ამის ნაცვლად, ღვთის ხალხი ცხოვრობდა ცოდვილი ცხოვრებით (იერემიას 13:1-11).

ეზეკიელში ღმერთმა მსჯავრი დასდო ისრაელს, როგორც ურჩ და ჯიუტ ერს, „რომლებიც ამიჯანყდნენ” (ეზეკიელის 2:3). იმის ნაცვლად, რომ დამორჩილებოდნენ წმიდა ღმერთს, ისრაელი წარმართი ერების მსგავსად ცხოვრობდა. „რადგან ჩემი წესებით არ დადიოდით და ჩემი დადგენილებებით არ იქცეოდით, არამედ იმ ხალხების წესებით იქცეოდით, თქვენ გარშემო რომ არიან” (ეზეკიელის 11:12). ისრაელი აღარ იყო მართალი.

გადასახლების დროს დანიელმა აღიარა, რომ ხალხი, რომელიც არჩეული იყო ღვთის სადიდებლად ერების წინაშე, იმსახურებდა „აშკარა სირცხვილს” (დანიელის 9:7). რატომ?

მთელმა ისრაელმა დაარღვია შენი რჯული და გადაუხვია მისგან, შენი ხმა რომ არ გაეგონა. ამიტომაც გვიჩია იმ წყევლამ და ფიცმა, მოსეს, ღვთისმსახურის რჯულში რომ სწერია, რადგან მის წინააღმდეგ შევცოდეთ (დანიელის 9:11).

მცირე წინასწარმეტყველებმაც დასდეს მსჯავრი ისრაელს ცოდვის გამო. ოსიამ ისრაელი დაადანაშაულა „ცრუ ფიცში, მკვლელობაში, ქურდობაში და მრუშობაში” (ოსიას 4:2). მიქა მიმართავდა ხალხს: „სიკეთის მოძულენი და ბოროტების მოყვარულნი ხართ” (მიქას 3:2).

**სოფონია** ხიზკიაპუს შთამომავალი იყო. ის მიეკუთვნებოდა იუდას ერთ-ერთ გავლენიან ოჯახს, მაგრამ არ ყოფილი იყო მისი მისამართი და დაედანაშაულებინა იუდას ლიდერები ცოდვაში.

მისი მთავრები მბრდღვინავი ლომები არიან მის შუაგულში, მისი მსაჯულები - მგლები, საღამოდან დილამდე ძვალსაც რომ არ ტოვებენ. თავქარიანნი არიან მისი წინასწარმეტყველნი, მოღალატე კაცები; საწმიდარს ბილწავენ მისი მღვდლები, ფეხქვეშ თელავენ რჯულს (სოფონიას 3:3-4).

მისი პოლიტიკური მოხელეებიდან დაწყებული რელიგიური ლიდერებით დამთავრებული, ისრაელმა შესცოდა ღვთის რჯულის წინააღმდეგ. რაში მდგომარეობდა პრობლემა? ისრაელმა დაივიწყა, რომ სიწმიდე გაცილებით ღრმაა, ვიდრე რელიგიური წეს-ჩვეულებები. ისრაელმა ჭეშმარიტი სიმართლე ფუჭი რიტუალებით ჩაანაცვლა.

### **სიწმიდე უფრო მეტია ვიდრე რიტუალები და რწმენის აღიარება**

რჯულის ერთ-ერთი დანიშნულება იყო ესწავლებინა ისრაელისთვის, რომ ის ღმერთს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ისრაელმა მალე დაივიწყა რჯულის ნამდვილი დანიშნულება. ხალხი ასრულებდა დადგენილ რიტუალებს, მაგრამ მათი გულები არ იყო წმიდა. ეს ერთ, რომელიც ღმერთმა გამოარჩია მისი ხატების ასარეკლად და წარმოსაჩენად, ახლა უწმიდური იყო. წინასწარმეტყველური წიგნები გვასწავლიან, რომ იყო წმიდა ნიშნავს იყო მართალი როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად.

ეზეკიელი წაყვანილი იქნა ბაბილონში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 597 წ. როდესაც ეზეკიელი ოცდაათი წლის იყო, ღმერთმა დაიწყო წინასწარმეტყველთან საუბარი ხილვათა წყების მეშვეობით. ეზეკიელმა იხილა იუდას უხუცესები, რომლებიც თაყვანს სცემდნენ კერპებს წმიდა ადგილას (ეზეკიელის 8). ღმერთმა ანგელოზებს უბრძანა სასჯელი მოეტანათ, სანამ ტაძრის ეზოები გვამებით არ აივსებოდა. ღვთის დიდებამ დატოვა ტაძარი (ეზეკიელის 10). ტაძარს და მის რიტუალებს აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ხალხი არ იყო წმიდა.

### **წმიდა ცხოვრება უფრო მეტია ვიდრე რიტუალები**

ისრაელი ამტკიცებდა, რომ წმიდა იყო, მაგრამ ის ცოდვილი და უწმიდური იყო. ხალხი იცავდა სიწმიდის რიტუალებს, მაგრამ ისინი არ ცხოვრობდნენ მართალი ცხოვრებით. „მიატოვეს უფალი, შეიძულეს ისრაელის წმიდა, ზურგი აქციეს“ (ესაიას 1:4). ხალხი ასრულებდა დადგენილ რიტუალებს, მაგრამ ისინი ცხოვრობდნენ ცოდვილი ცხოვრებით. წინასწარმეტყველები ქადაგებდნენ, რომ რიტუალებს აზრი არ ჰქონდა, თუკი ისრაელიანები ცოდვილი ცხოვრებით იცხოვრებდნენ. სიწმიდე უფრო მეტია, ვიდრე დღესასწაულები და მსხვერპლშეწირვა.

ესაიამ თქვა, რომ ღმერთმა უარყო იუდას მსხვერპლი, რადგან ის სიმართლეში არ ცხოვრობდა.

აღარ მომიტანოთ ამაო ძღვენი... ვერ ვიტან - ურჯულოებას და დღესასწაულს! თქვენი ახალმთვარობანი და კრებული შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად მექცა, მიმმიმს მათი ზიდვა ... (ესაიას 1:13-14).

ტაძრის წინ მდგომა იერემიამ გამოაცხადა: „ნუ მიენდობით ყალბ სიტყვებს, რომ ამბობენ - უფლის ტაძარია, უფლის ტაძარია, უფლის ტაძარიაო ეს’ ” (იერემიას 7:4). ტაძარი აღარ იყო წმიდა. რატომ? იმიტომ, რომ თაყვანისმცემლები არ ცხოვრობდნენ მართალი ცხოვრებით. ღმერთი აფრთხილებდა: „იმარხულებენ, მაგრამ არ შევისმენ მათ ვედრებას; სრულადდასაწველსა და პურეულ შესაწირს აღმივლენენ, მაგრამ არ მივიღებ” (იერემიას 14:12). ღმერთი მოითხოვს ცარიელი რიტუალებზე მეტს.

ღმერთმა უთხრა ოსიას: „რადგან წყალობა მსურს და არა მსხვერპლი, ღვთის შემეცნება და არა სრულადდასაწველნი” (ოსიას 6:6). ისრაელმა შესწირა მსხვერპლი, მაგრამ დაარღვია ღმერთთან დადებული აღთქმა. სრულადდასაწველ შესაწირავებს მართალი სიცოცხლის გარეშე აზრი არ აქვს. მიუხედავად ისრაელის მსხვერპლშეწირვისა, ღმერთი „გაიხსენებს მათ ურჯულოებას და მოჰკითხავს ცოდვებს” (ოსიას 8:13). რატომ?

არ არის ერთგულება, არ არის მოწყალება და არ არის ღვთის შემეცნება ქვეყანაზე. ცრუ ფიცი, მკვლელობა, ქურდობა და მრუშობა გახშირდა; სისხლის ღვრა სისხლის ღვრას მოსდევს (ოსიას 4:1-2).

ამოსი ჩრდილოეთის სამეფოს, ასურეთის მიერ დაპყრობამდე, ცოტა ხნით ადრე უქადაგებდა. ამოსმა შესთავაზა მონანიების უკანასკნელი შანსი. ამოსი დაუპირისპირდა ისრაელს მათი ცოდვების გამო. „ღვთის ხალხად“ აღიარებული ერი იყო დამნაშავე ყველა ცოდვაში, საშინელი სოციალური უსამართლობიდან დაწყებული, სამარცხვინო სექსუალური ქმედებებით დასრულებული. მდიდარმა ისრაელიანებმა უსამართლო ჯარიმები დააწესეს და ფულს რელიგიური დღესასწაულებისთვის ღვინის შესაძენად იყენებდნენ (გამოსვლის 22:26; ამოსის 2:8). იმის გამო, რომ მათი ცხოვრება ცოდვილი იყო, მათი თაყვანისცემა ცარიელი იყო. თქვა ღმერთმა:

მძულს და მეზიზღება თქვენი დღესასწაულები, აღარ მსიამოვნებს თქვენი ზეიმები. აღარ მივიღებ თქვენს სრულადდასაწველებსა და ძღვენს; არც კი შევხედავ ნასუქალ ხარებს, სამადლობელ მსხვერპლად რომ მწირავთ. მომაშორეთ თქვენი სიმღერების ხმაური, თქვენი ქნარების ხმის მოსმენა აღარ მსურს (ამოსის 5:21-23).

გადასახლების შემდეგაც კი, იუდა ცდილობდა რიტუალით ჩაენაცვლებინა სრული მორჩილება. ძველი წელთაღრიცხვის 516 წელს ხალხმა დაიწყო ტაძრის აღდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი რელიგიურ საქმიანობას ეწეოდნენ, მათი ცხოვრება არ იყო წმიდა. **ანგიამ ხალხს შეახსენა, რომ მღვდელი, რომელიც მიცვალებულს ეხება, უწმიდური ხდება.** ანალოგიურად, ხალხის ცოდვით გამოწვეულმა უწმინდურებამ ტაძარში მათი სამუშაო უწმინდური გახადა (ანგიას 2:10-14). რიტუალები სიმართლის გარეშე ცარიელი ჟესტებია; სიწმიდე უფრო მეტია ვიდრე რიტუალები.

მალაქია აფრთხილებდა, რომ ღმერთმა უარყო იუდას თაყვანისცემა. „ვერ მოგიწონებთ! - ამბობს ცაბაოთ უფალი, და ვერც თქვენი ხელით მორთმეულ ძღვენს მივიღებ“ (მალაქიას 1:10). ხალხის ცოდვის გამო, ღმერთმა უარი თქვა იუდას შესაწირავების მიღებაზე.

წინასწარმეტყველური წიგნები ნათლად საუბრობენ: სიწმიდე უფრო მეტია, ვიდრე რიტუალი. ადამიანი, რომელიც არ ცხოვრობს მართალი ცხოვრებით, არ არის წმიდა. ჩვენ არ შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთს უწმიდური ხელებით.

### წმიდად ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე ღვთის სახელის აღიარება

ღმერთმა უარყო ის ხალხი, ვინც მის სახელს აცხადებდა, რადგან მათ უარი თქვეს ცოდვების მიტოვებაზე. ახალ აღთქმაში იესო აფრთხილებდა:

ყველა, ვინც მეუბნება: უფალო, უფალო! როდი შევა ცათა სამეფოში, არამედ ის, ვინც აღასრულებს ჩემი ზეციერი მამის ნება-სურვილს. ბევრი მეტყვის იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ ვდევნიდით ეშმაკებს და განა შენი სახელით არ ვახდენდით მრავალ სასწაულს? მაშინ მე განვუცხადებ მათ: არასოდეს მიცვნიხართ თქვენ, გამშორდით, მოქმედნო ურჯულოებისა“ (მათეს 7:21-23).

სიწმიდე უფრო მეტია, ვიდრე ღვთის სახელის აღიარება. სიწმიდე არის შინაგანი სიმართლე, რომელიც ჩანს გარეგნულ ქცევაში. ღმერთს წმიდა გული და წმიდა ხელები სჭირდება.

დღეს, ისევე როგორც იერემიას დღეებში, ღმერთი ელაპარაკება პასტორებს, რომლებიც აშენებენ დახვეწილ სასახლეებს ღარიბთა შესაწირავებიდან. „ვაი იმას, ვინც სახლს უმართლობით იშენებს და უსამართლობით - ზედათვლებს!“ (იერემიას 22:13).

### ლოცვა სიწმიდისთვის

„ყველაზე მოსიყვარულე უფალო, მომეცი მტკიცე გული; მომეცი უძლეველი გული; მომეცი მართალი გული. მომეცი გაგება, რომ გაგიცნო, მონდომება, რომ გეძიებდე, და ერთგულება, რომ ჩაგეჭიდო“. - ადაპტირებულია თომა აკვინელისგან

დღეს, ისევე როგორც ამოსის დღეებში, ღმერთი ესაუბრება ეკლესიის მუსიკოსებს, რომლებიც ცხოვრობენ ცოდვილი ცხოვრებით. „მომაშორეთ თქვენი სიმღერების ხმაური, თქვენი ქნარების ხმის მოსმენა აღარ მსურს” (ამოსის 5:23).

დღეს, ისევე როგორც მიქას დღეებში, ღმერთი ესაუბრება ბიზნესმენებს, რომლებიც აცხადებენ იესოს სახელს, ხოლო მომხმარებლებს ატყუებენ. „განგიცხადა შენ, ადამიანო, რა არის კეთილი და რას მოითხოვს შენგან უფალი - მხოლოდ სამართლიან მოქმედებას, მოწყალების სიყვარულს და შენი ღმერთის წინაშე თავმდაბლად სიარულს” (მიქას 6:8).

სიწმინდე უფრო მეტია ვიდრე რიტუალი ან პროფესია. დღეს, როგორც წინასწარმეტყველთა დღეებში, ღმერთი ეძებს სამართლიან ქცევას.

### სიწმიდე არის სიმართლე

წმიდა გული ჩანს მართალ საქციელში. წმიდა გული გამოჩნდება წმიდა ხელებში. ისრაელს არ შეეძლო ეთქვა, რომ წმიდა ხალხი იყო, სანამ უსამართლო ცხოვრებით ცხოვრობდა.

რადგან ღმერთი მართალი ღმერთია, მისი ხალხი მართალი უნდა იყოს. ღვთის ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი ღმერთის ბუნება. ისინი, ვინც კერპებს ეთაყვანებიან, იღებენ თავიანთი კერპების ზნეობრივ ბუნებას; ისინი, ვინც თაყვანს სცემენ უფალს (იაჰვეს), უნდა მიიღონ უფლის (იაჰვეს) ზნეობრივი ბუნება. ღმერთის მიზანია შექმნას მართალი და წმიდა ხალხი.

ესაიამ აღწერა ღმერთის ბუნება. „ამაღლებულია უფალი, რადგან სიმაღლეში მკვიდრობს, მან აავსო სიონი სიმართლითა და სამართლიანობით” (ესაიას 33:5). იმავე გზავნილში ესაიამ აღწერა მართალი ადამიანი, რომელსაც შეუძლია ღვთის თანდასწრებაში ცხოვრება.

ჩვენგან რომელი დამკვიდრდება მჭამელ ცეცხლთან და ჩვენგან ვინ იცხოვრებს საუკუნო კოცონთან? ის, ვინც სამართლიანად დადის და სიმართლეს ლაპარაკობს, ეზიზლება ძარცვით მონაპოვარი, ვინც ხელს იფერთხავს ქრთამისგან, ყურს იცობს სისხლისღვრის ამბის გაგონებაზე და თვალს ხუჭავს ბოროტების დანახვაზე (ესაიას 33: 14-15).

მხოლოდ ადამიანს, რომელსაც აქვს ღმერთის მართალი და სამართლიანი ბუნება, შეუძლია იცხოვროს ღვთის თანდასწრებაში. წმიდა ადამიანები მოქმედებენ ისე, როგორც ღმერთი მოქმედებს; ისინი ირეკლავენ წმიდა ღმერთის ბუნებას.

### სიწმიდე არის შინაგანი სიმართლე: გული

ჭეშმარიტი სიმართლე იწყება გულიდან. წინასწარმეტყველებმა კარგად იცოდნენ, რომ რჯულის რიტუალები თავისთავად საკმარისი არ იყო. გარეგნული მორჩილება შინაგანი სიმართლის გარეშე ფარისევლობაა. სამართლიანობა იწყება გულიდან.

ისრაელმა უარყო რჯული, რადგან უარყო ღმერთი, რომელმაც რჯული მისცა. დაუმორჩილებლობა იწყება გულიდან. ისრაელმა დაარღვია ღვთის მცნებები, რადგან „კერპებს ელტვოდა მათი გული” (ეზეკიელის 20:16). ღმერთმა დაინახა, რომ „გაიყო მათი გული” (ოსიას 10:2).

დაუმორჩილებლობა იწყება გულიდან; სიმართლე იწყება გულიდან. ღმერთმა ესაიას მეშვეობით თქვა: მისმინეთ, სიმართლის მცოდნენო, ხალხო, რომელთაც გულში გაქვთ ჩემი რჯული” (ესაიას 51:7). სიმართლის მცოდნენი ისინი არიან, ვისაც ღვთის რჯული აქვთ გულში.

იერემია და ეზეკიელი ელოდნენ იმ დღეს, როცა ღვთის რჯული ღვთის ხალხის გულებში დაინერგებოდა.

რადგან ასეთ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლს იმ დღეების შემდეგ! - აცხადებს უფალი, - შინაგანში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულებზე დავუწერ; მე ვიქნები მათი ღმერთი და ისინი ჩემი ხალხი იქნებიან (იერემიას 31:33).

მივცემ მათ ერთ გულს და ახალ სულს ჩავდებ მათში; ამოვიღებ მათი სხეულიდან ქვის გულს და ხორცის გულს ჩავუდგამ, რომ ჩემი წესებით იარონ, ჩემი დადგენილებები დაიცვან და შეასრულონ; მაშინ ჩემი ხალხი იქნება იგი და მე მისი ღმერთი ვიქნები (ეზეკიელის 11:19-20).

სამართლიანობა იწყება გულიდან. იოველმა მოუწოდა ხალხს მოინანიონ ცოდვის არა მხოლოდ გარეგნული გამოვლინებები. მარხვა და ტირილი მონანიებული გულიდან უნდა მოდიოდეს.

„თუმცა, ახლაც” - ამბობს უფალი, - "დამიბრუნდით მთელი თქვენი გულით, მარხვით, ტირილითა და გლოვით; გულები დაიგლიჯეთ და არა სამოსელი! მოუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს! ვინაიდან შემწყნარებელი და მწყალობელია იგი, სულგრძელი და დიდადმოწყალე და წუხს ბოროტებაზე (იოველის 2:12-13).

გარეგანი გამოვლინება არ არის საკმარისი. სიმართლე უნდა დაიწყოს გულიდან.

### სიწმიდე არის გარეგნული სიმართლე: ხელები

წინასწარმეტყველურ წიგნებში ზნეობრივი ქცევა არის სიწმინდის საზომი. სიწმიდე მოითხოვს სამართლიან ხასიათს და ქცევას. ერთ-ერთი უმარტივესი ძველი აღთქმის აღწერილობა მართალი ცხოვრების შესახებ მიქასგან მოდის. მიქამ განსაზღვრა ღვთის მოლოდინები თავისი ხალხის მიმართ.

განგიცხადა შენ, ადამიანო, რა არის კეთილი და რას მოითხოვს შენგან უფალი - მხოლოდ სამართლიან მოქმედებას, მოწყალების სიყვარულს და შენი ღმერთის წინაშე თავმდაბლად სიარულს? (მიქას 6:8).

აი რას ნიშნავს მართალი ცხოვრება: სამართლიანობა და წყალობა სხვა ადამიანების მიმართ და თავმდაბლობა ღვთის მიმართ. წინასწარმეტყველურ წიგნებში სამართლიანობა, წყალობა და თავმდაბლობა განსაზღვრავს მართალ ცხოვრებას.

### **სიმართლე არის სამართლიანობა და წყალობა სხვა ადამიანების მიმართ**

ზოგს გულისა და ხელების გაყოფა სურს. ისინი ამბობენ: „ჩემი გული წმიდაა, ხელები კი ცოდვილი. მე მიყვარს ღმერთი ჩემს გულში, მაგრამ არ ვცხოვრობ მართალი ცხოვრებით.“ წინასწარმეტყველური წიგნები არ უშვებს ასეთ დაყოფას. წმიდა გული გამოჩნდება გარეგნულ სიმართლეში. სუფთა გული გამოიწვევს სწორ ქცევას. წმიდა ადამიანებს აქვთ წმიდა ხელები.

**ზაქარიამ განსაზღვრა სიმართლე, როგორც სწორი ქცევა სხვების მიმართ.**

ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: ქმენით ჭეშმარიტი სამართალი, სიკეთით და მოწყალებით მოექცით ერთმანეთს. ქვრივს, ობოლს, უცხოტომელსა და ღარიბს ნუ დაჩაგრავთ; ბოროტებას ნუ განიზრახავთ ერთმანეთის მიმართ თქვენს გულებში” (ზაქარიას 7: 9-10).

ამოსი უქადაგებდა ერს, რომელმაც დაივიწყა სიმართლე. ისრაელმა „სამართალს აბზინდად აქცევთ და სიმართლეს მიწაზე თელავთ“. რა იყო გამოსავალი ისრაელის განდგომიდან? „წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ - დაუშრეტელ ნაკადულივით“ (ამოსის 5:7, 24).

ესაია იზიარებდა ამოსის ასეთ მგზნებარებას სიმართლისათვის. ესაიას პირველი გზავნილი იუდას სიმართლით ცხოვრებისკენ მოუწოდებდა:

განიბანეთ, განიწმიდეთ, მოიშორეთ ავი საქმენი ჩემს წინაშე, ბოროტებას ნუ სჩადიხართ. სიკეთის ქმნა ისწავლეთ, სამართალი ეძიეთ; ჩაგრულს დაეხმარეთ, ობოლი განიკითხეთ, ქვრივს გამოესარჩლეთ (ესაიას 1:16-17).

**ღმერთმა იერემიას მეშვეობით მოუწოდა იუდას სამართლიანობისა და სიმართლისკენ.**

ასე ამბობს უფალი: აღასრულეთ სამართალი და ქმენით სიმართლე, იხსენით გამარცვული მოძალადის ხელიდან. უცხოტომელს, ობოლსა და ქვრივს ნუ დაჩაგრავთ და უდანაშაულო სისხლს ნუ დაღვრით ამ ადგილზე” (იერემიას 22:3).

ღვთის სტანდარტი თავისი ხალხისთვის იყო სამართლიანობა, სიმართლე და წყალობა. ღმერთი ითხოვს თავის ხალხისგან, რომ იცხოვრონ სამართლიანად, იმოქმედონ ისე, როგორც ღმერთი მოქმედებს.

### **სიმართლე არის თავმდაბლობა ღვთის წინაშე**

ღმერთი ეძებს ადამიანებს, რომლებიც სხვებს ეპყრობიან სამართლიანობითა და წყალობით; ეს უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მოყვასის მიმართ. ღმერთი ეძებს ადამიანებს, რომლებიც მის წინაშე თავმდაბლობით დადიან; ეს უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ღმერთის მიმართ.

იუდა თაყვანს სცემდა კერპებს „მაღალ და წარმოსაჩენ მთაზე.” ღმერთმა პასუხად შეახსენა იუდას, რომ თვითონ არის ის ერთადერთი, ვინც მართლაც მაღალ ადგილას ცხოვრობს.

ვინაიდან ასე ამბობს მაღალი და ამაღლებული, ის, ვინც მარადიულია და წმიდაა მისი სახელი: „მაღალ და წმიდა ადგილზე ვმკვიდრობ მე, თუმცა ტანჯულთან და სულით მორჩილთან ვარ, რათა გამოვაცოცხლო თავმდაბალთა სული და მწუხარეთა გული” (ესაიას 57:7, 15).

ჩვენ მივაღწევთ მაღალ და ამაღლებულ ღმერთს მომნანიებელი და თავმდაბალი სულით. სიმართლე მოიცავს თავმდაბლობას ღმერთის წინაშე. ეს არის ნამდვილი სიწმიდე.

ოსია უქადაგებდა განდგომილ ერს. წინასწარმეტყველმა იცოდა, რომ ერი უარყოფდა მის გზავნილს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა უარი თქვა მონანიებაზე, ოსიამ დაასრულა მოწოდებით ცალკეული ისრაელიანების მიმართ, რომლებიც ღმერთს ეძებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ერმა შეიძლება უარყოს ღმერთი, მართალ ადამიანს მაინც შეუძლია ღვთის გზებით სიარული. ღმერთი პატივს სცემს მას, ვინც მას სცემს პატივს. ღმერთი აკურთხებს ადამიანს, ვინც სიმართლით დადის.

ვინც ბრძენია გაიაზრებს ამას, ვინც გონიერია - მიხვდება. ვინაიდან მართებულია გზები უფლისა - მართალნი ივლიან მათზე (ოსიას 14:9).

## სიწმიდე პრაქტიკაში: წმიდა ცხოვრების ეთიკა

სიწმიდე იწყება გულიდან, მაგრამ ის ჩანს გარეგნულ ქცევაში. ტაძრის კურთხევისას სოლომონმა გამოწვევა გაუკეთა ხალხს: „ამიტომ სრულად იყოს თქვენი გული მიძღვნილი უფლისადმი, თქვენი ღმერთისადმი, რათა ცხოვრობდეთ მისი წესებით და იცავდეთ მის მცნებებს, როგორც დღეს” (3 მეფეთა 8:61). შინაგანი სიწმიდე იწვევს გარეგნულ სიწმიდეს; თუ შინაგანად ხარ წმიდა, გარეგნულადაც სამართლიანად იცხოვრებ.

წინასწარმეტყველები ეწინააღმდეგებოდნენ ძველ ისრაელში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც ასწავლიდნენ, რომ ღვთის ხალხი არ არის ვალდებული დაემორჩილოს ღვთის რჯულს. წინასწარმეტყველები ეწინააღმდეგებიან დღევანდელ ეკლესიაში მყოფებს, რომლებიც ასწავლიან, რომ ქრისტიანი ვერ დააკმაყოფილებს ღვთის მოთხოვნებს წმინდა ცხოვრების შესახებ.

დღეს ბევრი მქადაგებელი ასწავლის: „ღვთის რჯული ამბობს, იცხოვრო სამართლიანად, მაგრამ მან იცის, რომ შენ არ შეგიძლია რჯულის შესრულება.” ეს არ არის წინასწარმეტყველთა გზავნილი. წინასწარმეტყველებმა თქვეს: „ღვთის რჯული ამბობს, იცხოვრო სამართლიანად; ეს არის ის, რასაც ღმერთი მოითხოვს. ღვთის ხალხი დაემორჩილება ღვთის რჯულს.”

მაგალითი მოსეს რჯულიდან გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს წმიდა გული ჩვენს ყოველდღიურ ქმედებებზე. ღმერთმა თქვა: „არ შეავიწროვო შენი მოყვასი და არ გაქურდო; მომსახურე კაცის გასამრჯელოს დილამდე ნუ დაიტოვებ” (ლევიანთა 19:13). ძველ სამყაროში მუშას ყოველი დღის ბოლოს უხდიდნენ ხელფასს. არ იყო მიმდინარე ანგარიშები ან საკრედიტო ბარათები. ორშაბათის ანაზღაურებით ყიდულობდნენ საკვებს სამშაბათის კერძისთვის. მუშაკებისთვის ყოველდღიურად ანაზღაურების მიცემაზე, უარის თქმა ართულებდა მათთვის საკვების შეძენას. რჯული ამბობდა: „გადაუხადეთ თქვენს მუშაკებს ყოველი დღის ბოლოს. მართალი ბიზნესმენი სამართლიანად მოექცევა თავის მუშაკებს.”

ჩვენ ვნახეთ წინასწარმეტყველებში სიმართლის, სამართლიანობისა და წყალობის აქცენტი. ახალი აღთქმის ზოგადი წერილები შეიცავენ იმავე გზავნილს. ეს ყველაზე ნათლად ჩანს იაკობის წერილში. იაკობმა მისწერა მათ, ვინც აცხადებდა, რომ ღვთის ხალხი იყო, მაგრამ ვინც არ ცხოვრობდა სამართლიანად. ის გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი სიწმინდე ჩანს მართალ ყოფაში.

- წმიდა ხალხი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ღვთისმოსაობის აღიარება; ისინი ღვთიური ცხოვრებით ცხოვრობენ. „იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად” (იაკობის 1:22).

- წმიდა ხალხი თანაგრძნობას გამოხატავს ობოლთა და ქვრივთა მიმართ. „ღვთისა და მამის წინაშე წმიდა და უმწიკვლო მსახურება ის არის, რომ მიხედო ქვრივ-ობლებს მათ გასაჭირში და შეურყვნელად დაიცვა თავი ქვეყნიერებისგან” (იაკობის 1:27).
- წმიდა ხალხი მიუკერძოებელია როგორც მდიდრების, ისე ღარიბების მიმართ. „მაგრამ თუ პირფერობთ, ცოდვას სჩადიხართ და რჯული გამხელთ, როგორც რჯულის დამრღვევთ” (იაკობის 2:9).
- წმიდა ხალხი აკონტროლებენ თავის მეტყველებას. „ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგოს მთელი სხეულიც” (იაკობის 3:2).
- წმიდა ბიზნესმენები თავიანთ მუშაკებს სამართლიანად ეპყრობიან. „აჰა, ღაღადებს მუშაკთა საფასური, რომელიც დაუკავეთ თქვენი ყანების მომკელთ, და ცაბაოთ უფლის ყურამდე აღწევს მომკელთა ღაღადი” (იაკობის 5:4).

სიწმიდე ცვლის იმას, თუ როგორ ვცხოვრობთ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ჩვენს ბიზნესსა და კარიერაში. წმიდა ადამიანი ცხოვრობს სამართლიანად. თუ ღვთის წინაშე წმიდანი ვართ, სხვების მიმართ სწორად მოვიქცევით. წინასწარმეტყველთა და მოციქულთა გზავნილი ნათელია: წმიდა გული ცვლის ჩვენს ქმედებებს. წმიდა ხალხი სამართლიანად იცხოვრებს ცხოვრების ყველა სფეროში. ღმერთის მიზანია შექმნას ხალხი, რომელიც მართალი იქნება როგორც გულში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

„სიწმიდე ნიშნავს შეუბღალავად სიარულს, ენით უბიწო ლაპარაკს, გონებით უბიწო აზროვნებას - ცხოვრების ყველა დეტალს ღმერთის მეთვალყურეობის ქვეშ.”  
- ოსვალდ ჩემბერსი

როგორ გამოიყურება სამართლიანობა ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ გამოიყურება სიწმიდე ჩვენს ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროსთან? მოდით შევხედოთ რამდენიმე ნამდვილ ცხოვრებისეულ მაგალითს. ეს ყველაფერი მოდის იმ ადამიანებისგან, რომლებიც აცხადებენ, რომ წმიდები არიან. სახელები შეიცვალა. სამწუხაროდ, ისტორიები ნამდვილია.

პასტორი ტომი მშენებელია. მისი, როგორც მშენებლის საქმიანობა მხარს უჭერს მისი, როგორც პასტორის მსახურებას სიწმიდის ეკლესიაში. ტომმა იყიდა ხელსაწყო 100 დოლარად. ის სახლის ასაშენებლად გამოიყენა და შემდეგ ეს ხელსაწყო აღარ დასჭირვებია. როდესაც მან გადაწყვიტა გაეყიდა ხელსაწყო, მან მყიდველს უთხრა: „როცა ის ახალი იყო, მასში 200 დოლარი გადავიხადე. ახლა 150-ად მოგვყიდით.”

პასტორი ტომი ამბობს: „ეს კარგი ბიზნესია. მე მივიღე მოგება გადახდილი საწყისი ფასის გაზვიადებით. არავინ უნდა იცოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულს ღვთის საქმეს გამოვაყენებ“. ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი პატიოსანია თავის საქმეში.“ პავლე წერდა:

ნუ იცრუებთ ერთიმეორის მიმართ, რადგან შემოძარცული გაქვთ ძველი კაცი მის საქმეებთან ერთად (კოლასელთა 3:9).

ჯეინი მდივანია ბიზნესკომპანიაში. როდესაც მისმა პასტორმა სახლში მოინახულა, მან თქვა: „თუ რაიმე საოფისე ნივთი გჭირდებათ, შემიძლია მოგცეთ ისინი. სამსახურიდან სახლში მომაქვს ფანქრები, საკანცელარიო ნივთები და საოფისე ნივთები. ვერავინ ამჩნევს.“

ჯეინი ამბობს: "ეს უმნიშვნელო წვრილმანია." ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი პატიოსანია თუნდაც წვრილმანებში.“ პავლემ დაწერა, რომ ისინი, ვინც „შექმნილია ღვთისამებრ, ჭეშმარიტების სიმართლესა და სიწმიდეში“ იცხოვრებენ ახლებურად:

მომპარავი ნუღარ მოიპარავს, არამედ იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს სიკეთე, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისთვის მისაცემი (ეფესელთა 4:24, 28).

ბილი ხელმძღვანელობს ბიზნესს. მან უნდა აწარმოოს ჩანაწერები და გადასახადები გადაიხადოს წლის ბოლოს. გასულ წელს ბილმა თავისი ბიზნესიდან \$50,000 მოგება მიიღო, მაგრამ როდესაც მან შეავსო გადასახადები, მან მიუთითა მოგება \$40,000. დროდადრო ის სახელმწიფო მოხელეს ქრთამსაც უხდის, კარგი კონტრაქტის მისაღებად.

ბილი ამბობს: „მე ვიცი, როგორ მუშაობს ბიზნესი ჩემს ქვეყანაში. ჩემი კომპანიისთვის "თვლები უნდა დავზეთო". გარდა ამისა, მე ვიხდი მეათედს და ჩემს ფულს კარგი მიზნებისთვის ვიყენებ.“ ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი პატიოსანია მთავრობასთან ურთიერთობაში.“ პავლემ რომის იმპერიის მოქალაქეებს მისწერა: „ყოველი სული უნდა ემორჩილებოდეს უმაღლეს ხელისუფლებას“ (რომაელთა 13:1).

ლინდას არ მოსწონს თავისი სამსახური. მას სურს თავისი დრო ეკლესიაში მუშაობას დაუთმოს. ამის ნაცვლად მას აქვს სამუშაო, მდიდარი ადამიანების სახლების დასუფთავება. მას უხდიან სამუშაოში დილის 8:00-დან 17:00 საათამდე, მაგრამ ხშირად ის იგვიანებს და ადრე მოდის. ლინდამ თავის პასტორს უთხრა: „მირჩევნია დილით ლოცვას დავუთმო დრო და სამსახურში გვიან წავიდე. მირჩევნია სამსახურიდან ადრე წამოვიდე და საღამოს ეკლესიაში მივიდე. არ მჭირდება ვიმუშაო სრული სამუშაო დღე, სამუშაოსთვის ხელფას მაინც მიხდიან.“

ლინდა ამბობს: „ჩემი უფროსი ვერასოდეს გაიგებს, მე თუ სრულ სამუშაო დღეს არ ვიმუშავებ.“ ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი პატიოსანია სამუშაო ეთიკაში. ისინი მაქსიმუმს იძლევიან ყველგან, სადაც ღმერთი აყენებს მათ.“ პავლე წერდა:

მონებო, ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, არა მოჩვენებითი სამსახურით, როგორც კაცთმაამებლებმა, არამედ გულწრფელად, როგორც ღვთისმოშიშებმა. ყოველივე, რასაც აკეთებთ, მთელი გულით გააკეთეთ, როგორც

ღვთისთვის და არა კაცთათვის. იცოდეთ, რომ მემკვიდრეობას მიიღებთ უფლისგან საზღაურად, ვინაიდან უფალ ქრისტეს ემსახურებით (კოლასელთა 3:22-24).

არტური მისიონერია. მას ღმერთი უყვარს და ბევრს შრომობს, მაგრამ მწარე ენა აქვს! მან არაერთხელ აწყენინა გარშემომყოფებს მისი უხეში სიტყვებით.

არტური ამბობს: „მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ! თქვენ უნდა მიმიღოთ ისეთი, როგორიც ვარ“. ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი აკონტროლებს თავის ენას.“ იაკობი წერდა:

ენაც ცეცხლია, უმართლობის მთელი სამყარო... მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მითვე ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს. ერთი პირიდან გამოდის ლოცვა-კურთხევაც და წყევლაც. ასე არ უნდა იყოს, ჩემო ძმებო (იაკობის 3:6-10).

► თქვენს კულტურაში რა ეთიკური ცდუნების სფეროებია ქრისტიანებისთვის? რაში არიან ქრისტიანები ყველაზე მეტად ცდუნებულნი, რომ გამოავლინონ არაკეთილსინდისიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში? როგორ ეხმაურება წმიდა ცხოვრების შესახებ გზავნილი, ცდუნების ამ სფეროს?

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ჩიუნე სიგიპარა

ჩიუნე სიგიპარა იყო იაპონელი ქრისტიანი, რომელიც მუშაობდა მანჯურიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1939 წელს ის გაგზავნეს ლიეტუვაში, იაპონიის კონსულის თანამდებობაზე. იქ ის შეხვდა ებრაელ ქალბატონს და გაიგო, როგორ ეპყრობოდა გერმანიის ნაცისტური მთავრობა ებრაელ ხალხს.

სიგიპარა დაუკავშირდა თავის მთავრობას და ნებართვა სთხოვა გერმანიიდან და პოლონეთიდან გაქცეული ებრაელი ლტოლვილებისთვის ვიზების მისაცემად. იაპონიის მთავრობამ სიგიპარას უარი უთხრა მოთხოვნაზე.

1940 წლის ზაფხულისთვის სიგიპარამ იცოდა, რომ უნდა გამოეჩინა სამართლიანობა და წყალობა. მან მეუღლეს უთხრა: „არ მინდა ჩემს მთავრობის მიმართ დაუმორჩილებლობა. მაგრამ არ შემიძლია არ დავემორჩილო ღმერთს. სინდისს უნდა გავყვე.“

სიგიპარამ დაიწყო ლტოლვილებისთვის გასასვლელი ვიზების თავის ხელით დაწერა. ვარაუდობენ, რომ მან გადაარჩინა თითქმის 10000 ებრაელის სიცოცხლე, რომლებსაც ჰიტლერი მოკლავდა. მოგვიანებით სიგიპარა რუსულმა ჯარმა შეიპყრო და წელიწად-ნახევარი რუსეთის ციხეში გაატარა. როდესაც ის ციხიდან გაათავისუფლეს და

„ღვთის ხალხი ყველანი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც არაჩვეულებრივნი ხდებიან იმ მიზნის გამო, რომელიც მან მისცა მათ“. - ოსვალდ ჩემბერსი

იაპონიაში დააბრუნეს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაითხოვა სამსახურიდან, რადგან ის მათ ბრძანებებს არ დაემორჩილა.

მას შემდეგ რაც ის დაითხოვეს, სიგიჰირას საარსებო საშუალება არ ჰქონდა. მას უჭირდა ოჯახისთვის საკვების ყიდვაც კი. როდესაც მოგვიანებით მის მიერ გადარჩენილი ებრაელების შთამომავლები ეძებდნენ მას, იაპონიის მთავრობამ უარყო, რომ ის ოდესმე მათთვის მუშაობდა. საბოლოოდ, 1968 წელს, გადარჩენილმა ებრაელმა იპოვა სიგიჰირა და წაიყვანა ისრაელში.

სიგიჰირამ მცირეოდენი ამქვეყნიური აღიარება მიიღო თავისი მსხვერპლისთვის, მაგრამ ის დაემორჩილა ღმერთს, რადგან მართალი იყო. სიგიჰირამ იცოდა, რომ ღვთის შვილი სამართლიანად უნდა ცხოვრობდეს. მას არ შეეძლო გარშემოყოფების ტანჯვისთვის გვერდის ავლა. მან იცოდა, რომ იყო მართალი, ნიშნავს სამართლიანობის აღსრულებას, მოწყალების სიყვარულს და ღმერთთან თავმდაბლად სიარულს. ჩიუნე სიგიჰირა წმიდა ცხოვრებით ცხოვრობდა.

## **მე - 6 გაკვეთილის მიმოხილვა**

- (1) იყო წმიდა ნიშნავს იყო მართალი, როგორც შინაგანად, ასევე გარეგნულად.
- (2) ისრაელმა დაუშვა, რომ გარეგნულ რიტუალებსა და აღსარებას ჩაენაცვლებინა ჭეშმარიტი სიმართლე.
- (3) მართალი ცხოვრების გარეშე რელიგიური რიტუალები და რწმენის აღიარება უაზროა.
- (4) სიმართლე უნდა იყოს შინაგანი - ეს უნდა იყოს მორჩილება გულიდან.
- (5) სიმართლე უნდა იყოს გარეგნული - მან უნდა იმოქმედოს იმაზე, თუ როგორ ვექცევით გარშემომყოფებს.
- (6) წინასწარმეტყველები ასწავლიდნენ, რომ ღმერთს მართალი ადამიანისგან სამი რამ სჭირდება:
- სამართლიანობა სხვა ადამიანების მიმართ
  - წყალობა სხვა ადამიანების მიმართ
  - თავმდაბლობა ღმერთის მიმართ
- (7) ახალი აღთქმის წერილები იმეორებენ გზავნილს ჭეშმარიტი ცხოვრების შესახებ. წმიდა ადამიანმა უნდა იცხოვროს ეთიკური და მართალი ცხოვრებით.

## **გაკვეთილის დავალებები**

- (1) დაწერეთ 2-3 გვერდიანი ნარკვევი თემაზე „სამართლიანობა დღევანდელ სამყაროში.” აიღეთ ერთი სფერო, სადაც ეთიკური ცოდვა საყოველთაოდ არის მიღებული და აჩვენეთ რას გვასწავლის ბიბლია ცოდვის ამ სფეროს შესახებ. მიეცით პრაქტიკული დარიგებები იმ ადამიანებს, რომლებსაც ემსახურებით.
- (2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი მიქას 6:8-ის წაკითხვით.

## გაკვეთილი 7

### სიწმიდე ღვთის სიყვარულია

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) დააფასოს ღმერთთან სიყვარულით სავსე ურთიერთობის მშვენიერება.
- (2) მიჰყეს იესოს მაგალითს, როგორც მას, ვისაც სრულყოფილად უყვარდა მამა.
- (3) გააცნობიეროს, რომ ამქვეყნიურობა და რჯულის ზედმიწევნით დაცვა, ორივე ერთი და იგივე ძირეული მიზეზის სიმპტომებია.
- (4) დაიმახსოვროს მარკოზის 12:29-31.

#### იობი: ადამიანი, რომელსაც უყვარდა ღმერთი

იობმა ყველაფერი დაკარგა. მისი სიმდიდრე გაქრა. მისი შვილები ქარიშხალს შეეწირნენ. მისი ჯანმრთელობა განადგურდა. ის იჯდა ნაცრის გროვაზე და თიხის ჭურჭლის ნატეხით იფხევდა და და წყლულებს. მისი ცოლი ეუბნებოდა, რომ დაეგმო ღმერთი და მომკვდარიყო. მისმა მეგობრებმა საშინელ ცოდვებში დაადანაშაულეს. ისინი, ვინც წარსულში მას პატივს სცემდნენ, ახლა დასცინოდნენ.

ტანჯვის დროს იობი არ ლოცულობს: „ღმერთო, დამიბრუნე სიმდიდრე“ ან თუნდაც „ღმერთო, განკურნე ჩემი სხეული.“ ამის ნაცვლად, ის შესძახის: „ო, ნეტავ ვიცოდე, სად ვიპოვო იგი და მის სამყოფლამდე მივიდოდი!“ (იობის 23:3). იობი მოთქვამს, რადგან ვერ პოულობს ღმერთს, რომელსაც ასე ახლოს იცნობდა. „აპა, წინ მივდივარ და არ არის იგი, უკან და - ვერ ვპოვებ მას; ჩემს მარცხნივ თუ იქმს რასმე - ვერ ვამჩნევ, მარჯვნივაა შეფარული და ვერ ვხედავ მას“ (იობის 23:8-9).

იობს ახსოვს დღეები „როცა ღვთის მეგობრობა იცავდა ჩემს კარავს“ (იობის 29:4). მაგრამ ახლა:

ლაფში მისროლა და დავემსგავსე მტვერსა და ნაცარს. შემოგდალადებ და პასუხს არ მცემ; ვდგავარ და არაფრად მაგდებ. სასტიკი გახდი ჩემ მიმართ; მდევნი შენი ხელის ძლიერებით (იობის 30:19-21).

ეს არის ძახილი კაცის, რომელიც გრძნობს მისი უახლოესი მეგობრისგან ღალატს. ეს არის ძახილი კაცისა, რომელსაც უყვარდა ღმერთი.

იობის ამბავი სასოწარკვეთილებით არ მთავრდება. მას შემდეგ, რაც ღმერთი ქარიშხალიდან დაელაპარაკა, იობმა უპასუხა: „ყურმოკვრით გიცნობდი; ახლა კი გხედავენ ჩემი თვალები“

(იობის 42:5). იობს ანუგეშებდა არა ქონების, ჯანმრთელობის ან თუნდაც ოჯახის დაბრუნება, არამედ ღვთის თანდასწრების დაბრუნება. იობმა ინუგეშა, როდესაც ღმერთი იხილა. ის წმიდა კაცი იყო; იობს უყვარდა ღმერთი.

### სიწმიდე პოეტურ წიგნებში: ღმერთის სიყვარული

► რას ნიშნავს გიყვარდეს ღმერთი? როგორ იმოქმედებს ღვთისადმი გულწრფელი სიყვარული თქვენს პრიორიტეტებზე დროსა და ფულთან მიმართებაში? როგორ იმოქმედებს ღვთისადმი სიყვარული შენს დამოკიდებულებაზე მის მცნებებთან?

იობის წიგნი და ფსალმუნები იმეორებს იმ გზავნილს, რომელიც ვიხილეთ ხუთწიგნეულში: სიწმიდე არის ღმერთთან ურთიერთობა. ჩვენ ვართ წმიდები მხოლოდ მაშინ, როდესაც ღმერთთან ურთიერთობაში ვცხოვრობთ. იყო წმიდა ნიშნავს გიყვარდეს ღმერთი სრულიად.

ენოქი, ნოე და აბრაამი წმიდები იყვნენ, რადგან ღმერთთან ერთად დადიოდნენ. ასევე, იობი და დავითი წმიდები იყვნენ, რადგან ღმერთთან ერთად დადიოდნენ. იობის წიგნი მოგვითხრობს ადამიანის შესახებ, რომელსაც უზომოდ უყვარდა ღმერთი. ფსალმუნების წიგნი შეიცავს ადამიანის ლოცვებსა და სიმღერებს, რომლის ყველაზე დიდი სიხარული ღმერთთან ახლო ურთიერთობა იყო.

### წმიდა ხალხი ხარობს ღმერთში

წმიდა ხალხი ხარობს ღმერთში; ისინი მასში ყველაზე ღრმა სიხარულს პოულობენ. წმიდა ადამიანის მაკონტროლებელი სურვილია, აამოს ღმერთს.

მათ, ვინც სიწმიდეს ზომავს სიით თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა, ეს ზედმეტად გამარტივებად მიაჩნიათ. ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ სიწმიდე მხოლოდ მოვალეობაა და არა სიამოვნება. წმიდა წერილი გვიჩვენებს, რომ წმიდა ადამიანები ტკბებიან ღმერთით. იობს სხვა არაფერი სურდა, თუ არა ღმერთთან ურთიერთობის აღდგენა. დავითი ამოწმებდა ღმერთთან მისი ახლო ურთიერთობით გამოწვეული სიხარულის შესახებ. მან თავისი ღრმა სიხარული ღმერთში იპოვა.

#### ლოცვა სიწმიდისთვის

„ღმერთო ჩემო,  
ვლოცულობ, რომ ისე გიცნობდე და  
მიყვარდე, რომ ვიხარო შენით.  
დაე, ჩემმა გონებამ იფიქროს შენს სიკეთეზე.  
დაე ჩემმა ენამ ილაპარაკოს ამაზე.  
დაე ჩემმა გულმა იცოცხლოს ამისთვის.  
დაე, ჩემს სულს მოსწყურდეს ეს.  
დაე, მთელმა ჩემმა არსებამ მოისურვოს ეს,  
სანამ არ შევალ შენს სიხარულში“.  
- ანსელმ კენტერბერიელი

მე ვასწავლიდი ქალაქში, სადაც სასმელი წყალი არ იყო უსაფრთხო. ერთ ცხელ დღეს დამავიწყდა წყლის ფილტრის წაღება. გაკვეთილების დასრულებისას მხოლოდ ერთი აზრი მქონდა: „წყალი მჭირდება!“ თქვენ რომ შემოგეთავაზებინათ არჩევანი 100\$ ან ჭიქა სუფთა

წყალი, მე ავირჩევდი წყალს. როცა მართლა მწყუროდა, წყალი ყველაფერზე მნიშვნელოვანი იყო.

იმ საღამოს საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: „ღმერთიც ისე მწყურია, როგორც დღეს წყალი მწყუროდა? ნიშნავს ის ჩემთვის უფრო მეტს, ვიდრე ნებისმიერი რამ ამქვეყნად?”

დავითს სწყუროდა ღმერთი. „როგორც ირემი მიიღოვის წყლის ნაკადებისკენ, ისე მიიღოვის ჩემი სული შენკენ ღმერთო! ღმერთი, ცოცხალი ღმერთი სწყურია ჩემს სულს” (ფსალმუნის 41:1-2). დავითმა ღვთისადმი ღტოლვა მორბენალი ირმის წყურვილს შეადარა. მწყურვალი ირმის ყველაზე დიდი სურვილი წყალია; წმიდა ადამიანის ყველაზე დიდი სურვილი ღმერთთან სიახლოვეა. წმიდა ადამიანები არიან „სიმართლეს მოშიებულ-მოწყურებულნი” (მათეს 5:6).

ფსალმუნები ცოდვილთა სიამოვნებას უპირისპირებს წმიდა ადამიანის სიამოვნებას. ცოდვილები არიან ომის მოსურნენი; სიცრუე სიამოვნებთ; უყვართ წყევლა (ფსალმუნის 67:30; 61:4; 108:17). ამის საპირისპიროდ, წმიდა ხალხი პოულობს „სიხარულის სისავსეს“ ღმერთის წინაშე; მათ უყვართ ღვთის „სახლის სამყოფელი და შენი დიდების სამკვიდრებელი ადგილი” (ფსალმუნის 15:11; 25:8). მეფსალმუნებ მტკიცედ განაცხადა: „შენს გარდა არაფერი მსურს დედამიწაზე” (ფსალმუნის 72:25). წმიდა ადამიანები უდიდეს სიამოვნებას იღებენ ღმერთში.

62-ე ფსალმუნი გვიჩვენებს ღმერთზე ფიქრის მშვენიერებას. დავითი გაურბოდა საულს. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ასეთ სიტუაციაში რას იფიქრებდით? მე საშიშროებაზე „მედიტაციის“ ცდუნება გამიჩნდებოდა. დავითი ამბობს: „როცა გიხსენებ ჩემს სარეცელზე, მთელი ღამეები ვფიქრობ შენზე.” საფრთხის წინაშეც კი დავითის ფიქრები ღმერთზე იყო. მას ეს ფიქრები ისეთივე დამაკმაყოფილებლად მიაჩნდა, როგორც „ცხიმით და სიმსუქნით დანაყრება” (ფსალმუნის 62:5-6).

ფსალმუნის მგალობელი ღმერთით აღტაცებული იყო; ის შეყვარებული იყო ღმერთზე. წმიდა ხალხი ხარობს ღმერთში. დაფიქრდით ერთი წუთით: რა გწყურდებათ? იღებთ სიამოვნებას ღმერთში?

### წმიდა ხალხი ხარობს ღვთის რჯულით

წმიდა ადამიანს სიამოვნებს ღვთის რჯული. ფსალმუნები აჩვენებს, რომ ღვთის რჯული საფრთხეს არ წარმოადგენს მისი ხალხისთვის; წმიდა ადამიანებს უყვართ ღვთის რჯული. თქვა დავითმა: „შენი ნების აღსრულება მწადია ღმერთო და რჯული შენი ჩემს გულშია” (ფსალმუნის 39:8). ის არ იბრძოდა ღვთისადმი დასამორჩილებლად; მას სიამოვნებდა ღმერთის მორჩილება.

ღვთის რჯულით აღფრთოვანება მთელ ფსალმუნებს მოიცავს. 118-ე ფსალმუნის თემა არის ღვთის სიტყვა. მოუსმინეთ დავითის სიხარულს:

- ამიხილე თვალები, რომ დავინახო შენი რჯულის საოცრებები (ფსალმუნის 118:18).
- უმჯობესია ჩემთვის რჯული შენი ბაგისა, ვიდრე ათასი ოქრო და ვერცხლი (ფსალმუნის 118:72).
- წყალობა მიყავი, რათა ვიცოცხლო, რადგან მიყვარს შენი რჯული (ფსალმუნის 118:77).
- როგორ მიყვარს შენი რჯული, მასზე ვფიქრობ მთელი დღე (ფსალმუნის 118:97).
- შენმიერ ხსნას ვნატრობ ღმერთო, შენი რჯული საამურია ჩემთვის (ფსალმუნის 118:174).

### ღვთის რჯული ავლენს ღვთის სიყვარულს

„შენი წყალობით, უფალო, სავსეა ქვეყნიერება; მასწავლე შენი წესდებანი” (ფსალმუნის 118:64). ღმერთი ავლენს თავის სიყვარულს მისი რჯულის მეშვეობით: „წყალობით მოეკიდე შენს მსახურს და შენი წესები მასწავლე” (ფსალმუნის 118:124). წმიდა ადამიანებს სიამოვნებთ ღვთის რჯული, რადგან იციან, რომ ის ავლენს ღვთის სიყვარულს.

მოსემ თქვა, რომ ისრაელის მიერ ღვთის რჯულისადმი მორჩილება გამოიწვევდა შურს სხვა ერებში, მათი სიბრძნის მიმართ!

დაიცავით და აღასრულეთ, რადგან თქვენი სიბრძნე და გონიერებაა ის ხალხთა თვალში, რომლებიც მოისმენენ ამ წესებს და იტყვიან: მხოლოდ ეს ხალხია ბრძენი და გონიერი, დიდი ერია ეს” (მეორე რჯულის 4:6).

ჰკითხა მოსემ: „რომელი ერია ისე დიდი, რომელსაც იმ რჯულის მსგავსი წესები და სამართლიანი სამართალი აქვს, როგორსაც დღეს გაძლევთ?” (მეორე რჯულის 4:8). ღვთის რჯულმა ისრაელი არ დაიმონა; ღვთის რჯულმა აკურთხა ისრაელი.

დღეს ხშირად გვესმის მქადაგებლების სწავლება, რომ ღვთის რჯული იყო მძიმე ტვირთი, რომლის დაცვაც შეუძლებელი იყო. ზოგიერთი ქრისტიანი ამბობს, რომ ღვთის რჯული არის „მიზანი“, რომელსაც ვერავინ მიაღწევს. თუმცა, მოსე, დავითი და მველი აღთქმის სხვა წმიდანები ხარობდნენ ღვთის რჯულით. მათ სჯეროდათ, რომ სიხარული იყო ღვთის სახელისა და ღვთის შაბათის პატივისცემა. მათ არ სურდათ ცრუ კერპების თაყვანისცემა.

„ჩვენ წარმოგვიდგენია, რომ რაც უსიამოვნოა, ის არის ჩვენი მოვალეობა! არის რაიმე, ჩვენი უფლის სულის მსგავსი? ‘მე მიხარია შენი ნების შესრულება, ღმერთო ჩემო.’”

- ოსვალდ ჩემბერსი

მათ არ მიაჩნდათ, რომ უფრო ბედნიერები იქნებოდნენ, თუ შეურაცხყოფდნენ მშობლებს, ჩაიდენდნენ მკვლელობას და იმრუშებდნენ ან მოიპარავდნენ და მოიტყუებოდნენ. მათ იცოდნენ, რომ სჯობს დავკმაყოფილდეთ იმით, რაც გვაქვს, ვიდრე გვინდოდეს ის, რაც ჩვენს მეზობელს ეკუთვნის. ღვთის რჯული არ იყო ტვირთი. ღმერთმა თავისი რჯული მოსიყვარულე გულიდან მისცა. რჯული უძღვებოდა წმიდა ადამიანებს წმიდა ღმერთთან ურთიერთობაში. ღვთის რჯული სიამოვნებდა მის ხალხს.<sup>16</sup>

### ღვთის რჯული ავლენს ღვთის ხასიათს

თუ ღმერთი გვიყვარს, მისი რჯულიც გვეყვარება. მეფსალმუნემ განაცხადა: „საოცარია შენი მოწმობები; ამიტომ ინახავს მათ ჩემი სული“ (ფსალმუნის 118:129). დავითს არ უთქვამს: „ძნელია შენი რჯულის დაცვა, მაგრამ ვეცდები დავემორჩილო“. არა; მან თქვა: „საოცარია ღვთის რჯული!“

წმიდა ხალხს სიამოვნებთ ღვთის რჯული. მეფსალმუნეს უყვარდა ღვთის რჯული, რადგან იცოდა, რომ ის წესების ჩამონათვალზე მეტია; ღვთის რჯული ავლენს ღმერთის ხასიათს.

### წაიკითხეთ 110 და 111 ფსალმუნები.

110 და 111 ფსალმუნები თანხლები ფსალმუნებია. ერთად ისინი აჩვენებენ ღვთის რჯულის მნიშვნელობას წმიდა ადამიანისთვის. 110-ე ფსალმუნი აღწერს ღვთის ხასიათს: ღმერთი მართალი, მოწყალე და შემბრალეა.

111-ე ფსალმუნი იწყება: „ნეტარია კაცი მოშიში უფლისა, რომელიც დიდად ნეტარებს მის მცნებებში!“ ის, ვინც სიამოვნებას ღვთის მცნებებით იღებს, კურთხეული იქნება. როგორ? ის ღმერთის მსგავსი გახდება. ის იქნება „მოწყალე, შემბრალე და მართალი.“ ეს არის იგივე მახასიათებლები, რომლებიც აღწერს ღმერთს 110-ე ფსალმუნში. როცა ღვთის რჯულით ვტკბებით, უფრო და უფრო ვემსგავსებით ღმერთს.

ხუთწიგნეული გვასწავლის, რომ წმიდა ადამიანი ირეკლავს ღვთის ხატებას. 110 და 111 ფსალმუნები გვიჩვენებს, რომ ადამიანი, რომელსაც სიამოვნებს ღვთის რჯული, გარდაიქმნება ღვთის ხატად. ადამიანი, რომელსაც სიამოვნებს ღვთის რჯული, უფრო ემსგავსება ღმერთს.

თუ ჩვენ ნამდვილად გვიყვარს ღმერთი, ჩვენ დავიცავთ ღვთის რჯულს. დავითმა იკითხა: ვინ ავა უფლის მთაზე ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე? ვის შეუძლია ღვთის თანდასწრებაში იცხოვროს? ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი“ (ფსალმუნის 23:3-4). ღვთის თანდასწრებაში ცხოვრება მოითხოვს ღვთის რჯულის მორჩილებას. პოეტური

<sup>16</sup> ადაპტირებულია დენის Dennis F. Kinlaw, This Day with the Master (Grand Rapids: Zondervan, 2004).

წიგნები ცხადყოფს, რომ ღმერთი მოითხოვს მორჩილებას მათგან, ვინც აცხადებს, რომ უყვარს ის.

პოეტური წიგნები ასევე ცხადყოფს, რომ ღმერთი შესაძლებელს ხდის ერთგულ მორჩილებას. ეს არის ღმერთის დაპირება მათთვის, ვისაც უყვარს ის.

იობის ისტორია ასე იწყება: „იყო კაცი ვინმე ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი. უბიწო, წრფელი, ღვთისმოში და ბოროტებას განრიდებული იყო ეს კაცი” (იობის 1:1). როდესაც ელიფაზმა დაადანაშაულა იობი ცოდვაში, იობმა უპასუხა:

მტკიცედ მისდევს ჩემი ტერფი მის ნაფეხურებს, მის გზას ვიცავდი და გვერდზე არ გადამიხვევია; მის ბაგეთა მცნება არ მიმიტოვებია და საკუთარ საზრდოზე მეტად ვიცავდი მისი პირის სიტყვებს (იობის 23:11-12).

შეიძლება ვინმემ იკითხოს: „როგორ შეუძლია იობს თქვას, რომ მან არ დაარღვია ღვთის მცნებები? ყველა ყოველდღე სცოდავს“. იობი პასუხობს: „მე მიყვარს ღმერთი და მახარებს მისდამი გულმოდგინე მორჩილება.“ იობი ღმერთთან სიახლოვეში დადიოდა. ის ასრულებდა „მის ბაგეთა მცნებას.“ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია? იობი პასუხობს: „დიახ“. იობმა იცოდა, რომ ღმერთი შესაძლებელს ხდის ერთგულ მორჩილებას მათთვის, ვისაც ის უყვარს.

წმიდა ცხოვრება არ არის დაფუძნებული ჩვენს ძალებზე; ის ღმერთზე ყოველდღიური დამოკიდებულებიდან მოდის. იობი უმწიკვლო იყო არა იმიტომ, რომ უჩვეულოდ მოწესრიგებული იყო. ის უმწიკვლო იყო ღმერთთან ახლოს სიარულის გამო. იობმა გააცნობიერა, რომ ღმერთი მოითხოვს ერთგულ მორჩილებას და რომ ღმერთი შესაძლებელს ხდის ერთგულ მორჩილებას.

ეს ჭეშმარიტება ძლიერ გავლენას ახდენს მორწმუნის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ღმერთი მოითხოვს, რომ მისი ხალხი იყოს წმიდა და ღმერთი ხდის თავის ხალხს წმიდას. სწორედ მისი მეშვეობით ვხდებით წმიდანი და სპეციანი. ღმერთი მოითხოვს სიწმიდეს და ღმერთი უზრუნველყოფს სიწმიდეს. ღმერთი უზრუნველყოფს ყველაფერს, რასაც მისი სიტყვა მოითხოვს.

**ისინი, ვინც ხარობს ღმერთით, იღებენ თავიანთი გულის სასურველს**

36-ე ფსალმუნი გვიჩვენებს ღმერთში ტკბობის შედეგს. „ისიამოვნე უფლის მიერ და ის აგისრულებს გულის საწადელს“ (ფსალმუნის 36:4).

ზოგიერთი მკითხველი ფიქრობს, რომ ფსალმუნის 36:4 გვასწავლის: „თუ ღმერთს ვემსახურები, ის მომცემს ყველაფერს, რასაც ვითხოვ. ის გამამდიდრებს.“ დავითი არ

ქადაგებს აყვავების სახარებას, რომელიც ამბობს: „ღმერთს სურს, რომ მისი შვილები მდიდრები იყვნენ.“ დავითი უფრო მნიშვნელოვან რამეს ამბობს: „თუ შენი ყველაზე ღრმა სურვილი ღმერთია, ღმერთი მოგცემს თავს“. თუ ღმერთი გსურს, მიიღებ ღმერთს.

თუ მიჰყებით ღმერთს, რათა მიიღოთ ჯანმრთელობა, სიმდიდრე და დიდება, იმედგაცრუებული დარჩებით ფსალმუნის 36:4-ის გზავნილით. თუ ღმერთს მიჰყებით მატერიალური კურთხევისთვის, იმედგაცრუებული დარჩებით, როდესაც აღმოაჩენთ, რომ თქვენი საზღაური არის.... ღმერთი!

საკუთარ თავზე ორიენტირებული ადამიანისთვის ღმერთის მიღება არ არის დიდი საზღაური. საკუთარ თავზე ორიენტირებულ ადამიანს ღმერთი არ სურს. მაგრამ ადამიანისთვის, ვისაც ღმერთი სურს, ფსალმუნის 36:4 დიდი დაპირებაა. წმიდა ადამიანისთვის ღმერთი ყველაზე დიდი საჩუქარია, რაც კი შეიძლება არსებობდეს.

მათ, ვისაც ღმერთი სურს, ის ანიჭებს უახლოეს ურთიერთობას თავისთან. ღმერთში სიხარულს ყოველთვის არ მოაქვს ფინანსური კურთხევა ან ტანჯვისგან განთავისუფლება. ადამიანები, რომლებიც ხარობენ ღმერთში, შეიძლება მოძულებულნი იყვნენ მტრისგან. წმიდა ხალხი ხშირად იტანჯება, მაგრამ დავითმა და იობმა აღმოაჩინეს, რომ ტანჯვის დროსაც კი ღმერთი პატივს სცემს მათ, ვინც მასში ხარობს.

სიწმიდე არის ღმერთის სიყვარული. წმიდა ხალხი ხარობს ღმერთში; თავის მხრივ, ღმერთი თავისუფლად უძლვნის მათ საკუთარ თავს, ვინც მასაა მოწყურებული.

### სიწმიდე სახარებებში: ღვთის სიყვარული

ერთმა რჯულის მცოდნე მწიგნობარმა ჰკითხა იესოს: „რა უნდა გავაკეთო მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ იესომ მიუთითა მოსეს რჯულზე. „რჯულში როგორ წერია? შენ როგორ კითხულობ?“

მწიგნობარმა მეორე რჯულის 6:5-ს და ლევიანთა 19:18-ს ციტირება მოახდინა. ეს წმიდა წერილები აჯამებს რჯულს. „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა ძალითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ იესომ მიუგო: „სწორად მიპასუხე. ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ“ (ლუკას 10:25-28). სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული.

რამდენიმე თვის შემდეგ იესო იერუსალიმში იმყოფებოდა. მწიგნობარმა ჰკითხა: „რომელია უპირველესი მცნება?“ (მარკოზის 12:28). ფარისევლებმა ჩამოთვალეს 613 კანონი ძველი აღთქმიდან. ისინი ხშირად კამათობდნენ იმაზე, თუ რომელი კანონი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. იესომ უპასუხა:

პირველი არის ‘ისმინე, ისრაელო! უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთი უფალია. შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გონებით, მთელი შენი შეძლებით.’ ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: ‘შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.’ ამათზე დიდი მცნება არ არსებობს (მარკოზის 12:29-31).

იესომ სიწმიდე განსაზღვრა, როგორც სიყვარული ღმერთისადმი და სიყვარული სხვების მიმართ. ჭეშმარიტი სიწმიდე გამოიხატება სიყვარულის მეშვეობით. ჩვენ ვიზრდებით სიწმიდეში, როდესაც ვიზრდებით ქრისტეს სიყვარულში. იყო წმიდა ნიშნავს გიყვარდეს ისე, როგორც იესოს უყვარდა; ეს არის სრულყოფილი სიყვარული.

მე-5 გაკვეთილში ჩვენ ვნახეთ, რომ ბეჭელი აღთქმის მწერლები იყენებდნენ სიტყვას „სრულყოფილი“ განუყოფელი გულის გამოსახატად. სრულყოფილება ნიშნავს ღმერთისადმი განუყოფლად ერთგულებას. ახალი აღთქმის მწერლები სიტყვა „სრულყოფილს“ ანალოგიურად იყენებენ. იესომ თავის მიმდევრებს უბრძანა: „იყავით სრულყოფილნი“ (მათეს 5:48). სახარებებში ჩვენ ვხედავთ, რომ სრულყოფილება ნიშნავს, გქონდეს ღვთისა და მოყვასისადმი განუყოფელი სიყვარული. იყო სრულყოფილი ნიშნავს გიყვარდეს დათქმის გარეშე. ეს არის სრულყოფილი სიყვარული.

სრულყოფილ სიყვარულზე გზავნილი არ იყო ახალი სახარებებში. იესომ შეახსენა ისრაელს, რომ ღმერთი ყოველთვის მოითხოვდა სიყვარულს, ღმერთისა და მოყვასისადმი. მეორე რჯულის მე-6 თავი აჩვენებს, რომ სიყვარულია რჯულის საფუძველი. მორჩილება სიყვარულის გარეშე იწვევს ლეგალიზმს (რჯულის სიტყვასიტყვით დაცვას). იესო ასწავლიდა, რომ სიწმიდე არის ღვთის სიყვარული. თუ ღმერთი გვიყვარს, მას დავემორჩილებით. სიწმიდე არის ღმერთის სიყვარული მთელი გულით.

ღმერთის სიყვარული ემოციაზე მეტია. ჯონ უესლიმ განსაზღვრა ღვთის სიყვარული:

.... დავტკბეთ მისით, ვიხაროთ მისი ნებით, გვსურდეს განუწყვეტლივ ვასიამოვნოთ მას, ვეძიოთ და ვიპოვოთ მასში ჩვენი ბედნიერება და გვწყუროდეს დღედაღამ უფრო სრულფასოვანი სიამოვნება მივიღოთ მასში.<sup>17</sup>

ღვთის სიყვარული ცვლის ჩვენი ცხოვრების მთელ მიმართულებას. ღმერთის სიამოვნება ხდება ჩვენი უმაღლესი ამბიცია და ჩვენი უდიდესი სიხარული. იესომ აჩვენა, თუ რას ნიშნავს ღმერთის სრულყოფილად სიყვარული. იესოში ჩვენ ვხედავთ წმიდა სიყვარულს, რომელიც ღმერთს სურს ყველა ქრისტიანისთვის.

<sup>17</sup> John Wesley, “On Love.” მოძიებულია <http://wesley.nnu.edu/john-wesley/the-sermons-of-john-wesley-1872-edition/sermon-139-on-love/> December 21, 2019.

## **იესომ გამოავლინა ღმერთისადმი სრულყოფილი სიყვარული თავის ცხოვრებაში**

იესომ გამოავლინა სრულყოფილი სიყვარული მამის მიმართ. იესო სიხარულით ემორჩილებოდა მამის ნებას. ეს არ იყო მონის იძულებითი მორჩილება; ეს იყო მის სიყვარულით გამოწვეული მორჩილება.

### **ცდუნება ავლენს იესოს სიყვარულს მამის მიმართ**

საჯარო მსახურების დაწყებამდე იესო უდაბნოში ცდუნების წინაშე აღმოჩნდა. ყოველი ცდუნება მიმართული იყო მამისა და ძის ურთიერთობის დასაწერებად.

სატანა აცდუნებდა იესოს, რომ გვერდი აევლო მამისთვის და თავისი თავი პურით უზრუნველეყო. სატანა აცდუნებდა იესოს, მიეტოვებინა მამის თაყვანისცემა, რათა მოეპოვებინა ძალაუფლება მსოფლიოს სამეფოებზე. სატანა აცდუნებდა იესოს, რომ გამოეცადა მამა ტაძრის მწვერვალიდან გადახტომით (ლუკას 4:1-12). თითოეული ცდუნება იყო მამისადმი იესოს სიყვარულის გამოცდა. იესომ უპასუხა მისი ზეციერი მამისადმი სრული ნდობის გამოვლენით.

იმის ნაცვლად, რომ ქვა პურად გადაექცია, იესომ მეორე რჯულის 8:3-ს ციტირება მოახდინა: „არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი.“ მოსემ შეახსენა ისრაელს, რომ ღმერთმა უდაბნოში მანნა მისცა; ისრაელს შეეძლო დანდობოდა მამის მოსიყვარულე ზრუნვას. სწორედ ასე, იესოც ენდობოდა მამის მოსიყვარულე მზრუნველობას.

სატანისთვის თაყვანისცემის ნაცვლად, იესომ მეორე რჯულის 6:13-ს ციტირება მოახდინა; „უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე.“ რადგან იესოს სრულყოფილად უყვარდა ღმერთი, მან უარი თქვა სატანის წინაშე თაყვანისცემაზე.

იმის ნაცვლად, რომ გამოეცადა მამა ტაძრის მწვერვალიდან გადმოხტომით, იესომ მეორე რჯულის 6:16-ს ციტირება მოახდინა „არ გამოსცადო უფალი, შენი ღმერთი.“ იმის გამო, რომ მას სრულყოფილად უყვარდა ღმერთი, იესომ უარი თქვა გამოეცადა მამის დაპირება მფარველობაზე.

### **ტაძრის განწმენდა აჩვენებს იესოს სიყვარულს მამის მიმართ**

ჯერ კიდევ ბავშვობაში იესოს უყვარდა თავისი „მამის სახლი“ (ლუკას 2:49). მას უყვარდა მამა, ამიტომ უყვარდა მამის სახლი.

როდესაც იესომ ტაძარში უპატიოსნო ვაჭრები ნახა, მისი რეაქცია სამართლიანი რისხვა იყო.

საბლისგან შოლტი გააკეთა და გამორეკა ტაძრიდან ყველა, ასევე ხარები და ცხვრები; ფულის გადამცვლელებს ფული დაუბნია და მაგიდები აუყირავა (იოანეს 2:15).

რატომ გაბრაზდა იესო? რადგან ეს ვაჭრები შეურაცხყოფდნენ მისი მამის სახლს: „მამაჩემის სახლს სავაჭრო სახლად ნუ გადააქცევთ“ (იოანეს 2:16). იესოს უყვარდა მამა და გაბრაზებული პასუხობდა მამის სახლის უპატივცემულობას.

იესოს ნორმალური ადამიანური ემოციები ჰქონდა. ბოროტების წინაშე ის განრისხდა - მაგრამ არ შეუცოდავს (მარკოზის 3:5; ეფესელთა 4:26). სიწმიდე არ გამორიცხავდა იესოს ემოციებს. პირიქით, რადგან ის წმიდა იყო, იესოს ემოციები ასახავდა მისი მამის ემოციებს. იესო გაბრაზდა იმის გამო, რამაც მისი მამა გააბრაზა.

### **იესოს მორჩილება გამოხატავს მის სიყვარულს მამის მიმართ**

გამოსამშვიდობებელ გზავნილში იესომ მიუთითა მის მორჩილებაზე, როგორც მამისადმი მისი სიყვარულის მოწმობაზე. „რათა გაიგოს ქვეყნიერებამ, რომ მიყვარს მამა და, როგორც მამამ მამცნო, ისე ვაკეთებ“ (იოანეს 14:31). იესომ გამოავლინა თავისი სიყვარული მამის მიმართ მამის ნებისადმი ნებით დამორჩილებით. ეს არის სრულყოფილი სიყვარული.

საბოლოო გამოცდაშიც კი იესო დაემორჩილა მამის ნებას. იესომ იცოდა, რომ გადაიტანდა სამარცხვინო განსაცდელს, რომელსაც მოჰყვებოდა ჯვრის წარმოუდგენელი ტკივილი. ის დაშორდებოდა მამას ადამიანის ცოდვის გამო. იესო ლოცულობდა: „მამაო! თუ გნებავს, ამაცდინე ეს სასმისი..“ (ლუკას 22:42). იესო ნაზარეველი მამისადმი მორჩილების საბოლოო გამოცდის წინაშე დადგა.

თავისი ადამიანურობით იესო ითხოვდა ხსნას. მაგრამ თავისი ადამიანურობითვე იესომ აჩვენა მისი, ნებით მორჩილება მამისადმი. „მაგრამ იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი.“ იესომ მამისადმი სრულყოფილი სიყვარული გამოავლინა მამის ნებისადმი დამორჩილებით.

იესოს ცხოვრება იძლევა სრულყოფილი სიყვარულის მაგალითს. სიწმიდე არის გიყვარდეს ღმერთი, როგორც იესოს უყვარდა თავისი მამა.

### **იესო თავის მიმდევრებს ასწავლიდა ღმერთის სრულყოფილად სიყვარულს**

ღმერთის სიყვარული ემოციაზე მეტია. ეს არის გრძელვადიანი ვალდებულება, რომელიც ცვლის ჩვენი ცხოვრების საბოლოო პრიორიტეტებს. იესომ სიყვარული ასე განსაზღვრა:

თუ ვინმე მოდის ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ თავსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე. ვინც თავის ჯვარს არ იტვირთავს და ისე არ გამომყვება, ჩემი მოწაფე ვერ გახდება (ლუკას 14:26-27).

ებრაელი მასწავლებლებისთვის სიტყვა „სიძულვილი“ ნიშნავდა „გიყვარდეს სხვა რამეზე ნაკლებად.“ იესოს მიმდევარს ის ყველა სხვაზე, თუნდაც საკუთარ თავზე მეტად უნდა

უყვარდეს. სწორედ ამას ნიშნავს გიყვარდეს ღმერთი - გიყვარდეს ღმერთი ყველაფერზე მეტად.

იესომ თქვა: „არც ერთ მსახურს არ შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ან იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს” (ლუკას 16:13). სიყვარული მომთხოვნია. თუ ღმერთი გიყვარს, ის ცხოვრებაში პირველ ადგილს უნდა იკავებდეს, ყველაფერზე მაღლა.

იესო ასწავლიდა, რომ ერთგული და ნებაყოფლობითი მორჩილება სიყვარულს გამოხატავს. „ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული.” ამ სიყვარულით სავსე მორჩილების ჯილდო, ღმერთთან ძალიან ახლო ურთიერთობაა. „ჩემს მოყვარულს კი მამაჩემიც შეიყვარებს; მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები” (იოანეს 14:21).

მრავალი წლის შემდეგ იოანეს გაახსენდა იესოს სიტყვები ზედა ოთახში. იოანე წერდა: „ხოლო ვინც მის სიტყვას იცავს, მასშია ჭეშმარიტად აღსრულებული ღვთის სიყვარული” (1 იოანეს 2:5). სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული ღმერთის მიმართ. წმიდა ხალხი ნებით ემორჩილება მამის ნებას. წმიდა ხალხი მიჰყვება იესოს მორჩილების ნიმუშს.

როდესაც სრულყოფილად გვიყვარს ღმერთი, სიამოვნებით ვემორჩილებით მის ნებას. როდესაც სრულყოფილად გვიყვარს ღმერთი, ჩვენ ნებაყოფლობით ვემორჩილებით ჩვენი მამის ნებას. როდესაც ღმერთი სრულყოფილად გვიყვარს, დავითთან ერთად ვლოცულობთ:

გამომიკვლიერ უფალო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი! (ფსალმუნის 138:23-24).

სრულყოფილი სიყვარული გვაძლევს ძლიერ სურვილს ვასიამოვნოთ ჩვენს ზეციერ მამას. ჩვენ უარს ვამბობთ ყველაფერზე, რაც ხელს შეუშლის ჩვენს ურთიერთობას მასთან. სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული ღმერთის მიმართ.

იესოსა და მამას შორის ურთიერთობა არის ნიმუში ქრისტიანისთვის

► წაიკითხეთ იოანეს მე - 17 თავი.

იესომ თავის მღვდელმთავრულ ლოცვაში სიწმიდის სურათი გადმოსცა. იოანეს მე - 17 თავში იესო ლოცულობდა თავისთვის, მოწაფეებისთვის და შემდეგ ყველა მორწმუნესთვის. იესომ გვაჩვენა, რომ მისი ახლო ურთიერთობა მამასთან არის მაგალითი ურთიერთობის, ქრისტიანებსა და ჩვენს მამას შორის.

### **იესო ლოცულობდა თავისთვის (იოანეს 17:1-5)**

სიკვდილის წინაშე მყოფ იესოს უხაროდა, რომ მან დაასრულა საქმე, რომელიც მამამ დაავალა: „მე განგადიდე დედამიწაზე, აღვასრულე საქმე, რომელიც მომეცი გასაკეთებლად.“

მოგვიანებით ამ ლოცვაში იესომ თქვა: „ჩემს თავს განვწმედ“. ბერძნული სიტყვა hagiazo, რომელიც ითარგმნა, როგორც „განწმედა“ არის სიტყვა, რომელიც ითარგმნება, ასევე როგორც „მიძღვნა“ მოგვიანებით იმავე მუხლში, იესო ლოცულობდა:

განწმიდე (hagiazo) ისინი ჭეშმარიტებით; შენი სიტყვაა ჭეშმარიტება. როგორც შენ მომავლინე ქვეყნიერებაზე, მეც ასევე მივავლინე ისინი ქვეყნიერებაზე. ჩემს თავს განვწმედ (hagiazo) მათთვის, რათა ისინიც განწმედილნი (hagiazo) იყვნენ ჭეშმარიტებით (იოანეს 17:19).

Hagiazo შეიძლება ნიშნავდეს ასევე „განწმედას“ ან „მიძღვნას და გამოყოფას.“ იმის გამო, რომ იესოს არ ჰქონდა ცოდვა, მას არ სჭირდებოდა განწმედა. ამ ლოცვაში „განწმედა“ ნიშნავს „მიძღვნას ან გამოყოფას.“ იესომ თავი გამოყო იმ საქმის შესასრულებლად, რომელიც მამამ მისცა. იესომ თავი მიუძღვნა იმ დავალებას, რომელიც მამამ მისცა.

### **იესო ლოცულობდა თავისი მოწაფეებისთვის (იოანეს 17:6-19)**

იესო ლოცულობდა, რომ მოწაფეები ჭეშმარიტებით განწმედილიყვნენ. „ჩემს თავს განვწმედ მათთვის, რათა ისინიც განწმედილნი იყვნენ ჭეშმარიტებით.“ ისევე, როგორც იესო იყო გამოყოფილი მსახურებისთვის დედამიწაზე, ის ლოცულობდა, რომ მოწაფეებიც ყოფილიყვნენ გამოყოფილნი მსახურებისთვის. ძესა და მამას შორის ურთიერთობა, მოწაფეებსა და მამას შორის ურთიერთობის ნიმუში იყო. რადგან მოწაფეები მიჰყვებოდნენ იესოს მაგალითს, ისინი გამორჩეულ იქნენ, რათა სამყაროსთვის გაეზიარებინათ მისი ჭეშმარიტება.

### **იესო ლოცულობდა ყველა მორწმუნებისთვის (იოანეს 17:20-26)**

შემდეგ იესო ლოცულობდა ყველასთვის „ვინც მათი სიტყვით მირწმუნებს“. ის ლოცულობდა, რომ ყველა ქრისტიანმა გაიზიაროს ის ერთობა, რომელიც მას ჰქონდა მამასთან. იესო ლოცულობდა, რომ მოწაფეები „სრულყოფილნი იყვნენ ერთობაში.“ ეს იგივე სიტყვაა, რომელიც გამოიყენება მათეს 5:48-ში: „იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი.“ ეს სიტყვა მიუთითებს მიზნის მიღწევაზე. მიზანი არის სრულყოფილი სიყვარული, სიყვარული, რომელიც ჩანს სამებაში.

ჩვენ, როგორც მორწმუნები, მოწვეულნი ვართ გავიზიაროთ მამისა და ძის ღვთაებრივი სიყვარული. იესო ლოცულობდა: „რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, მათშიც იყოს და

მეც ვიყო მათში.” სიყვარული იესოსა და მამას შორის არის ნიმუში ყველა მორწმუნესთვის. აი რას ნიშნავს იყო წმიდა: გქონდეს იესოს მიერ ნიმუშად მოცემული სრულყოფილი სიყვარული.

### სიწმიდე პრაქტიკაში: მიყვარს ღმერთი?

ჯორჯს ჰქონდა შეკითხვა თავის პასტორთან. „პასტორ, მინდა ვიყო წმიდა. აბრაამის მსგავსად, მინდა ვიყო ღმერთის მეგობარი. მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა. მე ვაკეთებ რაღაცებს, რაც ვიცი, რომ არასწორია. მე მიყვარს ღმერთი, მაგრამ არ მინდა დავემორჩილო მას. შემიძლია ვიყო ღმერთის მეგობარი, თუ მას არ ვემორჩილები?”

იესომ უპასუხა ჯორჯის კითხვას 2000 წელზე მეტი წელი წინ. „თუ მე გიყვარვართ, დაიცავთ ჩემს მცნებებს” (იოანეს 14:15). ღმერთი არსად ამბობს: „თუ გიყვარვარ, შეგიძლია განაგრძო ცხოვრება განზრახ ცოდვაში.” პირიქით, იესომ თქვა: „თუ მე გიყვარვართ, დაიცავთ ჩემს მცნებებს”. იესომ განაგრძო: „ვისაც არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს” (იოანეს 14:24).

ზოგიერთები, ვინც თავს ქრისტიანებად აცხადებენ, საუბრობენ მათ ღვთისადმი სიყვარულზე, იმ დროს, როდესაც განაგრძობენ განზრახ ცოდვაში ცხოვრებას. ამ ადამიანებისთვის ღმერთის სიყვარული უბრალოდ ემოციაა. ისინი აცხადებენ, რომ უყვართ ღმერთი, მაგრამ ამან არ შეცვალა მათი ცხოვრება. თუმცა, ღმერთის სიყვარული უფრო მეტია, ვიდრე ემოცია ან გრძნობა. ღმერთის სიყვარული მოითხოვს მისი მცნებებისადმი ნებაყოფლობით მორჩილებას.

სალის ჰქონდა შეკითხვა თავის პასტორთან. „პასტორ, მინდა ვიყო წმიდა. იობის მსგავსად, მინდა ვიყო უმწივლო და მართალი. მე ყურადღებით ვიცავ ყველა მცნებას. მაგრამ არსებობს ერთი პრობლემა. სინამდვილეში არ მიყვარს ღმერთი. მე მას ვემორჩილები შიშის გამო, თუ არ დავემორჩილები, გაბრაზდება. ღმერთს ვემორჩილები, მაგრამ არ მიყვარს. შემიძლია ვიყო წმიდა, თუ ღმერთი არ მიყვარს?”

იესომ უპასუხა სალის კითხვას 2000 წელზე მეტი წელი წინ. იესომ მისცა გზავნილი ეფესოს ეკლესიას. მან შეაქო მათი კარგი საქმეები და მოციქულებრივი მოძღვრება. მან შეაქო ისინი მათი ერთგულებისთვის დევნის წინაშე. მაგრამ მან თქვა: „მაგრამ შენს საწინააღმდეგოდ ის მაქვს, რომ მიატოვე შენი პირველი სიყვარული.” იესომ იმდენად სერიოზულად მიიღო სიყვარულის ნაკლებობა, რომ გააფრთხილა „გადავწევ შენს სალამპრეს თავისი ადგილიდან”, თუ არ მოინანიებდნენ და არ დაუბრუნდებოდნენ პირველ სიყვარულს (გამოცხადების 2:2-5).

ზოგიერთი ქრისტიანი თვლის, რომ მათ შეუძლიათ ღვთის კეთილგანწყობა მოიპოვონ მორჩილებით, მაგრამ მათ მორჩილებას სიყვარული არ ახლავს. მათ მიაჩნიათ, რომ სიწმიდე

არის წესების სიის მორჩილება. მათ დაავიწყდათ, რომ სიწმიდის საფუძველი ღვთისადმი სიყვარულია.

გულის სიღრმეში ჯორჯსა და სალის ერთი და იგივე ძირითადი პრობლემა აქვთ; არცერთ მათგანს არ უყვარს ღმერთი. ჯორჯის ღვთისადმი სიყვარულის ნაკლებობა ამქვეყნიურობაში ჩანს. ამქვეყნიურობა ამბობს: „მე მიყვარს ეს სამყარო იმაზე მეტად, ვიდრე ღმერთი.”

სალის ღმერთისადმი სიყვარულის ნაკლებობა ლეგალიზმში ჩანს. ლეგალიზმი ამბობს: „მე ვემორჩილები ღმერთს არა სიყვარულით, არამედ ღვთის კეთილგანწყობის მოპოვების სურვილით.” არცერთი მათგანი არ არის მოტივირებული ღვთისადმი სიყვარულით. პასუხი ამქვეყნიურობაზეც და ლეგალიზმზეც ერთია - ღმერთის სიყვარული.

### პასუხი ამქვეყნიურობაზე: ღმერთის სიყვარული

რას ნიშნავს იყო ამქვეყნიური? ბევრჯერ ჩვენ განვსაზღვრავთ ამქვეყნიურობას ჩაცმის სტილით, გართობის ტიპით, საზოგადოების მოწონების სურვილით, გამორჩეულობით ან სხვა გარეგნული ნიშნით. ეს შეიძლება იყოს ამქვეყნიურობის სიმპტომები, მაგრამ ამქვეყნიურობა ბევრად უფრო ღრმაა. ეს არის ის კითხვა, რომელიც უნდა დავსვათ ამქვეყნიურობის განსაზღვრებისთვის: „რას მოაქვს ჩემთვის ჭეშმარიტი სიამოვნება?”

„ამქვეყნიურობა“ ნიშნავს ქვეყნიერებისგან იღებდე სიამოვნებას. ამქვეყნიური ადამიანი ეძებს საბოლოო კმაყოფილებას ამ სამყაროსგან. ამქვეყნიურობა ნიშნავს ქვეყნიური ღირებულებების ღვთისაზე მაღლა დაყენებას.

ლოტმა „აღაპყრო თვალები და დაინახა, რომ იორდანეს მთელი ტაფობი კარგად ირწყვებოდა“. მან აირჩია ხეობა, რომელიც ესიამოვნა მის თვალებს (დაბადების 13:10-11). ლოტი ამქვეყნიური იყო; მას ახარებდა ამქვეყნიური სიამოვნებები.

დემასმა მიატოვა მსახურება, რადგან ქვეყნიერებაში იპოვა სიამოვნება. პავლე წერდა: „ვინაიდან დემასმა შეიყვარა ეს ქვეყნიერება, მიმატოვა და წავიდა თესალონიკეს,“ აყვავებულ ქალაქში (2 ტიმოთეს 4:10). დემასი ამქვეყნიური იყო; მას უყვარდა ქვეყნიერება.

ღვთისმოსავი ადამიანი ყველაზე დიდ სიამოვნებას იღებს ღმერთში. მეფსალმუნე წერდა: „და შენ გარდა არაფერი მსურს დედამიწაზე“ (ფსალმუნის 72:25). მეფსალმუნე ღვთისმოსავი იყო; მას უყვარდა ღმერთი.

ამქვეყნიურობაზე პასუხი არ არის წესების კრებული. ამქვეყნიურობაზე პასუხი არის ღმერთის სიყვარული. მე-19 საუკუნის შოტლანდიელი პასტორი, თომას ჩალმერსი ქადაგებდა თემას: „ახალი სიყვარულის განდევნის ძალა.“ პასტორმა ჩალმერსმა თქვა, რომ ორი რამ უნდა გავაკეთოთ, თუ გვინდა შევწყვიტოთ ქვეყნიერების სიყვარული.

1. ჩვენ რაღაც უნდა გადავდოთ. უნდა ვაღიაროთ ამ სამყაროს სიცარიელე. როდესაც ვხედავთ ამქვეყნიური ნივთების ამაოებას, ჩვენი სიყვარული ქვეყნიერების მიმართ სუსტდება. მაგრამ ეს თავისთავად საკმარისი არ არის.
2. ჩვენ რაღაცით უნდა შევიმოსოთ. უნდა შევცვალოთ ქვეყნიერების სიყვარული რაღაც უფრო ლამაზით. როდესაც ჩვენ გვიყვარდება ღმერთი, ჩვენი ახალი სიყვარული განდევნის ძველ სიყვარულს ქვეყნიერების მიმართ.

ქვეყნიერების სიყვარულის საწინააღმდეგო წამალი, ღმერთის შეყვარებაა. იესომ თქვა იგავი ვაჭარზე, რომელმაც გაყიდა ყველაფერი, რაც ჰქონდა ერთი ძვირფასი მარგალიტის შესაძენად.

კიდევ, ცათა სამეფო წააგავს ვაჭარს, რომელიც ლამაზ მარგალიტებს ეძიებს; როგორც კი ძვირფას მარგალიტს იპოვის, წავა, გაყიდის ყოველივეს, რაც აბადია და მას იყიდის (მათეს 13:45-46).

წარმოიდგინეთ, ამ ვაჭრისთვის რომ გეთქვათ: „ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ ამდენი ქონების გაყიდვა მოგიწიათ.“ ვაჭარი ალბათ დაგცინებდათ! ის იტყოდა: „მსხვერპლი? მე არ გამიღია მსხვერპლი; მე ვიყიდე მარგალიტი დიდ ფასად. რაც გავყიდე არაფერია ამ ლამაზ მარგალიტთან შედარებით.“ ვაჭარმა ახალი სიყვარული იპოვა. მას ისეთი რამ შეუყვარდა, რამაც მისი ძველი სიყვარული განდევნა.

ამქვეყნიურობაზე პასუხი ღმერთის შეყვარებაა. ღმერთისადმი სიყვარული განდევნის ჩვენს სიყვარულს ფულის, აპლოდისმენტების, სანახაობისა და ყველაფრის მიმართ, რასაც ქვეყნიერება იყენებს ღვთის ხალხის საცდუნებლად. წმიდა ადამიანებს უყვართ ღმერთი - და ეს სიყვარული განდევნის სიყვარულს ქვეყნიერების მიმართ.

#### **პასუხი ლეგალიზმზე: ღმერთის სიყვარული<sup>18</sup>**

როდესაც ჩვენ გულწრფელად გვსურს ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით, შეიძლება გვქონდეს ცდუნება, გავცდეთ „ქრისტიანული სრულყოფილების“ ბიბლიურ პრინციპს და დავექვემდებაროთ რჯულის დაცვიდან გამომდინარე „პერფექციონიზმს.“

ბიბლიური „ქრისტიანული სრულყოფილება“ არის ღმერთისადმი განუყოფელი სიყვარულის გული. ქრისტიანული სრულყოფილება აჩვენებს გულს, რომელიც ცდილობს ღმერთს ასიამოვნოს ყველა სფეროში. ის აცნობიერებს, რომ გულწრფელი მოსიყვარულე გულიც კი ვერ მიგვიყვანს სრულყოფილი შესრულების დონემდე. ჩვენ შეზღუდული ვართ

<sup>18</sup> ადაპტირებულია დან John Oswalt, *Called to Be Holy: A Biblical Perspective* (Nappanee: Evangel Publishing House, 1999), 186-188.

ჩვენი ადამიანური სისუსტით. წმიდა ადამიანი ნებაყოფლობით არ დაარღვევს ღვთის რჯულს, მაგრამ უწმიდესი ადამიანი აგრძელებს ღვთის მადლის იმედად ყოფნას იმ სფეროებში, სადაც ჩვენ უნებლიერ არ ვასრულებთ ღვთის აბსოლუტურ სტანდარტებს სწორისა და არასწორის შესახებ.

მეორეს მხრივ, "პერფექციონიზმი" მაიძულებს ველოდო სრულყოფილ შესრულებას, ცხოვრების ყველა სფეროში. პერფექციონიზმი ყურადღებას ამახვილებს ჩემზე და ჩემს შესრულებაზე, როგორც წმიდა ადამიანზე, ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება გაამახვილოს იქინოდა და მის ძალაზე ჩემს ცხოვრებაში.

პერფექციონიზმს ხშირად მივყავართ ლეგალისტურ მცდელობამდე, რათა „მოვიპოვოთ“ ღმერთის კეთილგანწყობა განცალკევების გზით. ის ხშირად ზომავს სიწმიდეს იმ რაღაცების ჩამონათვალით, რასაც მე არ ვაკეთებ (არ ვეწევი, არ ვსვავ ალკოჰოლურ სასმელებს, არ ვიცვამ უხამს ტანსაცმელს) ან იმით, რასაც ვაკეთებ (ვმარხულობ, ვლოცულობ, ვწირავ ეკლესიას.)

როგორც მე-4 გაკეთილში ვნახეთ, წმიდა ადამიანს **სურს** გამოეყოს ყველაფერს, რაც ღმერთს არ მოსწონს. იმის თქმა, „მე მიყვარს ღმერთი მთელი გულით“ და შემდეგ იცხოვრო ისეთი ცხოვრებით, რომელიც ცდილობს ამქვეყნიური სურვილების დაკმაყოფილებას, არასწორია..

თუმცა, ჩვენ არასოდეს უნდა მივცეთ საშუალება გამოყოფილ გულს და გამოყოფილ ცხოვრებას, მიგვიყვანოს იქამდე, რომ გვჯეროდეს, რომ შეგვიძლია შევაფასოთ ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან სიით „რის გაკეთება შეიძლება და რისი არა“. სიწმიდე უპირველეს ყოვლისა გულის საქმეა და ღმერთთან სიყვარულით სავსე ურთიერთობაა. ეს ურთიერთობა შთააგონებს ჩვენს სურვილს ვიცხოვროთ წმიდა, გამოყოფილი ცხოვრებით. საპირისპირო არასოდეს იმუშავებს: განცალკევებული ცხოვრება თავისთავად არასოდეს შთააგონებს ღვთისადმი სიყვარულს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ ვიყოთ სრულყოფილები, როგორც ღმერთი ბრძანებს. ჩვენ არ უნდა ვესწრაფოდეთ ღვთის კეთილგანწყობის მოპოვებას პერფექციონიზმის გზით. სრულყოფილი გული არის გული, რომელსაც ღმერთი მთლიანად უყვარს.

► რომელი უფრო დიდი ცდუნებაა თქვენს ეკლესიაში, ამქვეყნიურობა თუ ლეგალიზმი? იმსჯელეთ, როგორ შეუძლია ღმერთისადმი გაღრმავებულმა სიყვარულმა უზრუნველყოს სწორი პასუხი რომელიმე ამ პრობლემაზე. განიხილეთ პრაქტიკული ნაბიჯები ღვთისადმი სიყვარულის გაღვივებისთვის იმ ადამიანებში, რომლებსაც ემსახურებით.

### გასაღები წმიდა ცხოვრებისთვის: ღმერთის სიყვარული

ჩვენ გვიყვარს ღმერთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სრულად ვემორჩილებით. ჩვენ სრულად ვემორჩილებით ღმერთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ნამდვილად გვიყვარს.

როგორც ღვთის შვილებს, ჩვენ შეგვიძლია მოვალეობის მოხდის მიზნით ღვთისადმი მსახურების ჩარჩოებს მიღმა გავიდეთ. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმ დონეს, სადაც სიამოვნებით ვემსახურებით მას. ეს სიამოვნება მხოლოდ სიყვარულით მოვა. ბავშვი, რომელიც მშობლებს მხოლოდ შიშით ან მოვალეობის გამო ემორჩილება, ვერასოდეს იპოვის სიხარულს მორჩილებაში. ბავშვი, რომელიც სიყვარულით ემორჩილება, მორჩილებას სიხარულად თვლის.

როდესაც პატარა ბავშვი სწავლობს ვიოლინოზე დაკვრას, მან ყოველდღიურად უნდა იმეცადინოს. თავიდან, მეცადინეობა შეიძლება იყოს მოვალეობა და არა სიხარული. მაგრამ თუ ბავშვი ოდესმე გახდება შესანიშნავი მევიოლინე, მან უნდა მიაღწიოს იქამდე, რომ ვიოლინოზე დაკვრა მოვალეობაზე მეტი იყოს. ეს უნდა გახდეს სიამოვნება. მოვალეობაა, როდესაც ბავშვი მეცადინეობს, რადგან დედა ეუბნება: „უნდა იმეცადინო.“ სიხარულია, როდესაც ბავშვი უკრავს, რადგან სიამოვნებას იღებს ამით. ნამდვილი მევიოლინე მეცადინეობის მოვალეობაშიც სიამოვნებას იღებს.

იგივე ეხება ჩვენს სულიერ ცხოვრებასაც. წმიდა ადამიანი კითხულობს ღვთის სიტყვას, როგორც სულიერ დისციპლინას, მაგრამ ის ასევე სიამოვნებას იღებს ღვთის სიტყვით. ღმერთისადმი მორჩილება მოვალეობაცაა და სიამოვნებაც.

დაფიქრდით განსხვავებაზე, როდესაც ღმერთს სიამოვნებით ვემსახურებით და არა მოვალეობის გამო. მორჩილება ხდება სიხარული და არა ტვირთი. ლოცვა, ღვთის სიტყვა და ქრისტიანული ცხოვრების წეს-ჩვეულებები ხდება სიხარული. აი რას ნიშნავს ღმერთის მიმართ სიყვარული. წმიდა ხალხი სიხარულით ემორჩილება, რადგან უყვართ ღმერთი.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ჯონ სუნგი

ჯონ სუნგი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მახარებელი. ის იყო ჩინეთის ფუჯიანის პროვინციაში მეთოდისტი პასტორის ვაჟი და გახდა ქრისტიანი ცხრა წლის ასაკში.

სუნგი შეერთებულ შტატებში სასწავლებლად ცხრამეტი წლის ასაკში ჩავიდა. ბრწყინვალე სტუდენტმა ჯონ სუნგმა მიიღო ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხი ქიმიაში სულ რაღაც ექვს წელიწადში. სამწუხაროდ, ამ პერიოდის განმავლობაში, სუნგმა დაიწყო ეჭვის შეტანა ბიბლიურ სწავლებებში, რომლებიც მან მამისგან მოისმინა.

სუნგმა გადაწყვიტა ერთი წელი გაეტარებინა გაერთიანებულ სასულიერო სემინარიაში თავის კითხვებზე პასუხების მოსაძებნად. პასუხების გაცემის ნაცვლად, გაერთიანების ლიბერალმა პროფესორებმა კიდევ უფრო შეარყიეს სუნგის რწმენა.

1926 წელს ჯონ სუნგი დაესწრო ღვთისმსახურებას ჰარლემში. იმ საღამოს, თხუთმეტი წლის გოგონა ამოწმებდა იმ გარდაქმნების შესახებ, რომელიც ღმერთმა მოახდინა მის ცხოვრებაში.

სუნგმა ღმერთთან განახლებული ურთიერთობის ძიება დაიწყო. სემინარიის პროფესორებმა დაასკვნეს, რომ ჯონ სუნგი ფსიქიკურად დაავადებული იყო და პრეზიდენტმა ჰენრი სლოან ქოფინმა, ის გიჟების თავშესაფარში გაამწესა. თავშესაფარში ყოფნის 193 დღის განმავლობაში ჯონ სუნგმა ორმოცჯერ წაიკითხა მთელი ბიბლია.

გათავისუფლების შემდეგ ჯონ სუნგი ჩინეთში დაბრუნდა. დოქტორმა სუნგმა იცოდა, რომ მას შეეძლო დაეკავებინა მასწავლებლის პოზიცია ჩინეთის ნებისმიერ პრესტიულ უნივერსიტეტში. თუმცა, გეზე ყოფნისას სუნგს ღმერთმა მოუწოდა სიცოცხლის უფრო სიღრმისეულად მიძღვნისკენ. ერთ დღეს, როგორც მისი მიძღვნის სიმბოლო და როგორც გზა მასწავლებლობის კარიერასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტისა. დოქტორმა სუნგმა შეკრიბა თავისი დიპლომები და აკადემიური ჯილდოები და გადაყარა ისინი ზღვაში.

ჯონ სუნგი ჩინეთში ჩავიდა არა როგორც "დოქტორი ჯონ სენგი, ქიმიის პროფესორი", არამედ როგორც „ჯონ სუნგი, ღვთის მსახური.“ სუნგმა დაიწყო ქადაგება და ჰქონდა ძლიერი მახარებლური მსახურება. ისტორიკოსების შეფასებით, 1927 წლიდან, მისი ჩინეთში დაბრუნებისა და 1944 წელს, ორმოცდაერთი წლის ასაკში მის გარდაცვალებამდე პერიოდში, ჯონ სუნგის მსახურებების დროს ასი ათასზე მეტი ადამიანი მოექცა.

ჯონ სუნგის ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ღმერთის სიყვარული ემოციაზე მეტია. ღმერთისადმი სიყვარულის გამო დოქტორმა სუნგმა უარი თქვა პრესტიულ მასწავლებლობაზე ჩინეთის უნივერსიტეტში და უპასუხა ღვთის მოწოდებას ქადაგების შესახებ. ღმერთისადმი სიყვარულის გამო ჯონ სუნგმა მიატოვა კარგი ანაზღაურებადი თანამდებობა და უბრალო ცხოვრებით ცხოვრობდა, იღებდა გლეხურ საკვებს. ღვთისადმი სიყვარულის გამო ჯონ სუნგი ყოველდღე საათებს ატარებდა ლოცვასა და ბიბლიის შესწავლაში. მისი სიცოცხლე ღვთისადმი სიყვარულმა მოიცვა და ამ სიყვარულის გამო ღმერთმა გამოიყენა ჯონ სუნგი, რათა ათასობით ადამიანი მიეყვანა ქრისტემდე.

## მე - 7 გაკვეთილის მიმოხილვა

- (1) იყო წმიდა ნიშნავს, გიყვარდეს ღმერთი.
- (2) წმიდა ადამიანები უდიდეს სიამოვნებას იღებენ ღმერთში.
- (3) ვინაიდან იციან რა, რომ ღვთის რჯული ასახავს მის სიყვარულს, წმიდა ხალხი სიამოვნებას იღებს ღვთის რჯულით.
- (4) ისინი, ვინც სიამოვნებას იღებენ ღმერთში, აღმოჩენენ, რომ ღმერთი მათ უცხადებს თავის თავს.
- (5) იესომ შექმნა სრულყოფილი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს ღმერთის სიყვარული.

(6) ამქვეყნიურობის პასუხი არის ღმერთისადმი ღრმა სიყვარული.

(7) ლეგალიზმზე პასუხი ღმერთისადმი ღრმა სიყვარულია.

### გაკვეთილის დავალებები

(1) წარმოიდგინეთ, რომ ახალმოქცეულმა ქრისტიანმა გითხრათ: „მინდა ღმერთთან უფრო ღრმა ურთიერთობა მქონდეს. მე მიყვარს ღმერთი, მაგრამ მიჭირს იმის გარკვევა, როგორ გავიზარდო მასთან ურთიერთობაში. ვერ ვხედავ ღმერთს და ამიტომ ის შორეული ჩანს. როგორ მოვიქცე?“ დაწერეთ 1-2 გვერდიანი წერილი, რომელშიც დაეხმარებით ამ მორწმუნეს გაიგოს, როგორ გაიზარდოს ღმერთთან ურთიერთობაში. დაამატეთ წმიდა წერილის წაკითხვის, ლოცვითი ცხოვრების განვითარებისა და თქვენი რწმენის გაზიარების პრაქტიკული ნაბიჯები. მომდევნო გაკვეთილზე თითოეულმა სტუდენტმა უნდა წაიკითხოს თავისი პასუხი და დაუთმეთ დრო ამ პასუხების განხილვას.

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი მარკოზის 12:29-31-ის წაკითხვით.



## გაკვეთილი 8

### სიწმიდე მოყვასისადმი სიყვარულია

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) აღიაროს იესო, როგორც სიწმიდის ნიმუში
- (2) დააფასოს სრულყოფილების მნიშვნელობა ბიბლიაში
- (3) ესწრაფოს განაგრძოს ზრდა სრულყოფილ სიყვარულში
- (4) გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები, რათა გამოავლინოს სიყვარული როგორც ქრისტიანების, ისე არაქრისტიანების მიმართ
- (5) დაიმახსოვროს მათეს 5:43-48.

#### იესო: სრულყოფილი სიყვარულის ნიმუში

როცა იესო გალილეის ზღვის პირას მიდიოდა, ის მებაჟეს შეხვდა. ვინაიდან ლევი რომაელებზე მუშაობდა, ებრაელი რაბინები მას ერიდებოდნენ. ლევის გასაკვირად იესომ უთხრა: „გამომყევი“. სხვა რაბინები მხოლოდ მებაჟეს ხედავდნენ; იესომ დაინახა სიყვარულის ღირსი ადამიანი.

მოგვიანებით იესომ ლევის სახლში მებაჟებთან და ცოდვილებთან ერთად ივახშა. ფარისევლები შეძრწუნდნენ. იესო უნდა ყოფილიყო წმიდა; რატომ ატარებდა დროს ცოდვილებთან? იესომ უპასუხა: „მკურნალი ჯანმრთელებს კი არა სწეულებს სჭირდებათ; მართალთა კი არა, ცოდვილთა მონანიებისაკენ მოსაწოდებლად მოვედი“ (მარკოზის 2:17).

იესოს მაგალითმა შოკში ჩააგდო მისი თანამედროვეები. ფარისევლები იესოს დროის უწმიდეს ხალხად ითვლებოდნენ. ისინი ამბობდნენ: „ჩვენ წმიდები ვართ,

#### ლოცვა სიწმიდისთვის

„უფალო,  
მაქციე შენი მშვიდობის იარაღად.  
სადაც სიძულვილია, დამეხმარე სიყვარული  
დავთესო;  
სადაც იარაა, ბოდიში;  
სადაც ეჭვია, რწმენა;  
სადაც სასოწარკვეთაა, იმედი;  
სადაც სიბნელეა, სინათლე;  
სადაც სევდა, სიხარული.  
ღვთაებრივო მოძღვარო,  
მომმადლე, რომ ბევრი ძებნა არ მომიხდეს  
ვიყო ნუგეშცემული, რომ თვითონ ვცე ნუგეში;  
ვიყო გაგზული, რომ თვითონ ვუგებდე;  
გიყვარდე, რომ მეც შევძლო სიყვარული.  
რადგან გაცემისას ჩვენ ვიღებთ;  
მიტევებაში ვიღებთ პატიებას;  
სწორედ სიკვდილით დავიბადეთ მარადიული  
სიცოცხლისთვის“.

- წმინდა ფრანცისკე ასიზელი

ამიტომ ცოდვილებისგან შორს ვართ“. იესომ თქვა: „მე წმიდა ვარ, ამიტომ დროს ვატარებ ცოდვილებთან.“

იესოს სიამოვნებდა ცოდვილებთან დროის გატარება. იესოს მიყოლით ცოდვილები წმიდა ადამიანები გახდნენ. იესომ მოგვცა წმიდა სიყვარულის ნიმუში, რომელიც გარდაქმნის სამყაროს. სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული ღმერთისა და სრულყოფილი სიყვარული ადამიანების მიმართ. ჭეშმარიტი სიწმიდე გარდაქმნის ჩვენს სამყაროს.

### სიწმიდე იესოს სამყაროში

► როგორ აფასებენ ადამიანები თქვენს გარემოცვაში სიწმიდეს? როგორ შეესაბამება ეს სტანდარტი იესოს ცხოვრებას?

რას ფიქრობდნენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ იესოს დროში, სიწმიდეზე? რა მოლოდინი ჰქონდათ, როგორ უნდა ეცხოვრა წმიდა ადამიანს? როდესაც ამ კითხვებზე პასუხებს დავინახავთ, გავიგებთ, რატომ იყვნენ ადამიანები ასე შოკირებულნი იესოს ცხოვრებითა და სწავლებებით.<sup>19</sup>

### რისი სწამდათ იესოს დროში მცხოვრებ ხალხს

იესოს დროის ხალხმა იცოდა, რომ ღმერთი წმიდა ღმერთია. მათ იცოდნენ, რომ ღვთის ხალხი წმიდა უნდა იყოს. წმიდა ღმერთი მოითხოვს, რომ მისი ხალხი იყოს წმიდა. ღმერთმა ისრაელის გადასახლება დაუშვა, რადგან მისი ხალხი არ იყო წმიდა.

იესოს დროინდელმა ხალხმა იცოდა, რომ სიწმიდე მოითხოვს გამოყოფას ყველაფრისგან, რაც უწმიდურია. ძველი აღთქმის მოწოდება სიწმიდეზე ავალდებულებდა ღვთის ხალხს, თავი აარიდონ ყველაფერ ცოდვილს.

იესოს დროინდელმა ხალხმა იცოდა ღმერთის დაპირება, დაეწერა ახალი აღთქმა თავისი ხალხის გულებში. ღმერთი დაპირდა თავის ხალხს, მიეცა „ახალი გული“ და „ახალი სული“, რაც შეაძლებინებდა მათ დაეცვათ აღთქმა (ეზეკიელის 36:26). იესოს დროინდელი ხალხი ელოდა ამ დაპირების შესრულებას.

იესოს დროინდელმა ხალხმა იცოდა, რომ წმიდა ღმერთი ასრულებს თავის დანაპირებს. ღმერთი ერთგულია თავისი აღთქმის. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელმა დაარღვია ეს აღთქმა, ღმერთი ერთგული დარჩა. ებრაელ ხალხს სწამდა, რომ ღვთის დიდება დაუბრუნდებოდა ისრაელს, თუ მისი ხალხი წმიდა იქნებოდა.

<sup>19</sup> ამ მასალის დიდი ნაწილი ეფუძნება Kent Brower, *Holiness in the Gospels* (Kansas City: Beacon Hill Press, 2005).

## როგორ იქცეოდა იესოს დროში მცხოვრები ხალხი

იესოს დროინდელ რელიგიურ ადამიანებს სწამდათ ეს პრინციპები, მაგრამ მათ ვერ იცხოვრეს ღვთის მაგალითის მიხედვით ჭეშმარიტ სიწმიდეში. მათ არ ჰქონდათ წმიდა გული.

**სულიერი ლიდერები** თავის რწმენას ტაძარზე ამყარებდნენ. მათ სწამდათ, რომ თუ მსხვერპლშეწირვა სათანადოდ შესრულდებოდა, ღვთის დიდება დაბრუნდებოდა. იესომ უპასუხა: „თქვენ კი წადით და ისწავლეთ, რას ნიშნავს: წყალობა მსურს და არა მსხვერპლი” (მათეს 9:13). იესომ აჩვენა, რომ მხოლოდ რიტუალები არ არის საკმარისი.

ესეელებს სწამდათ, რომ ისინი შეძლებდნენ წმიდები გამხდარიყვნენ, სხვა ადამიანებისგან განცალკევებით ცხოვრებით. ისინი გადავიდნენ მკვდარი ზღვისპირას და თემებში ცხოვრობდნენ. იესომ უპასუხა: „თქვენ გეუბნებით: უფრო მეტი სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია, ვიდრე იმ ოთხმოცდაცხრამეტი მართლის გამო, რომელთაც არ სჭირდებათ მონანიება” (ლუკას 15:7). „მართალთა კი არა, ცოდვილთა მოსახმობად მოვედი” (მათეს 9:13). იესო კეთროვნებს ეხებოდა; ცოდვილებთან ერთად ჭამდა. მან აჩვენა, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ წმიდები ცოდვილ ქვეყნიერებაზე.

**ფარისევლები** ემორჩილებოდნენ რჯულის გარეგნულ დეტალებს, მაგრამ უგულებელყოფდნენ შინაგან უწმიდურებას. იესომ ფარისევლები შეადარა სამარხებს „შეთეთრებულ სამარხებს რომ ჰგავხართ, რომლებიც გარედან ლამაზები ჩანან, შიგნით კი სავსენი არიან მკვდართა ძვლებითა და ყოველგვარი უწმინდურებით. ასევე თქვენც გარეგნულად მართლები ჩანხართ ადამიანთა წინაშე, შიგნით კი თვალთმაქცობითა და ურჯულოებით ხართ აღვსილნი” (მათეს 23:27-28). იესომ აჩვენა, რომ სიწმიდე უნდა გამომდინარეობდეს გულიდან. არ შეიძლება გქონდეს წმიდა ხელები, თუ შენი გული არ არის წმიდა.

იესოს დროის ეს ხალხი ჭეშმარიტი სიწმიდის ნაცვლად რიტუალებს ეყრდნობოდა. ღმერთის სიყვარულის ნაცვლად, მათ სიწმიდე წესებით განსაზღვრეს. იმის ნაცვლად, რომ ყვარებოდა თავიანთი სამყარო, ისრაელმა ააგო კედლები გაჭირვებული სამყაროსგან გამოსაყოფად. იესომ აჩვენა, რომ წმიდა ადამიანს უყვარს ღმერთი და უყვარს მოყვასი.

### იესოს ცხოვრება იყო სიწმიდის ნიმუში

როდესაც ძველ აღთქმაში სიწმიდის შესახებ ვკითხულობთ, შეიძლება გვქონდეს ცდუნება ვთქვათ: „ეს არის კარგი თეორია, მაგრამ როგორ შევძლებთ ამას რეალურ ცხოვრებაში?” იესო მოვიდა, რათა ეჩვენებინა, როგორია სიწმიდე ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლუკას მიერ წარმოდგენილი გენეალოგიიდან ჩანს, რომ იესო იყო „ადამის ძე, ღვთის ძე” (ლუკას 3:38).

როდესაც ჩვენ ვუყურებთ იესოს, ადამის ძეს, ჩვენ ვხედავთ წმიდა ადამიანის სრულყოფილ ნიმუშს. სახარებები გვიჩვენებს სიწმიდეს იესო ნაზარეველის ცხოვრებაში.

### სიწმიდე ღმერთთან ერთად სიარულია

იესოში ჩვენ ვხედავთ ადამიანის ღმერთთან ურთიერთობის ნიმუშს. იესოს ლოცვითი ცხოვრება ცხადყოფდა მის მჭიდრო ურთიერთობას მამასთან. იესო რეგულარულად გამოდიოდა ხალხისგან, რათა განმარტოვებულიყო მამასთან. თავის ადამიანურობაში იესო ცდილობდა ახლო ურთიერთობა ჰქონოდა თავის ზეციერ მამასთან. ის ღმერთთან ერთად დადიოდა.

ალბათ, იესოს მამასთან ურთიერთობის უდიდესი გამოხატულება ჩანს მის შეძახილში ჯვრიდან. როდესაც ჩვენი ცოდვები ჯვარზე აზიდა, „დიდი ხმით შესძახა იესომ: "ელი, ელი! ლამა საბაქთანი?" რაც ნიშნავს: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" (მათეს 27:46). ჩვენს ნაცვლად სიკვდილის და ჩვენი ცოდვებისთვის სამართლიანი სასჯელის მიღების დროს, იესომ თავი მამისგან მიტოვებულად იგრძნო.

იესომ აჩვენა ღმერთთან ურთიერთობის სიახლოვე. აბრაამის და დავითის მიერ შემოთავაზებული სიწმიდე აღსრულდა იესო ნაზარეველის ცხოვრებაში.

### სიწმიდე გამოყოფაა

იყო წმიდა ნიშნავს, იყო განშორებული ცოდვისგან და იყო გამოყოფილი ღმერთისთვის. თავის ადამიანურობაში იესომ შექმნა ცოდვისგან განშორების ნიმუში. მან „ცოდვა არ იცოდა“ (2 კორინთელთა 5:21). მოწაფე, რომელიც ყველაზე ახლოს იყო იესოსთან მისი მიწიერი მსახურების დროს, მოწმობს: „მასში არ არის ცოდვა“ (1 ოთანეს 3:5).

თავის ადამიანურობაში იესომ შექმნა ღმერთისთვის გამოყოფის ნიმუში. ის ცხოვრობდა მამისადმი ნებით მორჩილებაში. იესომ დაამოწმა: „ვინც მე მომავლინა, ჩემთანაა, მარტო არ დამტოვა, რადგან მუდამ იმას ვაკეთებ, რაც მისთვის არის სათნო“ (იოანეს 8:29). იესო იყო გამოყოფილი თავისი მამისთვის.

### სიწმიდე ღვთის ხატებაა

იყო წმიდა ნიშნავს აირეკლო, გამოამჟღავნო ღვთის ხატება. როდესაც ჩვენ ვუყურებთ იესოს, ჩვენ ვხედავთ მამის სრულყოფილ ხატებას. „და სიტყვა გახდა ხორცი და დამკვიდრდა ჩვენ შორის მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება“ (იოანეს 1:14). როდესაც ფილიპემ იესოს სთხოვა, „გვიჩვენე მამა“, იესომ უპასუხა: „ვინც მე მიხილა, მამა იხილა“ (იოანეს 14:9). იესოში ჩვენ ვხედავთ ღმერთის სრულყოფილ ხატებას.

## სიწმიდე განუყოფელი გულია

წმიდა ადამიანს აქვს განუყოფელი გული; ის მთლიანად ღვთისადმია მიძღვნილი. გეთსიმანის ბაღში იესო ლოცულობდა: „მამაო! თუ გნებავს, ამარიდე ეს სასმისი, მაგრამ იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი” (ლუკას 22:42). იესოს გული მთლიანად დაქვემდებარებული იყო მამის ნებას. იესო გვიჩვენებს, რას ნიშნავს განუყოფელი გული.

## სიწმიდე სიმართლეა

ჭეშმარიტი სიწმიდე მოითხოვს სამართლიან ქცევას. წმინდა ადამიანი გამოირჩევა სამართლიანობით, წყალობითა და თავმდაბლობით. იესოს ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ სიმართლის სრულყოფილ მაგალითს.

სამართლიანობის საბოლოო სურათი ჩანს იმაში, რომ იესომ ჯვარზე მიიღო ღვთის სამართლიანი რისხვა. იესოს არ უარყვია ცოდვის სასჯელის სამართლიანობა; ამის ნაცვლად მან ჩვენი სახელით გადაიხადა ჯარიმა.

იესომ გამოიჩინა წყალობა კეთროვნების, ქალების, ბავშვებისა და ლარიბების მიმართ. მან წყალობა გამოავლინა მრუშობაში წასწრებული ქალის, ზაქეს და ჯვარზე მყოფი ავაზაკის მიმართ. იესომ არაერთხელ გამოავლინა წყალობა მათდამი, ვინც სხვებმა უარყვეს.

იესოს დაბადებამდე 700 წელზე მეტი ხნით ადრე, ესაიამ აღწერა მესიის თავმდაბლობა. „არც გარეგნობა ჰქონია და არც სიდიადე რომ შეგვეხედა მისთვის, არც იერი, რომ მივეზიდეთ” (ესაიას 53:2). ესაიამ იწინასწარმეტყველა: „არც იყვირებს და არც ხმას აიმაღლებს, არ გააგონებს თავის ხმას ქუჩაში. დაზიანებულ ლერწს არ გადატეხს და მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს” (ესაიას 42:2-3).

იესომ აჩვენა თავისი სამართლიანობის, წყალობისა და თავმდაბლობის მისია, თავის პირველ საჯარო ქადაგებაში. ნაზარეთის სინაგოგაში მან წაიკითხა ესაიას წინასწარმეტყველება მომავალი მსახურის შესახებ:

უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, მომავლინა  
გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების  
გამოსაცხადებლად და ბრმათათვის თვალის ასახელად, ჩაგრულთა  
გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად (ლუკას 4:18-19,  
ესაიას 61:1-2-დან).

ესაიამ იწინასწარმეტყველა „უფლის შეწყალების წელი“, სამართლიანობის დრო ყველა ხალხისთვის. იესომ გამოაცხადა, რომ მოვიდა ამ დაპირების შესასრულებლად: „დღეს

აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ” (ლუკას 4:21). იესოს მიწიერი მსახურება იყო სიმართლის ნიმუში.

### სიწმიდე სახარებებში: ჩვენი მოყვასის სიყვარული

მე-7 გაკვეთილში ჩვენ ვნახეთ, რომ იყო წმიდა ნიშნავს, გიყვარდეს ღმერთი განუყოფელი სიყვარულით. სიწმიდე ასევე ნიშნავს მოყვასის სიყვარულს. იესომ მოგვცა ეს ორი მცნება: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი“ და „შეიყვარე მოყვასი შენი“, როგორც მთელი რჯულის შეჯამება (მარკოზის 12:29-31).

ღვთისადმი ჭეშმარიტ სიყვარულს ყოველთვის მოაქვს სიყვარული სხვა ადამიანების მიმართ. თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, გვეყვარება ადამიანები, რომლებიც უყვარს ღმერთს. სიწმიდე არასოდეს არის მარტო; წმიდა ცხოვრებით ვცხოვრობთ მოყვასთან ურთიერთობაში. სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული ღმერთისადმი და სრულყოფილი სიყვარული სხვების მიმართ. ღმერთისადმი სრულყოფილი სიყვარული არ შეიძლება განცალკევდეს მოყვასის სიყვარულისგან.

იესომ ამის შესახებ ასე თქვა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ” (მათეს 25:40). იოანემ ღვთისადმი ჩვენი სიყვარული მოყვასის სიყვარულს დაუკავშირა:

თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი ძმა კი ეჯავრება, იგი ცრუა; ვინაიდან, ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, რომელსაც ვერ ხედავს! და ასეთი მცნება გვაქვს მისგან, რომ ღვთის მოყვარულს თავისი ძმაც უყვარდეს (1 იოანეს 4:20-21).

ცოდვა ემყარება ეგოცენტრიზმს. ედემის ბაღში სატანა ჰპირდებოდა ევას, რომ „ღმერთივით შეიქნებით“ (დაბადების 3:5). ბაბილონში ადამიანს გადაწყვეტილი ჰქონდა „გაეთქვა სახელი“ (დაბადების 11:4). ღვთის სურვილის საწინააღმდეგოდ, ისრაელმა ითხოვა „დაგვიდგინე მეფე, რომ განგვსჯიდეს, როგორც სხვა ხალხებშია“ (1 მეფეთა 8:5). თითოეულ ამ შემთხვევაში, ეგოცენტრიზმია ცოდვა.

თუ ცოდვა არის ეგოცენტრულობა, მაშინ სიწმიდე (ცოდვის საპირისპირო) მოიცავს სხვაზე ორიენტირებულობას. თუ ცოდვა გვაიძულებს ვეძიოთ საკუთარი კეთილდღეობა, მაშინ სიწმიდემ უნდა გვაიძულოს ვეძიოთ სხვათა კეთილდღეობა. თუ ცოდვა არის საკუთარი თავის სიყვარული, მაშინ სიწმიდე არის სიყვარული სხვების მიმართ. იყო წმიდა ნიშნავს გიყვარდეს სხვები. მცნება, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება ახალ აღთქმაში, არის სიყვარულის მცნება. ეს მეორდება მინიმუმ ორმოცდათხუთმეტჯერ.

იესო ასწავლიდა, რომ სიწმიდე არის სიყვარულით თანაგრძნობა სხვების მიმართ. იესომ აჩვენა, რომ წმიდა ადამიანი ცოდვილებს წმიდა ღმერთთან მიიყვანს, წმიდა სიყვარულით ცხოვრებით.

ღვთის მცნების დამორჩილება: „იყავი წმიდა, რადგან მე, უფალი, შენი ღმერთი ვარ წმიდა“, მოითხოვს, რომ გვიყვარდეს მოყვასი. იესო ავლენდა სრულყოფილ სიყვარულს სხვების მიმართ და თავის მიმდევრებს ასწავლიდა სხვების სრულყოფილად სიყვარულს.

### იესომ აჩვენა სრულყოფილი სიყვარული სხვების მიმართ

იესოს მსახურების დასაწყისში იოანე ნათლისმცემელმა გაგზავნა მიმდევრები, რომ ეკითხათ: „შენ ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ (ლუკას 7:19). ფარისეველი დაელოდებოდა, რომ იესო პასუხად მიანიშნებდა მის გამოყოფილ ცხოვრებასა და ბრძნულ სწავლებაზე. ამის ნაცვლად, იესომ მიუთითა სხვებისადმი სიყვარულით მსახურებაზე:

წადით, უთხარით იოანეს, რაც ნახეთ და მოისმინეთ - ბრმები კვლავ ხედავენ, ხეიბრები დადიან, კეთროვნები იწმიდებიან, ყრუებს ესმით, მკვდრები დგებიან და ღატაკებს ეხარებათ (ლუკას 7:22).

იესოს სასწაულებზე დაკვირვება აჩვენებს მის სრულყოფილ სიყვარულს სხვების მიმართ. რომაელმა ასისთავმა იესოს სთხოვა განკურნა თავისი მსახური. ებრაელი რაბინების უმეტესობა უარყოფდა მის თხოვნას. იესომ არა მხოლოდ განკურნა მსახური, მან შეაქო ამ წარმართის რწმენა (მათეს 8:5-13).

მაშინაც კი, როცა მისმა სასწაულებმა წინააღმდეგობა გამოიწვია, იესო სიყვარულით მოქმედებდა. როდესაც მასთან მივიდა ერთი ინვალიდი ქალი, მან განკურნა იგი შაბათს. მიუხედავად იმისა, რომ რჯულში არაფერი ეწინააღმდეგებოდა ამ განკურნებას, ფარისევლები არ აძლევდნენ შაბათს განკურნების უფლებას. სიყვარულის გამო იესომ რელიგიური წინამძღვრების რისხვის დატეხვის საფრთხეში ჩაიგდო თავი (ლუკას 13:10-21).

იესო სიყვარულს ავლენდა მათ მიმართაც კი, ვინც საკუთარი ცოდვილი ქმედებების შედეგად იტანჯებოდა. იესომ სიყვარული გამოავლინა სამარიელი ქალისადმი, რომელიც უზნეო ცხოვრების წესით ცხოვრობდა (იოანეს 4). მან მრუშობაზე წასწრებული ქალი დაიცვა. იესომ არ უარყო მისი ცოდვა; მან უბრძანა: „წადი და ამიერიდან ნუღარ შესცოდავ“ (იოანეს 8:11). იესომ იცოდა, რომ სიწმიდე მოითხოვს ცოდვისგან განშორებას, მაგრამ მან ასევე იცოდა, რომ სრულყოფილი სიყვარული ცოდვის ძალაზე ძლიერია.

სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე გამოავლინა იესომ, სხვების მიმართ სიყვარული. მალქოზი, მღვდელმთავრის მსახური, თან ახლდა თავის ბატონს იესოს დასაჭერად

გეთსიმანიის ბალში. როდესაც სიმონ პეტრემ მალქოზს ყური მოაჭრა, იესომ გაკიცხა პეტრე და განკურნა მალქოზი (მათეს 26:50-52). იესომ აჩვენა, რას ნიშნავს გიყვარდეს შენი მტერი.

როდესაც იესო ჯვარზე იყო გაკრული, ავაზაკმა მოწყალების თხოვნით მიმართა. ეს ავაზაკი იმსახურებდა სიკვდილს; ის იყო მოძალადე კრიმინალი. იესო, რომელიც იტანჯებოდა არა საკუთარი, არამედ სხვისი ცოდვებისთვის, მომაკვდავ ავაზაკს წყალობა აღუთქვა (ლუკას 23:39-43). თავისი ტანჯვის მიუხედავად, იესოს უყვარდა ადამიანი, რომელიც ჩანდა სიყვარულის უღირსად.

### **იესო თავის მიმდევრებს ასწავლიდა სხვების მიმართ სრულყოფილ სიყვარულს**

იესო თავის მიმდევრებს ასწავლიდა, რას ნიშნავს სრულყოფილად სიყვარული. იესომ აჩვენა, რომ სრულყოფილი სიყვარული ცათა სამეფოში ცხოვრების სტანდარტია.

### **იესო ასწავლიდა სრულყოფილ სიყვარულს მთაზე ქადაგებისას (მათეს 5-7).**

ბრძანება „ამიტომ იყავით სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი“ არის მთაზე ქადაგების ცენტრალური ხაზი. ეს მცნება მიჰყვება სხვათა მიმართ სიყვარულის მაგალითების წყებას. „იყავით სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი“ ნიშნავს ცხოვრებას სხვების მიმართ განუყოფელი სიყვარულით.

თუ სიწმიდე გულისხმობდა მხოლოდ გარეგნული ცოდვისგან განშორებას, მაშინ ფარისევლები ადამიანთა შორის ყველაზე წმიდები იყვნენ. მათ უწოდეს „განცალკევებულნი.“ იესომ უფრო მეტი მოითხოვა, ვიდრე ფარისევლების განცალკევება. „თუ თქვენი სიმართლე არ აღემატება მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვალთ ცათა სამეფოში“ (მათეს 5:20).

ფარისეველთა ცრუ სიმართლისგან განსხვავებით, იესომ აჩვენა, რომ მისი სამეფოს მოქალაქეები სიყვარულის ადამიანები არიან. გარეგანი ქცევა, რომელიც შინაგან სიწმიდეს არ ემყარება, თვალთმაქცობაა და არა სიწმიდე. ჩვენ უნდა გვქონდეს წმიდა გული და წმიდა ხელები.

სრულყოფილი სიყვარულის ადამიანი სცილდება შესრულებას მცნებისა: „არა კაც კლა.“ სიყვარული ეძებს შერიგებას განაწყენებულ მმასთან. სრულყოფილი სიყვარულის ადამიანი სცილდება მცნების მორჩილებას: „არ იმრუშო.“ სიყვარული უარს ამბობს ქალის შეხედვაზეც კი, ეგოისტური სურვილების დასაკმაყოფილებლად.

სრულყოფილი სიყვარულის ადამიანი განქორწინების საბაბს არ ეძებს. მას იმდენად უყვარს ცოლი, რომ უნდა მისი კეთილდღეობისთვის იმოქმედოს. სრულყოფილი სიყვარულის

ადამიანი სიმართლეს ლაპარაკობს ორაზროვნების გარეშე. სრულყოფილი სიყვარულის ადამიანი შურს არ იძიებს.

იესომ დაასკვნა:

გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით. რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი, რომელსაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე და წვიმას უგზავნის მართლებსაც და უმართლოებსაც (მათეს 5:44-45).

გიყვარდეს ისე, როგორც ღმერთს უყვარს, ნიშნავს გიყვარდეს შენი მტერი. იესოს არ შეუმცირებია სიწმიდის მოთხოვნები; მან გაზარდა სიწმიდის მოთხოვნები. „თქვენი სიმართლე უნდა აღემატებოდეს“ მწიგნობართა და ფარისეველთა გარეგნულ სიმართლეს (მათეს 5:20). იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ გარეგანი ქცევით დაკმაყოფილდეს, ღმერთი ცვლის გულს. როცა გიყვარს ისე, როგორც ღმერთს უყვარს, „სრულყოფილი ხარ, როგორც შენი ზეციერი მამა სრულყოფილი.“

**იესო ასწავლიდა სრულყოფილ სიყვარულს კეთილი სამარიელის იგავში (ლუკას 10:25-37).**

რელიგიურმა რჯულის მცოდნემ ჰკითხა იესოს: „მოძღვარო, რა ვქნა, რომ დავიძკვიდრო მარადიული სიცოცხლე?“ იესომ კითხვითვე უპასუხა: „როგორ წერია რჯულში?“ რჯულის მცოდნემ იცოდა სწორი პასუხი: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი.“

რჯულის მცოდნეს არ სურდა სიყვარულის მოთხოვნების წინაშე დადგომა. ის ეძებდა საბაბს, რათა თავიდან აეცილებინა თავისი მოძღვრების ამოქმედება. „მაგრამ მას თავისი თავის გამართლება სურდა და უთხრა იესოს: „ვინ არის ჩემი მოყვასი?“ იესომ უპასუხა იგავით კეთილ სამარიელზე.

იესო ასწავლიდა, რომ ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ გვიყვარდეს მოყვასი არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ მოქმედებებით. კეთილი სამარიელის მსგავსად, სრულყოფილად მოყვარული ქრისტიანი ეძებს შესაძლებლობას ემსახუროს სხვებს - თუნდაც მტერს. თუ გვიყვარს ჩვენი მოყვასი, ვეძებთ მომსახურების შესაძლებლობებს. იაკობი სვამს კითხვას:

თუ ძმა ან და შიშველია და დღიური საზრდო აკლია, რომელიმე თქვენგანი ვი ეტყვის მას, მშვიდობით წადი, გათბი და ისაზრდოვეო, სხეულისთვის საჭიროს ვი არას მისცემს, რა სარგებელია? (იაკობის 2:15-16).

სრულყოფილი სიყვარული ჩანს ქმედებებში და არა მხოლოდ სიტყვებში. წმიდა ადამიანებს ისე უყვართ, როგორც იესოს უყვარდა. სრულყოფილად სიყვარული ნიშნავს გიყვარდეს თავგანწირვით.

**იესო ასწავლიდა სრულყოფილ სიყვარულს თავის მოწაფეებისთვის ფეხების დაბანით (იოანეს 13:1-20).**

შეპყრობის ღამეს იესომ ასწავლა, ერთ-ერთი უდიდესი გაკვეთილი, სრულყოფილი სიყვარულის შესახებ. როდესაც ისინი ჭამდნენ პასექის ტრაპეზს, მოწაფეებმა დაიწყეს კამათი იმაზე, თუ რომელი იყო მათგან ყველაზე დიდი.

იესომ უპასუხა: „რადგან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე კი თქვენ შორის ვარ, როგორც მსახური” (ლუკას 22:27). შემდეგ მან პირსახოცი აიღო და დაიწყო მოწაფეების ფეხების დაბანა, ეს იყო მსახურის მოვალეობა. იესომ დაიჩოქა და ოთახში მყოფ თითოეულ ადამიანს ფეხები დაბანა - იუდასაც კი.

როცა დაასრულა, იესომ ჰკითხა: „იცით, რა გაგიკეთეთ?” მას სურდა ამ პოზიციების მაძიებელი მოწაფეებისთვის ესწავლებინა მნიშვნელოვანი გაკვეთილი:

თქვენ მე მოძღვარსა და უფალს მიწოდებთ. მართალს ამბობთ, რადგან ვარ. მიტომ, თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც უნდა დაბანოთ ერთმანეთს ფეხები. მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექცით, თქვენც ისე მოიქცეთ (იოანეს 13:13-15).

თავის მოწაფეებთან ყოფნის ბოლო საათებში იესო ასწავლიდა, რომ სრულყოფილი სიყვარული თავმდაბლობაა. სრულყოფილი სიყვარული არ ეძებს თანამდებობას და პოზიციებს; სრულყოფილი სიყვარული ეძებს შესაძლებლობებს მომსახურებისთვის. სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული.

### **სრულყოფილი სიყვარულის ცხოვრება**

იესომ თქვა: „იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი” (მათეს 5:48). ბევრი ადამიანი რეაგირებს: „არავინ არის სრულყოფილი!” თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ იესოს მოწოდება: „იყავით სრულყოფილნი.” რას გულისხმობდა? შესაძლებელია თუ არა ჩვეულებრივი ქრისტიანებისთვის იესოს მოწოდების შესრულება?

**რას ნიშნავს „იყო სრულყოფილი”?**

ორი რამ დაგვეხმარება გავიგოთ რას გულისხმობდა იესო. პირველი, დააკვირდით ბერძნული სიტყვა „სრულყოფილის“ განმარტებას მათეს 5:48-ში. *ტელეიოს (Teleios)* ნიშნავს

"სრულყოფილებას". ტელეიოს (*Teleios*) მოდის არსებითი სახელიდან, რომელიც ნიშნავს "მიზანს" ან "შედეგს". იყო სრულყოფილი ნიშნავს მიზნის მიღწევას.

ძველი აღთქმა აჩვენებს, რომ სრულყოფილ ადამიანს განუყოფელი გული აქვს ღმერთის მიმართ. ეს იდეა გრძელდება ახალ აღთქმაშიც. ღმერთის მიზანი თავისი ხალხისთვის არის „სრული სიყვარული“, სიყვარული განუყოფელი გულიდან. შესაძლებელია თუ არა სრულყოფილი შესრულება ჩვენივე ძალით? არა. შესაძლებელია თუ არა ღმერთისადმი სრულყოფილი, განუყოფელი სიყვარული? იესო ამბობს: „დიახ.“

მეორე, შეხედეთ მათეს 5:48-ის კონტექსტს. მათეს 5:48-ის წინა და მომდევნო მუხლები გვიჩვენებს, რომ სრულყოფილება ნიშნავს გვიყვარდეს ღმერთი და ჩვენი მოყვასი სრულყოფილი სიყვარულით. იესოს მცნება აჯამებს სიყვარულით ცხოვრებას ღვთისა და მოყვასისადმი.

მცნება „მაშ, იყავით სრულყოფილნი“ მოყვება მოყვასისადმი სიყვარულის მაგალითებს მათე 5:21-47-ში. მკვლელობის, მრუშობის, განქორწინების, დარღვეული აღთქმისა და შურისმიების ნაცვლად, წმიდა ხალხი სიყვარულში ცხოვრობს. ამ მცნებებიდან ბოლოა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით“ (მათეს 5:44). წმიდა ადამიანებს უყვართ ისინი, ვინც მათთვის ზიანის მიყენებას ცდილობს. იყო სრულყოფილი ნიშნავს გიყვარდეს ისე, როგორც ღმერთს უყვარს.

ამ მცნებების შემდეგ იესომ მოიყვანა მაგალითები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ღმერთის ჭეშმარიტად სიყვარული მათეს 6:1-18-ში. თვალთმაქცები ღარიბებს მოწყალებას აძლევენ ხალხისგან პატივის მისაღებად; ისინი, ვისაც სრულყოფილად უყვარს ღმერთი, აძლევენ მოწყალებას რომ დაინახოს „მამამ შენმა, რომელიც ხედავს დაფარულში.“

თვალთმაქცებს „უყვართ დგომა და ლოცვა სინაგოგებსა და ქუჩის კუთხეებში, რათა სხვებმა დაინახონ.“ მათ, ვისაც სრულყოფილად გიყვართ ღმერთი, „შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი.“ თვალთმაქცები მარხულობენ სხვა ადამიანებზე შთაბეჭდილების მოსახდენად; ისინი „დამწუხრებულ სახეებს რომ ღებულობენ, რათა ადამიანებს მარხულად აჩვენონ თავი.“ მათ, ვისაც სრულყოფილად უყვარს ღმერთი, სურთ დაინახოს მხოლოდ „მამამ, რომელიც დაფარულში ხედავს.“

პავლემ კოლასელ მორწმუნებს დაავალა, ეცხოვრათ წმიდა ცხოვრებით. მან აღწერა სიყვარულისა და პატიების ცხოვრება:

ამიტომ როგორც ღვთის რჩეულებმა, წმიდებმა და საყვარლებმა, შეიმოსეთ მოწყალება, სახიერება, თავმდაბლობა, სიმშვიდე, სულგრძელობა. შეიწყნარეთ ერთიმეორე და

მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადავო აქვს ვინმეს: როგორც ქრისტემ მოგიტევათ, თქვენც ასევე მიუტევეთ (კოლასელთა 3:12-13).

ამ ჩამონათვალის კულმინაცია სიყვარულია. „და ყოველივე ამას დაურთეთ სიყვარული, რომელიც ყველაფერს აკავშირებს და სრულჰყოფს“ (კოლასელთა 3:14). იყო სრულყოფილი ნიშნავს „შეიმოსო სიყვარულით“. როდესაც იესომ თქვა: „იყავი სრულყოფილი“, მან გვიბრძანა, „შევიმოსოთ“ სიყვარული ღვთისა და მოყვასის მიმართ. სრულყოფილი სიყვარული არის სიყვარული განუყოფელი გულიდან.

### რამდენად სრულყოფილია სრულყოფილი სიყვარული?

საერთო ხმარებაში, ჩვენ ზოგჯერ ვიყენებთ სიტყვას "სრულყოფილი" აბსოლუტური გაგებით. ჩვენ ვიყენებთ „სრულყოფილს“ იმის აღსანიშნავად, რაც არ შეიძლება გაუმჯობესდეს ან გაიზარდოს. თუ ჩვენ მივიჩნევთ „სრულყოფილს“, როგორც მიღწევის აბსოლუტურ დონეს, ჩვენ გავზომავთ სიწმიდეს ჩვენი საქმეებით. ფარისევლების მსგავსად, ჩვენც სიწმიდეს განვიხილავთ, როგორც საზომ ჯოხს (სახაზავს).

ბევრი ადამიანი ემხრობა ასეთ მიდგომას წმიდა ცხოვრებისადმი. ფარისევლების მსგავსად, მათ აქვთ შესამოწმებელი პუნქტების სია. თუ ყველა პუნქტი მონიშნულია, ისინი არიან "სრულყოფილები."

- „ვიცავ თუ არა მცნებებს?“
- „ვიცამ თუ არა სწორ ტანსაცმელს?“
- „ვამბობ თუ არა სწორ სიტყვებს?“


ბიბლიაში სიტყვა „სრულყოფილი“ არ არის აბსოლუტური. ის არ უარყოფს შემდგომ ზრდას. იობი იყო „სრულყოფილი,“ (იობის 1:1). მაგრამ ის გაიზარდა ღმერთთან ურთიერთობაში მიღებული გამოცდილებით.

ბიბლიაში იყო „სრულყოფილი“ ნიშნავს „იყო სავსე“ ზრდის თითოეულ ეტაპზე. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერდა ქრისტიანებს, რომლებიც არ იყვნენ სრულყოფილნი თავიანთი ასაკისთვის. მათ ვერ მიაღწიეს სულიერ სიმწიფეს.

ვინაიდან დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უკვე მასწავლებლები უნდა ყოფილიყავით, მაგრამ თქვენ ჯერ ისევ ღვთის სიტყვის პირველსაწყისები გაქვთ შესასწავლი. მაგარი საჭმელი კი არა, რძე გჭირდებათ. რადგან ყოველი, ვინც რძით იკვებება, ჩვილია და არ აქვს გამოცდილება სიმართლის სიტყვის გასაგებად. მაგარი საჭმელი განკუთვნილია მოწიფულთათვის, რომელთა გრძნობები ჩვევით არიან გაწაფული კეთილისა და ბოროტის გასარჩევად (ებრაელთა 5:12-14).

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი არ გულისხმობს, რომ მოწიფულ (ან სრულყოფილ) მორწმუნებს აღარ სჭირდებათ სულიერი საკვები! ის უბიძგებს მათ სიმწიფისაკენ, რათა მათ შეეძლოთ მიიღონ მათი სულიერი ასაკისთვის შესაბამისი სულიერი საზრდო. სრულყოფილება ნიშნავს იყო სათანადოდ მომწიფებული ქრისტიანული გამოცდილების ჩვენი საფეხურისთვის. ვიყოთ სრულყოფილები ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ სრული და მთლიანი; ჩვენ ვართ ის, რაც ღმერთს აქვს განზრახული, რომ ვიყოთ.

საზომი ჯოხის ნაცვლად „სრულყოფილების“  
ბიბლიური სურათი არის წრე. წრე იდეალურია;  
ის არ შეიძლება უფრო მრგვალი გახადო.  
თუმცა, სრულყოფილი წრე შეიძლება უფრო  
დიდი იყოს; სრულყოფილი წრე შეიძლება  
გაიზარდოს და გაფართოვდეს. იდეალურია,  
მაგრამ მაინც იზრდება.



წმიდა ადამიანი სავსეა სრულყოფილი სიყვარულით ღმერთისა და მოყვასის მიმართ. როდესაც ჩვენ ვიზრდებით, ჩვენი სიყვარულის უნარი იზრდება. წრე ფართოვდება. რაც უფრო ვიზრდებით, ჩვენი სიყვარული „სულ უფრო იზრდება შემეცნებასა და ყოველივეს აღქმაში“ (ფილიპელთა 1:9). ზრდის ყოველ ეტაპზე ღმერთი ამბობს: „ამ ადამიანებს ვუყვარვარ სრულყოფილი სიყვარულით. ისინი წმიდანი არიან.“

ის, ვინც ღმერთთან ერთად ორმოცი წელი დადიოდა, უკეთ გაიგებდა, როგორ გამოავლინოს სიყვარული მოყვასის მიმართ, ვიდრე ის, ვინც ღმერთთან ერთად ერთი წელი დადიოდა. მაგრამ ორივეს შეუძლია შეიყვაროს მოყვასი განუყოფელი გულით. ორივეს შეუძლია აჩვენოს სრულყოფილი სიყვარული.

როდესაც ხუთი წლის ბავშვი ნახატს უხატავს მამას, ის ბავშვს ეუბნება: „მადლობა! ეს სრულყოფილია!“ ის არ გულისხმობს, რომ მისი ნამუშევარი უკეთესი არ შეიძლება იყოს. თხუთმეტი წლის ასაკში იგივე ბავშვი ბევრად უკეთეს ნახატს დახატავს.

„ეს სრულყოფილია!“ ნიშნავს: „ეს სურათი სიყვარულის გულიდან მოვიდა. ის სწორია მისი განვითარების დონისთვის.“

სრულყოფილი სიყვარული არ არის შესრულების სტანდარტი. სრულყოფილი სიყვარული არის განუყოფელი სიყვარული ღმერთისა და სხვა ადამიანების მიმართ. სრულყოფილი სიყვარული არის იესოს მაგალითის მიბაძვა, ვინც მოვიდა სრულყოფილი სიყვარულის გამოსავლენად ყოველდღიურ ცხოვრებაში.

## შესაძლებელია თუ არა სრულყოფილი სიყვარული ჩვეულებრივი მორწმუნებისთვის?

მეჩვიდმეტე საუკუნეში პურიტანებმა ჩამოაყალიბეს ბიბლიის განმარტებების მნიშვნელოვანი პრინციპი. მათ თქვეს, რომ ბიბლიური მცნებები „დაფარული დაპირებებია.“ პურიტანები გულისხმობდნენ, რომ ბიბლიური მცნება შენიღბული დაპირებაა. ბიბლიური მცნება გულისხმობს ბიბლიურ დაპირებას. თუ ღმერთი რაიმეს ავალებს, ის მორჩილებასაც შესაძლებელს გახდის. რასაც ღმერთი მოითხოვს თავისი ხალხისგან, ის გააკეთებს ამას თავის ხალხში.

წარმოიდგინეთ მიწიერი მამა, რომელიც შვილს შეუსრულებად დავალებას აძლევს. „შვილო, თუ გინდა რომ მასიამოვნო, კილომეტრნახევარი ორ წუთში უნდა გაირბინო.“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ვაჟი შეიძლება ცდილობდეს ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ მამის მოლოდინი შეუსრულებადია. საბოლოო ჯამში ვაჟი იმედგაცრუებული ან მეტიც, გამწარებული დარჩება. ეს კარგი მამა? არა.

ღმერთი კარგი მამაა. ის თავის შვილებს იმედს არ გაუცრუებს შეუძლებელი დავალებებით. როდესაც იესო მოგვიწოდებს და გვავალებს, „ვიყოთ სრულყოფილები, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი“, ის გვაძლევს ძალას, დავემორჩილოთ მის მოწოდებას.

მთაზე ქადაგება გვიჩვენებს ცხოვრებას ღვთის სამეფოში. ეს არ არის ახალი რჯული, რომელიც უფრო მეტ მონობას აწესებს, ვიდრე ძველი რჯული. ეს არ არის მიუწვდომელი იდეალების ერთობლიობა, რომელიც გვაჩვენებს, რამდენად შორს ვართ ღვთის მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან. ეს არის ყოველდღიური ცხოვრების სურათი ღვთის სამეფოში. იესო არსად ამბობს: „ეს არის ჩემი თქვენდამი დავალება, მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ დაემორჩილოთ მას!“ პირიქით, იესო ამბობს: „ასეთები უნდა იყოთ.“

თუ იესოს დავალებას ადამიანური შესაძლებლობების თვალით შევხედავთ, ეს შეუძლებელია. ადამიანური ძალით ჩვენ ვერ შევასრულებთ ღვთის მოწოდებას, ვიყოთ სრულყოფილები. ადამიანური ძალით ჩვენ არ შეგვიძლია „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი გულით, მთელი სულით და მთელი შენი გონებით.“ თუმცა, ღვთის ძალით, ჩვენ შეგვიძლია დავემორჩილოთ ღვთის მცნებებს. სრულყოფილი სიყვარული შესაძლებელია ღვთის ძადლით.

ერთმა მდიდარმა ჭაბუკმა ჰქითხა: „მოძღვარო, რა სიკეთე ვქმნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მქონდეს?“ იესომ უპასუხა მცნებების ჩამოთვლით:

არ კლა, არ იმრუშო, არ იპარო, არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ. პატივი ეცი მამას და დედას და შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი (მათეს 19:16-26).

როდესაც ჭაბუკმა თქვა: „ყოველივე ამას ყრმობიდან ვიცავდი“, იესომ კიდევ ერთი დავალება დაუმატა. „თუ გინდა, რომ სრულყოფილი იყო, წადი, გაყიდე შენი ქონება და ღარიბებს მიეცი; და გექნება საუნჯე ზეცაში. მერე მოდი და გამომყევი.“ იყო სრულყოფილი ნიშნავს გიყვარდეს იესო ქონებაზე მეტად.

„დაღონდა ჭაბუკი და წავიდა, ვინაიდან დიდი ქონება ჰქონდა.“ მდიდარ ჭაბუკს სრულყოფილად არ უყვარდა მოყვასი; ის არ გაყიდიდა თავის ქონებას და არ დაურიგებდა ღარიბებს. მას არ უყვარდა ღმერთი სრულყოფილად; ის არ მიატოვებდა სახლს, იესოს რომ გაყოლოდა. ამ ჭაბუკს გაყოფილი გული ჰქონდა. მას სურდა ღმერთი, მაგრამ ასევე სურდა თავისი „დიდი ქონება.“

როდესაც დაინახეს მოწაფეობის მოთხოვნა, მოწაფეებს „ძალიან გაუკვირდათ“ და ჰკითხეს: „აბა, ვიღას შეუძლია გადარჩენა?“ იესოს პასუხი პასუხობს კითხვას: „შესაძლებელია თუ არა სრულყოფილება ჩვეულებრივი მორწმუნებისთვის?“ იესომ თქვა: „კაცთა მიერ ეს შეუძლებელია, ხოლო ღმერთის მიერ ყოველივე შესაძლებელია.“

ადამიანის ძალით შეუძლებელია ღმერთისა და მოყვასისადმი სრულყოფილი სიყვარული. მაგრამ „ღმერთის მიერ ყოველივე შესაძლებელია.“ მოსიყვარულე მამა თავის შვილებს იმედს არ გაუცრუებს მცნებებით, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია. წმიდა წერილის მცნებებს თან ახლავს მადლი, მათ შესასრულებლად. „იყავით სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი“ არ არის ლეგალისტური კლუბი, რომელსაც ქრისტიანები სასოწარკვეთამდე მიჰყავს. ეს არის გულმოწყალე დაპირება, რომ ღმერთს შეუძლია ჩვენში გააკეთოს ის, რასაც ჩვენ ვერასოდეს გავაკეთებდით საკუთარ თავში.

შესაძლებელია თუ არა დაემორჩილო იესოს დავალებას, იყო სრულყოფილი? მთაზე ქადაგების თანახმად, პასუხი სასიხარულოა „დიახ!“ იყო სრულყოფილი ღმერთის სამეფოში ნიშნავს, გქონდეს სრულყოფილად მოსიყვარულე გული. იყო სრულყოფილი ღვთის სამეფოში ნიშნავს, გქონდეს ღვთისა და მოყვასისადმი გულწრფელი სიყვარული. ეს შესაძლებელია? იესოს აზრით, სრულყოფილი სიყვარული შესაძლებელია და აუცილებელიც. სრულყოფილი სიყვარული არის ღმერთის განზრახვა თავისი ხალხისთვის.

### სიწმიდე პრაქტიკაში: როგორ ასრულებს სიყვარული რჯულს?

ჰუანგი ამბობს: „მე მიყვარს ღმერთი მთელი გულით. და მიყვარს სხვა ადამიანების უმეტესობა. მაგრამ არ შემიძლია შავკანიანების სიყვარული. ვფიქრობ ყველა შავკანიანი ზარმაცია.“

ჰუანგის მეგობარმა უპასუხა: „მაგრამ ქრისტიანებს უნდა უყვარდეთ ყველა! ქრისტიანებს არ შეუძლიათ სხვა ადამიანების უსამართლოდ განსჯა.“ ჰუანგმა უპასუხა: „არ მგონია, რომ

ღმერთს აინტერესებდეს მსგავსი წვრილმანები. განა ნორმალური არ არის ჩვენგან განსხვავებულ ადამიანებს მოვერიდოთ?”

ღმერთი ამბობს: „წმიდა ხალხი ყველა ადამიანს, მათ შორის მათ, ვინც ჩვენგან განსხვავებულია, უნდა მოეპყროს თანაგრძნობით და მოწყალებით.”

თუ ასრულებთ სამეფო რჯულს წერილის მიხედვით: “შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი”, კარგს შვრებით. მაგრამ თუ პირფერობთ, ცოდვას სჩადიხართ და რჯული გამხელთ, როგორც რჯულის დამრღვევთ (იაკობის 2:8-9).

თქვენი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, თუ როგორ ექცევით მათ, ვინც ვერაფრის გაკეთებას შეძლებს თქვენთვის. ადვილია მოწიწებით და პატივისცემით მოეპყრათ პოზიციის მქონე ადამიანებს, რომლებსაც პასუხად შეუძლიათ მოგვიზღან ფულით, სამუშაოებით ან ავტორიტეტით. სიყვარული პატივს სცემს მათ, ვინც ვერაფერს აკეთებს ჩვენთვის: დარიბებს, მოხუცებს, ბავშვებს და სხვებს, რომლებსაც რაიმე პოზიცია, ან თანამდებობა არ აქვთ. სიყვარულის „სამეფო რჯული“ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ვექცევით ყველას. სიყვარული ასრულებს რჯულს.

## სიყვარული ასრულებს რჯულს

სრულყოფილი სიყვარული ცენტრალური თემაა წმიდა ცხოვრების შესახებ გზავნილში. მე-7 გაკვეთილში დავინახეთ, რომ ღმერთის მიმართ სიყვარული ემოციაზე მეტია. ღმერთისადმი სიყვარული სრულად ცვლის ჩვენი ცხოვრების ფოკუსს. ჩვენ ახლა უფრო მეტად გვინდა ვასიამოვნოთ ღმერთს, ვიდრე საკუთარ თავს. ანალოგიურად, მოყვასისადმი სიყვარულს ჩვენი ყურადღება საკუთარი თავიდან სხვებზე გადააქვს.

პავლემ მისწერა რომის ეკლესიას:

არავისი არაფერი დაგედოთ ვალად, გარდა ერთიმეორის სიყვარულისა, ვინაიდან სხვისი მოყვარული ასრულებს რჯულს. რადგან მცნებანი: არ იმრუშო, არ მოკლა, არ მოიპარო, არ იყო ცრუ მოწმე, არ ინდომო და სხვა ამგვარნი შედის ამ სიტყვაში: "გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი". სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს. ამიტომ სიყვარული რჯულის აღსრულებაა (რომაელთა 13:8-10).

ყველა ქრისტიანს ევალება სიყვარული. პავლე გვარწმუნებს, რომ თუ ჩვენ შევასრულებთ სიყვარულის ვალდებულებას, ამით ჩვენ შევასრულებთ რჯულის ყველა სხვა ვალდებულებას. თუ ჩვენ გვიყვარს სხვები, ჩვენ არ ვიმრუშებთ, არ მოვკლავთ, არ მოვიპარავთ, არ ვინდომებთ სხვისას და ა.შ. რჯულის ვალდებულებები მაშინ შესრულდება, როდესაც მე შევიყვარებ ჩემს მოყვასს, როგორც საკუთარ თავს.

რომაელთა მიმართ წერილის ბოლო თავებში პავლე გვიჩვენებს, თუ როგორ ასრულებს სიყვარული რჯულს. ვინც ღვთის სიყვარულით არის აღვსილი ის:

- ემსახურება ქრისტეს სხეულს, და არა საკუთარ თავს (რომაელთა 12:3-5)
- შეიძულებს ბოროტებას და მიეკვრება კეთილს (რომაელთა 12:9)
- პატივისცემაში დაასწრებს სხვებს (რომაელები 12:10)
- იზრუნებს სხვების საჭიროებებზე (რომაელთა 12:13)
- მშვიდობიანად იცხოვრებს სხვებთან, თუნდაც მტრებთან (რომაელთა 12:14-21)
- დაემორჩილება მმართველ ხელისუფლებას (რომაელთა 13:1—7)
- პატივს სცემს სხვა მორწმუნების რწმენას (რომაელთა 14:1-23)
- მოემსახურება მოყვასის საჭიროებებს, ქრისტეს მსგავსად (რომაელთა 15:1-3)

ღვთისადმი სიყვარული ცვლის ჩვენი გულის მიმართულებას საკუთარი თავიდან, ღმერთისკენ. მოყვასისადმი სიყვარული ცვლის ჩვენი გულის მიმართულებას საკუთარი თავიდან, სხვებისკენ. ორივე, არის იმის ნაწილი, თუ რას ნიშნავს იყო წმიდა ადამიანი.

ჯონ უესლიმ შეაჯამა ქრისტიანული სრულყოფილების მნიშვნელობა:

სიყვარული ღმერთის უმაღლესი საჩუქარია; თავმდაბალი, ნაზი, მომთმენი სიყვარული. ყველა ხილვა, გამოცხადება თუ საჩუქარი, სიყვარულთან შედარებით უმნიშვნელო წვრილმანია. რელიგიაში ამაზე მეტად ამაღლებული არაფერია; თუ სიყვარულის გარდა სხვა რამეს ეძებ, მიზანს აცდენილი იყურები, სამეფო გზიდან გაქვს გადახვეული.

და როცა სხვებს ეკითხებით: „მიიღეთ თუ არა ესა თუ ის კურთხევა?” თუ სიყვარულის გარდა სხვა რამეს გულისხმობთ, არასწორად ამბობთ; თქვენ მათ გზას აცდენთ და ცრუ კვალზე აყენებთ. გადაწყვიტე შენს გულში, რომ იმ მომენტიდან, როდესაც ღმერთმა გიხსნა ყოველგვარი ცოდვისგან, სხვა არაფრისკენ არ უნდა ისწრაფო, გარდა 1 კორინთელთა მე-13 თავში აღწერილი უფრო დიდი სიყვარულისა. ამაზე მაღლა ვერ ამაღლდები.<sup>20</sup>

ჩვენი ქრისტიანი მოყვასისადმი სიყვარული

ორი სფერო ცხადყოფს, თუ რამდენად სრულყოფილია სიყვარული სხვა ქრისტიანებთან მიმართებაში.

<sup>20</sup> ადაპტირებულია დან John Wesley, *A Plain Account of Christian Perfection* (Kansas City: Beacon Hill Press, 1966), 99

## **სიყვარული პატივს სცემს სხვა ქრისტიანების რწმენას**

კორინთოში მცხოვრები ქრისტიანებისთვის მიწერილ წერილში პავლე შეეხო ქრისტიანული თავისუფლების საკითხს. რა რეაქცია უნდა მქონდეს სხვა მორწმუნის მიმართ, რომელიც შეიძლება სულიერად დაზარალდეს ჩემი თავისუფლებით? პავლემ მისწერა „ძლიერ“ ქრისტიანებს, რომლებმაც თქვეს: „ჩვენ ვიცით, რომ კერპები არაფერია. კერპთშენაწირი საჭმლის ჭამა ჩვენთვის არაფერს ნიშნავს“. პავლემ უპასუხა:

ვინაიდან, თუ ვინმე დაგინახავს შენ, რომელსაც გაქვს ცოდნა, საკერპეში მჯდომარეს, განა მისი უძლური სინდისი არ განაწყობს მას კერპთშენაწირის საჭმელად? და შენი ცოდნის მეშვეობით დაიღუპება შენი უძლური ძმა, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე. ამგვარად თუ სცოდავთ ძმების მიმართ და აჭრილობებთ მათ უძლურ სინდისს, ამით ქრისტეს მიმართ სცოდავთ. ამიტომ თუ საჭმელი აბრკოლებს ჩემს ძმას, უკუნისამდე აღარ შევჭამ ხორცს, რათა ჩემი ძმა არ დავაბრკოლო (1 კორინთელთა 8:10-13).

პავლე სიცოცხლის ბოლომდე უარს იტყოდა ხორცის ჭამაზე, თუკი ეს სუსტი ქრისტიანი ძმის დაცემას გამოიწვევდა. სრულყოფილი სიყვარული ნიშნავს, რომ ის უფრო მეტად ზრუნავს სხვა ქრისტიანი ძმის გადარჩენაზე, ვიდრე საკუთარ უფლებებზე. მოგვიანებით, პავლე ამბობს: „ყოველგვარ ტანჯვას ვიტანთ, რათა რაიმე დაბრკოლება არ შეექმნას ქრისტეს სახარებას“ (1 კორინთელთა 9:12).

კორინთელებმა თქვეს: „ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გვინდა. ჩვენ არ უნდა გავითვალისწინოთ სხვა მორწმუნის საჭიროებები.“ პავლემ თქვა: „თავისუფალი ვარ, ვემსახურო სხვა მორწმუნებების საჭიროებებს. მე არ ვარ საკუთარი სურვილებისა და უფლებების მონობაში. მე თავისუფალი ვარ შევიყვარო სხვები.“ ეს არის სრულყოფილი სიყვარული, რომელიც ღმერთს სურს მისცეს ყველა ქრისტიანს.

► წაიკითხეთ რომაელთა მე-14 თავი.

რომის ეკლესიაში იყვნენ „უძლური“ ქრისტიანები, რომლებიც მხოლოდ ბოსტნეულს მიირთმევდნენ. ეს შეიძლება იყვნენ ებრაელი ქრისტიანები, რომლებიც აგრძელებდნენ ებრაული კვების რჯულის დაცვას და არ სურდათ უწმიდური საკვების მიღება. ასევე იყვნენ „ძლიერი“ ქრისტიანები, რომლებსაც მეტი ცოდნა ჰქონდათ და იცოდნენ, რომ კვების რჯული ქრისტიანისთვის სავალდებულო აღარ არის.

პავლემ თითოეულ ჯგუფს აჩვენა, რას ნიშნავს სიყვარული ისე, როგორც ქრისტეს უყვარდა. „უძლურმა“ ქრისტიანმა არ უნდა განსაჯოს ის, ვინც ხორცს ჭამს. სიყვარული არ განსჯის.

თუმცა, „ძლიერმა“ ქრისტიანმა არ უნდა შეურაცხყოს სუსტი ქრისტიანი და არ უნდა გამოიყენოს თავისი თავისუფლება ისე, რომ შელახოს უძლურთა რწმენა. ამის ნაცვლად,

ძლიერი ქრისტიანი უარს იტყვის თავის უფლებებზე, რათა თავიდან აიცილოს სუსტი მორწმუნის რწმენის განადგურება. რატომ? სიყვარულის გამო:

თუ საჭმლის გამო შეწუხდება შენი ძმა, უკვე აღარ იქცევი სიყვარულით. შენი საჭმლით ნუ დაღუპავ მას, ვისთვისაც მოკვდა ქრისტე (რომაელთა 14:15).

აი რას ნიშნავს გიყვარდეს შენი ქრისტიანი მოყვასი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისე, როგორც ქრისტეს უყვარდა. მან სიცოცხლე გაიღო ამ უძლური ძმისთვის; რა თქმა უნდა, ამბობს პავლე, ჩვენ შეგვიძლია უარი ვთქვათ უფლებაზე ვჭამოთ ხორცი.

► განიხილეთ ის სფერო, სადაც გულწრფელი და ღვთისმოსავი მორწმუნები განსხვავდებიან. ეს არ არის ნათელი, ბიბლიური სწავლების სფეროები; ეს არის განსხვავებული რწმენის სფეროები. გამოიყენეთ პავლეს პრინციპები რომაელთა მე-14 თავიდან, ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორ უნდა მოევიდოს ამ სფეროს თითოეული ჯგუფი - „უძლური“ და „ძლიერი“ ქრისტიანები.

### **სიყვარული ზრუნავს ქრისტიანზე, რომელიც ცოდვაში ვარდება**

ჯინი არის ქრისტიანი, რომელსაც ბიზნეს გარიგებაში ეკლესიის სხვა წევრმა მოატყუა. აივენმა ჯინს მიყიდა მეორადი მანქანა, რომელსაც სერიოზული მექანიკური პრობლემები ჰქონდა და მან ეს იცოდა. აივენმა მოატყუა ჯინს: „მე ეს მანქანა მექანიკოსმა შემიმოწმა. არის შესანიშნავ მდგომარეობაში. შეგიძლია მენდო. მე ქრისტიანი ვარ.“

მანქანის ყიდვიდან ორი დღის შემდეგ ჯინმა აღმოაჩინა, რომ მანქანაში გადაცემათა კოლოფი გაფუჭებული იყო - და რომ აივენმა იცოდა ამ პრობლემის შესახებ.

► რა უნდა გააკეთოს ჯინმა?

უპასუხებ, რომ: „ჯინმა უნდა გააფრთხილოს ყველა, რომ აივენი არაკეთილსინდისიერია“? უპასუხებთ, რომ: „ჯინმა არაფერი უნდა თქვას, რომ თანაქრისტიანს არ აწყენინოს“? მოდით შევხედოთ იქსოს პასუხს.

► წაიკითხეთ მათეს 18:15—17.

იქსომ მოგვცა ოთხი საფეხური, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ ექცევა სრულყოფილი სიყვარული ცოდვაში ჩავარდნილ თანაქრისტიანს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს მაგალითი ცოდვილ ქცევას ეხება. იქსო არ ეხება აზრთა პირად განსხვავებებს. იქსოს არ უთქვამს: „წადი, ჩაერიე სხვის პრობლემებში.“ იქსო ეხება სიტუაციას, როდესაც ქრისტიანი ძმა სცოდავს სხვა ქრისტიანის მიმართ. შეხედეთ ამ საფეხურებს:

1. იმ ძმასთან მარტო უნდა მივიდე. სრულყოფილი სიყვარული „არ ხარობს უმართლობით” (1 კორინთელთა 13:6). ის არ ეძებს შეცდომის გასაჯაროების შესაძლებლობას. პირიქით, სიყვარულით მოქმედი ადამიანი ცდილობს პრობლემის მოგვარებას ჩუმად და პირადად. სიყვარულის მქონე ადამიანი მიმართავს ძმას, „ცოდვაში ჩავარდნილს ... თავმდაბლობის სულით” (გალატელთა 6:1). მიზანი ძმის შეცვლაა და არა შურისძიება. თუ არ არის მონანიება... .
2. მე ერთი ან ორი სულიერი ლიდერი უნდა მივიყოლო მოწმედ. ისევ და ისევ, მიზანი არის შეცვლა და გამოსწორება. ეს მოწმეები უნდა იყვნენ ეკლესის სულიერი ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ კარგი რჩევის მიცემა და გამოსწორება (იქვე.). თუ მაინც არ მოინანიებს... .
3. ამ ცოდვის შესახებ უნდა გავაგებინო ეკლესიას. მიზანი კვლავაც გამოსწორებაა. მიზანი არ არის შურისძიება ან საჯარო დამცირება. ეკლესის მხრიდან სასჯელის მიზანი უნდა იყოს მონანიების მოტანა და ძმის შეცვლა და გამოსწორება. თუ ეს პიროვნება გაჯიუტდება და უარს იტყვის მონანიებაზე ... .
4. ეკლესიამ უნდა დასაჯოს დამნაშავე წევრი. კორინთოს ეკლესიას ჰყავდა წევრი, რომელიც დამნაშავე იყო საშინელ სექსუალურ ცოდვაში. პავლემ უბრძანა ეკლესიას ამ კაცის დასჯა. „მოიშორეთ ბოროტი თქვენს შორის” (1 კორინთელთა 5:13). ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ცოდვა ქრისტეს სხეულში.

თუმცა, ყურადღება მიაქციეთ იესოს სიტყვებს.. „მაშინ იყოს იგი შენთვის, როგორც წარმართი ან მებაჟე” (მათეს 18:17). როგორ უნდა მოექცნენ ქრისტიანები წარმართებს და მებაჟეებს? სიყვარულით. აქაც კი მიზანი უნდა იყოს გამოსწორება. 2 კორინთელებში პავლე მიუთითებს მორწმუნესთან დაკავშირებულ სიტუაციაზე, რომელიც ეკლესიის მიერ იყო დასჯილი და მოინანია. თქვა პავლემ,

ასეთისათვის ამგვარი სასჯელიც საკმარისია უმრავლესობისაგან. ასე, რომ, პირიქით, აპატიეთ და ნუგეში ეცით, რათა მეტისმეტმა ნაღველმა არ შთანთქას იგი. ამიტომ, გთხოვთ, სიყვარული გამოიჩინოთ მის მიმართ (2 კორინთელთა 2:6-8).

1 კორინთელებში ეკლესია ითმენდა ღია ცოდვას და არ სურდა ცოდვილის დასჯა. პავლემ შეახსენა მათ, რომ ღმერთისადმი სიყვარული მოითხოვს, რომ დავსაჯოთ ისინი, ვინც სცოდავს ქრისტეს სხეულის წინააღმდეგ.

2 კორინთელებში ეკლესიამ დასაჯა ადამიანი, ვინც შესცოდა, მაგრამ როდესაც ამ ადამიანმა მოინანია, ეკლესიას არ სურდა მისი პატიება! პავლემ შეახსენა მათ, რომ მოყვასისადმი სიყვარული მოითხოვს, ვაპატიოთ მონანიებულებს.

ეკლესიის მხრიდან სასჯელის მიზანი ყოველთვის უნდა იყოს მონანიება და გამოსწორება. სრულყოფილი სიყვარული არ ეძებს შურისძიებას.

### ჩვენი ურწმუნო მოყვასისადმი სიყვარული

როგორ ვავლენთ სრულყოფილ სიყვარულს ურწმუნოების მიმართ, განსაკუთრებით მათ მიმართ, ვისაც ვძულვართ, რადგან ქრისტიანები ვართ? იქსომ თქვა:

გსმენიათ, რომ თქმულა: გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი შენი. მე ვი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, ილოცეთ თქვენი მაწყევრებისთვის, კეთილი უყავით თქვენს მოძულებს და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით. რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი (მათეს 5:43-45).

როცა გიყვართ ისინი, ვინც გდევნიან, „სრულყოფილი ხართ, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი.“ წმიდა ადამიანებს უყვართ ისე, როგორც ჩვენს ზეციერ მამას უყვარს. სწორედ ეს ნიშნავს, იყო სრულყოფილი.

წმიდა ხალხი „ავლენს სიყვარულს სხვების მიმართ, არა მხოლოდ თანამორწმუნების, არამედ ურწმუნოების, ჩვენი მოწინააღმდეგების და ცოდვის ჩამდენთა მიმართაც. ჩვენ უნდა მოვექცეთ მათ, ვინც გვეწინააღმდეგება კეთილგანწყობით, მშვიდად, მოთმინებით და თავმდაბლად. ღმერთი კრძალავს ჩხუბს, შურისძიებას, მუქარას ან ძალადობის გამოყენებას, როგორც პირადი კონფლიქტის მოგვარების ან პირადი სამართლიანობის მიღწევის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი მოგვიწოდებს გვძულდეს ცოდვილი ქმედებები, ჩვენ უნდა გვიყვარდეს ნებისმიერი ადამიანი და ვილოცოთ მათთვის, ვინც ასეთ საქციელს ჩადის“ (ეკლესიათა ბიბლიური მეთოდისტური კავშირის დისციპლინიდან, 2014 წ.).

ქრისტიანები ყოველთვის ცხოვრობდნენ სამყაროში, რომელიც ეწინააღმდეგება სახარებას. პავლე მოუწოდებდა ქრისტიანებს რომში, პატივი ეცათ ხელისუფლებისთვის და გადაეხადათ გადასახადები - მთავრობისთვის, რომელიც კლავდა ქრისტიანებს და მალე მოკლავდა პავლეს.

პეტრემ უბრძანა ქრისტიანებს: „ყველას პატივი მიაგეთ, გიყვარდეთ სამმო, ღვთისა გეშინოდეთ, მეფეს პატივი ეცით“ (1 პეტრეს 2:17). და ისევ, ეს იყო ბოროტი მეფე, რომელიც მალე სიკვდილით დასჯიდა პეტრეს. მაგრამ პეტრეს მტკიცედ ჰქონდა განსაზღვრული, რომ ქრისტიანებს უნდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები. იმით, რომ მტრებიც კი გვიყვარს, ჩვენ ვამტკიცებთ სახარების ჭეშმარიტებას. „რადგან ასეთია ნება ღვთისა, რათა კეთილის ქმნით დაადუმოთ უგუნურ ადამიანთა უმეცრება“ (1 პეტრეს 2:15).

ჯოშუა არის ნიგერიელი პასტორი, რომელიც ცხოვრობს ჩრდილოეთ ნიგერიის ტერიტორიაზე, სადაც ისლამური მებრძოლები სასტიკად თავს დაესხნენ ქრისტიანებს. ისლამური ჯარისკაცები წვავდნენ ეკლესიებს, კლავდნენ ქრისტიანებს და იტაცებდნენ ახალგაზრდა გოგონებს მონებად გასაყიდად. ბოლოს, როდესაც ნიგერიაში ვიყავი სტუმრად, ჯოშუამ მაჩვენა თავისი ეკლესიის გარდაცვლილი წევრების სურათები, რომლებიც მოკლული იყვნენ ისლამური თავდამსხმელების მიერ.

შემდეგ ჯოშუამ მაჩვენა ამ თავდასხმებზე მისი ეკლესიის პასუხის სურათები. მისმა ეკლესიამ მუსულმანურ სოფელში სკოლა ააშენა; სოფელში სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად ჭა ამოთხარეს; მათ უზრუნველყვეს სოფელი ინვალიდის ეტლებით, პოლიომიელიტის მსხვერპლი მუსლიმებისთვის; სოფელში სამედიცინო კლინიკას აშენებენ. ისინი ავლენენ სიყვარულს მტრისადმი.

პასტორმა ჯოშუამ თქვა: „ბევრი მუსულმანი მოდის ქრისტესთან, რადგან ისინი ხედავენ ღვთის სიყვარულს ქრისტიანების მეშვეობით. ჩვენ არ ვიმარჯვებთ მათზე იარაღით და შურისძიებით; ჩვენ ვძლევთ მათ მათეს 5:43-48-ს მიხედვით ცხოვრებით.” ეს არის სრულყოფილი სიყვარულის პროდუქტი, რომელიც დღეს ჩვენს სამყაროში ცხოვრობს.

► რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა ურწმუნო მოყვასის სიყვარულისთვის თქვენს სამყაროში? ჩამოთვალეთ რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი, თქვენს საზოგადოებაში, ურწმუნოების მიმართ სიყვარულის გამოსავლენად.

რუსმა ავტორმა ლევ ტოლსტოიმ დაწერა მოთხრობა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას ნიშნავს იცხოვრო სრულყოფილი სიყვარულით. მარტინი ღარიბი ფეხსაცმლის მწარმოებელი იყო, რომელსაც ღმერთი ღრმად უყვარდა.<sup>21</sup> ერთ ღამეს მარტინს ჩაეძინა, როცა ბიბლიას კითხულობდა. ის ოცნებობდა, რომ იესოს ერთხელ ეთქვა: „ხვალ ვესტუმრები შენს მაღაზიას.”

მეორე დღეს მარტინი ელოდებოდა იესოს. სხვა ხალხი მივიდნენ მარტინის მაღაზიაში, ხოლო იესო არ გამოჩენილა. მოხუცი ჯარისკაცი სიცივეში აკანკალებული იდგა. მარტინმა ჯარისკაცი თავის მაღაზიაში მიიპატიუა ცხელი ჩაის დასალევად. ღარიბმა ქალმა ჩაიარა მაღაზიის გვერდით, ის ცდილობდა თავისი ჩვილის გათბობას. მარტინმა მისთვის წვნიანი და ჩვილისთვის საბანი მოუტანა. მოგვიანებით მარტინმა მშიერ მოზარდს საჭმელი უყიდა.

მარტინი იმედგაცრუებული იყო იმით, რომ იესო არ მოვიდა, მაგრამ მან თქვა: „ეს მხოლოდ სიზმარი იყო. ჩემი მხრიდან სისულელე იყო იმაზე ფიქრი, რომ იესო მოვიდოდა ფეხსაცმლის მაღაზიაში.”

<sup>21</sup> Leo Tolstoy, “Where Love Is, There God is Also.”

იმ საღამოს, მარტინს ისევ ბიბლიის კითხვისას ჩაეძინა. მან სიზმარში ნახა ის ხალხი, რომლებიც მის მაღაზიაში იდგნენ. ჯარისკაცმა თქვა: „მარტინ, მიცანი? მე ვარ იესო!“ ქალმა, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა თქვა: "მარტინ, მე ვარ იესო". მშიერმა მოზარდმა თქვა: „მე ვარ იესო“. მარტინმა გაიღვიძა და კითხვა დაიწყო:

ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ; შიმველი ვიყავი და შემმოსეთ; სწეული ვიყავი და მიპატრონეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომავითხეთ.... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ (მათეს 25:34-40).

მეორე საუკუნეში ქრისტიანთა ჯგუფს უწოდეს „აზარტული მოთამაშეები“, რადგან ისინი საფრთხეში აყენებდნენ თავიანთ სიცოცხლეს იმით, რომ უვლიდნენ გადამდები დაავადებებით დაავადებულ და მომაკვდავ ხალხს. ეს „მოთამაშეები“ ინახულებდნენ პატიმრებს, ზრუნავდნენ ავადმყოფებზე და უვლიდნენ მიტოვებულ ჩვილებს. ამ „აზარტულმა მოთამაშეებმა“ აჩვენეს სრულყოფილი სიყვარული.

252 წელს კართაგენში ჭირი გაჩნდა. ექიმებმა უარი თქვეს პაციენტების მონახულებაზე; ოჯახებმა მიცვალებულთა ცხედრები ქუჩაში გადაყარეს; ქალაქი ქაოსში იყო. კართაგენის ეპისკოპოსმა კვიპრიანემ შეკრიბა თავისი მრევლი. მან შეახსენა მათ, რომ ქრისტიანები მოწოდებულნი არიან იყვნენ სრულყოფილი სიყვარულის ადამიანები. კართაგენის ქრისტიანები მარხავდნენ მიცვალებულებს, უვლიდნენ ავადმყოფებს და გადაარჩინეს ქალაქი განადგურებას. ისინი იყვნენ სრულყოფილი სიყვარულის ადამიანები; ისინი იყვნენ „სრულყოფილნი“, როგორც მათი ზეციერი მამა სრულყოფილი.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ესთერ ენ კიმი

ესთერ ენ კიმი იყო მუსიკის მასწავლებელი, რომელიც ცხოვრობდა კორეაში იაპონური ოკუპაციის წლებში, რომელიც დაიწყო 1937 წელს.<sup>22</sup> იაპონელები მოითხოვდნენ ყველა მოქალაქისგან, რომ მათ თაყვანი ეცათ მზის ქალღმერთის სალოცავისთვის ნამსანის მთაზე. 1939 წელს ესთერს უბრძანეს სალოცავისთვის თაყვანი ეცა. თაყვანისცემაზე უარის სასჯელი ციხე და წამება იყო.

ზოგიერთმა ქრისტიანმა გადაწყვიტა: „ჩვენ გარეგნულად ვცემთ თაყვანს ამ სალოცავს, ხოლო შინაგანში, ჩვენს გულებში ისევ ქრისტეს მოვემსახურებით.“ ესთერმა გადაწყვიტა, რომ არ შეეძლო ცრუ ღმერთის თაყვანისცემა. მას ღმერთი უყვარდა განუყოფელი გულით. იმ დღეს მან უარი თქვა თაყვანისცემაზე.

<sup>22</sup> ადაპტირებულია დან Esther Ahn Kim, If I Perish (Chicago: Moody Press, 1977).

1939 წლის ბოლოს, რამდენიმე თვიანი მიმალვის შემდეგ, ესთერ ენ კიმი დააპატიმრეს. მან გაატარა ის თვეები ციხისთვის მომზადებაში. ის მარხულობდა და ლოცულობდა, იმახსოვრებდა წმიდა წერილებს, მან გონება და სხეული ტანჯვის გადასატანად მოამზადა.

კიმმა ციხეში ექვსი წელი გაატარა. ბევრჯერ აწამეს, მაგრამ ერთგული დარჩა, რადგან უყვარდა ღმერთი. მაგრამ კიმმა იცოდა, რომ ის ასევე მოწოდებული იყო მოყვასისადმი სიყვარულისთვის. ციხეში ესთერი ყოველ დილით იწყებდა ლოცვას: „ღმერთო, ვინ გინდა, რომ გიყვარდეს დღეს ჩემი მეშვეობით?“ ერთხელ მან რამდენიმე დღის კვების რაციონი მისცა ქალს, რომელსაც ქმრის მკვლელობისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. იმის გამო, რომ ესთერ კიმს სიყვარული გააჩნდა, ეს ქალბატონი სიკვდილამდე, ქრისტესთან იქნა მიყვანილი.

#### მე - 8 გაკვეთილის მიმოხილვა

- (1) ხალხს იესოს დროში სჯეროდა, რასაც ძველი აღთქმა ასწავლიდა სიწმიდის შესახებ. თუმცა, მათ ვერ იცხოვრეს წმიდა ხალხისთვის ღვთის ნიმუშის მიხედვით.
- (2) სიწმიდის სრულყოფილი ნიმუში ჩანს იესო ნაზარეველის ცხოვრებაში. ის იცავდა სიწმიდის ყველა პრინციპს ძველი აღთქმიდან.
- (3) სრულყოფილად გვიყვარდეს მოყვასი, ნიშნავს გვიყვარდეს ისე, როგორც იესოს უყვარდა - მსხვერპლიანად და თავმდაბლად.
- (4) იყო სრულყოფილი ნიშნავს იყო სრული. იყო სრულყოფილი არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომი ზრდა შეუძლებელია.
- (5) მცნება არის „შენიდბული დაპირება“. რასაც ღმერთი ბრძანებს, ის შესაძლებელსაც ხდის. სიწმიდე მიიღწევა არა ადამიანური ძალით, არამედ ღვთის ძალით.
- (6) სიყვარული ასრულებს რჯულს. როდესაც ჩვენ გვიყვარს, როგორც ღმერთი მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს, ჩვენ ვაკმაყოფილებთ რჯულის მოთხოვნებს.

#### გაკვეთილის დავალებები

- (1) მოამზადეთ ქადაგება თემაზე „გვიყვარდეს შენი მტერი 21-ე საუკუნეში“. გამოიყენეთ მათეს 5:43-48 როგორც ტექსტი. გამოხატეთ რას ნიშნავს გვიყვარდეს შენი მტერი ჩვენს სამყაროში. დარწმუნდით, რომ შეიტანეთ სახარება (კეთილი უწყება) იმის შესახებ, რაც ღმერთმა გააკეთა ქრისტეს მეშვეობით, რათა შესაძლებელი გაეხადა თქვენს მიერ მტრის სიყვარული.
- (2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი მათეს 5:43-48-ის წაკითხვით.

## გაკვეთილი 9

### წმიდად ცხოვრება სულით სისავსეში ცხოვრებაა

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გააცნობიეროს ის ტრანსფორმაცია, რომელიც სულთმოფენობის დღემ მოუტანა ადრეულ ეკლესიას.
- (2) გააცნობიეროს სულიწმიდის ძალა, რომელიც გარდაქმნის მორწმუნებს დღეს.
- (3) დაინახოს სულის ნაყოფი ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც სულით აღსავს ცხოვრების მახასიათებელი.
- (4) დაიმახსოვროს გალატელთა 5:22-25.

#### პეტრე: დაბრკოლების ლოდი, რომელიც კლდედ იქცა

იესომ ჰკითხა თავის მოწაფეებს: „თქვენ რას ამბობთ, ვინა ვარ? პეტრემ მიუგო: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღმერთისა.“ იესომ პასუხად უთხრა: "ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, რადგან ხორცმა და სისხლმა ვი არ გაგიცხადა ეს, არამედ მამაჩემმა, რომელიც ზეცაშია. და მე გეუბნები შენ, რომ შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას" (მათეს 16:15-18). ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დღე პეტრეს ცხოვრებაში.

ცოტა ხნის შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს გაუმხილა, რომ ის იერუსალიმში წამებით უნდა მომკვდარიყო. როდესაც პეტრემ უსაყვედურა მას, იესომ უპასუხა: „გამშორდი, სატანავ! საცდური ხარ ჩემთვის (მათეს 16:23). სიტყვა "საცდური" ნიშნავს "დაბრკოლების ლოდს". იესომ პირველად უწოდა პეტრეს „კლდე“; ახლა მან მას "დაბრკოლების ლოდი" უწოდა. ეს იყო ბნელი დღე პეტრეს ცხოვრებაში.

პეტრეს ისტორია კიდევ უფრო ბნელდება იესოს შეპყრობის ღამეს. მისი დაპირების მიუხედავად, რომ არასოდეს მიატოვებდა თავის მოძღვარს, პეტრემ უარყო იესო და შიშით გაიქცა. „კლდე“ ჩავარდა, განსაცდელების დროს.

#### ლოცვა სიწმიდისთვის

„ისუნთქე ჩემში, სულო წმიდაო, რომ ვიფიქრო რა არის წმიდა. ამამოძრავე, სულო წმიდაო, რათა გავაკეთო ის, რაც წმიდაა. მიმიზიდე სულო წმიდაო, რომ შევიყვარო ის, რაც წმიდაა. გამაძლიერე, სულო წმიდაო, რომ დავიცვა ის რაც წმიდაა. დამიცავი, სულო წმიდაო, რომ შევინარჩუნო ის, რაც წმიდაა.“

- წმიდა ავგუსტინე

ასეთი წარუმატებლობის შემდეგ, სახარების მკითხველმა შეიძლება ჩათვალის, რომ პეტრეს არასოდეს ექნება რაიმე როლი ეკლესიაში. ჩვენდა გასაკვირად, პეტრე ხდება ადრეული ეკლესიის ლიდერი. რამ მოიტანა ასეთი დრამატული ცვლილება? პასუხი არის სულთმოფენობა.

მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იესო დაპირდა მოწაფეებს: „არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე” (საქმეების 1:8). ეს დაპირება სრულდება საქმეების მე-2 თავში. მოწაფეები აღივსებიან სულიწმიდით და იწყებენ ქადაგებას. სულიწმიდის ძალით 3000 ადამიანი მობრუნდა პირველ სულთმოფენაზე.

პეტრე გარდაიქმნა სულთმოფენობის დროს. "დაბრკოლების ლოდი" იქცა "კლდედ", რომელიც ხელმძღვანელობდა ეკლესიას მის გადამწყვეტ პირველ დღეებში. სიმონ პეტრე მახარებლობდა მთელს რომის იმპერიაში, დაწერა ახალი აღთქმის ორი წერილი და დასასრულს ის ჯვარს აცვეს რწმენის გამო.

რამ მოიტანა ეს ცვლილება? სულიწმიდის გარდამქმნელი ძალით, გალილეველი მეთევზე გახდა ლიდერი პირველი საუკუნის ეკლესიაში. პეტრემ შეიტყო, რომ იყო წმიდა, ნიშნავს სულიწმიდით სისავსეში ცხოვრებას.

► სთხოვეთ თქვენი კლასის წევრებს, დაამოწმონ სულიწმიდის მეშვეობის გარდაქმნაზე, მათ ცხოვრებაში. როგორ გაძლევთ სული ძალას მსახურებისთვის, ცოდვაზე გამარჯვებისთვის და სიხარულისთვის ქრისტიანულ ცხოვრებაში?

### სულიწმიდა და სულთმოფენობა

პეტრე არ იყო ერთადერთი მოწაფე, რომელიც შეიცვალა სულთმოფენობის დროს. ყოველი მოწაფე გარდაიქმნა სულიწმიდის მიერ. ეჭვიანი (ურწმუნო) თომა ერთგული მისიონერი გახდა. „ჭექა-ქუხილის ძე“ გახდა „სიყვარულის მოციქული.“ იესოს მიმდევრები შეშინებული მოწაფეებიდან გადაიქცნენ სახარების ძლიერ ძალად. საქმეების წიგნი გვიჩვენებს სულიწმიდის გავლენას ამ პირველ მორწმუნებზე. ადრეული ეკლესია ეფექტური იყო არა მოციქულთა არაჩვეულებრივი ნიჭების გამო, არამედ სულიწმიდის არაჩვეულებრივი ძალის გამო. მოწაფეებმა შეიტყვეს, რომ წმიდა ცხოვრება სულიწმიდის სისავსეში ცხოვრებაა.

### აღთქმული სულიწმიდა

რა თქმა უნდა, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გასაკვირი რამ, რაც მოწაფეებს ოდესმე მოუსმენიათ იესოსგან: „ჭეშმარიტებას გეუბნებით: თქვენთვის უმჯობესია, რომ წავიდე“ (იოანეს 16:7). ამ მოწაფეებმა ყველაფერი მიატოვეს, რათა იესოს გაყოლოდნენ.

წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როდესაც იესომ თქვა: „თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ მას.“

უკანასკნელ სერობაზე იესომ აუხსნა, თუ როგორ მოემსახურება სული მორწმუნებს. სულიწმიდა იქნება:

- იქნება ნუგეშისმცემელი (იოანეს 14:16-17)
- იქნება მასწავლებელი (იოანეს 14:26)
- ძის მოწმე (იოანეს 15:26)
- ქვეყნიერების გამსამართლებელი (იოანეს 16:7-11)
- მთელი ჭეშმარიტების განმცხადებელი (იოანეს 16:13-15)

აღდგომის შემდეგ იესომ გაიმეორა დაპირება სულიწმიდის მოვლინების შესახებ:

შეკრიბა ისინი და დაავალა: "იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით"… არამედ თქვენ მიიღებთ ძალას, როცა გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე" (საქმეების 1:4-8).

იესოს მიწიერი მსახურება არ დასრულებულა ჯვარცმით, ცარიელი სამარხით ან თუნდაც ამაღლებით. იესოს მსახურება შესრულდა სულთმოფენობით. იესოს მსახურების განმასხვავებელი ნიშანი იყო, რომ „ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდითა და ცეცხლით“ (ლუკას 3:16). სულიწმიდის საჩუქარი იყო იესოს მიწიერი მსახურების კულმინაცია.

### სულიწმიდა მიღებულია

საქმეების წიგნში, სულიწმიდა აძლევდა ეკლესიას მსახურების უფლებამოსილებას. სულთმოფენობის დროს აღთქმა ნუგეშისმცემელზე შესრულდა. ამის შემდეგ სულიწმიდა განუწყვეტლივ იმყოფებოდა ეკლესიაში. ნიშნები, რომლებიც თან ახლდა სულის მოსვლას, აჩვენებდა მის მსახურებას მორწმუნების მიმართ.

პირველი, „ხმაური გაისმა ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაპბერაო“ (საქმეების 2:2). ეს მიუთითებს სულის მოსვლის ძალაზე. საქმეების წიგნში ჩვენ ვხედავთ სულიწმიდის ძალას, რომელიც მოქმედებს მორწმუნების მეშვეობით. სულთმოფენობის შემდეგ ეკლესია ახალი ძალითა და ეფექტურობით მსახურობდა. სულიწმიდა მოქმედი იყო მსოფლიოში

სულთმოფენობამდეც.<sup>23</sup> მაგრამ სულთმოფენობის შემდეგ სულიწმიდის ძალა მუდმივად იმყოფებოდა ეკლესიის მსახურებაში.

მეორე, „გაყოფილი ენები, როგორც ცეცხლოვანნი და სათითაოდ დაივანა თითოეულ მათგანზე” (საქმეების 2:3). წმიდა წერილში ცეცხლი ხშირად წარმოადგენს სიწმიდეს. სულიწმიდის ნიშანი იყო წმიდა გული. პეტრემ იერუსალიმის კრებას დაუმოწმა, წარმართებს შორის ღვთის მოქმედების შესახებ:

გულთამხილველმა ღმერთმა მათაც დაუმოწმა სულიწმიდის მიცემით, როგორც ჩვენ. განსხვავება არ არის ჩვენსა და მათ შორის, რადგან რწმენით განწმიდა მათი გულები (საქმეების 15:8-9).

მესამე, ზედა ოთახში მყოფებმა „იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ” (საქმეების 2:4). ამან მოწაფეები აღჭურვა ყველა ერისთვის საქადაგებლად. სულიწმიდის ძალით მოწაფეები შეასრულებდნენ ქრისტეს დიდ დავალებას. ბაბილონში ღმერთმა მსჯავრი დასდო ცოდვას, ხალხის ენების აღრევით. სულთმოფენობისას ღმერთმა დაუშვა თითოეულ მსმენელს, მოესმინა სახარება „თავის ენაზე.” სულთმოფენობაზე ღმერთმა დაიწყო ცოდვის გამყოფი ეფექტების შემობრუნება. სულთმოფენობის ენები წარმოადგენს ღვთის დაპირებას, რომ სახარება მიაღწევს ყველა ერს და ყველა ხალხს სულიწმიდის ძალით, რომელიც მუშაობს ეკლესიის მეშვეობით.

სულთმოფენობით მოწაფეებმა საბოლოოდ გაიგეს, რას გულისხმობდა იესო, როდესაც თქვა: „თქვენთვის უმჯობესია, რომ წავიდე.” სულიწმიდა არ ყოფილა იესო ქრისტეს „მეორე უკეთესი“ შემცვლელი. მაშინ როდესაც ხორციელად იესოს შეეძლო მხოლოდ ერთ ადგილას ყოფილიყო, სულიწმიდას შეუძლია ყველგან იყოს. სულიწმიდა მოწაფეებს აძლევდა ძალას, შეესრულებინათ იესოს დიდი დავალება. სულიწმიდა ქრისტიანებს აძლევს ძალას იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით, რომელიც მთელი მსოფლიოსთვის იქნება მოწმობა.

### სიწმიდე ადრეულ ეკლესიაში: ცხოვრება სულის სისრულეში

საქმეების წიგნი გვიჩვენებს სულიწმიდის მოქმედებას თითოეული მორწმუნის ცხოვრებაში. სულიწმიდის წყალობით ქრისტიანებს ჰქონდათ დამოწმების ძალა, (საქმეების 1:8). გამბედაობა წინააღმდეგობის წინაშე, (საქმეების 4:31). გამარჯვება განზრახ ცოდვაზე (რომაელთა 8:2). და სულიერი ნიჭები მსახურებისთვის (საქმეების 2:17-18; 1 კორინთელთა

<sup>23</sup> (სულიწმიდის მოქმედების მაგალითები ძველ აღთქმაში მოიცავს: დაბადების 1:2; დაბადების 6:3 ; გამოსვლის 31:3 ; რიცხვთა 11:25-29 ; მსაჯულთა 3:10 ; 6:34 ; 13:25 ; 1 მეფეთა 10:6-10; 2 ნეშტა 28:12 ; ნეემიას 9:20 ; ესაიას 63:10-14 ; ზაქარიას 4:6-9.

12:7-11). ადრეული მორწმუნები წმიდები იყვნენ, რადგან ისინი სულიწმიდის სისავსით ცხოვრობდნენ.

საქმეების წიგნი გვიჩვენებს, რომ ადრეული ეკლესია ასრულებს იესოს მოწოდებას, მოიმოწაფოს ყველა ერი, მის მოწოდებას „იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციერი მამა სრულყოფილი“ და მის დაპირებას, რომ „[საქმეებს] მათზე დიდსაც გააკეთებს.“ ეს გაკეთდა სულიწმიდის ძალით. საქმეების წიგნი გვიჩვენებს სულიწმიდის ყოფნის შედეგებს ამ ადრეული მორწმუნების ცხოვრებაში.

### ძალა მსახურებისთვის

ისევე, როგორც იესო იყო „სულიწმიდით აღვსილი“, როდესაც სატანას დაუპირისპირდა, (ლუკას 4:1). ასევე პეტრეც „აღივსო სულიწმიდით“, როდესაც ებრაელ ხელისუფლებას დაუპირისპირდა (საქმეების 4:8). ლუკა აღწერს პეტრეს ცხოვრებას იმავე ფრაზით, რომელიც გამოიყენა იესოს ცხოვრების აღწერისას. სულის მოქმედება, რომელიც ჩანდა იესო ქრისტეს მიწიერ ცხოვრებაში, ახლა ყველა მორწმუნის პრივილეგია გახდა.

სულიტმოფენობის დღეს ეკლესიას უფრო მეტი მორწმუნე შეემატა, ვიდრე იესო ქრისტეს მთელი მიწიერი მსახურების დროს. სულიწმიდის მეშვეობით მოწაფეები მსახურებოდნენ ძალითა და უფლებამოსილებით. სასწაულებრივმა განკურნებებმა აჩვენა ღმერთის ძალა ურწმუნო ქვეყნიერებას. ხალხი „გაკვირვებითა და განცვიფრებით აღივსნენ“ და „გაკვირვებული მისცვივდა მათ“ (საქმეების 3:10-11). როდესაც მოციქულები სულიწმიდის სისრულეში მსახურობდნენ, მათი მსახურება ღვთაებრივი ძალით გამოირჩეოდა. სულიწმიდის ძალით მოციქულებს შეეძლოთ შეესრულებინათ იესოს დავალება: „დაიმოწაფეთ ყველა ხალხი“ (მათეს 28:19).

### სულიერი გაბედულება

#### მოციქულები გაბედულები იყვნენ სახარების ქადაგებაში

სულიწმიდის გარდამქმნელი ძალა ნათლად ჩანს მთელს საქმეების წიგნში. მოწაფეები, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე გაიქცნენ იესოს დაპატიმრების ადგილიდან, ახლა გაბედულად ქადაგებდნენ.

სულიტმოფენობიდან ძალევე რელიგიურმა წინამძღოლებმა პეტრე და იოანე დააპატიმრეს. მხოლოდ რამდენიმე კვირით ადრე პეტრემ უარყო ქრისტე. ახლა კი „სულიწმიდით აღვსილი პეტრე“ გაბედულად ქადაგებს. რელიგიური წინამძღოლები „გააკვირვა“ ამ „უწიგნური და მდაბიო ადამიანების“ სიტყვებმა“ (საქმეების 4:2-13).

„ჩვენ არ ვართ აღვსილი სულიწმიდით რაიმე განსაკუთრებული საქმის შესარულებლად, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ღმერთს მივცეთ საშუალება იმუშაოს ჩვენში“. - ოსვალდ ჩემბერსი

სულიწმიდით ავსებით, მოციქულები გაბედულნი ხდებოდნენ, რომ ექადაგათ ძალითა და ცხებულებით. შეშინებული მეთევზეების, მებაჟეებისა და უბრალო მუშების ჯგუფიდან მოწაფეები გახდნენ „ქვეყნიერების ამრევ-დამრევნი“ (საქმეების 17:6).

### **მოციქულები გაბედულები იყვნენ დევნის წინაშე**

წინააღმდეგობის გაწევისას მოციქულები ლოცულობდნენ არა დევნისგან განთავისუფლებისთვის, არამედ გაბედულებისთვის, რომ ექადაგა ქრისტე, მიუხედავად დევნისა. „ახლა კი, უფალო, შეხედე მათ მუქარას და მიეცი შენს მონებს ძალა, რომ მთელი გაბედულებით ილაპარაკონ შენი სიტყვა ....“ შეიძრა ის ადგილი მათი ლოცვისას, სადაც შეკრებილიყვნენ, ყველანი სულიწმიდით აღივსნენ და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღმერთის სიტყვას“ (საქმეების 4:29-31).

ეკლესიაში სულიწმიდის მოქმედების უტყუარი ნიშანი იყო სახარების ქადაგების გამბედაობა წინააღმდეგობის მიუხედავად. პირველი საუკუნის ბოლოს სახარება ზედა ოთახში მყოფი 120 კაციდან, რომის იმპერიის ყველა კუთხის ქალაქებამდე გავრცელდა.

### **გამარჯვებული ცხოვრება**

ყველა თაობაში ქრისტიანები დგანან ცდუნების წინაშე, იყვნენ „კვირა დღის ქრისტიანები“ - ადამიანები, რომლებიც დადიან ეკლესიაში, მაგრამ რომელთა ცხოვრება არ აჩვენებს ღრმა და ხანგრძლივ ცვლილებებს. ადრეული ეკლესია სულიწმიდის ძალით გარდაიქმნა ცხოვრების ყველა სფეროში.

ძველ აღთქმაში ჩვენ ვხედავთ იმ ადამიანების ბრძოლას, რომლებსაც სურდათ აღთქმის დაცვა, მაგრამ ისინი ხვდებოდნენ, რომ ვერ შეძლებდნენ ამის გაკეთებას, ვინაიდან მათ გაყოფილი გულები ჰქონდათ. მეფსალმუნემ აღწერა ისრაელიანები: „მტკიცე არ ყოფილა მათი გული და მის აღთქმას არ უერთგულეს“ (ფსალმუნის 77:37).

ეზეკიელის მეშვეობით ღმერთმა აღუთქვა დღე, როდესაც მისი ხალხი გარდაიქმნებოდა.

ჩაგიდგამთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდებთ; ქვის გულს მოგაშორებთ სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ. ჩემს სულს ჩავდებ თქვენში და ისე გავაკეთებ, რომ ჩემი წესებით იაროთ და ჩემი სამართალი დაიცვათ და აღასრულოთ (ეზეკიელის 36:26-27).

სულთმოფენობამდე მოწაფეები იგივე მაგალითს მიჰყვებოდნენ, როგორც ისრაელის შვილები. მათ სურდათ გაჰყოლოდნენ ქრისტეს, მაგრამ გამუდმებით ვერ ახერხებდნენ ამას. ისინი ეჭვობდნენ; იბრძოდნენ პოზიციისთვის; შიშით გაიქცნენ. ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე კი, ეზეკიელის მიერ წარმოთქმული დაპირება შესრულდა. მოწაფეებს

ძალაუფლება მიეცა სულიწმიდის მიერ, ეცხოვრათ გამარჯვებული ცხოვრებით. ნახევრად მორჩილების ნაცვლად, ისინი სიხარულით დადიოდნენ ღვთის რჯულის მორჩილებაში. სულიწმიდის მეშვეობით გამარჯვებული ცხოვრება ნორმად იქცა ღვთის ხალხისთვის.

## სახელმძღვანელო მსახურებისთვის

სულითმოფენობამდე ამბიცია და შიში აკონტროლებდა მოწაფეებს. მათი მცდელობები, ემსახურათ იესოსთვის, შეზღუდული იყო, მათი პირადი ნაკლოვანებებით. სულითმოფენობის შემდეგ სულიწმიდა მოციქულებს ეფექტურ მსახურებაში შეუძლვა.

სულიწმიდა ხელმძღვანელობდა ეკლესიას რთულ გადაწყვეტილებებში, რომლებიც გავლენას ახდენდა ებრაელ და წარმართ ქრისტიანებს შორის ურთიერთობებზე (საქმეების 10:11; 15). სულიწმიდა ხელმძღვანელობდა ეკლესიაში ლიდერების შერჩევას (საქმეების 13:2-3). სულიწმიდამ მიიყვანა პავლე მაკედონიაში (საქმეების 16:6-10). სულიწმიდამ მომართა პავლე, რომ დაბრუნებულიყო იერუსალიმში, მიუხედავად დაპატიმრების საფრთხისა (საქმეების 19:21; 20:22-23). ადრეული ეკლესიის მსახურებას სულიწმიდა ხელმძღვანელობდა.

## ერთობა

შესაძლოა, ადრეულ ეკლესიაში სულიწმიდის მოქმედების ყველაზე თვალსაჩინო მტკიცებულება იყოს მორწმუნეთა ერთობა. თავის მღვდელმთავრულ ლოცვაში იესო ლოცულობდა ეკლესიის ერთიანობისთვის. ის ლოცულობდა:

... რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი. მე მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთობაში და იცოდეს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე და ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე (იოანეს 17:22-23).

იესოს ლოცვას პასუხი გაეცა სულითმოფენობისას. საქმეების 2:42 აჩვენებს ამ ერთობას ეკლესიის ცხოვრებაში: მოციქულთა სწავლებისადმი ერთგულება, თანაზიარება, უფლის სერობის აღნიშვნა და ლოცვა. ეს ერთობა ეკლესიის წევრების ერთმანეთზე ზრუნვაში ჩანდა. ლუკამ დაამოწმა, რომ „არავინ იყო მათ შორის გაჭირვებული“, რადგან ქრისტიანები ზრუნავდნენ ერთმანეთის მატერიალურ საჭიროებებზე (საქმეების 4:34).

ლუკა ექვსჯერ იყენებს ფრაზას „ერთიანი“ ეკლესიის ერთობის აღსაწერად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანები ყველაფერზე შეთანხმდნენ. სერიოზული პრობლემები ემუქრებოდა ეკლესიას გაყოფით. ებრაელი და წარმართი მორწმუნები ვერ თანხმდებოდნენ მოსეს რჯულის გარშემო (საქმეების 15:1-29). პავლეს და ბარნაბას შორის უთანხმოება ჩამოვარდა მარკოზად წოდებული იოანეს თაობაზე (საქმეების 15:39-40). მაგრამ განსხვავებების მიუხედავად, ეკლესია გაერთიანდა სულიწმიდის ძალით. როდესაც მორწმუნები მიჰყებოდნენ სულიწმიდის ხელმძღვანელობას, ეკლესია იყო შეკრული „ერთიანად.“

მე და შენ რომ გვენახა მოწაფეები იესოს დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს კაცები ოდესმე ეფექტური იქნებოდნენ მსახურებაში. ისინი შეშინებულები იყვნენ, შურდათ ერთმანეთის და ეჭვით სავსენი იყვნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ეს კაცები მთლიანად გარდაქმნილები იყვნენ. და რა მოხდა?

სულთმოფენობამდე მოწაფეები ცდილობდნენ ეცხოვრათ ქრისტეს მსგავსი ცხოვრებით საკუთარი ძალით - და ისინი არაერთხელ დამარცხდნენ. სულთმოფენობის შემდეგ მოწაფეები სულიწმიდის ძალით ცხოვრობდნენ. ეს არის წმიდა ცხოვრებისა და ეფექტური მსახურების საიდუმლო.

### **სიწმიდე დღეს: ჩვენ ვართ წმიდანი, თუკი სულით ვართ აღვსილნი**

ბევრი ქრისტიანი ცდილობდა ეცხოვრა წმიდა ცხოვრებით, საკუთარი ძალისხმევით - და ისინი დამარცხდნენ. ჩვენივე თვითდისციპლინის მეშვეობით შეიძლება გარკვეული ხნით შევინარჩუნოთ გამარჯვება გარეგნულ ცოდვაზე. ჩვენი ძალებით, შესაძლოა, დროებით შევიყვაროთ მოყვასი. თუმცა, მალე დავმარცხდებით, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა.

რატომ ვიბრძვით? იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობთ ჩვენი ძალებით ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრების წესით. ქრისტიანული ცხოვრების საკუთარი ძალებით წარმართვის მცდელობა დამღლელია. ჩვენ ვიბრძვით ცოდვილ დამოკიდებულებებთან; ვებრძვით სრულყოფილი სიყვარულის ნაკლებობას; ვიბრძვით გაყოფილი გულით. ამის საპირისპიროდ, სულში ცხოვრება გამარჯვების უხვი ცხოვრებაა.

ღმერთს არასოდეს ჰქონდა განზრახული, რომ წმიდა ცხოვრებით გვეცხოვრა ჩვენი ძალისხმევით. მან შეგვემნა, რათა გვეცოცხლა სულიწმიდის ძალით. ადრეულ ეკლესიაში წმიდა ცხოვრება მხოლოდ სულიწმიდის ძალით იყო შესაძლებელი. ჩვენი დროის ეკლესიაშიც, წმიდა ცხოვრება მხოლოდ სულიწმიდის ძალით არის შესაძლებელი. ის მახასიათებლები, რომლებიც აღნიშნავდა ადრეულ ეკლესიას, დღევანდელი ეკლესიისთვისაც დამახასიათებელი იქნება, თუ სულიწმიდის სისავსით ვიცხოვრებთ. სულიწმიდის ძალით ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს წმიდა გული და წმიდა ხელები.

ძალა მსახურებაში, სულიერი გაბედულება, ცოდვაზე გამარჯვება და მორწმუნებს შორის ერთობა - ეს ყველაფერი სულიწმიდის თანდასწრებიდან გამომდინარეობს. როდესაც ჩვენ სულით აღვსილნი ვართ, ჩვენ გვაქვს ძალა, ვიცხოვროთ უხვი ქრისტიანული ცხოვრებით, რომელსაც ღმერთი გეგმავს თავისი ხალხისთვის.

პავლეს წერილები გვიჩვენებს, რომ იყო წმიდა, ნიშნავს იყო ქრისტეს მსგავსი. იყო წმიდა ნიშნავს იფიქრო, ილაპარაკო და იმოქმედო ისე, როგორც ამას ქრისტე გააკეთებდა. ეს

მშვენიერი იდეალია, მაგრამ ჩვენ სწრაფად ვხვდებით, რომ ჩვენი ძალით არ შეგვიძლია ვიფიქროთ, ვილაპარაკოთ ან მოვიქცეთ ქრისტეს მსგავსად.

ზოგიერთი ქრისტიანი ტანსაცმელზე ატარებს WWJD სიმბოლოს. WWJD ნიშნავს „როგორ მოიქცეოდა (იმოქმედებდა) იესო?“ ის გვახსენებს, რომ ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიცხოვროთ ისე, როგორც იესო ცხოვრობდა; ჩვენ ქრისტეს მიმბაძველები (მიმდევრები) ვართ. თუმცა, ბევრად უფრო ადვილია WWJD სიმბოლოს ტარება, ვიდრე იესოს მაგალითით ცხოვრება. სულიწმიდის ძალის გარეშე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ თანმიმდევრულად მოვიქცეთ ისე, როგორც იესო მოიქცეოდა.

ახალგაზრდა ქრისტიანის ლოცვა  
„სულო წმიდაო, გთხოვ, ამავსე  
პირთამდე. ბევრს ვერ დავიტევ,  
მაგრამ შემიძლია ბევრში  
გადავღვარო.“

- დოქტორი დევიდ ბუბის ციტატა

სიმაღლეში დაახლოებით 160 სანტიმეტრი ვარ და ვიწონი დაახლოებით 90 კილოგრამს. მე არ ვარ სპორტსმენი. წარმოიდგინეთ, თქვენ მითხარით: „საუკეთესო კალათბურთელი რომ იყო, მაიკლ ჯორდანივით უნდა ითამაშო. ყოველი სროლის წინ ჰკითხე საკუთარ თავს: „როგორ იმოქმედებდა მაიკლ ჯორდანი?““ ეს რჩევა ვერ დამეხმარება! მაიკლ ჯორდანის უნარი არ მაქვს.

თუმცა, წარმოიდგინეთ, რომ მომეცა ის ნიჭები, რომლებსაც მაიკლ ჯორდანი ფლობს. წარმოიდგინეთ, რომ შემეძლოს – მაიკლ ჯორდანის სულით – გავაკეთო ის ყველაფერი, რასაც მაიკლ ჯორდანი აკეთებს. ახლა უკვე შესაძლებელი იქნებოდა ჩემთვის იმ დიდი კალათბურთელის მიბაძვა.

WWJD („როგორ მოიქცეოდა იესო?) საკმარისი არ არის. საკუთარ თავში არ გვაქვს იესოს მიბაძვის ძალა. თუმცა, სულიწმიდა, რომელმაც განამტკიცა იესოს მსახურება, ჩვენთვისაც ხელმისაწვდომია. სულის სისრულით მე და თქვენ შეგვიძლია გავხდეთ ქრისტეს მსგავსი. ეს არის სულიწმიდის გავლენა მორწმუნის ცხოვრებაზე.

სულიწმიდამ მისცა იესოს უფლებამოსილება ეცხოვრა გამარჯვებული ცხოვრებით და ქონოდა ნაყოფიერი მსახურება; სულიწმიდით ავსება იყო მოციქულთა გამარჯვებული ცხოვრებისა და ნაყოფიერი მსახურების საიდუმლო; სულიწმიდით სისავსე არის გამარჯვებული ცხოვრებისა და ნაყოფიერი მსახურების საიდუმლო დღესაც.

პავლე წერდა: „აპა, მე გეუბნებით: იარეთ სულიერად და აღარ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს“ (გალატელთა 5:16). არსებობს მხოლოდ ორი არჩევანი: სულის მიერი სიარული ან ხორციელი გულისთქმების დაკმაყოფილება. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ძალით დავამარცხოთ ხორციელი გულისთქმები. დიახ, ჩვენ შეიძლება გავიმარჯვოთ ერთი დღით ან

ერთი კვირით, მაგრამ ხორციელ გულისთქმებზე ხანგრძლივი გამარჯვების ერთადერთი გზა სულიწმიდისადმი მორჩილებაა.

► წაიკითხეთ რომაელთა 8:1—17.

რომაელთა მე-8 თავში სულით აღსავსე ცხოვრების დიდ შეჯამებაში პავლემ ერთმანეთს ორი გზა დაუპირისპირა - ხორცის მიხედვით და სულით ცხოვრება.

ვინაიდან, თუ ხორცის მიხედვით ცხოვრობთ, სიკვდილი არ აგცდებათ, ხოლო თუ სულით აკვდინებთ ხორციელ საქმეებს, იცოცხლებთ. რადგან, ვისაც ღმერთის სული წარმართავს, ისინი არიან ღვთის შვილები.

რომაელთა მე-7 თავში პავლე გვიჩვენებს თავის წარსულ ძალისხმევას, შეესრულებინა ღვთის რჯული საკუთარი ძალით. ეს მცდელობები ჩაიშალა. რატომ? რადგან „სხეულით ცოდვის რჯულის მონა ვარ” (რომაელთა 7:25).

რომაელთა მე-8 თავში პავლე ხარობს, რადგან: „ახლა არავითარი მსჯავრი არ არის ძალი, ვინც ქრისტე იესოში დადის.” ჩვენ თავისუფალნი ვართ მსჯავრდადებისგან არა იმიტომ, რომ ღმერთმა გადაწყვიტა ჩვენი ცოდვის იგნორირება; ჩვენ თავისუფალნი ვართ მსჯავრდადებისაგან, „რადგან სიცოცხლის სულის რჯულმა ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან.” ჩვენ თავისუფალნი ვართ მსჯავრდადებისგან, რადგან ახლა სულში ვცხოვრობთ.

პავლე გვიჩვენებს, რომ ცხოვრების ორი გზა არსებობს. ცხოვრების პირველი გზა არის „ხორცში“ ცხოვრება. ეს არის ხორციელი გონება. ეს ხორციელი გონება „ღმერთისადმი მტრულია“. შეუძლებელია ხორციელად მცხოვრებმა ღმერთს ასიამოვნოს. ეს ხორციელი ცხოვრების გზა მხოლოდ სიკვდილამდე მიგვიყვანს: „რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია.”

ცხოვრების მეორე გზა არის გონება, რომელიც „სულზეა მომართული.” ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სულის მიხედვით, ასრულებს „რჯულის სამართლიან მოთხოვნას.” ჩვენ გვაქვს „სიცოცხლე და მშვიდობა“, რადგან „სწორედ ეს სული ემოწმება ჩვენს სულს, რომ ღვთის შვილები ვართ.”

რომაელთა მე-6 თავში პავლე ასწავლის, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ განზრახ ცოდვაზე. „ჩვენ, რომლებიც მოვუკვდით ცოდვას, როგორდა ვიცხოვროთ მასში?” (რომაელთა 6:2). ჩვენივე ძალით შეუძლებელია განზრახ ცოდვაზე გამარჯვება. ჩვენ დავიბადეთ ცოდვისკენ მიდრეკილნი და ღმერთისგან დაშორებულები. როგორ შეგვიძლია შევასრულოთ რომაელთა მე-6 თავის მოთხოვნები? პასუხი მოცემულია რომაელთა მე-8 თავში. სულიწმიდის ძალით

ჩვენ შეგვიძლია „მოვუკვდეთ ხორცის საქმეებს.” ჩვენ შეგვიძლია წმიდა ცხოვრებით ვიცხოვროთ, ღვთის სულის ჩვენში მოქმედების გამო.

რობერტ კოულმანი წერდა:

სულიწმიდით სისავსეში ცხოვრება დღეს ქრისტეს მიმდევრების ისეთივე პრივილეგიაა, როგორც იმ პირველი მოწაფეების, რომლებიც ზედა ოთახში დარჩნენ.... ყოვლისმომცველი, ქრისტეს სულის სიწმიდის რეალობა არის ახალი აღთქმის ქრისტიანობის საფუძველი.<sup>24</sup>

სულიწმიდის ძალა ადამიანში, რომელმაც სრულად დაუმორჩილა ღმერთს თავისი ნება, შესაძლებელს ხდის წმინდა ცხოვრებას. სულიწმიდის გარეშე ქრისტეს მსგავსება შეუძლებელია. სულიწმიდა გვაძლევს საშუალებას ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით.

წინასწარმეტყველმა ზაქარიამ იხილა ოქროს სასანთლე და ორი ზეთისხილის ხე. ფიალა უზრუნველყოფდა ზეთის მუდმივ მარაგს შვიდი ლამპარისთვის. ანგელოზმა აუხსნა ხილვის მნიშვნელობა. ზერუბაბელს, იუდას მმართველს, დაევალა ტაძრის აღდგენა. ეს უზარმაზარი ამოცანა მთას ჰგავდა. ღმერთი დაპირდა, რომ დავალება შესრულდებოდა „არა ძლიერებით და არა ძალით, არამედ ჩემი სულით.” სულის მეშვეობით მთა მოსწორდებოდა (ზაქარიას 4:6-7).

ანალოგიურად, თანამედროვე ქრისტიანი მუდმივად სულიწმიდით უნდა ივსებოდეს. პავლემ მოუწოდა ეფესელ ქრისტიანებს, „აღივსენით სულით” (ეფესელთა 5:18). ეს მოწოდება არის აწმყო დრო; ეს უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების რეგულარული მაგალითი. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მის მიერ უნდა კონტროლდებოდეს. ჩვენ განვიცდით წმიდა ცხოვრების სიხარულს, როდესაც ვცხოვრობთ სულით სისავსეში.

### სიწმიდე პრაქტიკაში: წმიდა ცხოვრების მახასიათებლები

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ შეძელით თქვენი ცხოვრების ყველა ცოდვისგან თავის დაღწევა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თავისუფალი ხართ ყოველგვარი ცოდვილი ქმედებისა და ცოდვილი დამოკიდებულებისგან. ვერავინ მიგითითებთ რაიმე არასწორზე. შეასრულებდა თუ არა ეს ღვთის მიზანს წმიდა ცხოვრების შესახებ?

არა! სიწმიდე უფრო მეტია, ვიდრე ცოდვის თავიდან აცილება. სიწმიდე ნაყოფს იძლევა. სიწმიდე არ არის რჯულისმიერი, ნეგატიური მიდგომა ცხოვრებისადმი. სიწმინდე

<sup>24</sup> Robert E. Coleman, *The Mind of the Master* (CO: Waterbrook Press, 1977), 35-36

სიხარულის მომტანი ურთიერთობაა ღმერთთან. სიწმიდე თვალსაჩინო გახდება, როდესაც სულიწმიდა თავის ნაყოფს გამოიღებს ჩვენს ცხოვრებაში.

## სულის ნაყოფი

►წაიკითხეთ გალატელთა 5:13—26.

გალატელთა მე-5 თავში პავლე უპირისპირებს სულში ცხოვრებას, ხორცში ცხოვრებას. ამ მომენტამდე, გალატელთა მიმართ წერილში, პავლე აფრთხილებდა გალატელ მორწმუნებს ქრისტიანული თავისუფლების უარყოფისა და ებრაული რიტუალებისა და რჯულის მონობაში დაბრუნების საშიშროების შესახებ. ისინი გათავისუფლდნენ კეთილი საქმეებით ხსნის მოპოვების მცდელობებისგან და არ უნდა დაბრუნებულიყვნენ მონობაში.

თუმცა, პავლე სხვა საფრთხესაც აცნობიერებს. როდესაც ადამიანი თავისუფლდება მონობისგან, მას შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება გამოიყენოს თავისი ახლად აღმოჩენილი თავისუფლება საკუთარი მადის დასაკმაყოფილებლად. ასე რომ, პავლე აფრთხილებს გალატელ მორწმუნებს: „ხოლო თქვენ, ძმებო, თავისუფლებისთვის ხართ მოწოდებულნი, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს.”

პავლე უპირისპირებს ცხოვრების ორ გზას. ცხოვრების ერთ-ერთი მაგალითია „ხორციელი სურვილების დაკმაყოფილება“; მეორე არის „სულით სიარული.“ პავლე ერთმანეთს უპირისპირებს ამ ორ ნიმუშს, ცხოვრების თითოეული წესის „ნაყოფის“ ჩვენებით.

პირველ რიგში, პავლე გვიჩვენებს „ხორცის საქმეებს“. ეს არის ადამიანის ბუნების პროდუქტი, რომელიც არ არის სულიწმიდის კონტროლის ქვეშ. ხორციელი საქმეები მოიცავს:

- სექსუალურ ცოდვებს: სექსუალური უზნეობა, გარყვნილება, ავხორცობა
- რელიგიურ ცოდვებს: კერპთაყვანისმცემლობა, ჯადოქრობა
- სოციალურ ცოდვებს: მტრობა, ჩხუბი, ეჭვიანობა, რისხვა, შუღლი, უთანხმოება, განხეთქილება, შური
- მადის ცოდვებს: ლოთობა, ორგიები.

ის ასკვნის: „გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის მკეთებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სამეფოს.“

შემდეგ პავლე აჩვენებს „სულის ნაყოფს“. ეს არის სულიწმიდის კონტროლისა და ძალის ქვეშ გატარებული ცხოვრების ნაყოფი. ეს არის "ერთი ნაყოფი" და არა "ნაყოფების" ჯგუფი. 1 კორინთელთა მე-12 თავში პავლეს ჩამოთვლილი აქვს „ნიჭების“ ჯგუფი და ამბობს, რომ

თითოეულ მორწმუნეს მიენიჭება ერთ-ერთი „ყველაფერ ამას ამოქმედებს ერთი და იგივე სული, რომელიც თითოეულს თავისი ნებისამებრ უნაწილებს“ (1 კორინთელთა 12:5-11). გალატელებში კი მხოლოდ ერთი ნაყოფია, რომელიც ბუნებრივად იზრდება ყველა ადამიანის გულში, ვინც სულით დადის.

სულის ეს ნაყოფი არ არის იმ თვისებების ჩამონათვალი, რომლებიც შეგვიძლია განვავითაროთ ჩვენი ძალით. ეს არის ნაყოფი, რომელიც ბუნებრივად იზრდება, როდესაც სულით ვივსებით. აი ასე გამოიყურება წმიდა ცხოვრება. ეს წმიდა გულის ბუნებრივი გვერდითი (დამატებითი) პროდუქტია.

პავლემ ჩამოთვალა თხუთმეტი „ხორცის საქმე“. მან სულის ნაყოფის ცხრა ასპექტი ჩამოთვალა:

- ღმერთთან დაკავშირებული ნაყოფი: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა
- ადამიანებთან დაკავშირებული ნაყოფი: სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე
- ჩვენს შინაგან ხასიათთან დაკავშირებული ნაყოფი: რწმენა, თვინიერება, ზომიერება

ყველა ამ თვისების საფუძველი სიყვარულია. სიყვარული, „რომელიც ყველაფერს აკავშირებს და სრულჰყოფს“ (კოლასელთა 3:14). სიყვარული „ასრულებს რჯულს“ და აძლევს ნიადაგს, რომელშიც იზრდება და აყვავდება ეს ნაყოფი.

## სულის მიყოლა ფეხდაფეხ

სულის ნაყოფი სიცოცხლის ბუნებრივი შედეგია, როდესაც სულით ვართ სავსენი. ეს არის პავლეს მთავარი აქცენტი გალატელთა მიმართ მიწერილ წერილში, სადაც ის მიმართავს ადამიანებს, რომლებიც შესაძლოა ცდილობდნენ ამ ნაყოფის „გამოღებას“ რჯულისადმი ზედმიწევნითი მორჩილებით. პავლეს სურს გააგონოს, რომ მათ არ შეუძლიათ ამ ნაყოფის გამომუშავება; ეს არის სულში ცხოვრების შედეგი.

პავლე ამ ჭეშმარიტებას ყოველთვის აბალანსებს იმ შეხსენებით, რომ წმიდა ცხოვრება განზრახვით ცხოვრებაა. სიწმინდე შემთხვევითი არ არის; ჩვენ უნდა „ვისწრაფოდეთ მიზნისკენ“ (ფილიპელთა 3:12). კოლოსეში, როგორც ჩანს, ბევრი ახალი მორწმუნე ფიქრობდა, რომ შეეძლოთ განეგრძოთ ცხოვრების ძველი წესი. აქ პავლე ხაზს უსვამს წმიდა ცხოვრებისათვის საჭირო ძალისხმევას. კოლასელებში პავლე წერს წმიდა ცხოვრების თვისებების „შემოსის“ შესახებ. ის გულისხმობს მუდმივ დისციპლინას, რომელიც დაკავშირებულია სიწმიდესთან:

ამიტომ როგორც ღვთის რჩეულებმა, წმიდებმა და საყვარლებმა, შეიმოსეთ მოწყალება, სახიერება, თავმდაბლობა, სიმშვიდე, სულგრძელობა. შეიწყნარეთ ერთიმეორე და მიუტევეთ ერთმანეთს, თუ ვინმესთან რაიმე სადავო აქვს ვინმეს: როგორც ქრისტემ

მოგიტევათ, თქვენც ასევე მიუტევეთ. და ყოველივე ამას დაურთეთ (შეიმოსეთ) სიყვარული, რომელიც ყველაფერს აკავშირებს და სრულჰყოფს (კოლასელთა 3:12-14).

ანალოგიურად, პავლეს არ სურდა, რომ გალატიელ ქრისტიანებს უბრალოდ დაესკვნათ, რომ წმიდა ცხოვრებით შეიძლება იცხოვრო თვითდისციპლინისა და მალისხმევის გარეშე. ლეგალიზმზე (რჯულის ზედმიწევნით დაცვაზე) რეაქციაში, ისინი არ უნდა გახდნენ დაუდევარნი. პავლე ამბობს, (გალატელთა 5:16-25).

- „იარეთ სულიერად.“ სიარული არის მოქმედება, რომელიც მოითხოვს მალისხმევას.
- „მიყევით სულს“. მე უნდა მივყვე. ეს მოითხოვს მალისხმევას.
- „იცხოვრეთ სულით.“ ცხოვრება არჩევანი და მოქმედებაა. ეს მოითხოვს მალისხმევას.
- „მიჰყევით სულს ფეხდაფეხ“. ეს ოთხი ზმნადან ყველაზე ძლიერია. ეს არის სამხედრო ტერმინი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც მსვლელობას ასრულებენ. „სულთან ერთად მსვლელობა ფეხდაფეხ“, მოითხოვს მალისხმევასა და დისციპლინას.

როგორც სულით აღსავსე ქრისტიანებმა, არასოდეს უნდა ვიფიქროთ, რომ იმდენად სულიერად მომწიფებულები ვართ, რომ ვეღარასოდეს დავემორჩილებით „ხორციელ სურვილებს“ (გალატელთა 5:17). თუმცა, არასოდეს უნდა მივცეთ სატანას უფლება დაგვარწმუნოს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავთავისუფლდეთ ხორციელი სურვილების კონტროლისგან, სულის მალის მეშვეობით. როდესაც ჩვენ „მივყვებით სულს ფეხდაფეხ“, ჩვენ ვქმნით სულის ნაყოფს ჩვენს ცხოვრებაში.

► ადრეულ მოწაფეებზე სულთმოფენობის გავლენის შესწავლისა და სულის ნაყოფის მიმოხილვის შემდეგ, განიხილეთ, როგორი იქნება სულით სავსე ცხოვრება დღეს. როგორ უნდა იმოქმედოს სულით ავსებამ ჩვენს დამოკიდებულებაზე, ყოველდღიურ ქრისტიანულ სიარულსა და მსახურებაზე?

### მათ მიაკვლიეს საიდუმლოს - ჯონათან და როზალინდ გოფორტები

ჯონათან და როზალინდ გოფორტები კანადელი პრესვიტერიანელი მისიონერები იყვნენ ჩინეთში 1888-1933 წლებში. ქალბატონი გოფორტი ცდილობდა იესოს მაგალითის მიყოლას მის ცხოვრებაში, მაგრამ არაერთხელ განიცადა მარცხი. ოცი წლის ბრძოლის შემდეგ როზალინდ გოფორტმა შეიტყო, რომ გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრების საიდუმლო არის სულიწმიდა, რომელიც ცხოვრობს ჩვენში და აყალიბებს ქრისტეს ხასიათს ჩვენს ცხოვრებაში. ქალბატონი გოფორტი ამოწმებდა, რომ ამის შემდეგ მისი ცხოვრება შეიძლება შეჯამდეს ერთი სიტყვით: „დასვენება.“

როდესაც მათ სულიწმიდას ნება დართეს, ემოქმედა მათში, გოფორტებმა დაინახეს, რომ ღმერთი იქმოდა სასწაულებს. ჯონათან გოფორტი თვეების მანძილზე იბრძოდა ჩინური ენის შესასწავლად. როდესაც ის ცდილობდა ჩინურ ენაზე ქადაგებას, ცოტა მსმენელს შეეძლო მისი გაგება. ერთ დღეს ქადაგების დროს მან უცებ დაიწყო მკაფიოდ მეტყველება, იყენებდა ფრაზებს, რომლებიც არასოდეს უსწავლია. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ კანადაში მცხოვრები სტუდენტების ჯვეფი ლოცულობდა იმ დღეს მისი მსახურებისთვის. იმ დღიდან ჯონათან გოფორტი თავისუფლად ფლობდა ჩინურ ენას. რაც გოფორტმა ვერ შეძლო თავისით, სულიწმიდამ შეძლო მოდრეკილი მსახურის მეშვეობით.

ღმერთი წარუდღვა გოფორტებს ჩინეთის იმ რაიონებში, რომლებსაც სახარება არასოდეს შეხებია. ათასობით ადამიანი მოექცა გოფორტების მსახურების მეშვეობით. მათი წარმატების გასაღები არ იყო დიდი უნარი; მთავარი იყო სულიწმიდის სისავსით ცხოვრება.

მის დაკრძალვაზე ნოქსის პრესვიტერიანული ეკლესიის პასტორმა გაამხილა ჯონათან გოფორტის წარმატების საიდუმლო. „ის იყო ღვთისგან მთვრალი კაცი - სრულად მინდობილი და თავდადებული. ის იყო მონათლული სულიწმიდით და ცეცხლით. ის სულით იყო აღვსილი, რადგან დაცარიელდა საკუთარი თავისთვის.”<sup>25</sup>

ჯონათან და როზალინდ გოფორტებს ესმოდათ სულში ყოველდღიურად სიარულის მნიშვნელობა. მათ შეიმეცნეს ჰიმნის ავტორის, ედვინ ჰერის ლოცვა: ისუნთქე ჩემში, ღვთის სუნთქვავ, სანამ ჩემი გული არ განიწმიდება.” როდესაც ჩვენი გული სუფთაა, ჩვენ „ერთი რამ გვსურს“; ჩვენ გვინდა ის, რაც ღმერთს სურს.

## მე - 9 გაკვეთილის მიმოხილვა

- (1) იყო წმიდა ნიშნავს სულიწმიდის სისრულეში ცხოვრებას.
- (2) თავის მიწიერ ცხოვრებაში იესო სულიწმიდის ძალით მსახურობდა. იესო იგივე ძალას დაპირდა თავის მიმდევრებს. ამ დაპირების გამო მან დაარწმუნა თავისი მოწაფეები, რომ „თქვენთვის უმჯობესია, რომ წავიდე.“
- (3) როდესაც ორმოცდამეათე დღის დღესასწაულზე მოწაფეები სულიწმიდით აღივსნენ, მათი ცხოვრება შეიცვალა. სულიწმიდის ეს ახალი მოქმედება სამი ნიშნით გამოირჩეოდა:
  - ძლიერი ქარის მსგავსი ხმა სულის მოსვლის ძალაზე მიუთითებდა.
  - თითოეულ მათგანზე დაშვებული გაყოფილი ცეცხლოვანი ენები წარმოადგენდა სულიწმიდასთან დაკავშირებულ სიწმიდეს.

<sup>25</sup> ადაპტირებულია დან Wesley L. Duewel, *Heroes of the Holy Life* (Grand Rapids: Zondervan, 2002), 52-64.

- სხვა ენებზე ლაპარაკის უნარმა მოწაფეებს საშუალება მისცა დაემოწმებინათ ყველა ერისთვის.

(4) რადგან ადრეული ეკლესია სულიწმიდის ძალით ცხოვრობდა, ის განიცდიდა:

- გაზრდილ ძალაუფლებას მსახურებისთვის
- სახარების ქადაგების გაბედულებას
- გაბედულებას დევნის წინაშე
- გამარჯვებულ ცხოვრებას
- ხელმძღვანელობას მსახურებაში
- მორწმუნებს შორის ერთობას

(5) როგორც მოწაფეები იყვნენ წმიდანი მხოლოდ სულიწმიდის მეშვეობით, ჩვენც წმიდები ვართ მხოლოდ სულიწმიდის ძალით. სულიწმიდით ავსების გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია მივყვეთ იესო ქრისტეს მაგალითს. მხოლოდ სულის ძალით შეგვიძლია ვიცხოვროთ ქრისტეს მსგავსი ცხოვრებით.

(6) როდესაც ჩვენ ვცხოვრობთ სულში, ჩვენი ცხოვრება აჩვენებს სულის ნაყოფს, როგორც წმიდა ცხოვრების ბუნებრივ პროდუქტს.

## **გაკვეთილის დავალებები**

- (1) მიწერეთ წერილი ახალგაზრდა ქრისტიანს, რომელიც გეუბნებათ: „ვიცი, რომ ქრისტიანი ვარ, მაგრამ მე ვაგრძელებ ბრძოლას ხორციელი დამოკიდებულებებთან და იმ სფეროებთან, სადაც სუსტი ვარ ცდუნების წინაშე.” დაეხმარეთ ამ ახალგაზრდა ქრისტიანს გააცნობიეროს სულით ავსების მნიშვნელობა.
- (2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი გალატელთა 5:22—25-ის წაკითხვით.



# გაკვეთილი 10

## სიწმიდე ქრისტეს მსგავსებაა

### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გააცნობიეროს სიწმიდის ცენტრალური როლი ეპისტოლეებში.
- (2) ხარობდეს იმის გამო, რომ ღმერთმა იზრუნა, რათა თავისი ხალხი ქრისტეს მსგავსები გახადოს.
- (3) შეიმეცნოს ბალანსი იმას შორის, რაც ღმერთმა უკვე გააკეთა, რათა გაგვხადოს წმიდები და იმას შორის, რის გაკეთებასაც ღმერთი აგრძელებს, როდესაც ჩვენ ვიზრდებით სიწმიდეში.
- (4) დააფასოს განზრახ ცოდვაზე თანმიმდევრულად გამარჯვებული ცხოვრების შესაძლებლობა.
- (5) დაიმახსოვროს ფილიპელთა 2:1-5.

### ქრისტეს გონიერით ცხოვრება

ეს არის კვირა დღის ადრეული დილა, იესოს ამაღლებიდან დაახლოებით ოცდაათი წლის შემდეგ. ფილიპეში, კერძო სახლში, ქრისტიანთა ჯგუფი იკრიბება თაყვანისცემისთვის. ისინი აღფრთოვანებულები არიან, რადგან მათ მიიღეს წერილი პავლესგან, მათი საყვარელი პასტორისაგან.

ლიდერი იწყებს პავლეს წერილის კითხვას. პავლეს სიტყვები სიხარულით სავსე გულიდანაა გამოღებული. მიუხედავად იმისა, რომ ის რომის ციხეშია, ის ხარობს ქრისტეში. პავლემ არ იცის, გაათავისუფლებენ თუ მოკლავენ, მაგრამ მას მშვიდობა აქვს. რატომ? „ჩემთვის სიცოცხლე ქრისტეა და სიკვდილი - მონაგები” (ფილიპელთა 1:21).

### ლოცვა სიწმიდისთვის

„მე აღარ ვეკუთვნი ჩემს თავს, არამედ შენი ვარ. დამაყენე იქ, სადაც გსურს მიმიჩინე ადგილი ვისთანაც გსურს.

დამაყენე საკეთებლად შემიძები ტანჯვებში.

შემაძლებინე ვიშრომო შენთვის

და გამოყოფილი ვიყო შენთვის

ამაღლებული შენთვის

ან დამცირებული შენთვის.

ნება მომეცით ვიყო სავსე

ნება მომეცით დავცარიელდე.

ნება მომეცით ყველაფერი მქონდეს

ნება მომეცით არაფერი მქონდეს.

თავისუფლად და მთელი გულით ვიძლევი

ყველაფერს

შენ საამებლად შენ მიერ განსაკარგად.

ახლა კი, დიდებულო და კურთხეულო ღმერთო, მამაო, ძეო და წმიდაო სულო, შენ ჩემი ხარ და მე - შენი.”

- ჯონ უესლი

როგორც მათი სულიერი მამა, პავლე მოუწოდებს ფილიპელ ქრისტიანებს განაგრძონ თავიანთი ქრისტიანული რჩების ზრდა. მას სურს იხილოს ეს მორწმუნები ზრდასრულ ქრისტიანებად, წმიდა ხალხად, როგორებადაც ღმერთმა მათ მოუწოდა. პავლე წერს: „მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად” (ფილიპელთა 1:27). მოიქეცით ქრისტეს სახარების ღირსად? როგორ არის ეს შესაძლებელი?

პავლეს პასუხია: იცხოვრე ქრისტეს გონებით. „რამეთუ აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენ შორისაც” (ფილიპელთა 2:5). თუ ფილიპეში მცხოვრებ ქრისტიანებს ექნებათ ქრისტეს გონება, ისინი დაემსგავსებიან ქრისტეს. წმიდა ცხოვრების საიდუმლო არის ქრისტეს გონებით ცხოვრება. სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსება.

### ეპისტოლეთა გზავნილი: ქრისტიანები უნდა იყვნენ წმიდები

#### ეპისტოლები ქრისტიანებს სიწმიდისკენ მოუწოდებდნენ

ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია იყოს წმიდა. ღმერთმა „ამოგვარჩია ჩვენ მასში [ქრისტეში] ქვეყნიერების შექმნის წინ, რათა წმიდანები და უბიწოები ვიყოთ მის წინაშე სიყვარულით” (ეფესელთა 1:4). ღვთის მარადიული მიზანი გადარჩენაში იყო, რომ ვექციეთ წმიდა ხალხად.

პირველი საუკუნის არც ერთ ებრაელ ქრისტიანს არ გაკვირვებია იმის წაკითხვა, რომ ქრისტიანები მოწოდებულნი არიან, იყვნენ წმიდები. ღმერთმა ბრძანა სიწმიდე ლევიანებში. ებრაელმა ქრისტიანებმა იცოდნენ, რომ ღმერთი მოელის, რომ თავისი ხალხი იყოს წმიდა.

თუმცა, წარმართები იზრდებოდნენ იმ გარემოში, სადაც თაყვანს სცემდნენ წარმართულ ღმერთებს, რომლებიც არ იყვნენ წმიდები. სიწმიდის შესახებ უწყება უცხო იყო წარმართებისთვის. პეტრემ მისწერა არაებრაულ ქრისტიანებს, რომლებიც სულ ახლახანს „იქენით გამოსყიდულნი, მამებისგან მემკვიდრეობით გადმოცემული ამაო გზიდან” (1 პეტრეს 1:18). ეს ხალხი წარმართები იყვნენ, რომელთაც არ ჰქონდათ ჭეშმარიტი სიმართლის ცნება, მაგრამ პეტრემ მათ წმიდა ცხოვრებისკენ მოუწოდა.

მოციქულები ასწავლიდნენ ახალმოქცეულ წარმართებს როგორ ეცხოვრათ წმიდა ცხოვრებით. მათ ეს გზავნილი დადებითი კუთხით გადასცეს: „ეს არის ის, რაც უნდა გააკეთოთ.” ასევე მათ ეს გზავნილი უარყოფითი კუთხით გადასცეს: „ეს არის ის, რაც არ უნდა გააკეთოთ.”

ორმოცჯერ არიან ეპისტოლეებში მორწმუნები მოხსენიებულნი, როგორც „წმიდები.” ახალი აღთქმის წმიდანი არ არის ადამიანი, რომელიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალა და გამოსახულია დიდი ევროპული ტაძრის ვიტრაჟზე. წმიდანი არის ის, ვინც ცხოვრობს ისე, როგორც ღმერთმა მოუწოდა თავის ხალხს, რომ იცხოვრონ. ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია, რომ იყოს წმიდა; ყოველი ქრისტიანი მოწოდებულია, რომ იყოს წმიდანი.

## **მოციქულებმა მოუწოდეს მორწმუნებს სიწმიდისკენ სწრაფვა ზე**

პავლემ შეახსენა კორინთელ მორწმუნებს, რომ ისინი არიან „ცოცხალი ღვთის ტაძარი“ (2 კორინთელთა 6:16). ტაძარი თაყვანისცემის წმიდა ადგილი იყო. რადგანაც ჩვენ ვართ ღვთის ტაძარი, „განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორინთელთა 7:1).

ღვთის ხალხი მოწოდებულია „განიშოროთ ძველი კაცის წინანდელი ცხოვრება, მაცდური გულისთქმებით რომ იხრწება“ და „შეიმოსოთ ახალი კაცით“ (ეფესელთა 4:22-24). პავლე წერდა, რომ ქრისტემ „თავი დასდო ჩვენთვის, რათა გამოვესყიდეთ ყოველგვარი ურჯულოებისგან და თავისთვის განეწმიდა რჩეული ხალხი, კეთილ საქმეებს მოწყურებული“ (ტიტეს 2:14). ებრაელთა მიმართ წერილის ავტორმა თავის მკითხველს დაავალა: „ეცადეთ მშვიდობა და სიწმიდე იქონიოთ ყველასთან, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს“ (ებრაელთა 12:14). ღვთის ხალხი მოწოდებულია, რომ იყოს წმიდა.

## **მოციქულები ლოცულობდნენ, რომ ქრისტიანები წმიდები გამხდარიყვნენ**

პავლე ლოცულობდა, რომ ღვთის ხალხი წმიდა ყოფილიყო.

► წაიკითხეთ 1 თესალონიკელთა 1:2—10. აღწერეთ თესალონიკის ქრისტიანები პავლეს წერილის დასაწყისში.

ადამიანები, რომლებმაც მიიღეს პავლეს წერილი თესალონიკის ეკლესიისადმი, ნამდვილი ქრისტიანები იყვნენ. ისინი გამოირჩეოდნენ თავიანთი რწმენით, სიყვარულით და იმედის სიმტკიცით. ისინი იყვნენ „ღმერთისათვის საყვარელი ძმები.“ სახარება მივიდა მათთან „არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ძალით და სულიწმიდით და სრული რწმენით.“ მათ „მიიღეს სიტყვა მრავალ გასაჭირში სულიწმიდის სიხარულით.“ ისინი იყვნენ „მაგალითი ყველა მორწმუნესთვის მაკედონიაში და აქაიაში.“ მათ უარყვეს „კერპები, რათა ემსახურათ ცოცხალი და ჭეშმარიტი ღმერთისთვის.“

თუმცა, ამ ქრისტიანებს მაინც სჭირდებოდათ ღმერთთან უფრო ღრმა ურთიერთობების გამოცდილება. ისინი წმიდები იყვნენ. ხელახლა შობით ღმერთმა დაიწყო მათი განწმედა. თუმცა პავლე ლოცულობდა:

თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად, რათა თქვენი სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის (1 თესალონიკელთა 5:23).

ეს ლოცვა მნიშვნელოვანი იყო პავლესათვის. ის ლოცულობდა „დღედაღმ მხურვალედ ვლოცულობთ, რათა ვიხილოთ თქვენი სახე და შევავსოთ თქვენი რწმენის ნაკლულობა“ (1

თესალონიკელთა 3:10). ეს ხალხი ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ; მაგრამ პავლემ იცოდა, რომ რაღაც აკლდათ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი იყვნენ „ნაკლის მქონე“ ქრისტიანები; პავლემ უკვე შეაქო ისინი ქრისტიანული გამოცდილებისთვის.

მათ ქრისტიანულ გამოცდილებაში არაფერი იყო „მცდარი“, მაგრამ პავლემ იცოდა, რომ მათ შემდგომი ზრდა სჭირდებოდათ. ისინი განიწმიდნენ, მაგრამ ის ლოცულობდა, ღმერთმა „გაგწმიდოთ სრულიად.“ ის ლოცულობდა, რომ ღმერთს ისინი წმიდად ექცია. ის ლოცულობდა, რომ ღმერთს განეწმიდა მათი „სული, სამშვინველი და სხეული.“

### ეპისტოლეები გვპირდებიან, რომ ქრისტიანებს შეუძლიათ იყვნენ წმიდები

როდესაც ის ლოცულობდა, რომ ეფესელები „აღვსებულიყვნენ ღვთის მთელი სისავსით“, პავლე დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი უპასუხებდა მის ლოცვას, რადგან ის ლოცულობდა, „მას, ვისაც ჩვენში მოქმედი ძალით შეუძლია განუზომლად მეტის კეთება, ვიდრე ჩვენ ვთხოვთ ან ვფიქრობთ...“ (ეფესელთა 3:20). ღვთის მოწოდება წმიდა გულისადმი შეუძლებელი მცნება არ არის. ღვთის მოწოდება ხელმისაწვდომია ყველა მორწმუნესთვის.

როდესაც ის ლოცულობდა თესალონიკელი ქრისტიანებისთვის, პავლე დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი უპასუხებდა მის ლოცვას. პავლე მიყვებოდა თავის ლოცვას: „თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად“ ამ დაპირებით: „ერთგულია, ვინც მოგიწოდათ, რომელიც აღასრულებს კიდეც ამას“ (1 თესალონიკელთა 5:24). ეპისტოლეები გვპირდებიან, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ წმიდები.

### სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსება

ძველ აღთქმაში ღმერთმა გამოავლინა უწყება წმიდა გულისა და წმიდა ხელების თაობაზე რჯულისა და წინასწარმეტყველების მეშვეობით. იესო ქრისტეს ცხოვრებაში ღმერთმა სრულყოფილი სიყვარულის მაგალითი მოგვცა. საქმეებში პირველმა ქრისტიანებმა აჩვენეს, რომ უბრალო მორწმუნებებს შეუძლიათ წმიდა ცხოვრებით იცხოვრონ სულიწმიდის ძალით. ეპისტოლეებში გზავნილი სიწმიდის შესახებ გამოიყენება მორწმუნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

### სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსი გული და გონება

ეპისტოლეები გვასწავლიან, რომ სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსება. მორწმუნები უნდა დაემსგავსონ ქრისტეს. იყო წმიდა უფრო მეტია, ვიდრე გარეგნული ქცევა; სიწმიდე იწყება გულიდან. იყო წმიდა ნიშნავს, იყო ქრისტეს მსგავსი ჩვენს გულებში და გონებაში.

პავლეს არ უთქვამს: „თქვენ უნდა მოიქცეთ იესო ქრისტეს მსგავსად“. ის მოითხოვს: „თქვენ უნდა იყოთ იესო ქრისტეს მსგავსები.“ გარეგნულად ქრისტეს მიბაძვა არ არის საკმარისი;

შინაგანად უნდა დავემსგავსოთ მას. ღმერთის მიზანია თავისი ხალხი ქრისტეს ხატად გარდაქმნას. „ვინც წინასწარ იცნო, მათ წინასწარვე განუსაზღვრა თავისი ძის ხატების მსგავსად ყოფნა” (რომაელთა 8:29). ღვთის მარადიული განზრახვაა, რომ ჩვენ ქრისტეს ხატებად გვაქციოს. აი რას ნიშნავს იყო წმიდა.

ამ იდეის ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი მაგალითია პავლეს კორინთოსადმი მიწერილ წერილში. ეს ეკლესია სავსე იყო პრობლემებით, თუმცა პავლემ მათ მიმართა, როგორც „წმიდანებს“ და წმიდა ცხოვრებისკენ მოუწოდა. როგორ შეეძლო ამ უმწიფარ მორწმუნეთა ჯგუფს, რომელიც იბრძოდა თავისი წარმართული წარსულის დასაძლევად, ქონოდა იმედი, რომ გახდებოდა წმიდა? პავლემ გასცა ამას პასუხი: „ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა [ღმერთმა] ცოდვად ჩვენს გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სიმართლე მასში“ (2 კორინთელთა 5:21).

იმის გამო, რომ ქრისტე გახდა ცოდვად ჩვენს გამო, ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ „ღმერთის სიმართლე.“ მველ აღთქმაში ცოდვის მსხვერპლის სისხლი ფარავდა მათ ცოდვებს, ვინც ღმერთთან რწმენით მიდიოდა. დღეს ქრისტეს სისხლი ფარავს მათ ცოდვებს, ვინც ღმერთთან რწმენით მიდის. თუმცა პავლე უფრო მეტს გვპირდება, ვიდრე დაფარვას. ჩვენ არა მხოლოდ „დაფარული“ ვართ; ჩვენ გარდაქმნილები ვართ. იმის გამო, რომ ჩვენ „შევურიგდით ღმერთს“, ჩვენ გავხდით „ღვთის სიმართლე.“ პავლე წერს:

მაშასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია. ყოველივე ღვთისგან არის, რომელმაც იესო ქრისტეს მეშვეობით შეგვირიგა და მოგვცა შერიგების მსახურება (2 კორინთელთა 5:17-18).

ქრისტე არ მომკვდარა, რათა დაფაროს ჩვენი მუდმივი ჯანყი ღმერთის წინააღმდეგ. ქრისტეს მეშვეობით ჩვენ ვართ ახალი ქმნილება. ჩვენ აღარ ვართ მეამბოხეები; ჩვენ ვართ ახალი ქმნილებები, რომლებიც შეურიგდნენ წმიდა ღმერთს.

ეს გარდაქმნა ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე მხოლოდ გარეგანი ქცევა. პავლე ლოცულობდა თესალონიკელებისთვის:

თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად, რათა თქვენი სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის (1 თესალონიკელთა 5:23).

„სრულიად“ ატარებს იდეას, რომ წმიდები გახდნენ მათი ბუნების ყველა ასპექტში. ეს მუხლი შეიძლება ითარგმნოს: „წმიდაგყოთ სრულიად.“ პავლე ლოცულობდა, რომ ეს მორწმუნები გარდაქმნილიყვნენ სრულად „სული, სამშვინველი და სხეული.“ ის დაპირდა: „ერთგულია, ვინც მოგიწოდათ, რომელიც აღასრულებს კიდეც ამას“ (1 თესალონიკელთა 5:24).

ეს ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე. ფილიპელებში პავლე წერს ახალი აზროვნების შესახებ. ის მას „ქრისტეს გონებას“ უწოდებს. პავლე აღწერს იესოს ნებაყოფლობით მორჩილებას მამის ნების მიმართ. იესომ „თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა სიკვდილამდე და თანაც ჯვარცმით სიკვდილამდე“ (ფილიპელთა 2:8).

პავლეს არ უთქვამს: „ქრისტეს თავმდაბლობა ცხოვრების კარგი გზა იქნებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მე და თქვენ გვქონდეს ასეთი დამოკიდებულება.“ ამის ნაცვლად, ის ამბობს: „აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენ შორისაც“ (ფილიპელთა 2:5). ეს აზრები შენია; შენ შეგიძლია იყო ქრისტეს მსგავსი!

ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს სიყვარულით მორჩილების იგივე სული, რომელიც ხელმძღვანელობდა იესოს მორჩილებას მამის ნებისადმი. ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ქრისტეს გონება. ჩვენ შეგვიძლია შევხედოთ ცხოვრებას იესო ქრისტეს თვალით. ეს შესაძლებელი ხდება არა კარგი გადაწყვეტილებების, არამედ გარდაქმნილი გულების მეშვეობით. ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიყოთ ქრისტეს მსგავსი არა მხოლოდ მოქმედებებით, არამედ გულიდან. ჩვენ მოწოდებულნი ვართ, გვქონდეს ქრისტეს გონება.

### სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსი ქცევა

ზოგიერთმა შეიძლება თქვას: „ჩემი გული ქრისტეს მსგავსია, მაგრამ ჩემი მოქმედებები არა. შინაგანად ჩემი მოტივები კარგია, მაგრამ გარეგნულად არ ვცხოვრობ ქრისტეს მსგავსად.“ მოციქულებმა ვერ მიიღეს ეს დაყოფა ჩვენს შინაგან და გარეგნულ ბუნებას შორის. ჩვენი შინაგანი ბუნება გამოჩნდება ჩვენს გარეგნულ ქმედებებში. იყო წმიდა ნიშნავს იყო ქრისტეს მსგავსი ჩვენს ქცევაში.

ეს გზავნილი ჩანს მთელ ეპისტოლეებში. პავლემ თქვა, რომ ქრისტემ თავი გაწირა ეკლესიისთვის „რათა განეწმიდა იგი.“ ქრისტემ თავი გაწირა, რათა ექცია თავისი საპატარძლო წმიდად. ის ამზადებს საპატარძლოს „რომელსაც არა აქვს ლაქა, არც მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ პირიქით, წმიდა და უბიწოა“ (ეფესელთა 5:26-27).

წარმოიდგინეთ მიწიერი პატარძალი, რომელიც ქმარს ეუბნება: „შენი ერთგული არ ვიქნები ჩემი სხეულით; მაგრამ ჩემი გული სუფთა იქნება“? რა თქმა უნდა არა! პავლეს ვერ წარმოუდგენია ქრისტეს საპატარძლო ამბობდეს: „ჩემი გული წმიდაა, ხოლო ჩემი საქმეები უწმიდური.“ ეკლესია მოწოდებულია, რომ იყოს საპატარძლო „რომელსაც არა აქვს ლაქა, არც მანკი.“

პავლემ მისწერა თესალონიკელ ქრისტიანებს. ამ ეკლესიას წარმოადგენდნენ როგორც ებრაელი მორწმუნები, ასევე თესალონიკას წარმართული კერპებისგან მოქცეულები.

ებრაელმა მორწმუნებმა იცოდნენ ძველი აღთქმის მცნებები წმიდად მოქცევის შესახებ, მაგრამ წარმართები ცხოვრობდნენ სექსუალური უზნეობის ატმოსფეროში.

პავლე ასწავლიდა ამ ახალმოქცეულ მორწმუნებს, რას ნიშნავს წმიდად ცხოვრება. ის ლოცულობდა, რომ „განმტკიცდეს თქვენი გულები უბიწოდ სიწმიდეში, ჩვენი ღმერთისა და მამის წინაშე“ (1 თესალონიკელთა 3:13). ეს ახალი მორწმუნები უნდა ყოფილიყვნენ წმიდები თავიანთ გულებში და ასევე ისინი უნდა ყოფილიყვნენ წმიდები თავიანთი ქცევით. „ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა“. განწმედა მოქმედებს არა მხოლოდ მათ გულზე; ის განსაზღვრავს მათ ქცევას:

- „ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა: სიმვას განერიდეთ“
- „რათა თითოეულმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით და არა გარყვნილების ავხორცობით, წარმართების მსგავსად, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ“
- „რათა არავინ გადავიდეს ზღვარს და ანგარებით არ მიუდგეს თავის ძმას საქმეში“ (1 თესალონიკელთა 4:3-6).

იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს ქრისტეს მსგავსი გული, რომელიც შთააგონებს ქრისტეს მსგავსად მოქცევას. იყო წმიდა ნიშნავს იყო ქრისტეს მსგავსი.

### სიწმიდე არის ქრისტეს მსგავსად სიყვარული

სახარებები გვიჩვენებს, რომ სიწმიდე არის სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასის მიმართ. პავლე აკავშირებს ქრისტეს მსგავს ქცევასა და ქრისტეს სიყვარულს. ის მოუწოდებს ეფესელ ქრისტიანებს, „მიბაძონ ღმერთს, როგორც საყვარელმა შვილებმა.“ როგორ მიბაძავდნენ ისინი ღმერთს? ქრისტიანულ სიყვარულში ცხოვრებით. „იარეთ სიყვარულში ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირად და მსხვერპლად, სასიამოვნო კეთილსურნელებად“ (ეფესელთა 5:1-2).

როდესაც ქრისტიანები თავგანწირული სიყვარულით დადიან, ისინი ავლენენ ღვთის ხატებას. იყო წმიდა ნიშნავს გიყვარდეს ისე, როგორც ქრისტეს უყვარდა. რომაელთა მე-14 თავში პავლე ქრისტეს მსგავსი სიყვარულის პრაქტიკულ დემონსტრირებას ახდენს. ის მოუწოდებს მორწმუნებს, მსხვერპლად გაიღონ სინდისის თავისუფლება უძლური ძმის გულისთვის. რატომ? რადგან „თუ საჭმლის გამო შეწუხდება შენი ძმა, უკვე აღარ იქცევი სიყვარულით“ (რომაელთა 14:15). თუ ჩემი თავისუფლება ძმის დაბრკოლებას იწვევს, მე სიყვარულით არ ვიქცევი. ქრისტემ დათმო თავისი უფლებები ჩვენდამი სიყვარულის გამო; ჩვენ მოწოდებული ვართ დავთმოთ ჩვენი უფლებები სხვების სიყვარულის გამო. ეს არის ქრისტეს მსგავსი სიყვარული.

პავლეს ყველაზე ცნობილი გამოთქმა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს სიყვარული ქრისტეს მსგავსად არის 1 კორინთელთა მე-13 თავში. ეკლესიას, რომელიც გამოირჩეოდა განხეთქილებით, ეგოისტური ქცევით, ეჭვიანობითა და სიამაყით, პავლე წერდა:

სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია; არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, უწესოდ არ იქცევა, თავისას არ ეძიებს, არ რისხდება და ბოროტს არ განიზრახავს, არ ხარობს უმართლობით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს (1 კორინთელთა 13:4-6).

1 იოანეს წერილში მოციქულმა ყურადღება გაამახვილა ქრისტეს მსგავსად სიყვარულის პრაქტიკულ ასპექტებზე. 1 იოანეს წერილი გვიჩვენებს, როგორია ქრისტეს მსგავსი სიყვარული.

- სიყვარული მოითხოვს მორჩილებას. თუ ღმერთი გვიყვარს, მას ვემორჩილებით (1 იოანეს 2:5; 5:3). არ შეიძლება განვაცალკეოთ სიყვარული და მორჩილება.
- სიყვარული მოითხოვს ერთსულოვნებას. თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, ჩვენ არ შევიყვარებთ ქვეყნიერებას. „თუ ვინმეს ქვეყნიერება უყვარს, მასში არ არის მამის სიყვარული” (1 იოანეს 2:15). ჩვენ არ შეგვიძლია გვიყვარდეს ღმერთიც და ქვეყნიერებაც, რომელიც ღმერთს ეწინააღმდეგება. წმიდა ადამიანს ღმერთი განუყოფელი გულით უყვარს.
- სიყვარული ურთიერთობას მოითხოვს. თუ ჩვენ გვიყვარს ღმერთი, სხვა ქრისტიანებიც უნდა გვიყვარდეს. „ვისაც ღმერთი უყვარს, თავისი მმაც უნდა უყვარდეს“. მართლაც, „თუ ვინმე ამბობს, ღმერთი მიყვარსო, თავისი მმა კი უჯავრება, იგი ცრუა“ (1 იოანეს 4:20-21). იოანე ასწავლის, რომ შეუძლებელია გიყვარდეს ღმერთი მაშინ, როცა შენი ქრისტიანი მმა გძულს.

რა არის ამ ქრისტეს მსგავსი სიყვარულის შედეგი? გაბედულება ღმერთის წინაშე. „თუ ერთმანეთი გვიყვარს, ღმერთი ჩვენში რჩება და მისი სრულყოფილი სიყვარული ჩვენშია“ (1 იოანეს 4:12). ეს სრულყოფილი სიყვარული გვაძლევს „გაბედულებას განკითხვის დღეს“ და „განდევნის შიშს“ სასჯელის მიმართ (1 იოანეს 4:17-18).

როგორ ვიცხოვროთ ამ სრულყოფილი სიყვარულით? „რადგან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ცხოვრება ამქვეყნად არის მისი ცხოვრება ჩვენში“ (1 იოანეს 4:17, ახალი სიცოცხლის ვერსია). ჩვენ შეგვიძლია ქრისტეს მსგავსი სიყვარულის მოდელირება მხოლოდ ჩვენში მცხოვრები ქრისტეს მეშვეობით.

## **სიწმიდის ცხოვრება: წმიდა ხარ; ისწრაფე სიწმიდისაკენ**

ტომის ჰქონდა სურვილი გამხდარიყო წმიდა ადამიანი. სამწუხაროდ, ტომის გაგება სიწმიდის შესახებ უფრო მეტად ემყარებოდა ემოციებსა და გრძნობებს, ვიდრე წმიდა წერილს. ამის გამო ტომი ერთი უკიდურესი სწავლებიდან მეორეზე გადადიოდა.

გარკვეული პერიოდი ტომი ხშირად მარხულობდა, საათობით ლოცულობდა და ცდილობდა საკუთარი თავი სიწმიდეში აღეზარდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ვხდებით წმიდები ჩვენი თვითდისციპლინით.

ტომის მალევე იმედები გაუცრუვდა და უარი თქვა ამ ძალისხმევაზე. ის სულიერ დისციპლინებში დაუდევრად იქცეოდა და ცოდვისადმი დამორჩილება დაიწყო. როდესაც მას ვკითხე ცოდვის სფეროზე, ტომიმ მიპასუხა: „მე მადლით ვცხოვრობ და არ მჭირდება სასჯელი. ღმერთი განმწედს, როცა ის მზად იქნება.”

სხვა დროს ტომი გულმოდგინედ ლოცულობდა დრამატული სულიერი საჩუქრისთვის. მან გადაწყვიტა, რომ სიწმიდე არის სულიერი საჩუქრები და გარეგნული ძალა.

ტომის მიერ სიწმიდის ძიება დაფუძნებული იყო ემოციებზე და არა წმიდა წერილის ყურადღებით წაკითხვაზე. მას არ შეუსწავლია ბიბლია იმის გასაგებად, თუ როგორ ეცხოვრა წმიდად ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ეპისტოლები გვასწავლიან მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს წმინდა ცხოვრების შესახებ. თუ ჩვენ დავივიწყებთ ამ პრინციპებს, სიწმინდის შესახებ, ჩვენი გაგება არამდგრადი გახდება. მოციქულებმა მოგვწერეს ეპისტოლები, რათა ეჩვენებინათ, როგორ უნდა ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით, რომლისკენაც ღმერთმა მოგვიწოდა.

### **თქვენ განიწმიდეთ; თქვენ აგრძელებთ განწმედას**

როდესაც პავლე წერდა „წმიდებს“, ის ეუბნებოდა: „წმიდანი ხართ.“ წმიდანები უკვე წმიდები არიან, მაგრამ პავლემ ამ წმიდანებს მისწერა: „წმიდა უნდა იყოთ.“ თქვენ წმიდები ხართ; თქვენ უნდა განაგრძოთ ზრდა სიწმიდეში.

ეს ბალანსი არაერთხელაა ნაჩვენები ეპისტოლეებში. როგორც მორწმუნები, ჩვენ უკვე წმიდები ვართ, მაგრამ ვაგრძელებთ სიწმიდეში ზრდას, როდესაც დავდივართ ღმერთისადმი მორჩილებაში.

ებრაელების წერილის ავტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენ განვიწმიდეთ ქრისტეს სიკვდილში. „სწორედ ამ ნებით ვართ ჩვენ განწმედილნი - იესო ქრისტეს სხეულის ერთგზის შეწირვით“ (ებრაელთა 10:10). ჩვენ განწმედილი ვართ ქრისტეს სიკვდილით.

ავტორი განაგრძობს: „რადგან ერთი შეწირვით სამუდამოდ სრულყო განსაწმედელნი“ (ებრაელთა 10:14). ეს წინადადება შეიცავს ორ სიტყვას, რომლებიც დაკავშირებულია სიწმიდის თემასთან. თავისი სიკვდილით ქრისტემ „სრულყო“ (ტელეიოს) ისინი, ვინც „განიწმიდება“ (ჰაგიაზო). ეს მუხლი ამას გვეუბნება:

**ჩვენ განვიწმიდეთ: „ის სრულყოფილია ყველა დროში...“**

ქრისტე მოკვდა, რათა ჩვენ გავთავისუფლდეთ ცოდვის ძალაუფლებისგან. იესო „იმისთვის, რომ ხალხი თავისი სისხლით განეწმიდა, კარიბჭის გარეთ იტანჯა“ (ებრაელთა 13:12). ღვთის განზრახვა, განეწმიდა თავისი ხალხი, შესრულდა იესოს სიკვდილით. ჩვენ სრულყოფილები გავხდით.

**ჩვენ წმიდები გავხდებით: „ვინც განიწმიდება“**

ქრისტეს სიკვდილმა აღასრულა ღვთის განზრახვა განწმედაზე სამუდამოდ, მაგრამ ჩვენი სიწმიდის ზრდა გრძელდება მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში. ეს არის უწყვეტი პროცესი. ქრისტეს სიკვდილით ჩვენ ვართ წმიდები; ქრისტეს სიკვდილით ჩვენ ვაგრძელებთ განწმედას.

თავად პავლეს დამოწმება ასახავს ამ პრინციპს. ფილიპელთა მე-3 თავში პავლე წერს, რომ ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, მაგრამ რამდენიმე მუხლის შემდეგ ის თავის თავს მოიხსენიებს უკვე, როგორც სრულყოფილს („ვინც ჩვენს შორის სრულქმნილია“). თამამი სიტყვები შემდეგ ნაწყვეტში ორივე მომდინარეობს „ტელეიოს“-დან (teleios). ორივე სიტყვა შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სრულყოფილი.“

არა იმიტომ, რომ უკვე მივაღწიე ან სრულქმნილი (ტელეიოს) გავხდი, არამედ ვისწრაფი, რომ იქნებ მივაღწიო, როგორც ჩემამდე მოაღწია ქრისტე იესომ.... ამიტომ, ვინც ჩვენს შორის სრულქმნილია (ტელეიოს), ასე უნდა იაზროვნოს, და თუ სხვანაირად აზროვნებთ, ამასაც ღმერთი გამოგიცხადებთ (ფილიპელთა 3:12-15).

პავლე ამბობს: „მე ჯერ არ ვარ სრულყოფილი.“ ის აგრძელებს: „ვინც ჩვენს შორის სრულქმნილია.“ პავლეს მიზნისთვის ჯერ არ მიუღწევია; ის იზრდება სიწმიდეში. ამ თვალსაზრისით, ის ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. მაგრამ პავლე მიზნის მისაღწევად ყველა კუნთს ძაბავს. ის მიზნად ისახავს რბოლის დასრულებას. ამ თვალსაზრისით, პავლე უკვე სრულყოფილია. პავლეს შეუძლია თქვას „მე ჯერ არ ვარ სრულყოფილი“ და „სრულყოფილი ვარ“ იმავე აბზაცში.

სრულყოფილება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ავიარეთ იმ საქმეების კიბე, რომელიც სრულყოფილებს გვხდის. პირიქით, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სრულად დავენდეთ ღვთის მადლს ჩვენს ცხოვრებაში. ეს მყისიერია იმით, რომ არის დროში მომენტი, როდესაც ღმერთი ჩვენს

გულებს თავისი მიმართულებით აბრუნებს. ეს არის პროცესი, რომელშიც ჩვენი მოძრაობა მისკენ სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდება.<sup>26</sup>

წარმოიდგინეთ გოლფის მოთამაშე, რომელიც ურტყამს ბურთს და ხვრელში ათავსებს; ეს არის სრულყოფილი დარტყმა. დარტყმა არ ხდება სრულყოფილი მხოლოდ მაშინ, როდესაც ბურთი ხვრელში ჩავარდება. როდესაც ის ჰაერში მოძრაობს, ნასროლი უკვე სრულყოფილია; ის ხვრელისკენ მიმავალ გზაზეა. ის სრულყოფილია იმ მომენტიდან, როდესაც გოლფის მოთამაშე ურტყამს ბურთს.<sup>27</sup>

ანალოგიურად, პავლე საბოლოო მიზნისკენ მიიწევდა. მან თავისი გზა დაადგინა და მიზნისკენ მიიწევდა განუყოფელი გულით. ის ჯერ არ იყო მიზანთან, მაგრამ მიზნისკენ მიმავალ გზაზე იყო. ის ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი; ის უკვე სრულყოფილი იყო.

როგორც მორწმუნები, ჩვენ ვართ წმიდა „წმინდანები“, რომლებიც მიგვიღო ღმერთმა ქრისტეს მეშვეობით, მაგრამ ჩვენ მოწოდებულნი ვართ მივცეთ თავი „ცოცხალ მსხვერპლად“, რომლებიც აგრძელებენ ზრდას ყოველდღიური მორჩილებითა და მიძღვნით (რომაელთა 12:1). ჩვენ უკვე წმიდანი ვართ; ჩვენ ვაგრძელებთ განწმედას.

### თქვენ ხართ წმინდანები; თქვენ უნდა იცხოვროთ როგორც წმინდანებმა

პავლემ მისწერა „წმინდანებს“, რომლებიც კორინთოში ცხოვრობდნენ. 1 კორინთელებში მიმართვაა წმიდა ადამიანებისადმი, „ქრისტე იესოში განწმედილებს“ (1 კორინთელთა 1:2). პავლე 2 კორინთელებში მიმართავს „ღმერთის ეკლესიას, რომელიც კორინთოშია, მთელ აქაიაში მყოფ ყველა წმინდანთან ერთად“ (2 კორინთელთა 1:1). ისინი წმინდანები იყვნენ - მაგრამ მათ ბევრი რამ უნდა ესწავლათ წმინდანად ცხოვრების შესახებ.

არსებობს ორი გზა, რომლითაც ქრისტიანებს არასწორად ესმით ეს ჭეშმარიტება. პირველი, ზოგიერთი ქრისტიანი ამბობს: „მე ვიწოდები წმინდანად, რადგან ღმერთი ხედავს ქრისტეს სიმართლეს და არა ჩემს ცოდვას. ჩემი სიწმიდე არის „იურიდიული ფიქცია“. მე არასოდეს ვიქნები წმიდა ამქვეყნად, მაგრამ ღმერთი მაინც მიწოდებს წმიდას.“ რომაელთა მე-6 თავი ნათელს ხდის იმას, რომ პავლესთვის ეს პასუხი მიუღებელია. წმიდა ადამიანებმა უნდა იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით.

მეორე, სხვა ქრისტიანები ამბობენ: „მე ვარ წმინდანი. მე არასოდეს ჩამოვრჩები ღმერთის სრულყოფილების აბსოლუტურ სტანდარტს. არასოდეს ვინანიებ, რადგან არასდროს ვცდები. მე წმინდანი ვარ!“ პავლე ამ შეცდომას ისევე მკაცრად უარყოფს, როგორც პირველ შეცდომას. პავლე წერდა, რომ ესწავლებინა „წმინდანებისთვის“ კორინთოში, ეცხოვრათ წმიდა

<sup>26</sup> Timothy C. Tennent. *The Call to Holiness* (Franklin: Seedbed Publishing), 2014), 54-55

<sup>27</sup> Illustration adapted from T.A. Noble, *Holy Trinity: Holy People* (Eugene: Cascade Books, 2013), 23.

ცხოვრებით. მათ აკლიათ ცოდნა და ზრდასრულობა, ამიტომ პავლე ასწავლის ამ წმინდანებს როგორ იცხოვრონ, როგორც წმინდანებმა. წმიდა ადამიანებმა უნდა იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით.

ქალაქი კორინთო სამარცხვინოდ იყო ცნობილი თავისი მოქალაქეების უღმერთო საქციელების გამო. პავლე ამ ბოროტ ქალაქში მცხოვრებ მორწმუნეებს წმიდა ქცევისკენ მოუწოდებს. ისინი უნდა მოერიდონ სექსუალურ უზნეობას, რადგან მათი „სხეულები ქრისტეს ასოები არიან“ (1 კორინთელთა 6:15). პავლეს ჩამოთვლილი აქვს საქციელები, რომლებიც აკრძალულია ღვთის სამეფოში:

თავი არ მოიტყუოთ: ვერც მეძავნი, ვერც კერპთაყვანისმცემელნი, ვერც მრუშნი, ვერც დადედლებულნი, ვერც მამათმავალნი, ვერც ქურდნი, ვერც ხარბნი, ვერც ლოთნი, ვერც მლანძლველნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სამეფოს (1 კორინთელთა 6:9-10).

ცოდვათა ამ ჩამონათვალის შემდეგ პავლე მიუთითებს: „ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი.“ პავლე წერს აუდიტორიას, რომელიც ამ ცოდვებს ჩადიოდა. პავლე მოელის, რომ ისინი, როგორც მორწმუნეები მიატოვებენ ძველი ცხოვრების წესს. მათი ცოდვილი წარსულიდან გამომდინარე, როგორ შეუძლიათ ამ ადამიანებს წმიდა ცხოვრებით ცხოვრება? პავლე პასუხობს:

მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდა გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით და ჩვენი ღვთის სულით (1 კორინთელთა 6:11).

1 კორინთელთა 6:9-10-ის ცოდვები წაშლილია 1 კორინთელთა 6:11-ის გარდაქმნით. ეს გარდაქმნა არ არის მხოლოდ სამართლებრივი გარიგება; პავლე არსად ამბობს: „თქვენ გააგრძელებთ ამ ცოდვების ჩადენას, მაგრამ ღმერთი ჩაგთვლით თქვენ მართლად, მიუხედავად თქვენი ბოროტი საქციელისა.“ არა! ის ამბობს: „ასეთი იყო ზოგიერთი თქვენგანი უწინ; მაგრამ განიბანეთ.“ კორინთელი ქრისტიანები არასოდეს უნდა დაბრუნებოდნენ წარსულის ცოდვებს. პავლე ამბობს: „თქვენ ხართ წმინდანები; მოიქეცით ასევე!“ ისინი განიბანენ; ისინი განიწმინდნენ; ისინი წმინდად იქცნენ. ისინი წმინდანები არიან; მათ უნდა იცხოვრონ როგორც წმინდანებმა.

როდესაც ახალგაზრდა მამაკაცი მიდის ჯარში, მას აძლევენ ფორმას, რომელიც გამოარჩევს მას, როგორც ჯარისკაცს. ამავე დროს, მას ეძლევა სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია ჯარში ქცევის კოდექსი. მხოლოდ ფორმა არ არის საკმარისი; მან უნდა იცხოვროს ქცევის კოდექსის მიხედვით.

ქცევის კოდექსის შესწავლას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ფორმის ჩაცმას. ახალმა ჯარისკაცმა უნდა ისწავლოს ცხოვრება ისე, როგორც მის ფორმას შეეფერება. ის ჯარისკაცად უნდა ჩამოყალიბდეს. ბევრჯერ მოუწევს ამ ახალგაზრდა ჯარისკაცს სამხედრო წესების შეხსენება. არის მისი მოქმედება სრულყოფილი? არა. მაგრამ, არის თუ არა მისი ვალდებულება, რომ იყოს ჯარისკაცი? დიახ. ჯარში პირველივე დღიდან ის ჯარისკაცია; მაგრამ მას ბევრი დღის გატარება მოუწევს, ჯარისკაცად ცხოვრების სასწავლად.

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამბობს: „მე მინდა დამიძახონ ჯარისკაცი, მაგრამ არ მინდა დავიცვა ქცევის კოდექსი.“ სამხედრო ფორმას ყიდულობს, მაგრამ ქცევის კოდექსით არ ცხოვრობს. არის ის ნამდვილი ჯარისკაცი? არა. ის მხოლოდ წარმოაჩენს თავს ჯარისკაცად.

ეპისტოლები დაიწერა მორწმუნებისთვის, რომლებმაც „შეიმოსეს ქრისტე“. ახლა ისინი სწავლობენ წმიდა ცხოვრებით ცხოვრებას. ეფესელთა 4-6 თავებში ჩვენ ვიგებთ, თუ როგორ გამოიყურება წმიდა ცხოვრება ოჯახურ ურთიერთობებში, ეკლესიის შიგნით ურთიერთობებში და ბიზნეს ეთიკაში. გალატელთა მე-5 თავში ჩვენ ვსწავლობთ სულიწმიდის მიყოლით, ცხოვრების ნაყოფის შესახებ. 1 პეტრეს წერილში ჩვენ ვსწავლობთ როგორ ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით დევნის პირობებში. როდესაც იაკობის წერილს ვკითხულობთ, ვიგებთ, როგორ აკონტროლებს წმიდა ადამიანი ენას.

პავლემ კოლასელ მორწმუნებს მისწერა:

„ვინაიდან თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.“ ეს მორწმუნები ცოდვისთვის მოკვდნენ; ისინი ცოცხლები არიან ქრისტესთვის. ისინი აღარ არიან ცოდვის ტყვები; ისინი წმიდები არიან. მაგრამ პავლე აგრძელებს: „მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები“ (კოლასელთა 3:3, 5).

თქვენ ცოდვისთვის დაიხოცეთ; მოაკვდინეთ ცოდვა. თქვენ წმინდანები ხართ; თქვენ უნდა იცხოვროთ როგორც წმინდანებმა.

პრინციპი აღწერილია ამ თავის დასაწყისში.

„პავლემ თქვა: „მე ჯვარს ვეცვი ქრისტესთან ერთად....“ მას არ უთქვამს, ‚მე გადავწყვიტე მივბაძო იესო ქრისტეს,‘ ან, ‚ნამდვილად შევეცდები მივყვე მას“ - მაგრამ „მე მის სიკვდილში ვარ გაიგივებული.“  
- ოსვალდ ჩემბერსი

ამრიგად, თუ ქრისტესთან ერთად აღსდექით, ემიეთ რაც მაღლაა, სადაც ქრისტე ზის ღმერთის მარჯვნივ. ზეციერზე იფიქრეთ და არა მიწიერზე (კოლასელთა 3:1-2).

პავლე ამბობს: „დღითი დღე ეძიეთ ზეციური. დღითი დღე, უნდა განაგრძოთ თქვენი გონების კონცენტრირება ღვთის საქმეებზე.“ წმიდა ცხოვრების გასაღები იმაშია, რომ განაწყო შენი

გონება ღმერთის საქმეების მიმართ. თქვენ განიწმიდეთ („ქრისტესთან ერთად აღსდექით“), ასე რომ, იყავით წმიდები („მომართეთ თქვენი გონება ზეციერზე“).

რა არის ამ წმიდა ცხოვრების შედეგი? „როცა გამოჩნდება ქრისტე, თქვენი სიცოცხლე, მაშინ თქვენც გამოჩნდებით მასთან ერთად დიდებით“ (კოლასელთა 3:4). წმიდად ცხოვრება გამზადებს მარადისობის გასატარებლად წმიდა ღმერთთან. „ღმერთთან დადიოდა ენოქი და აღარსად იყო, რადგან ღმერთმა აიყვანა იგი“ (დაბადების 5:24). ღმერთთან ერთად წმიდად სიარულმა ამ სამყაროში, მოამზადა ენოქი ღმერთთან მარადისობაში ყოფნისთვის. ღმერთთან ერთად წმიდად სიარული ამ სამყაროში გვამზადებს „ქრისტესთან ერთად დიდებით გამოსაჩენად.“

ეპისტოლები დაიწერა წმინდანთა მიმართ. ჩვენ გავხდით წმინდანები იესო ქრისტეს სისხლით. ძველი კაცი უნდა გავიძროთ და ახლით შევიმოსოთ. ახლა ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობთ რას ნიშნავს იყო წმიდა. ჩვენ დღითიდღე გარდავიქმნებით ღვთის ხატებაში. არის ჩვენი ეს ქმედება სრულყოფილი? არა. მაგრამ სრულია თუ არა ჩვენი ვალდებულება, ვიყოთ წმიდები? დიახ. ჩვენ ვართ წმინდანები; ჩვენ ვსწავლობთ, ვიცხოვროთ, როგორც წმინდანებმა.

### ღმერთმა გაგხადათ წმიდად; თქვენ უნდა მისდევდეთ სიწმიდეს

ლევიანებში ღმერთმა თქვა: „მაშ, განიწმინდეთ თავი და იყავით წმინდები.“ ეს იყო ბრძანება, რომელიც ხალხმა უნდა შეასრულოს. შემდეგ მუხლში ღმერთი დაპირდა: „მე ვარ უფალი, თქვენი გამწმედი“ (ლევიანების 20:7-8). ეს იყო დაპირება იმისა, რასაც ღმერთი გააკეთებს. სიწმიდის გასაგებად, ჩვენ უნდა დავაბალანსოთ ორი ჭეშმარიტება:

1. სიწმიდე ღვთის საჩუქარია; ღმერთი გახდის თავის ხალხს წმიდად.
2. სიწმიდე არის ბრძანება ღვთისაგან; ღმერთი უბრძანებს თავის ხალხს „მიყვნენ სიწმიდეს.“

ფარისევლებს ახსოვდათ მხოლოდ ის, რომ „სიწმიდეს უნდა ესწრაფოთ.“ მათ სჯეროდათ, რომ საკუთარი ძალისხმევით შეძლებდნენ წმიდები გამხდარიყვნენ. ეპისტოლები პასუხობენ: „ღმერთი გაგწმედთ.“

ადრეული ეკლესიის ზოგიერთი ქრისტიანი საპირისპირო უკიდურესობამდე მივიდა. მათ სწამდათ: „თუ ღმერთს სურს, რომ წმიდები გაგვხადოს, ის ამას გააკეთებს. ჩვენ ამისთვის არაფერს ვაკეთებთ.“ ეპისტოლები პასუხობენ: „უნდა ესწრაფოდე სიწმიდეს.“

მინდობაც და მიყოლაც მნიშვნელოვანია განწმედაში. ღმერთი გვწმედს; ჩვენ უნდა მივყვეთ სიწმიდეს. ჩვენ ვემორჩილებით ღმერთს და ვაძლევთ უფლებას გარდაგვექმნას, მაგრამ ჩვენ

ასევე, მივიწევთ წინ იმ მიზნისკენ, რომელიც ღმერთს აქვს ჩვენთვის (ფილიპელთა 3:13). პავლეს ესმოდა, რომ ღვთის დაპირებების ნდობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აღარ უნდა ვისწრაფოდეთ მიზნისკენ. ჩვენ გვაქვს ძალა, მივყვეთ სიწმიდეს, რადგან ღმერთი გვწმედს ჩვენ.

როდესაც ჩემი შვილები პატარები იყვნენ, ისინი ხანდახან კითხულობდნენ წმიდა წერილს ჩვენი ოჯახური ლოცვების დროს. ერთ დღეს ჩვენი ქალიშვილი კითხულობდა ფილიპელთა 2:12-ს. დიდი მგზნებარებით შესძახა სტეისიმ: „შიშითა და ძრწოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად!“ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დავალებამ „იღვაწეთ თქვენს სახსნელად.“ მაგრამ პავლე აგრძელებს: „რადგან ღმერთია, ვინც მოქმედებს თქვენში“. ჩვენი საქმე სრულდება ღვთის მოქმედების მეშვეობით.

ბევრი ქრისტიანის დარწმუნებისგან განსხვავებით, ღვთის საქმე სრულდება, როდესაც ჩვენ „ვმუშაობთ ჩვენს ხსნაზე.“ ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქმეებით ვიმსახურებთ სიწმიდეს? რათქმა უნდა არა! პავლე აგრძელებს: „რადგან ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ“ (ფილიპელთა 2:13). ეს ღმერთია, ვინც იძლევა სურვილს („ნებას“); ღმერთი, რომელიც აძლიერებს მუშაობას. „ჩვენში მოქმედი ღმერთის“ გარეშე ჩვენი საქმე უნაყოფოა. ჩვენ არ შეგვიძლია საკუთარი თავი გავხადოთ წმიდა მაგრამ ღმერთი არ გაგვწმედს, თუ ჩვენ სიწმინდისაკენ ან ვისწრაფით.

პავლემ კორინთელებს შეახსენა ღვთის მშვენიერი დაპირება, რომ „თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი“ (2 კორინთელთა 6:18). შემდეგ ის მოუწოდებს მათ იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით. „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორინთელთა 7:1). ღვთის დაპირებების გამო, „განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან.“ ღვთის დაპირება, რომ გაგვწმედს, გვაძლევს თავდაჯერებულობას, ვესწრაფოთ სიწმინდეს.

თესალონიკის ქრისტიანებისადმი მიწერილ წერილში, პავლე ლოცულობდა: „რათა განმტკიცდეს თქვენი გულები უბიწოდ სიწმიდეში“ (1 თესალონიკელთა 3:13). ეს არის ღვთის მოქმედება. შემდეგ პავლემ დაიწყო სწავლება „თუ როგორ გმართებთ სიარული ღმერთის სამებლად.“ რატომ? „ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა“ (1 თესალონიკელთა 4:1, 3). ღმერთმა თესალონიკელი ქრისტიანები წმიდები გახადა, ამიტომ ისინი წმინდა ცხოვრებას უნდა მიყვნენ.

გალატელების წერილი განკუთვნილი იყო მორწმუნებისადმი, რომლებსაც ცდუნება ქონდათ დაბრუნებოდნენ ხსნას „რჯულის საქმეებით.“ პავლე შეახსენებს მათ, რომ ადამიანი „გამართლდება არა რჯულის საქმეებით, არამედ იესო ქრისტეს რწმენით, ვინაიდან რჯულის

საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება” (გალატელთა 2:16). თუ რწმენით გამართლება სახარების დასასრულია, ეს იქნება შესანიშნავი წერილი პავლესთვის, რომ ეთქვა: „რწმენით ხართ გამართლებულნი. ახლა შეგიძლიათ იცხოვროთ ისე, როგორც გინდათ და მაინც სამოთხეში წახვალთ. თქვენი ადგილი სამოთხეში გარანტირებულია.” მაგრამ პავლე ამას არ ამბობს! სამაგიეროდ ამბობს:

ხოლო მათ, ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად. თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ (გალატელთა 5:24-25).

„სულითვე უნდა ვიაროთ“ ნიშნავს „ლიდერის მიყოლას.“ ეს დისციპლინასა და თვითკონტროლს გულისხმობს. ეს გულისხმობს სულის ხელმძღვანელობით ცხოვრებას და არა ჩვენი სურვილების მიხედვით. ღმერთმა გალატელები წმიდებად გახადა, მაგრამ მათ უნდა განაგრძონ სიწმიდისკენ სწრაფვა.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერდა, რომ ღმერთი „ჩვენს სასიკეთოდ გვწვრთნის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმიდეში.“ რა საოცარი ჭეშმარიტებაა! დაცემულ ადამიანს შეუძლია წილი ქონდეს ღმერთის სიწმიდეში. ეს არ არის რაიმე ტიპის მისტიკური კავშირი, როგორც წარმართულ კულტებშია. ეს არის ძალიან პრაქტიკული სწავლება სულიერი ვარჯიშის შესახებ. ის წერს „სიმართლის ნაყოფზე“, სხვებთან მშვიდობისა და ცოდვების შესახებ, როგორიცაა რისხვა და სიძვა (ებრაელთა 12:10-16). ეს არ არის მისტიკა; ეს ნორმალური ქრისტიანობაა. ღმერთი თავის შვილებს სიწმიდისკენ მოუწოდებს; ის ელის, რომ მისი შვილები გაიზიარებენ მის სიწმიდეს.

როგორ შეგვიძლია გავიზიაროთ ღვთის სიწმიდე? ჩვენ ვიზიარებთ ღვთის სიწმიდეს, როდესაც ვხდებით „ღვთაებრივი ბუნების თანამონაწილენი.“<sup>28</sup> პეტრე მიუთითებს როგორც ღმერთის ძალაზე, რომ დაგვამსგავსოს თავის თავს, ასევე ჩვენს მცდელობებზე, რომ გავიზარდოთ მის ხატებაში.

პირველი, პეტრე გვპირდება, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ღვთის ბუნების თანამონაწილეები:

როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვიწოდა, რომელთა მიერაც მოგვეცა უაღრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათი მეშვეობით გავხდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი, განვერიდებით რა გულისთქმით გამოწვეულ ხრწნილებას ამ ქვეყანაზე (2 პეტრეს 1:3-4).

<sup>28</sup> ეს მასალა აღებულია Dr. A. Philip Brown გამოუქვეყნებელი სტატიიდან „Divine Holiness and Sanctifying God: A Proposal.“

ღმერთმა წმიდაგვყო. „მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვცა ყველაფერი“, რაც აუცილებელია სულიერი „სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისთვის.“ ღვთისმოსაობა არ არის მიუღწეველი ოცნება; ღმერთმა „მოგვმადლა თავისი ძვირფასი და დიდი აღთქმები.“ ერთ-ერთი ასეთი დაპირებაა ის, რომ ჩვენ „შეგვიძლია გავხდეთ ღვთაებრივი ბუნების თანაზიარნი.“ დაპირება, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ჩვენი ზეციერი მამის მსგავსები, არის ღვთის ყოველი შვილისთვის. ეს არ მიიღწევა ჩვენი ძალისხმევით; ღვთისმოსაობა არის ღვთის მადლის საჩუქარი. ღვთის ძალით ჩვენ შეგვიძლია ვიცხოვროთ ღვთის ხასიათთან ჰარმონიაში. ღმერთი გვწმედს.

შემდეგ პეტრე აგრძელებს:

ამიტომ ყოველი ღონე იხმარეთ, რომ შესძინოთ თქვენს რწმენას სათნოება, სათნოებას - შემეცნება, შემეცნებას - თავშეკავება, თავშეკავებას - მოთმინება, მოთმინებას - ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობას - ძმათმოყვარეობა, ძმათმოყვარეობას კი - სიყვარული. ვინაიდან თუ ყოველივე ეს თქვენშია და მრავლდება, არ დარჩებით უქმად და უნაყოფოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემეცნებაში (2 პეტრეს 1:5-8).

იმის გამო, რომ ღმერთის ღვთაებრივმა ძალამ ღვთაებრივი ბუნების თანაზიარი გაგვხადა, ჩვენ უნდა „ყოველი ღონე ვიხმაროთ“, რათა გავიზარდოთ სათნოებაში, ცოდნაში, თავშეკავებაში, მოთმინებაში, ღვთისმოსაობაში, ძმათმოყვარეობაში და სიყვარულში. იმის გამო, რაც ღმერთმა გააკეთა, ჩვენ უნდა მივყვეთ სიწმიდეს.

პეტრე არასოდეს მოგვიწოდებს, რომ ჩვენი თავი განვიწმიდოთ „ყოველი ღონის ხმარებით.“ ის არ გვასწავლის ლეგალიზმს (მერჯულეობას). ჩვენ ვერ დავიმსახურებთ ღვთის კეთილგანწყობას ჩვენი ძალისხმევით. თუმცა, პეტრეს სურს, გავიგოთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით თვითდისციპლინის გარეშე.

ჩვენ მივყვებით სიწმიდეს ღვთის მადლის გამო. მისი მადლი აძლიერებს ჩვენს სწრაფვას წმიდა ცხოვრებისკენ. ღმერთის ღვთაებრივი ძალის გამო (მუხლები 3-4), ჩვენ „ყოველი ღონე ვიხმაროთ“, რომ გავიზარდოთ (მუხლები 5-8). ჩვენი სწრაფვა სიწმიდისკენ არ არის ლეგალიზმი; ეს გარდაქმნილი გულის ბუნებრივი სურვილია. თუ ჩვენ ნამდვილად ღვთის შვილები ვართ, გვენდომება გავიზარდოთ სიწმიდეში. თუ ჩვენ ნამდვილად ღვთის შვილები ვართ, გვენდომება ვიხილოთ ღვთის განზრახვის შესრულება ჩვენს ცხოვრებაში.

### როგორ ვიცხოვრო წმიდა ცხოვრებით? „არა მე, არამედ ქრისტე“

ფილიპიელ ქრისტიანებს პავლემ წერილში მიუთითა იესოზე, როგორც იმ დამოკიდებულების მაგალითზე, რომელიც მათ უნდა გამოეჩინათ. ქრისტემ „თავი დაიმდაბლა და მორჩილი გახდა სიკვდილამდე და თანაც ჯვარცმით სიკვდილამდე“

(ფილიპელთა 2:8). პავლეს სურდა, რომ ამ მოწმუნებს გაეგოთ, რომ გზა ღვთის შვილებისთვის თავმდაბლობის გზაა და არა თვითრეკლამისა. ჩვენ უნდა გვქონდეს „ქრისტეს გონება.“

ჩვენ შეიძლება გვქონდეს ცდუნება, ვუპასუხოთ: „რა თქმა უნდა, იესომ სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრა. ის ღვთის ძე იყო. მაგრამ ეს არ მეხმარება. მე არ ვარ იესო!“ როგორ შეგვიძლია მივყვეთ ქრისტეს მაგალითს? პავლე ასწავლიდა, რომ ქრისტეს სული ცხოვრობს მოწმუნეში.

პავლე ახალგაზრდა ქრისტიანებს სწერდა: „ხოლო თქვენ, ხორცში კი არ ხართ, არამედ სულში, თუ ღვთის სული ცხოვრობს თქვენში. ხოლო ვისაც ქრისტეს სული არა აქვს, ის მისი არ არის“ (რომაელთა 8:9). ჩვენ ვცხოვრობთ წმინდა ცხოვრებით არა ჩვენი ძალებით, არამედ სულიწმიდის ძალით.

პავლეს პირადი მოწმობა აჩვენებს ამ გარდაქმნას. პავლე მიუთითებს მის ცხოვრებაზე, როგორც ფარისეველზე, რომელიც ცდილობს შეასრულოს რჯულის მოთხოვნები საკუთარი ძალით. მას ახსოვს დრო, როდესაც მას ჰქონდა სურვილი, მაგრამ არა უნარი მოქცეულიყო სწორად. ის ამბობს: „მე კი აღარ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემში იმყოფება“ (რომაელთა 7:17). პავლეს ძალისხმევა ყოფილიყო მართალი საკუთარი ძალებით, განწირული იყო წარუმატებლობისთვის.

ქრისტესთან შეხვედრის შემდეგ პავლეს მოწმობა შეიცვალა „არა მე, არამედ ცოდვა“ - დან „არა მე, არამედ ქრისტე“ - მდე (გალატელთა 2:20). პავლეს შეეძლო ეცხოვრა გამარჯვებული ქრისტიანული ცხოვრებით, რადგან ქრისტე ახლა მასში ცხოვრობდა.

პავლე ამხნევებდა კორინთელებს: „საკუთარი თავი გამოარკვიეთ. ნუთუ არ იცნობთ საკუთარ თავს, რომ იესო ქრისტე თქვენშია?“ (2 კორინთელთა 13:5). ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ ქრისტეს მსგავსი, რადგან ქრისტე ცხოვრობს ჩვენში. ლუთერანმა თეოლოგმა დიტრიხ ბონჭოფერმა ასე თქვა: იყო ქრისტიანი ნიშნავს იმას, რომ „ზუსტი ადგილი, რომელიც ოდესღაც ძველმა კაცმა დაიკავა, ახლა იესო ქრისტეს უკავია“ (დიტრიხ ბონჭოფერი, ეთივა (New York: Macmillan, 1965), 41).

ქრისტე ცხოვრობს ჩვენში, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ იგივე პრინციპი: „ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეში.“ პავლეს ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ფრაზაა „ქრისტეში.“ პავლე თავის წერილებში 150-ზე მეტჯერ აქვს გამოყენებული ფრაზები „ქრისტეში“, „მასში“, „რომელშიც“ ან „ძეში. პავლე არაერთხელ მიუთითებს ჩვენს ადგილს ქრისტეში, როგორც ქრისტიანული ცხოვრების საიდუმლო. ყოველდღიური გამარჯვება მოდის იმიტომ, რომ ჩვენ ქრისტეში ვართ.

ჩვენი ძველი ცხოვრებით ვცხოვრობდით „ადამში“, ჩვენს დაცემულ ცოდვილ „მე“- ში. ჩვენი ახალი ცხოვრებით ვცხოვრობთ „ქრისტეში“, აღმდგარი უფლის ძალით, რომელიც გვაძლევს ყოველდღიურ გამარჯვებას ცოდვაზე.

- ადამში სიბნელეში დავდიოდით; ქრისტეში ჩვენ სინათლეში დავდივართ.
- ადამში ჩვენ ვიყავით ცოდვის მონები; ქრისტეში ჩვენ სიმართლის მონები ვართ.
- ადამში ხორციელი ცოდვები გვახარებდა; ქრისტეში ჩვენ „შემოსილნი ვართ ახლით, რომელიც განახლებულია შემეცნებით მისი შემოქმედის ხატისამებრ“ (კოლასელთა 3:10).

ეს გაგება გადამწყვეტია გამარჯვებული ცხოვრებისათვის. როდესაც ჩვენ საკუთარ თავს ვხედავთ ადამში („ნაპატიები ცოდვილები“, რომლებიც ცოდვის მონობაში ცხოვრობენ), ჩვენ განუწყვეტლივ ჩავვარდებით განსაცდელში. როდესაც ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავს ქრისტეში („გარდაქმნილი წმინდანები“, რომლებსაც აქვთ ძალა ქრისტეს მეშვეობით), ჩვენ ვიცხოვრებთ ცოდვაზე გამარჯვებით. პავლემ კოლასელ ქრისტიანებს უთხრა წმიდა ცხოვრების საიდუმლო: „ამიტომ როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში“ (კოლასელთა 2:6). როდესაც ქრისტეში დავდივართ, ჩვენ წმიდები ვხდებით.

ზოგიერთ ადამიანს წარმოუდგენია სიწმიდე, როგორც გრიპის აცრა, რომელსაც ექიმი გიკეთებთ ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად. ისინი ფიქრობენ, რომ როდესაც ღმერთს ვთხოვთ, გაგვწმიდოს, ის გვიკეთებს „წმიდა ნევსს“, რომელიც ხელს გვიშლის ვიყოთ ცოდვილები. მათ მიაჩნიათ, რომ ღმერთის მიერ განწმედის შემდეგ, ჩვენ წმიდა ცხოვრებით ჩვენი ძალისხმევით ვცხოვრობთ.

ბიბლიაში არსად არის ნაჩვენები მსგავსი სურათი. ამის ნაცვლად, ჩვენ ვცხოვრობთ „ქრისტეში.“ ჩვენ წმიდები ვართ „ქრისტეში“. ჩვენ „განთავისუფლებულნი ვართ ქრისტე იესოში ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“ (რომაელთა 8:2). ჩვენ „განწმედილები ვართ ქრისტე იესოში“ (1 კორინთელთა 1:2). ჩვენ არ ვართ წმიდები ჩვენი სასოწარკვეთილი მცდელობებით, მივბამოთ იესოს საკუთარი ძალებით. ჩვენ წმიდები გავხდით იესოსთვის, ჩვენში ცხოვრების ნების მიცემით. ასე რომ, „ვინც იკვეხნის, დაიკვეხნოს უფლით“ (1 კორინთელთა 1:31).

პავლე მოწმობდა:

ქრისტესთან ერთად ვარ ჯვარცმული! მე უკვე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცოცხლობს ჩემში. ახლა რომ სხეულში ვცხოვრობ, რწმენით ვცოცხლობ, ღვთის ძეში, რომელმაც შემიყვარა და თავი მისცა ჩემთვის (გალატელთა 2:20).

„წმიდა ცხოვრების საიდუმლო არ არის იესოს მიბაძვაში, არამედ იმაში, რომ იესოს სიწმიდე გამოვლინდეს ჩემში.“  
- ოსვალდ ჩემბერსი

პავლეს მოწმობა შეიძლება ასე ითარგმნოს: „ცხოვრება, რომელსაც ახლა ვცხოვრობ სხეულში, ვცხოვრობ ღვთის ძის რწმენით.” პავლეს არ დაუყოვნებია სიწმინდისკენ მოწოდება სიკვდილამდე. პავლე მოწმობს, რომ ის წმიდა ცხოვრებით ცხოვრობს „ახლა“. როგორ ცხოვრობს ის წმიდა ცხოვრებით? ღვთის ძის რწმენით. პავლე წმიდა ცხოვრებით ცხოვრობდა მხოლოდ იმიტომ, რომ „მე აღარ ვცოცხლობ, არამედ ქრისტე ცხოვრობს ჩემში.”

პავლეს გამონათქვამები იდენტურია იესოს სწავლებასთან, რომელიც იოანეს მე-15 თავშია მოცემული.

მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ (იოანეს 15:5).

სიწმიდე არ არის ობიექტი, რომლის მიღებაც შესაძლებელია ქრისტეში ჩვენი ცხოვრებისგან განცალკევებით; სიწმიდე არის ურთიერთობის შენარჩუნება. ჩვენ ცოცხლები ვართ, რადგან ვაზთან ვართ დაკავშირებულნი. ჩვენ წმიდა ცხოვრებით მხოლოდ ქრისტეში ვცხოვრობთ. წმიდა ღმერთი მკვიდრობს ჩვენში და ჩვენ წმიდები ვართ, როდესაც მასთან ერთად დავდივართ.

„ვინაიდან თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში” (კოლასელთა 3:3). წმიდა ცხოვრება ჩვენი ძალებით არ მიიღწევა; წმიდა ცხოვრება „დაფარულია ქრისტესთან ღმერთში.” ჩვენ წმინდა ცხოვრებით ვცხოვრობთ, ყოველდღე ქრისტეს გონებით ცხოვრებით. როდესაც „ქრისტეში“ დავდივართ, ჩვენ გვაქვს ძალა ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით ცოდვილ სამყაროში. ჩვენ გვაქვს ძალა ვიყოთ წმიდები ყოველდღიურ ცხოვრებაში. აი რას ნიშნავს იყო წმიდა.

### სიწმიდე პრაქტიკაში: ცხოვრება გამარჯვებული ცხოვრებით

წმიდა ცხოვრების შესახებ გზავნილი მშვენიერია. თუმცა, მოძღვრებას, რომლითაც არ შეიძლება იცხოვრო ყოველდღიურ ცხოვრებაში, მცირე პრაქტიკული ღირებულება აქვს. შესაძლებელია იცხოვრო განზრახ ცოდვაზე გამარჯვებული ცხოვრებით, თუ წმიდა ცხოვრების შესახებ გზავნილი უბრალოდ ოცნებაა?

### ცოდვაზე გამარჯვება შესაძლებელია?

პავლემ დაგვპირდა, რომ ჩვენ „ყოველივე ამას ვძლევთ ჩვენი მოყვარულის მეშვეობით” (რომაელთა 8:37). რა თქმა უნდა, ქრისტეში გამარჯვებული ცხოვრების ეს დაპირება მოიცავს ცოდვის ძალაზე გამარჯვებასაც. თუკი შესაძლებელია განზრახ ცოდვაზე ყოველდღიურ გამარჯვებაში ცხოვრება, რატომ ვერ ახერხებს ამდენი ქრისტიანი ამ გამარჯვებაში ცხოვრებას? რა არის სულიერი დამარცხების ზოგიერთი მიზეზი?

## **ჩვენ დამარცხებულები ვიქნებით, თუ არ გვწამს, რომ გამარჯვებით ცხოვრება შესაძლებელია**

დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი ქრისტიანი არ ცხოვრობს გამარჯვებული ცხოვრებით იმიტომ, რომ დარწმუნებულები არიან, რომ გამარჯვებული ცხოვრება შეუძლებელია. მათ მოისმინეს ქადაგებები, რომლებიც გვასწავლიან, რომ ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ჩავარდეთ განზრახ ცოდვაში და მათ ხელი აქვთ ჩაქნეული, რომ ცოდვაზე რამენაირად გამარჯვებას მოიპოვებენ. თუ გვსურს ვიცხოვროთ ცოდვაზე გამარჯვებით, სერიოზულად უნდა მივიღოთ იოანეს მოწოდება: „ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ” (1 იოანეს 2:1). იოანე ქრისტიანებს სწერდა დარწმუნებით, რომ მათთვის შესაძლებელი იყო გამარჯვებული ცხოვრება. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს იმედი რწმენით, რათა გვქონდეს ნდობა ცდუნების წინაშე.

## **ჩვენ დავმარცხდებით, თუ დავეყრდნობით წარსულ სულიერ გამოცდილებას ან უკლესიის სტატუსს**

ზოგიერთი ადამიანი წმიდა ცხოვრებას განიხილავს, როგორც ერთჯერად გამოცდილებას, რომელიც არ საჭიროებს მუდმივ დისციპლინას ან ძალისხმევას. მათ მიაჩნიათ, რომ როგორც კი დაამოწმებენ: „ღმერთმა განწმიდა ჩემი გული რწმენით და გამხადა წმიდა“ სხვა არაფერია გასაკეთებელი. თუმცა, როგორც პავლემ აჩვენა, ჩვენ უნდა განვაგრძოთ „სწრაფვა მიზნისკენ.“ ცოდვაზე გამარჯვება მოითხოვს დისციპლინაში მუდმივ ცხოვრებას. მე უნდა გავაგრძელო ცოდვაზე „არა“-ს თქმა, რათა ღმერთს „კი“ ვუთხრა.

იესოს ცდუნების შესახებ ზოგიერთი ქადაგება მთავრდება იესოს გამარჯვებით სატანის ცდუნებაზე. თუმცა, ლუკა ამბის თხრობას ამთავრებს მნიშვნელოვანი დასკვნითი განცხადებით: „როცა ყველა გამოცდა დაასრულა, დრომდე გაშორდა მას ეშმაკი“ (ლუკას 4:13). ეს არ იყო უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც იესო განიცდიდა ცდუნებას. მიუხედავად იმისა, რომ სახარებებში არ არის ჩაწერილი შემდგომი ცდუნებების დეტალები, ლუკა ცხადყოფს, რომ სატანა კვლავაც განიზრახავდა იესოს ცდუნებას.

არასოდეს უნდა ვივარაუდოთ, რომ მივაღწიეთ სულიერი სიმწიფის წერტილს, საიდანაც ვერასოდეს ჩამოვარდებით. ამის ნაცვლად, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი სხეულის და გონების დაცვა. სატანას უყვარს თავდასხმა იმ მომენტში, როდესაც ჩვენ ვამცირებთ ჩვენს დაცვას. წმიდა ცხოვრება მოითხოვს ყურადღებას, სიფხიზლეს.

პასტორები და ეკლესიის წინამდობლები შეიძლება ცდუნდნენ, დაეყრდნონ ჩვენს სოციალურ სტატუსს სულიერი გამარჯვებისთვის. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმის გამო, რომ ვქადაგებთ ჭეშმარიტებას და ვგრძნობთ ღვთის ცხებულებას, არ შეიძლება დავეცეთ. თუმცა, შესაძლებელია კვირა დღეს ქადაგება და ორშაბათს სატანის ცდუნებაში ჩავარდნა. ჩვენ არასდროს უნდა დავეყრდნოთ ჩვენს წარსულ გამოცდილებას ან ჩვენს პოზიციას ეკლესიაში.

## **ჩვენ დავმარცხდებით, თუ ვეცდებით ვიცხოვროთ ქრისტიანული ცხოვრებით ჩვენი ძალით**

გამარჯვებული ცხოვრება მოდის არა ჩვენი ძალით, არამედ სულიწმიდის ძალით. წმიდა ცხოვრება, ყოველდღიური ცხოვრებაა სულის უწყვეტი ძალით. ჩვენ ვერასოდეს მივაღწევთ იმ დონეს, როდესაც საკუთარი ძალებით შეგვეძლება დავძლიოთ სატანის ცდუნება. პეტრე ტრაბახობდა: „თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მე მაინც არა... თუნდაც მოვკვდე შენთან ერთად, მაინც არ უარგყოფ” (მარკოზის 14:29-31). მას სჯეროდა, რომ შეეძლო სატანის თავდასხმების საკუთარი ძალით შეწინააღმდეგება. ის მალევე დამარცხდა.

თუმცა, როდესაც ჩვენ სულის ძალით ვცხოვრობთ, ის გვაძლევს გამარჯვებას ცდუნებაზე. ისევე, როგორც იესომ დაძლია ცდუნება სულის ძალით, ჩვენც შეგვიძლია გავუმკლავდეთ ცდუნებას სულის ძალით.

და ისევ, პასტორებს და ეკლესიის ლიდერებს შეიძლება გაუჩნდეთ ცდუნება, დაეყრდნონ საკუთარ ძალისხმევას. საზოგადოებრივი ლოცვის გაძლოლის შემთხვევაში, ჩვენ შეიძლება ვეღარ დავუთმოთ დრო ღმერთთან პირად ურთიერთობას. როდესაც ვსწავლობთ ღვთის სიტყვის საჯაროდ გამოცხადებას, შეიძლება დაგვვავიწყეს დროის დათმობა, რომ მოვისმინოთ ღმერთის ხმა, მისი სიტყვის მეშვეობით. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ჩვენი მსახურების ძალისხმევამ შეამციროს ჩვენი დამოკიდებულება ღმერთთან ერთად პირად სიარულსა და მისი სულის ძალაზე, სულიერი გამარჯვებებისთვის.

### **თუ დავეცით**

იოანემ მორწმუნებს ცოდვაზე გამარჯვებისკენ მოუწოდა. „შვილებო! ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ” (1 იოანეს 2:1). შესაძლებელია სულიერი დაცემის გარეშე ცხოვრება. თუმცა, იოანემ ცოდვაში ჩავარდნილთათვის იზრუნა: „ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე” (იქვე.). ეს ბალანსი მნიშვნელოვანია და ხშირად იგნორირებული.

ერთ მხარეს არიან ისეთებიც, რომლებიც ხაზს უსვამენ ამ მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს: „ამას გწერთ იმისთვის, რომ არ შესცოდოთ.” ისინი ქადაგებენ, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვიცხოვროთ განზრახ ცოდვის გარეშე. თუმცა, მათ არ აქვთ გზავნილი მათთვის, ვინც სისუსტის მომენტში მარცხდება.

მეორეს მხრივ, ბევრია, ვინც ხაზს უსვამს ამ მუხლის მხოლოდ ბოლო ნაწილს: „ხოლო თუ ვინმე შესცოდავს, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე - მართალი იესო ქრისტე.” ისინი გულისხმობენ, რომ გამარჯვებული ცხოვრება შეუძლებელია და ამიტომ ჩვენ მუდმივად უნდა ჩავარდეთ ცოდვაში.

იოანე უზრუნველყოფს სათანადო ბალანსს. ჯერ ერთი, გამარჯვებული ცხოვრება შესაძლებელია; მე არ უნდა დავემორჩილო სატანის ცდუნებას. მაგრამ მეორეს მხრივ, თუ სისუსტის მომენტში ჩავარდები, მყავს შუამდგომელი. მე არ უნდა მივატოვო ჩემი ქრისტიანული გზა. არ მჭირდება სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. დიახ, ღმერთი დამსჯის. მაგრამ ის დამსჯის, როგორც მოსიყვარულე მამა სჯის შვილს, რათა მან „შემდგომში მშვიდობიანი ნაყოფი გამოვიღო.“ ის გვწვრთნის „ჩვენი სარგებლობისთვის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმიდეში“ (ებრაელთა 12:10, 11).

სატანას სურს ქრისტიანები დაგვარწმუნოს, დავეყრდნოთ ჩვენს ქმედებებს, როგორც საშუალებას ვასიამოვნოთ ღმერთს. მას სურს დაგვავიწყოს, რომ ჩვენ შევურიგდით ღმერთს და ახლა მისი შვილები ვართ. როდესაც ცოდვილები ვიყავით, „მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს.“ ყურადღება მიაქციეთ შემდეგს: „მითუმეტეს შერიგებულნი, გადავრჩებით მისი სიცოცხლით“ (რომაელთა 5:10).


როგორც ცოდვილებმა, ჩვენ არ დავიმსახურეთ ღვთის კეთილგანწყობა; მან შეგვირიგა თავისთან თავისი ძის სიკვდილით. ახლა, პავლე ამბობს, „მითუმეტეს შერიგებულნი, გადავრჩებით მისი სიცოცხლით!“ ზოგიერთ ქრისტიანს, როგორც ჩანს, სჯერა, რომ „მე მადლით ვარ გადარჩენილი რწმენის მეშვეობით, მაგრამ ვინარჩუნებ ხსნას იმით, რომ საკმარისად კარგი ვარ, რომ დავიმსახურო ღვთის სიყვარული.“

ეს იგივეა, მშობელმა რომ თქვას: „დიახ, მე იმდენად მიყვარდი, რომ ამქვეყანაზე მოგავლიანე, მაგრამ ახლა ჩემი სიყვარული ყოველდღიური საქმეებით უნდა დაიმსახურო.“ ასეთი არ არის მოსიყვარულე მშობელი! და ასეთი არ არის ჩვენი მოსიყვარულე ზეციერი მამა.

პირიქით, როგორც ღვთის მადლს ვეყრდნობოდი, რომელმაც თავიდან სულიერ ცხოვრებაში მომიყვანა, ასევე ვეყრდნობი მადლს, რომ სულიერად ვიცხოვრო. და თუ დავეცემი, ისევ ღვთის მადლს უნდა დავეყრდნო, რომ სულიერი ჯანმრთელობა დამიბრუნოს.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ჰადსონ ტეილორი

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მისიონერი იყო ჰადსონ ტეილორი, ჩინეთის შიდა მისიის დამფუძნებელი. ტეილორი მოქცეულ იქნა 17 წლის ასაკში, მისი მეთოდისტი დედის ლოცვების



შედეგად, ის მედიცინას სწავლობდა და მისიონერად ჩინეთში 21 წლის ასაკში გაემგზავრა.<sup>29</sup>

როდესაც ის 28 წლის იყო, ჰეპატიტის გამო ინგლისში დაბრუნდა. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ის ეძებდა ღვთის ხელმძღვანელობას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ღმერთს სურდა, რომ მას მისიონერები შეეკრიბა, რათა ისინი არაევანგელიზებულ შიდა ჩინეთში გამგზავრებულიყვნენ. 34 წლის ასაკში ჰადსონ ტეილორი, მის მეუღლე მარიასთან, შვილებთან და თექვსმეტი სხვა მისიონერისგან შემგარ ჯგუფთან ერთად გაემგზავრნენ ჩინეთში.

ჰადსონ ტეილორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გამონათქვამია: „ღმერთის გზებით შესრულებულ მის საქმეს არასოდეს მოაკლდება ღვთისგან მომარაგება.” ჩვენ ამას ხშირად განვმარტავთ, როგორც განცხადებას ფულის შესახებ, მაგრამ ტეილორისთვის ეს ბევრად მეტი იყო. მას სჯეროდა, რომ ღმერთი მისცემდა ფულსაც, გარანტიასაც, რწმენასაც, მშვიდობასაც, ძალასაც და ყველაფერს, რაც საჭიროა მისი ნების შესასრულებლად. ხუთი ათწლეულის განმავლობაში, ჩინეთის შიდა მისიის ლიდერმა - ჰადსონ ტეილორმა ეს დაპირება არაერთხელ ნახა შესრულებული.

1869 წელს ტეილორმა დიდი კრიზისი განიცადა მის სულიერ ცხოვრებაში. ის ებრძოდა ცდუნებებს და წარუმატებლობას. მან დედას მისწერა: „არასდროს მეგონა, რომ ასეთი ცუდი გული მქონდა.” მაგრამ მან ასევე დაწერა: „ვიცი, რომ მიყვარს ღმერთი და მიყვარს მისი საქმე და მინდა მხოლოდ მას ვემსახურო ყველაფერში. და დამებმაროს ღმერთი, რომ უფრო მეტად მიყვარდეს ის და უკეთ ვემსახურო.”

1869 წლის 4 სექტემბერს ჰადსონ ტეილორმა დაამოწმა, რომ ღმერთმა თავისი სული ახალი გზით გადმოღვარა მის ცხოვრებაში. ტეილორმა მისწერა კოლეგას: „ღმერთმა ახალ კაცად მაქცია!” ტეილორის ახალი დარწმუნების გასაღები მის ცხოვრებაში ღმერთის არსებობის შესახებ იყო წინადადება თანამემამულე მისიონერის, ჯონ მაკვარტის წერილში. ტეილორი თავისი ძალისხმევით ცდილობდა მიეღო უფრო ღრმა რწმენა და ღმერთის თანდასწრების გარანტია. მაკარტი წერდა: „როგორ გავაძლიეროთ ჩვენი რწმენა? არა რწმენისკენ სწრაფვით, არამედ ერთგულზე დაყრდნობით.”

ტეილორმა თავის დას მისწერა,

როდესაც წავიკითხე, ყველაფერი დავინახე! “თუ ჩვენ არ გვჯერა, ის მაინც ერთგული რჩება.” შევხედე იესოს და დავინახე (და როდესაც დავინახე, ოჰ, როგორ მოედინებოდა სიხარული)! რაც მან თქვა: „არასოდეს მიგატოვებ.”

<sup>29</sup> Image: "HudsonTaylorin1893", The Story of The China Inland Mission (1893), retrieved from <https://commons.wikimedia.org/wiki/File:HudsonTaylorin1893.jpg>, public domain.

„ეჭ, აი ეს არის დასვენება! ” ვიფიქრე. „ამაოდ ვცდილობდი მასში დასვენებას. აღარ ვეცდები მეტს. განა არ დამპირდა, რომ დარჩებოდა ჩემთან, არასოდეს მიმატოვებდა, არასოდეს დამტოვებდა? და, ძვირფასო, ის არასოდეს გააკეთებს ამას.

მე დავინახე არა მხოლოდ ის, რომ იესო არასოდეს მიმატოვებს, არამედ რომ მევარ მისი სხეულის, მისი ხორცისა და მისი ძვლების ნაწილი. ვაზი არ არის მხოლოდ ფესვი, არამედ ყველაფერი - ფესვი, ღერო, განშტოებები, ტოტები, ფოთლები, ყვავილები, ნაყოფი და იესო მარტო არ არის - ის არის მიწა და მზე, ჰაერი და წვიმები და ათიათასჯერ მეტი ვიდრე ოდესმე გვიოცნებია, გვინდოდა ან გვჭირდებოდა. ო, რაოდენ დიდია ამ ჭეშმარიტების ხილვის სიხარული! მე ვლოცულობ, რომ შენი გონების თვალებიც აგეხილოს, რომ შეიმეცნო და ისარგებლო ქრისტეში უსასყიდლოდ მონიჭებული სიმდიდრით.

ამ მომენტში ტეილორმა გააცნობიერა, რომ ქრისტეს მსგავსება მოდის არა ძალისხმევით, არამედ ვაზთან შეერთებით, რომელიც სიცოცხლეს იძლევა. ეს ხდება ქრისტესთან გაიგივების გზით. მოგვიანებით მისმა ვაჟმა დაწერა: „მან დიდი ხანია იცოდა მიძღვნა, მაგრამ ეს უფრო მეტი იყო; ეს იყო ახალი მორჩილება, სიხარულით, უპირობოდ გადაცემა საკუთარი თავის და ყველაფრისა, მისთვის.”

ეს არ იყო დროებითი ემოციური გამოცდილება. ოცდაათი წლის შემდეგ, ტეილორმა უკან მიიხედა და დაწერა: „არასდროს დავივიწყებთ კურთხევას, რომელიც მივიღეთ იოანეს 4:14-ში მოცემული სიტყვებით: „ვინც იმ წყალს დალევს, რომელსაც მე მივცემ, საუკუნოდ აღარ მოსწყურდება.” როდესაც მივხვდით, რომ ქრისტე სიტყვასიტყვით გულისხმობდა იმას, რაც მან თქვა - რომ „საუკუნოდ” ნიშნავდა, საუკუნოდ, „აღარ” ნიშნავდა აღარ და „მოსწყურდება” ნიშნავდა მოსწყურდებას - ჩვენი გული სიხარულით აივსო, როდესაც ჩვენ მივიღეთ ეს საჩუქარი.” ყურადღება მიაქციეთ ფრაზას: „როდესაც ჩვენ მივიღეთ ეს საჩუქარი.” ტეილორს ესმოდა, რომ ღვთის მიერ ჩვენი განწმედის მადლი არის საჩუქარი, რომელიც უნდა მიიღოთ და არა მიაღწიოთ.

ღვთის მადლის ამ განცდამ არ გაუადვილა ტეილორს დარჩენილი ცხოვრება. შემდეგი წელი მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული წელი იყო. ამ წელს მარია 33 წლის ასაკში და მისი ორი შვილი გარდაიცვალნენ. მოგვიანებით, ტეილორი ხელმძღვანელობდა ჩინეთის შიდა მისიას, იჰეტუანის აჯანყების ტერორის პირობებში. მისიის სამოცდაცხრამეტი წევრი იქნა მოკლული იმ საშინელი დღეების განმავლობაში.

მაგრამ ამ ყველაფრის მიღმაც კი ტეილორი დარწმუნებული იყო თავის რწმენაში, რომ ღმერთი უზრუნველყოფდა ყველაფრით, რაც საჭირო იქნებოდა. საეპისკოპოსო მღვდელმა, რომელიც ეწვია ტეილორს რთულ დროს, წერდა: „ის იყო თითქმის სამოცი წლის კაცი,

რომელმაც უზარმაზარი ტვირთი იტვირთა, მაგრამ სრულიად მშვიდი და აუღელვებელი.” რატომ? იმიტომ, რომ ტეილორი ერთიანი იყო ვაზთან და ის მოსვენებული იყო ქრისტეში. ის იყო, ვინც „ემსახურება, ღვთის მიერ მინიჭებული ძალით, რათა ღმერთი განდიდდეს ყველაფერში იესო ქრისტეს მიერ” (1 პეტრეს 4:11).

ეს გამოცდილება ტეილორისთვის სულიერი ზრდის დასასრული არ ყოფილა. მისი „ქრისტეში მოსვენება“ არც იმას ნიშნავდა, რომ არანაირი ძალისხმევა არ ყოფილა. ყოველ დილით, მსახურების ზეწოლის მიუხედავად, ტეილორი ორ საათს ატარებდა ლოცვასა და ბიბლიის შესწავლაში, სანამ სამუშაოს დაიწყებდა. მას პავლესთან ერთად ესმოდა, რომ ჩვენ უნდა „ვისწრაფოდეთ მიზნისკენ.“ მაგრამ ეს იყო ძალისხმევა, რომელიც ეყრდნობოდა ღვთის ძალას და არა პადსონ ტეილორის ძალას. ახლა ტეილორმა იცოდა, რომ ბიბლიის შესწავლის დასაწყებად საწოლიდან ადგომაც კი იყო ღვთის ძალი, რომელიც ძალას ანიჭებდა. მას შეეძლო ქრისტეს მსგავსი ყოფილიყო, რადგან ის იყო „ქრისტეში.“

ტეილორის ვაჟს გაახსენდა მისი ლოცვითი ცხოვრება და სიტყვა. ქრისტეში მოსვენება არ ნიშნავს იმას, რომ ტეილორმა უგულებელყო სულიერი დისციპლინის აუცილებლობა.

მისთვის გამარჯვების საიდუმლო ღმერთთან ყოველდღიურ, საათობრივ ზიარებაში იყო; და ეს, მან აღმოაჩინა, რომ შეიძლებოდა მხოლოდ ფარული ლოცვითა და სიტყვით საზრდოობით შენარჩუნებულიყო, რომლის მეშვეობითაც ის უცხადებს თავის თავს მომლოდინე სულს. მის ცვალებად ცხოვრებაში ბატონი ტეილორისთვის არ იყო მარტივი ლოცვისა და ბიბლიის შესწავლისთვის დროის გამონახვა, მაგრამ მან იცოდა, რომ ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ხშირად განკარგულებაში მხოლოდ ერთი დიდი ოთახი ჰქონდათ, რომელშიც კუთხეს მამისთვის რაღაც ფარდებით ფარავდნენ და მეორე ნახევარს თავისთვის იყენებდნენ; და მას შემდეგ, რაც ძილი საბოლოოდ სიჩუმეს მოიტანდა, მათ ესმოდათ ასანთის გაკვრის ხმა და ხედავდნენ სანთლის ციმციმს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბატონი ტეილორი, როგორი დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, ათვალიერებდა პატარა ბიბლიას ორ ტომად, რომელიც ყოველთვის ხელთ ქონდა. ღამის ორიდან ოთხამდე იყო დრო, რომელსაც ჩვეულებრივ ლოცვას უთმობდა; დრო, როდესაც ის ყველაზე მეტად დარწმუნებული იყო, რომ არავინ შეაწუხებდა ღმერთის მოლოდინში... ბატონმა ტეილორმა აღმოაჩინა, რომ მისიონერული კარიერის ყველაზე რთული ნაწილი არის ბიბლიის რეგულარული შესწავლა და ლოცვითი ცხოვრება. „სატანა ყოველთვის იპოვის რაღაცას, რომ დაგაკავოსო, - იტყოდა ის, - როდესაც ლოცვითა და წმიდა წერილით უნდა იყო დაკავებული“.

დღესდღეისობით 1600 მისიონერი მუშაობს OMF International-ში, რომელიც არის ჩინეთის შიდა მისიის მემკვიდრე. მიღიონობით ჩინელი მორწმუნე იქნა მიყვანილი ქრისტესთან ამ მისიის მსახურების მეშვეობით. ეს არის იმ კაცის ნაყოფი, რომელიც ცხოვრობდა ქრისტესთან ერთობაში.<sup>30</sup>

---

<sup>30</sup> მასალა ადაპტირებულია დან Dr. and Mrs. Howard Taylor, *Hudson Taylor's Spiritual Secret*

## მე - 10 გაკვეთილის მიმოხილვა

(1) მოციქულები ყოველ ქრისტიანს სიწმიდისკენ მოუწოდებდნენ.

(2) იყო წმიდა ნიშნავს იყო ქრისტეს მსგავსი.

- იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს წმიდა გული: ქრისტეს მსგავსი გული და გონება.
- იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს წმიდა ხელები: ქრისტეს მსგავსი ქცევა.
- იყო წმიდა ნიშნავს გქონდეს ქრისტეს მსგავსი სიყვარული.

(3) ეპისტოლები გვიჩვენებს, თუ როგორი იქნება სიწმინდე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

- თქვენ განიწმიდეთ; თქვენ აგრძელებთ განწმედას.
- თქვენ წმინდანები ხართ; თქვენ უნდა იცხოვროთ როგორც წმინდანებმა.
- ღმერთი გხდით წმიდას; თქვენ უნდა მისდიოთ სიწმიდეს.

(4) ჩვენ გვაქვს ძალაუფლება ვიცხოვროთ წმიდა ცხოვრებით ჩვენში მცხოვრები ქრისტეს სულის მეშვეობით.

(5) ჩვენ ვცხოვრობთ წმიდა ცხოვრებით „ქრისტეში“. ჩვენი ძველი სიცოცხლე „ადამში“ ცხოვრობდა. ჩვენი ახალი სიცოცხლე ცხოვრობს „ქრისტეში.“

(6) წმიდა ცხოვრება ეფუძნება ვაზთან მუდმივ ურთიერთობას.

## გაკვეთილის დავალებები

(1) მოამზადეთ ქადაგება თემაზე „ქრისტეს მსგავსი ცხოვრება.“ შეადარეთ ცხოვრების ორი გზა: ჩვენი ძველი ცხოვრება ადამში და ჩვენი ახალი ცხოვრება ქრისტეში. გამოხატეთ, როგორ გვაძლევს „ქრისტეში“ ყოფნა ცოდვაზე გამარჯვების ძალას.

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი ფილიპელთა 2:1–5-ის წაკითხვით.

# გაკვეთილი 11

## სიწმიდე ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობაა

### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გაიხაროს ღვთის წინასწარმეტყველური აღთქმების შესრულებით.
- (2) გააცნობიეროს, რომ ეკლესიაში ურთიერთობა მომზადებაა ზეცაში ურთიერთობისთვის.
- (3) აიღოს ვალდებულება აქტიური მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ეკლესიაში, რომელიც ხელს უწყობს სიწმიდის ზრდას.
- (4) დაიმახსოვროს გამოცხადების 21:2-3.

### იოანე: ადამიანი, რომელმაც დაინახა ღვთის გეგმის შესრულება

ეგეოსის ზღვაში მდებარე კუნძულ პატმოსზე გამგზავრება. ის არ იყო კარიბის, ან სამხრეთ წყნარი ოკეანის ულამაზესი კუნძული. ეს იყო კუნძული - ციხე. პატმოსი იყო შიშველი და განცალკევებული. იქ ნახავთ იოანეს, საყვარელ მოწაფეს, რომელიც ცხოვრობს გადასახლებაში.

იოანე მოხუცებულია. ის ერთგულად ემსახურებოდა ღმერთს და იყო წმიდა ცხოვრების ნიმუში. ის მსახურობდა ეფესოს ეკლესიაში, ზრუნავდა იესოს დაქვრივებულ დედაზე და ქადაგებდა მცირე აზიაში.

იმ ასაკში, როდესაც მას შეეძლო იესოს უკანასკნელი ცოცხალი მოწაფის პატივით ესარგებლა, იოანე გადასახლებულ იქნა კუნძულ პატმოსზე. ის მარტოსული იყო, შეიძლება გრძნობდა, რომ აღარ გამოდგებოდა ღვთის საქმეში, მაგრამ კვირა დილით, იესოს ამაღლებიდან თითქმის სამოცი წლის შემდეგ, იოანე „უფლის დღეს სულში იყო“, როცა საყვირის მსგავსი ხმა შემოესმა.

როდესაც იოანე ხმისკენ მიბრუნდა, დაინახა ქრისტე, რომელსაც სიცოცხლე მისცა. იესოს თმები თეთრი იყო, როგორც თეთრი მატყლი, როგორც თოვლი; თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი. მისი ფეხები, როგორც ქურაში გავარვარებული სპილენძი, ხოლო მისი ხმა, როგორც ბევრი წყლის ხმაური. მისი სახე იყო როგორც მზე. იოანემ იხილა „მისი დიდება, როგორც მამისგან მხოლოდშობილის დიდება, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე“ (იოანეს 1:14).

გამოცხადებაში ჩვენ იოანესთან ერთად მივემგზავრებით ზეცაში, რათა დავინახოთ ღვთის გეგმის შესრულება. წმიდა ხალხი მარადიულად იცხოვრებს წმიდა ღმერთთან განუწყვეტელ ზიარებაში.

## სრულყოფილი სამყარო

### დაკარგული სრულყოფილი სამყარო

ამ კურსის პირველ გაკვეთილზე გთხოვთ წარმოიდგინოთ ედემის ბალი შექმნის შემდგომ დღეებში. ეს იყო სრულყოფილი სამყარო. ყვავილები, ხეები და ნაყოფები იყო ყველგან. ეს იყო სამყარო ცოდვისა და მისი შედეგების გარეშე. ეს იყო სამყარო ტკივილის, ცრემლებისა და სიკვდილის გარეშე. რაც მთავარია, ეს იყო ღმერთსა და კაცობრიობას შორის სრულყოფილი ურთიერთობის სამყარო. არაფერი აშორებდა ადამიანს თავის შემოქმედს.

სამწუხაროდ, ცოდვამ დააზიანა ეს სრულყოფილი სამყარო. ყვავილებს შორის ევლები გაიზარდა. მშვიდობიანი ცხოველები გახდნენ საშიში მტაცებლები. ადამიანმა გადაიტანა ტანჯვა, ტკივილი და სიკვდილი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაირღვა ღმერთსა და ადამიანს შორის სრულყოფილი ურთიერთობა. ცოდვის გამო ადამიანი განიდევნა ედემის ბალიდან და აეკრძალა სიცოცხლის ხესთან წვდომა. აღმოჩნდა, რომ სატანამ დაარღვია ღვთის გეგმა თავისი ხალხისთვის.

### დაპირებული სრულყოფილი სამყარო

მაგრამ ეს არ იყო დასასრული. მთელ წმიდა წერილში ღმერთი გვიჩვენებს თავის გეგმას, რათა შექმნას მისი მსგავსი ხალხი; მას სურს შექმნას წმიდა ხალხი. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები დაგვპირდნენ, რომ ღმერთი ერთ დღეს განწმედდა თავის ხალხს და დააბრუნებდა მათ წმიდა ადგილას. იოანე მახარებელი არაერთხელ მიუთითებს ამ აღთქმების შესრულებაზე.

ეზეკიელმა დაინახა დღე, როდესაც ღმერთი დამკვიდრდება თავის წმიდა ხალხში.

ჩემი სამყოფელი იქნება მათთან; მათი ღმერთი ვიქნები, ისინი კი ჩემი ხალხი იქნებიან. მაშინ გაიგებენ ერები, რომ მე ვარ უფალი, ისრაელის განმწმედელი, როცა ჩემი საწმიდარი იქნება მათ შორის საუკუნოდ (ეზეკიელის 37:27-28).

### ლოცვა სიწმიდისთვის

„მოგვიყვანე, უფალო,  
ჩვენი უკანასკნელი  
გამოღვიძებისას  
სახლში და სამოთხის  
კარიბჭეში,  
რომ შევიდეთ იმ  
კარიბჭეში და  
დავსახლდეთ იმ სახლში  
სადაც არ იქნება  
სიბნელე, არამედ  
მხოლოდ ნათელი;  
სადაც არ არის ხმაური,  
არამედ მხოლოდ  
მუსიკა; მას არ აქვს არც  
დასასრული და არც  
დასაწყისი, არამედ  
მარადისობაა შენი<sup>1</sup>  
დიდებისა და  
ბატონობის  
საცხოვრებელში,  
უსასრულო სამყაროში.”  
- ადაპტირებულია ჯონ  
დონისგან

ღმერთი განწმედს ისრაელს; თავის ხალხს წმიდას გახდის. ის დამკვიდრდება თავის ხალხში. ეზეკიელის 37:27-ს აღთქმა სრულდება გამოცხადების 21:3-ში.

აპა, ღმერთის კარავი კაცთა შორისაა, ის დამკვიდრდება მათ შორის; იქნებიან ისინი მისი ხალხები და თვით ღმერთი იქნება მათთან.

ღმერთის საბოლოო განზრახვა შესრულდება, როდესაც ის დამკვიდრდება თავის წმიდა ხალხში. ეზეკიელის მსგავსად, ზაქარიამ იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც შესრულდებოდა ღვთის განზრახვა თავისი ხალხის მიმართ. ღმერთმა აღუთქვა: „დავმკვიდრდები შენს წიაღში” (ზაქარიას 2:10-11).

ზაქარიას მე-3 თავი ასახავს ღვთის გეგმას თავისი ხალხისთვის. ზაქარიას ხილვაში მღვდელმთავარს დასვრილი სამოსი ეცვა, რაც წარმოადგენდა ისრაელის უწმიდურებას. ღმერთი ერთ დღეს განწმედს თავის ხალხს; ისრაელის დასვრილ სამოსელს წმიდა ბისონით შეცვლის.

მიუგო და უთხრა ანგელოზმა თავის წინაშე მდგომთ: გახადეთ გაბინძურებული სამოსელი! კიდევ უთხრა: აპა, განგაშორე უკეთურება და საზეიმო სამოსელით შეგმოსე” (ზაქარიას 3:4).

ზაქარიას წიგნის ბოლო მუხლები შეიცავს ძველ აღთქმაში ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ სურათს.

იმ დღეს ცხენთა მოსართავებზეც კი წარწერილ იქნება: ‘სიწმიდე უფალს’ და იქნება ქვაბები უფლის ტაძარში, როგორც თასები სამსხვერპლოს წინ. ყველა ქვაბი იერუსალიმსა და იუდაში ცაბაოთ უფლისადმი იქნება მიძღვნილი. ივლის მსხვერპლის ყველა შემწირავი, აიღებს მათგან და მოხარშავს მათში... (ზაქარიას 14:20-21).

ცხენების მოსართავებზე დაიწერება სიტყვები მღვდელმთავრის თავსაბურველიდან (გამოსვლის 28:36-38). ჩვეულებრივი ქოთნები ისეთივე წმიდა იქნება, როგორც წმიდა „თასები სამსხვერპლოს წინ.” იერუსალიმი იქნება ის, რაც ღმერთმა განიზრახა, რომ ყოფილიყო; მთელი ქალაქი იქნება ღვთის სამყოფელი.

ღმერთი შეასრულებს თავის განზრახვას; მას წმიდა ქალაქში მცხოვრები წმიდა ხალხი ეყოლება. ზაქარიას ხილვა სრულდება გამოცხადების 21-ე და 22-ე თავებში. ღვთის ხალხი იცხოვრებს მის თანდასწრებაში. „ის დამკვიდრდება მათ შორის; იქნებიან ისინი მისი ხალხები” (გამოცხადების 21:3).

## აღდგენილი სრულყოფილი სამყარო

ბიბლია იწყება სრულყოფილი სამყაროს აღწერით, რომელიც დაიკარგა ცოდვით დაცემის გამო. ის სრულდება სრულყოფილი სამყაროს აღწერით, რომელიც ელის მათ, ვინც ნებას აძლევს ღმერთს, შეასრულოს თავისი გეგმა მათ ცხოვრებაში. წმიდა ქალაქი მომზადებულია ღვთის წმიდა ხალხისთვის.

ედემის ბაღის მსგავსად, წმიდა ქალაქი არის სრულყოფილი სამყარო ყვავილებით, ხეებით და უგემრიელესი ნაყოფებით ყველგან. ყველაფერი მშვენიერია:

მაშინ ანგელოზმა მაჩვენა ბროლივით ბრწყინვალე სიცოცხლის წყლის მდინარე, ღვთისა და კრავის ტახტიდან რომ მოედინებოდა. მისი ქუჩის შუაგულში, მდინარის გაღმა-გამოღმა სიცოცხლის ხეა, რომელსაც თორმეტი ნაყოფი გამოაქვს, თითოეულ თვეს თავისი ნაყოფი; ხოლო ხის ფოთლები ხალხთა განსაკურნავადაა (გამოცხადების 22:1-2).

ცოდვის გამო კაცობრიობა განდევნილ იქნა ედემის ბაღიდან და სიცოცხლის ხისგან. გამოცხადებაში სიცოცხლის ხე კვლავ ხელმისაწვდომია კაცობრიობისთვის.

ეს იქნება სამყარო ცოდვის გარეშე. მკითხველს ზოგჯერ აშინებს გამოცხადების შუა თავები. ეს თავები აღწერს სასჯელს, რომელიც დაატყდება დედამიწას. ბევრ მკითხველს სურს გამოტოვოს ეს და გადავიდეს ბოლო თავებზე, რომლებიც ასახავს სამოთხის სილამაზეს. თუმცა, წიგნის შუაგულს გვერდს ვერ ავულით. იმისათვის, რომ წმიდა ხალხმა იცხოვროს წმიდა ღმერთთან განუწყვეტელ თანაზიარებაში, ცოდვის ძალა უნდა დაიმსხვრეს.

გამოცხადება აჩვენებს სატანის სიძულვილს ღვთის ხალხის მიმართ. იოანემ დაინახა „ზღვიდან ამომავალი მხეცი, შვიდი თავი და ათი რქა რომ ჰქონდა” (გამოცხადების 13:1). მხეცს „მიეცა, რომ ეომა წმიდებთან და გაემარჯვა მათზე” (გამოცხადების 13:7). გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თითქოს ბოროტება ამარცხებს ღვთის წმიდა ხალხს. თუმცა, საბოლოოდ მხეცი დამარცხდება (გამოცხადების 15:2). ღმერთის ხალხი საბოლოოდ გაიმარჯვებს. ღვთის განზრახვა შესრულდება.

ისტორიის მანძილზე ღვთის ხალხს სჯეროდა, რომ წმიდა ღმერთი გააკეთებდა იმას, რაც მართებულია. ღვთის სიწმიდე მეფსალმუნეს თავდაჯერებულობას ანიჭებდა, როდესაც ის სამართლიანობისთვის შეჰდაღადებს. „რადგან არა ხარ სიავის მოყვარული ღმერთი, ბოროტება ვერ დაისადგურებს შენთან” (ფსალმუნის 5: 4). გამოცხადებაში იოანემ მოისმინა წამებულების ღაღადი: „ხელმწიფევ, წმიდაო და ჭეშმარიტო, როდემდე არ განიკითხავ და არ იძიებ შურს დედამიწის მკვიდრებზე ჩვენი სისხლისთვის?” (გამოცხადების 6:10).

ღმერთის სიწმიდე არწმუნებს ღვთის ხალხს, რომ სამართლიანობა იზეიმებს. იოანემ მისწერა რომის ზეწოლის ქვეშ მყოფ ქრისტიანებს. ის პირდება, რომ დედამიწის „წმიდა და ჭეშმარიტი“ მსაჯული, ერთ დღეს სამართალს აღასრულებს თავისი ხალხისთვის. გამოცხადების წიგნი მოუწოდებს ღვთის ხალხს, დარჩნენ ერთგულები, რადგან იციან, რომ წმიდა ღმერთი შურს იძიებს თავის წმიდა ხალხის გამო. გამოცხადების წიგნი იყურება იმ დროში, როდესაც სატანა დამარცხდება და ღვთის წმიდა ხალხი იცხოვრებს მშვიდობით.

სამოთხე წმიდა ქალაქია. ეს არის ქალაქი ცოდვისა და მისი შედეგების გარეშე. ეს არის ქალაქი ტკივილის, ცრემლების, ტანჯვისა და სიკვდილის გარეშე. „მოსწმენდს ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი; აღარ იქნება გლოვა, გოდება და ტკივილი, ვინაიდან გადაიარა უწინდელმა“ (გამოცხადების 21:4).

მაგრამ არის რაღაც კიდევ უფრო მშვენიერი. ედემის ბაღში რაც იყო საუკეთესო, ეს იყო ღმერთსა და ადამიანს შორის სრულყოფილი ურთიერთობა. ადამი და ევა ღმერთთან ერთად დადიოდნენ ბაღში. პირისპირ ესაუბრებოდნენ მას. არაფერი ყოფდა ღმერთსა და ადამიანს. ზეცაში ჩვენ ღმერთთან სრულყოფილ ურთიერთობაში ვიცხოვრებთ. ვერაფერი დააშორებს წმიდა ხალხს წმიდა ღმერთს.

და გავიგონე ტახტიდან დიდი ხმა, რომელიც ამბობდა: „აჰა, ღმერთის კარავი კაცთა შორისაა, ის დამკვიდრდება მათ შორის; იქნებიან ისინი მისი ხალხები და თვით ღმერთი იქნება მათთან“ (გამოცხადების 21:3).

იოანე აღწერს ზეცას, როგორც ადგილს შიშის, ტკივილისა და სიკვდილის გარეშე. ყველაფერი, რაც იწვევდა შიშს ძველ სამყაროში (ზღვის უცნობი მონაკვეთები, ღამის საშიშროება, დაავადებების საფრთხე) გაქრება. ეს მარადიული მშვიდობა დაფუძნებული იქნება ღვთის თანდასწრებაზე.

მეტად აღარაფერი იქნება დაწყევლილი; და ღვთისა და კრავის ტახტი იქნება მასში, და მისი მსახურნი ემსახურებიან მას. იხილავენ მის სახეს, და მისი სახელი შუბლზე ექნებათ. ღამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც ლამპრის შუქი და არც მზის სინათლე, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ, და იმეფებენ უკუნითი უკუნისამდე (გამოცხადების 22:3-5).

წმიდა ხალხს ყოველთვის სურდათ ეხილათ ღმერთი. მოსემაც ითხოვა, რომ ეხილა ღმერთი, მაგრამ სახეზე ვერ შეხედა (გამოსვლის 33:18-20). დავითი ლოცულობდა: „როდის მოვალ და ვიხილავ სახეს ღმერთისას?“ (ფსალმუნის 41:2. ამ).<sup>31</sup> იესომ აღვითქვა, რომ გულით სუფთანი

<sup>31</sup> ლოცვის ალტერნატიულ თარგმანში ნათქვამია: „როდის მოვალ და ვიხილავ ღმერთის სახეს? (ინგლისური სტანდარტული ვერსიის სქოლით)

„ღმერთს იხილავენ” (მათეს 5:8). ეს აღთქმა შესრულდა გამოცხადებაში. „იხილავენ მის სახეს, და მისი სახელი შუბლზე ექნებათ” (გამოცხადების 22:4).

დალას უილარდმა მოყვა პატარა ბავშვის შესახებ, რომლის დედა გარდაიცვალა. ერთ ღამეს, შეშინებულმა და მარტომ, ბიჭმა მამას მის საძინებელში დაძინება სთხოვა. შუაღამისას ბიჭმა გაიღვიძა და მამას ჰკითხა: „შენი სახე ჩემკენ არის მოქცეული?” მამამ უპასუხა: „დიახ, ჩემი სახე შენკენაა მოქცეული.” ეს საკმარისი იყო; ბავშვს მშვიდად დაემინა. სამოთხეში წმიდა ხალხი იხილავს ღმერთის სახეს. მისი სახე მარადიულად იქნება ჩვენკენ მოქცეული; ჩვენ გვექნება მშვიდობა.

ღვთის გეგმა შესრულდება! ედემის ბალი აღდგება. წმიდა გულისა და ხელების მქონე ხალხი მარადიულად იცხოვრებს წმიდა ღმერთთან. ეს არის ღმერთის გეგმა თავისი ხალხისთვის.

### სიწმიდე არის ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობა

იოანემ იხილა ღვთის გეგმა თავისი ხალხისთვის. ეს არის ხილვა წმიდა ქალაქში მცხოვრები წმიდა ხალხის შესახებ. გამოცხადების წიგნში იოანემ სამჯერ მოიხსენია ჩვენი მარადიული საცხოვრებლის ადგილი, როგორც „წმიდა ქალაქი” (გამოცხადების 21:2; 21:10; 22: 19). ეს არის წმიდა ღმერთის, წმიდა ანგელოზებისა და წმიდა ხალხის სახლი. ეს მშვენიერი ქალაქი არის სრულყოფილი სიწმიდის ადგილი. იქ მხოლოდ წმიდა ადამიანებს შეუძლიათ ცხოვრება.

გამოცხადების 21-ე თავი აღწერს სამოთხის მშვენიერ სურათს, მაგრამ ის ასევე შეიცავს ამ გაფრთხილებასაც:

ხოლო მხდალთა და ურწმუნოთა, შემბილწველთა და მკვლელთა, მეძავთა და გრძნეულთა, კერპთაყვანისმცემელთა და ცრუთა ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოგირდით. ეს არის მეორე სიკვდილი (გამოცხადების 21:8).

სამოთხე წმიდა ქალაქია. ღმერთი არ დაუშვებს, ცოდვამ გაანადგუროს ამ ქალაქის სიწმიდე. ძველმა მქადაგებლებმა თქვეს: „სამოთხე წმიდა ადგილია წმიდა ხალხისთვის მომზადებული.” ამ წმიდა ქალაქში ცხოვრება მხოლოდ წმიდა ხალხს ესიამოვნება.

ეგოისტი ადამიანი ვერ ისიამოვნებს ამ ქალაქით, რომელშიც ღვთის კრავია მთავარი მიზიდულობის ცენტრი. ადამიანი, რომელიც ცოდვილი სიამოვნებისთვის ცხოვრობს, უბედური იქნება ქალაქში, სადაც ყველაფერი წმიდაა. ადამიანს, რომელსაც ღმერთი არ უყვარს, მოწყენილი იქნება ქალაქში, სადაც ღვთის თაყვანისცემა მარადიულია. წმიდა ქალაქი შექმნილია წმიდა ხალხისთვის. რადგან ღვთის ხალხი წმიდა და სუფთაა, ისინი მარადიულად იცხოვრებენ მასთან ერთად ამ ქალაქში.

ეზეკიელის 40-48- ეთავებში მოცემული აღთქმა აღსრულდება ახალ იერუსალიმში. თუმცა, მკითხველი მალე დაინახავს განსხვავებას ეზეკიელის ხილვასა და გამოცხადებაში მის შესრულებას შორის. ეზეკიელის ხილვაში ტაძარი დგას ქალაქის შუაგულში. ახალ იერუსალიმში „ტაძარი კი ვერ ვიხილე მასში, ვინაიდან მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი უფალი ღმერთია და კრავი” (გამოცხადების 21:22). ღმერთი თავად არის ტაძარი! მთელი ქალაქი ახლა „წმინდა მიწა“ ღვთისა და მისი ხალხისთვის გამოყოფილი.

აღდგენილია უწყვეტი ურთიერთობა, რომელსაც ღმერთი და ადამიანი ეზიარნენ ბაღში. სირცხვილი და შიში, რამაც გამოიწვია ცოდვილი ადამისა და ევას ღმერთის სახისგან დამალვა, გაქრა. ჩვენ შევხედავთ ღმერთის სახეს. წმიდა ხალხი ისიამოვნებს წმიდა ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობით.

ძველ აღთქმაში ღმერთმა გამოარჩია ისრაელი, როგორც „მღვდელთა სამეფო და წმინდა ერი” (გამოსვლის 19:6). გამოცხადებაში ეკლესია არის „სამეფო და მღვდლები ჩვენი ღმერთისა” (გამოცხადების 5:10). ისრაელის ერისგან განსხვავებით, ეს სამეფო არის „უამრავი ხალხი, დათვლა რომ არავის შეეძლო, ყოველი ერიდან და ტომიდან, ხალხებიდან და ენებიდან” (გამოცხადების 7:9). დაბადების 12:3-ის აღთქმა სრულდება გამოცხადების 7:9-ში.

როგორც ისრაელს შეეძლო შეესრულებინა თავისი მისია, როგორც მღვდლების სამეფოსი, მხოლოდ წმიდად დარჩენის შემთხვევაში, ასევე ეკლესიას შეუძლია შეასრულოს მისია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წმიდა იქნება. ღვთის ხალხი წმიდა უნდა იყოს. ძველ აღთქმაში ლევიანებს აცვიათ თეთრი ბისონი, რომელიც სიმბოლოა მათი სიწმიდისა. ასევე, იოანე გვიჩვენებს, რომ წმინდანები უნდა იყვნენ სუფთები (გამოცხადების 3:4-5; 6:11; 19:8). მხოლოდ მათ, ვინც „რეცხავენ თავიანთ სამოსელს”, შეუძლიათ ქალაქები შესვლა (გამოცხადების 22:14). წმიდა ხალხი მშვიდად იცხოვრებს წმიდა ღმერთთან.

### სიწმიდე პრაქტიკაში: როდესაც ვერ ვგრძნობ თავს წმიდად

ეს ნაცნობად ჟღერს? თქვენ გესმით ქადაგება, რომელიც გიბიძგებთ ღრმა სიწმიდისკენ. თქვენ ლოცულობთ და უძღვნით თავს წმიდა ცხოვრებას. მომდევნო რვა კვირის განმავლობაში თქვენ იზრდებით თქვენს სულიერ ცხოვრებაში. თქვენ ხედავთ, რომ სულის ნაყოფი იზრდება თქვენს ცხოვრებაში. თქვენ აღმოაჩენთ უფრო ღრმა სიყვარულს ღმერთისა და მოყვასის მიმართ.

უეცრად კედელს ეჯახებით. თქვენ კვლავ ღმერთთან ერთად დადიხართ; თქვენს ცხოვრებაში განზრახ ცოდვას ვერ პოულობთ; გიყვართ ღმერთი და გიყვართ მოყვასი. მაგრამ ფიზიკური ავადმყოფობის, ემოციური სტრესის ან თუნდაც მსახურების ზეწოლის გამო, თქვენ აცნობიერებთ: „ვერ ვგრძნობ, რომ ვიზრდები სიწმიდეში. და რა მოხდა?”

როგორ გააგრძელებთ წმიდა ცხოვრებას, როდესაც თავს წმიდად ვერ გრძნობთ? დანებდებით და იტყვით, რომ: „სიწმიდე შეუძლებელია”? სამსხვერპლოსკენ მიბრუნდებით? როგორ გააგრძელებთ სიწმიდეში სიარულს?

► გამოგიცდიათ ეს გამოწვევა? როგორ უპასუხეთ?

„როდესაც თავს ვერ ვგრძნობ წმიდად, რწმენით უნდა ვიარო.”

მე-2 გაკვეთილში ჩვენ დავინახეთ, რომ სიწმიდე არის „ღმერთთან ერთად სიარული.” აბრაამი ღმერთთან ერთად წავიდა ქვეყანაში, რომელიც არასოდეს უნახავს. ღმერთთან ერთად დადიოდა მორჩილებითა და რწმენით. ოთხი ათასი წლის შემდეგ, ძალიან ამაღლვებლად ჟღერს აბრაამის რწმენის შესახებ კითხვა. მაგრამ, აბა „ჩაიცვი მისი სანდლები“ - დღითი დღე იარე მკაცრ მიწაზე. დასასრული არ ჩანს და არც კი იცი სად მიდიხარ. როგორ ფიქრობთ, აბრაამი ყოველ დილით იღვიძებდა და აღტაცებული იყო იმ დღის მიმართ? მე ასე არ მიმაჩნია! მე ვფიქრობ, რომ იყო დღეები, როდესაც ის ამბობდა: „დღეს სიარული არ მინდა.” მაგრამ აბრაამი განაგრძობდა ღმერთთან ერთად სიარულს.

ჩვენ ვკითხულობთ, რომ ნოე „ღმერთთან ერთად დადიოდა“ ცოდვილ სამყაროში. გარშემორტყმული წარმართი კერპთაყვანისმცემლებითა და ადამიანებით, რომლებიც გამუდმებით იგონებდნენ ბოროტების კეთების ახალ გზებს, (დაბადების 6:5). ხოლო ნოე ღმერთთან ერთად დადიოდა. როგორ ფიქრობთ, ის ყოველ დილით იღვიძებდა და აღტაცებული იყო იმ დღის მიმართ? ეჭვი მაქვს, რომ ის ხანდახან გრძნობდა დაღლილობას და იმედგაცრუებას. მაგრამ ნოე განაგრძობდა ღმერთთან ერთად სიარულს.

სიწმიდეში ცხოვრების ერთ-ერთი გასაღები არის გვახსოვდეს, რომ ჩვენ გადარჩენილები ვართ მადლით, რწმენის მეშვეობით; ჩვენ განწმედილნი ვართ მადლით, რწმენის მეშვეობით; ჩვენ ვაგრძელებთ სიწმიდეში ზრდას მადლით, რწმენის მეშვეობით. ზოგიერთებმა გაიგეს, რომ რწმენით, მადლის მეშვეობით არიან დახსნილნი. მათ კიდევ ისწავლეს, რომ განწმედილნი არიან მადლით, რწმენის მეშვეობით. მაგრამ შემდეგ ისინი ხვდებიან მახეში და თვლიან, რომ შემდგომი ზრდა დამოკიდებულია მათ ძალისხმევაზე.

არის დისციპლინა აუცილებელი სიწმიდეში ცხოვრებისთვის? თავისთავად! უნდა შევასრულოთ თუ არა დავალება „მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები”? (კოლასელთა 3:5). დიახ. უნდა „იმას ველტვი, რაც ჩემს წინაა“ და „ვილტვი მიზნისკენ, ღვთის უზენაესი მოწოდების ჯილდოსკენ ქრისტე იესოში”? (ფილოპელთა 3:13-14). რა თქმა უნდა!

მაგრამ არასოდეს უნდა დაგავიწყდეთ, რომ თქვენი „სიკვდილში მასთან გაიგივება“, „წინ სწრაფვა“ და „მიზნისკენ სწრაფვა“ გამომდინარეობს იქიდან, რომ „ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ“ (ფილიპელთა 2:13). ის არის ის, ვინც

იძლევა სურვილს (ნებას); ის არის ის, ვინც იძლევა ძალას (მოქმედების). ის მოქმედებს ჩვენში, რათა შეასრულოს თავისი განზრახვა, რომ ჩვენ წმიდად გვაქციოს. როდესაც ვერ გრძნობ თავს წმიდად, მოისვენე ღვთის მადლში, რომელიც ყოველდღიურად გცვლის თავის ხატად.

„როდესაც თავს წმიდად ვერ ვგრძნობ, მის სიწმიდეში უნდა მოვისვენო.“

მე-5 გაკვეთილში ჩვენ დავინახეთ, რომ სრულყოფილება არის არა უნაკლოდ შესრულებულ საქმეში, არამედ გულში, რომელიც განუყოფლად არის მიძღვნილი ღმერთისადმი. მე-7 გაკვეთილში გავიგეთ, რომ იესოს მცნება „იყავი სრულყოფილი“ არის მცნება, ღმერთისადმი განუყოფელი სიყვარულის შესახებ. ქრისტიანული სრულყოფილება არ ეხება საქმეების შესრულებას; ეს სიყვარულს ეხება.

ჩვენ წმიდები ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთია წმიდა. ჩვენი იდენტურობა არის „ქრისტეში.“ ის გვწმედს. სახარების ერთ-ერთი უდიდესი ჭეშმარიტება ის არის, რომ ჩვენ აღარ ვიბრძვით საკუთარი ძალით სიწმიდის მისაღწევად. ჩვენ შეგვიძლია მოვისვენოთ ქრისტეში. მასშია ჩვენი, როგორც ქრისტიანების, წმინდანების და წმიდა ხალხის იდენტურობა.

ერთხელ რობერტ კოულმანმა მოყვა ისტორია იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ღმერთის სრულყოფილად სიყვარული, როდესაც სრულყოფილად მოქმედება არ შეგვიძლია. დოქტორი კოულმენი ზაფხულის ცხელ დღეს თავის ბაღში მუშაობდა. როდესაც მისმა პატარა ბიჭმა დაინახა, რომ მამა მზეზე ოფლიანობდა, გადაწყვიტა მისთვის ჭიქა წყალი მიეტანა. ბიჭმა ჭუჭყიანი ჭიქა აიღო, ეზოს გუბედან წყლით აავსო და მამას მიუტანა. დოქტორი კოულმანი ამბობს: „ჭიქა ჭუჭყიანი იყო, წყალი კი მღვრიე. მაგრამ, სასმელი იყო სრულყოფილი, რადგან ის მოსიყვარულე გულიდან მოდიოდა.“ ეს არის ჩვენი შეზღუდული სრულყოფილების ილუსტრაცია. ჩვენ ჩვენი გატეხილი, არასრულყოფილი მსახურება მიგვაქვს ღმერთისთვის, რომელიც იღებს მას, რადგან ეს მოსიყვარულე გულიდან მოდის.

ღმერთი იღებს ჩვენს გატეხილ ძალისხმევას და გარდაქმნის მას ისეთ რამეში, რაც ჩვენი წარმოსახვის მიღმაა, რადგან ჩვენი სიწმიდე არის მისი შეუზღუდვავი სიწმიდის მხოლოდ ჩრდილი. ჩვენი საუკეთესო სიყვარულიც კი დაქვემდებარებულია ჩვენს ადამიანურ შეზღუდვებს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვისვენებთ მის სიწმიდეში, ვაცნობიერებთ, რომ მისი მცნების მორჩილება „იყავით წმიდა“ სრულყოფილად მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება. განუყოფელი სიყვარულის გულით, ჩვენ მისთვის მიგვაქვს ჭიქა მღვრიე წყლით - და ის გადააქცევს მას რაღაც სუფთად და მშეფარედ. ჩვენი სიწმიდე სრულყოფილია მის სიწმიდეში.

„როდესაც თავს წმიდად ვერ ვგრძნობ, უნდა მახსოვდეს, რომ წმიდა ხალხის ნაწილი ვარ.“

გამოცხადების წიგნში მთავარი, მაგრამ ხშირად ყურადღების მიღმა დარჩენილი თემაა ეკლესია. გამოცხადების წიგნი იწყება გზავნილების სერიით შვიდი ეკლესისადმი. ეს გზავნილები გვიჩვენებს ადგილობრივი საეკლესიო საზოგადოების მნიშვნელობას ქრისტეს დიდ სხეულში. მაგრამ ამით არ მთავრდება გამოცხადებაში ეკლესიაზე ხაზგასმა.

144000 გამოსყიდულის საზოგადოება შეიძლება იყოს მთელი ეკლესიის, ქრისტეს სხეულის წარმომადგენლობა.<sup>32</sup> მოგვიანებით, წიგნში ეკლესია ჩანს, როგორც კრავის საპატარძლო (გამოცხადების 19:7-8). ეკლესიაა გამოცხადების წიგნის მთავარი წერტილი.

თუ ეს ასეა, ჩვენი თაყვანისცემა და თანაზიარება, როგორც ეკლესიის დედამიწაზე, არის მზადება ჩვენი თაყვანისცემისთვის და ზიარებისთვის, როგორც მარადიული ეკლესიის. რას ნიშნავს ეს ჩვენი, როგორც ეკლესიის დღევანდელი ცხოვრებისთვის?

► თუ გამოცხადება არის ქრისტეს საპატარძლოს სურათი, როგორ უნდა იმოქმედოს ეკლესიის მისმა აღწერამ ეკლესიის ცხოვრებაზე? ან სხვაგვარად რომ გკითხოთ - რა მხრივ ჰევის თქვენი ეკლესია გამოცხადებაში აღწერილ ეკლესიას? და რა თვალსაზრისით არ ჰევის თქვენი ეკლესია გამოცხადებაში აღწერილ ეკლესიას?

ამ ჭეშმარიტების ერთი პრაქტიკული შედეგი ის არის, რომ ჩვენი წმიდა ცხოვრება, ეკლესიასთან მოზიარეობით ცხოვრებაშია. ინდივიდუალისტურ თანამედროვე სამყაროში ბევრი ქრისტიანი ფიქრობს ხსნაზე, მხოლოდ საკუთარი, პირადი გამოცდილების გადმოსახედიდან.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ისეთი ადამიანების მაგალითები, როგორიც იყო ენოქი, რომელიც ღმერთთან ერთად მარტო დადიოდა, არსებობს კიდევ ბევრი ბიბლიური მაგალითი იმისა, რომ ღვთის შვილები ღმერთთან ერთად დადიან, როგორც სხეულის ნაწილები. სიწმიდის რჯული ისრაელში იყო განკუთვნილი „ღვთის ხალხისთვის“. ისრაელი უფრო მეტი იყო, ვიდრე ინდივიდების ჯგუფი; ეს იყო საზოგადო ორგანო, რომელიც ერთად იზრდებოდა ღვთის ხატებაში.

ახალი აღთქმის ეკლესია უფრო მეტი იყო, ვიდრე ინდივიდების ჯგუფი, რომლებიც ეკუთვნიან ერთსა და იმავე „კლუბს.“ ეკლესია იყო და არის ქრისტეს სხეული. გამოცხადებაში აღწერილი წმინდანები ხვდებინ მოწამეობრივ სიკვდილს, როგორც სხეულის ნაწილები.

<sup>32</sup> გამოცხადების 7:4-8; 14:1-5. თარჯიმნებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ 144000 კაცის ვინაობის შესახებ. ზოგი ამ რიცხვს განიხილავს, როგორც ებრაელ მოქცეულთა რიცხვს დიდი ჭირის წინ ან მის დროს. სხვები ამას ეკლესიის სიმბოლოდ თვლიან. მიუხედავად ამისა, ისინი ახლა ქრისტეს სხეულის ნაწილია, რომელიც მოიცავს „უამრავ სიმრავლეს, რომლის დათვლაც ვერავინ შეძლო, ყოველი ერიდან, ყველა ტომიდან, ხალხიდან და ენიდან“ (გამოცხადების 7:9)

მაშინაც კი, როდესაც ისინი მარტო კვდებიან, მათ იციან, რომ ისინი საყოველთაო ეკლესიის ნაწილები არიან. გამოცხადებაში აღწერილი წმინდანები წმიდა ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც სხეულის ნაწილები. ისინი წმიდა საპატარძლოს ნაწილი არიან. მაშინაც კი, როდესაც იოანე იზოლირებულია კუნძულ პატმოსზე, მან იცის, რომ ის საყოველთაო ეკლესიის ნაწილია.

ჩვეულებრივი გახდა ხალხისგან ამის მოსმენა: „მე მიყვარს იქსო, მაგრამ არ მიყვარს ეკლესია.“ ეს ეფუძნება ეკლესიის ტრაგიკულ გაუგებრობას! თუ ეკლესია ქრისტეს საპატარძლოა, მე უნდა მიყვარდეს ეკლესია (როგორც ქმარი, მე არ ვიქები ძალიან ბედნიერი იმ ადამიანთან ურთიერთობით, რომელიც მეუბნება: „შენ მიყვარხარ, მაგრამ შენი ცოლი მეზიზღება.“) ეკლესია არის მორწმუნეთა სხეული, რომლებიც ერთად იზრდებიან ღვთის ხატებაში.

ჩვენ არ ვართ შექმნილნი, რათა მარტოებმა ვიცხოვროთ. ჯონ უესლიმ თქვა: „ყოველი სიწმიდე არის საზოგადო სიწმიდე.“ ის გულისხმობდა, რომ ჩვენ ვიზრდებით როგორც ერთი სხეულის ნაწილები. ეს იყო შთაგონების წყარო მეთოდისტური ჯგუფებისთვის; ისინი დაეხმარნენ თითოეული წევრის ზრდას.

„როდესაც ვინმე ფიქრობს, რომ  
წმიდა ცხოვრების  
გასავითარებლად ის ღმერთთან  
ყოველთვის მარტო უნდა იყოს,  
ის სხვას აღარ გამოადგება.“

- ოსვალდ ჩემბერსი

რას ნიშნავს ეს ჩვენთვის დღეს? წმიდა ხალხი წმიდა ეკლესიის ნაწილია. ჩვენ ვიზრდებით სიწმიდეში, როგორც წმიდა სხეულის ნაწილები. როდესაც ვიბრძვი, ღმერთი გვერდით მიყენებს, სიწმიდის მძებნელ თანამომმეს, რომელიც გამამხნევებს ჩემს სისუსტეში. მეორეს მხრივ, როდესაც ღმერთი დამეხმარება რაიმე სფეროში, მე შემიძლია გავამხნევო უფრო სუსტი ძმა. წმიდა ცხოვრება განსაზღვრულია სულით აღსავსე მორწმუნეთა საზოგადოებაში ცხოვრებისთვის, რომლებიც ავლენენ ღვთის სიყვარულს ჩვენს სამყაროში.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორს ეს კარგად ესმოდა.

ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს, წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის; ნუ მივატოვებთ ჩვენს შესაკრებელს, ზოგიერთებს რომ სჩვევიათ, არამედ ვამხნევებდეთ ერთმანეთს, მით უმეტეს, რაც უფრო მეტად ატყობთ იმ დღის მოახლოებას (ებრაელთა 10:24-25).

მან გაამხნევა დევნაში მყოფი ქრისტიანები, რომ დარჩნენ მტკიცენი რწმენაში, ამ სიტყვებით „ყურადღებით მოვეკიდოთ ერთმანეთს“, როდესაც ერთად ვიკრიბებით წავახალისოთ სიყვარულისა და კეთილი საქმეებისთვის. მეფე ჯეიმსის ვერსია იყენებს ამ ფრაზას: „გამოიწვიეთ ერთმანეთი სიყვარულისა და კარგი საქმეებისკენ.“ ეკლესიის ფუნქციის ნაწილია თითოეული წევრის წახალისება უფრო ღრმა სიყვარულისა და სიწმიდისკენ.

როდესაც ვერ გრძნობთ თავს წმიდად, ნება მიეცით ღმერთს გაგამხნევოთ შემდგომი ზრდისკენ თანაქრისტიანების მეშვეობით იმ სხეულში, სადაც მან განგისაზღვრათ. თქვენ ხართ „საყოველთაო ეკლესიის“ ნაწილი, მაგრამ თქვენ ასევე ხართ ადგილობრივი სხეულის ნაწილიც. ღმერთმა მოგათავსათ იქ რაღაც მიზნით. ნება მიეცით თქვენს თანამორწმუნებს აღგძრან უფრო მეტი ზრდისკენ წმიდა ცხოვრებაში.

### მან მიაკვლია საიდუმლოს - ფანი კროსბი

როდესაც ფანი კროსბი ორი თვის იყო, ექიმის შეცდომის გამო ის სამუდამოდ დაბრმავდა. რამდენიმე თვის შემდეგ მამა გარდაეცვალა. დედას უწევდა ოჯახის მარტო დატოვება მრავალი საათით, სანამ ის მოახლედ მუშაობდა. ფანიმ იცოდა რა არის ცხოვრებისეული სირთულეები, ამ ცოდვით დაწყევლილ სამყაროში.<sup>33</sup>



ფანი კროსბის საგალობლები მოწმობს მის ერთგულებას ქრისტესადმი. მან მთლიანად დაუმორჩილა თავისი ნება ღვთის ნებას.

ფანი კროსბი მიხვდა, რომ სიწმიდე არის სრულყოფილი სიყვარული ღმერთისადმი და სრულყოფილი სიყვარული მოყვასის მიმართ. ის თავის დროს და ფულს უთმობდა მისიებს, რომლებიც ემსახურებოდნენ ალკოჰოლიკებსა და უსახლკაროებს. მან და მისმა ქმარმა ყველაფერი გასცეს, რაც მათთვის არ იყო აუცილებელი თავი, რომ გაეტანად. მას უყვარდა ღმერთი და უყვარდა მოყვასი. ფანი კროსბი დღითიდღე იზრდებოდა ქრისტეს მსგავსებაში და სრულყოფილ სიყვარულში.

ფანი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როდესაც შესრულდებოდა აღთქმა, "ისინი იხილავენ მის სახეს. როდესაც ვინმე სინანულს გამოხატავდა მისი მდგომარეობის გამო, ფანი კროსბი პასუხობდა, რომ მას უხაროდა თავისი სიბრძავე, რადგან: „როდესაც ზეცაში მივალ, პირველი სახე, რომელიც ერთ დღეს გაახარებს ჩემს მხედველობას, იქნება ჩემი მხსნელის სახე. მე ვიხილავ მას პირისპირ.“

### მე - 11 გაკვეთილის მიმოხილვა

(1) სიწმიდე არის ღმერთთან უწყვეტი ურთიერთობა.

<sup>33</sup> Image: "Francis Jane Crosby, 1820-1915" by W.J. Searle, retrieved from the Library of Congress Prints and Photographs Division, <http://hdl.loc.gov/loc.pnp/cph.3b17084>, "no known restrictions."

(2) დაბადების მე-3 თავიდან ეპისტოლების ჩათვლით, ღმერთი გვპირდება ღმერთსა და ადამიანს შორის ძალიან ახლო ურთიერთობის აღდგენას. ეს აღთქმა სრულდება გამოცხადების წიგნში.

(3) გამოცხადების წიგნი გვიჩვენებს წმიდა ხალხს წმიდა ღმერთან განუწყვეტელ ზიარებაში.

(4) ეკლესიაში თანაზიარება არის მომზადება სამოთხეში თანაზიარებისთვის. ეკლესია დედამიწაზე არის მარადიული ეკლესიის (არაუშეცდომო) მოდელი. ამის გამო ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ, რომ ეკლესიის ცხოვრება იქაური ეკლესიის ერთიანობის საფუძველზე ავაშენოთ.

### გაკვეთილის დავალებები

(1) წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ გითხრათ: „მე მიყვარს იესო, მაგრამ ეკლესია არა.” დაწერეთ 1-2 გვერდიანი წერილი, რომელშიც აჩვენებთ ამ ადამიანს, რომ იესოს სიყვარულმა უნდა გამოიწვიოს მისი საპატარძლოს — ეკლესიის სიყვარული. აჩვენეთ, როგორ აღმრავს წმიდა გული ღვთის ეკლესიისადმი სიყვარულს. აჩვენეთ, როგორ დაგვეხმარება ეკლესიის ნაწილად ყოფნა ჩვენ, ზრდაში სიწმიდეში.

(2) დაიწყეთ შემდეგი გაკვეთილი გამოცხადების 21:2-3-ის წაკითხვით.



## გაკვეთილი 12

### შესაძლებელია წმიდად ცხოვრება?

#### გაკვეთილის მიზნები

ამ გაკვეთილის ბოლოს სტუდენტმა უნდა:

- (1) გაიაზროს, რომ ღვთის მცნება სიწმიდის შესახებ შესრულებულია მის დაპირებაში, რომ გაგვწმედს ჩვენ.
- (2) სრულად დაემორჩილოს ღვთის მოწოდებას სიწმიდისკენ.
- (3) აიღოს სიწმიდეში ყოველდღიური ზრდის ვალდებულება.
- (4) დაიმახსოვროს 1 თესალონიკელთა 5:23-24.

#### პავლე: ადამიანი, რომელიც მიისწრაფოდა სიწმიდისკენ

წარმოიდგინეთ საუბარი ტარსუსელ სავლესთან ა.წ. წ. 34 წელს. თქვენ ჰქითხეთ: „წმიდა ადამიანი ხარ?“ სავლე გიპასუხებდათ: „დიახ, წმიდა ვარ! რჯულის მიხედვით გამიკეთეს წინადაცვეთა. მე ფარისეველი ვარ. რჯულის ყველა დეტალს ვიცავ. მე უმწიკვლო ვარ.“ სავლე თავს წმიდად მიიჩნევდა, რჯულის ზედმიწევნით დაცვის გამო. ის ცდილობდა ღვთის კეთილგანწყობა მოეპოვებინა კარგი საქმეებით (ფილიპელთა 3:4-6).

მაგრამ დამასკოს გზაზე სავლე მკვდრეთით აღმდგარ უფალს შეხვდა. მან შეიტყო, რომ მისი სიმართლე დასვრილ სამოსელს ჰგავს. ის დაუპირისპირდა არა ცრუ მასწავლებელს, არამედ ჭეშმარიტ მესიას. ის არ დაემორჩილა ღვთისა და მოყვასისადმი სიყვარულის სრულყოფილ რჯულს. დამასკოს გზაზე სავლემ სიწმიდის ახალი გზა იპოვა: „...არა ჩემი სიმართლით, რომელიც რჯულიდანაა, არამედ იმით, რაც ქრისტეს რწმენის მეშვეობით არის, რწმენაზე დამყარებული ღვთიური სიმართლით“ (ფილიპელთა 3:9).

წარმოიდგინეთ საუბარი პავლესთან ა.წ. წ. 60 წელს. „პავლე, ახლა თქვენ იცით, რომ ერთადერთი გზა ჭეშმარიტი სიმართლისაკენ არის ქრისტეს რწმენა. ნიშნავს ეს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ იყოთ წმიდა? ნიშნავს ეს, რომ ქრისტე ჩაგთვლით წმიდად, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით ხართ სავსე?“

პავლე შოკირებული იქნებოდა. „ეს არასწორია! სიმართლე მოდის მხოლოდ ქრისტეს რწმენით, მაგრამ ღმერთი არ გვტოვებს იმ ცოდვილ მდგომარეობაში, რომელშიც გვპოვა. წაიკითხეთ ჩემი დამოწმება. ჩემი მიზანია „შევიცნო იგი, მისი აღდგომის ძალა და მის ტანჯვებში მოზიარეობა, მის სიკვდილს რომ მივემსგავსო.“ ჩემი მიზანია ქრისტეს დავემსგავსო. რწმენის მეშვეობით ხსნა არ გვაძლევს ცოდვილი ცხოვრებას; რწმენის

მეშვეობით ხსნა გვაძლევს ძალას ვიყოთ ქრისტეს მსგავსნი. მოსიყვარულე ღმერთი აძლევს ძალას თავის შვილებს, იცხოვრონ წმიდა ცხოვრებით, მათში დაბინავებული სულიწმიდის მეშვეობით!” (ფილიპელთა 3:10).

► გადახედეთ იმას, რაც ისწავლეთ სიწმიდის შესახებ. გაქვთ სიწმიდის მშვენიერების სურათი? გწამთ, რომ ეს წმიდა ცხოვრება აღთქმულია ღვთის ხალხისადმი?

### შესაძლებელია წმიდად ცხოვრება?

ამ კურსში ჩვენ დავინახეთ, რომ ღმერთი უბრძანებს თავის ხალხს იყვნენ წმიდები. მაგრამ ბევრი ადამიანი კითხულობს ღვთის ამ მცნებას და პასუხობს: „ეს შეუძლებელია. მე არ შემიძლია ვიყო წმიდა.” უნდა შეეგუონ ქრისტიანები ყოველდღიურ მარცხს და შეუსრულებელ იმედებს? არ უნდა ვისიამოვნოთ ღვთის უზრუნველყოფით წმიდა ცხოვრებისთვის? შეგვიძლია ვისიამოვნოთ ღვთის დიდი განზრახვით მისი ხალხის მიმართ?

### ღვთის სიტყვა მოწმობს, რომ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია

დაწყებული ენოქიდან, თესალონიკში მოქცეულ წარმართებამდე, ბიბლია გვასწავლის, რომ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია.

ლევიანებში და ასევე 1 პეტრეს წერილში ღმერთმა ბრძანა: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე” (ლევიანების 19:2; 1 პეტრეს 1:15-16). ღმერთი არსად იძლევა ბრძანებას მორჩილების უზრუნველყოფის გარეშე. ღმერთი მოსიყვარულე მამაა, რომელიც არ აწუხებს თავის შვილებს შეუძლებელი ბრძანებებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩვენი ძალით არ შეგვიძლია დავემორჩილოთ მის მცნებებს, ღვთის მადლი გვაძლევს ძალას ღვთის მცნებებისადმი დასამორჩილებლად.

პროფესორი ბილ ური ამბობს: „მცნება არის სურათი იმისა, თუ ვინ არის ღმერთი და დაპირება იმისა, თუ ვინ შეგვიძლია გავხდეთ.”<sup>34</sup> მცნება „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე“ გვიჩვენებს ვინ არის ღმერთი; ის არის წმიდა ღმერთი. ეს მცნება ასევე აჩვენებს, თუ ვინ შეიძლება გავხდეთ; ჩვენ შეგვიძლია გავხდეთ წმიდები.

### ქრისტიანებმა მთელი ისტორიის მანძილზე აჩვენეს, რომ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია

ყველა თაობის ქრისტიანებმა აღმოაჩინეს, რომ წმიდად ცხოვრება ღვთის შვილების პრივილეგიაა. ადამიანებმა ცხოვრების ყველა სფეროდან იპოვეს სულიწმიდის ძალაში მოსვენების სიხარული. მათ იპოვეს სიმშვიდე, რომელიც მოდის ღმერთის განუყოფელი გულით სიყვარულიდან და მოყვასის საკუთარი თავის მსგავსად სიყვარულიდან.

<sup>34</sup> ელექტრონული მიმოწერა, 2016 წლის 27 ივნისი

## ჩვენი ღვთისგან ბოძებული სიწმიდის მიმართ წყურვილი მოწმობს, რომ წმიდად ცხოვრება შესაძლებელია

ყველა მორწმუნეს სწყურია ღმერთთან ერთად მეტ სიღრმეებში სიარული. ჭეშმარიტ ქრისტიანებს სურთ ჩვენს მამასთან ერთად ახლოს სიარული. ჭეშმარიტ ქრისტიანებს სურთ იყვნენ ქრისტეს მსგავსნი. ღმერთმა თავის შვილებს გულში ჩაუნერგა მასთან ურთიერთობის გაღრმავების წყურვილი და შიმშილი. შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ მოსიყვარულე ზეციერი მამა არ მოგვცემს ამ შიმშილს, ჩვენი შიმშილის დაკმაყოფილების გზების გარეშე. სიწმიდე არის ყოველი მორწმუნისთვის სიხარულის მომტანი პრივილეგია.

### წმიდა გული თქენთვისაა?

მრავალი წლის წინ იყო ერთი ღარიბი კაცი, რომელიც ოცნებობდა გემით ოკეანის გადაცურვაზე. მან წლების განმავლობაში აგროვა ფული, სანამ ბილეთის ყიდვა არ შეძლო. ბილეთის ყიდვის შემდეგ მას ცოტა ფული დარჩა. მას მოსმენილი ქონდა ოკეანის ლაინერებზე მორთმეული გემრიელი კერძების შესახებ, მაგრამ იცოდა, რომ ეს კერძები ძვირი ეღირებოდა. ფულის დაზოგვის მიზნით ამ კაცმა ჩემოდნით პური და ყველი წაიღო.

ყოველ დღე, როცა მგზავრები სასადილო ოთახში მიდიოდნენ, ეს კაცი თავის ოთახში მიდიოდა და პურსა და ყველს ჭამდა. ის ბედნიერი იყო გემზე ყოფნით, მაგრამ ხშირად სურდა, რომ სასადილო ოთახში უგემრიელესი კერძების მირთმევა შეძლებოდა. მოგზაურობის ბოლო დღეს ამ კაცმა გადაწყვიტა ერთი ვახშმი სასადილო ოთახში ეჭამა. მან მიიტანა თითოეული პენი, რაც ქონდა, იმ იმედით, რომ საკმარისი იქნებოდა ერთი კერძის საყიდლად. მისდა გასაოცრად ოფიციანტმა ჰკითხა: „სად იყავით? თქვენი მაგიდა მთელი კვირის განმავლობაში მზად გვქონდა! კვების ფასი შედის თქვენი ბილეთის ფასში. ფასი უკვე გადახდილია.”<sup>35</sup>

ბევრი ქრისტიანი ჰგავს ამ ღარიბ კაცს. წმიდა ცხოვრების სიხარული, ღვთისადმი სრული მინდობით ცხოვრების მშვიდობა და სულიწმიდის ძალით ცხოვრების გამარჯვება - ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია ქრისტეს ჯვარზე სიკვდილით. ქრისტემ გადაიხადა სრული ფასი, მაგრამ ჩვენ ჩვენს პრივილეგიებს არ ვიყენებთ.

თუ წმიდა გული ხელმისაწვდომია ყველა მორწმუნესთვის, რატომ არ უნდა ისარგებლოს რომელიმე ქრისტიანმა ამ პრივილეგიით? ჩვენ ხშირად ვაძლევთ სატანას უფლებას,

<sup>35</sup> ეს ისტორია ადაპტირებულია დან John N. Oswalt, *Called to be Holy: A Biblical Perspective* (Nappanee: Evangel Publishing House, 1999), 149-150

მოგვატყუოს ბიბლიის სწავლების არასწორად გაგებით. სატანის ტყუილი გვიშლის ხელს იმ პრივილეგით სარგებლობაში, რომელიც ღმერთს თავისი შვილებისთვის აქვს განზრახული.

### „წმიდა გულის ქონა შეუძლებელია“

ბევრი ქრისტიანი ფიქრობს, რომ წმიდა გულის ქონა შეუძლებელია. ისინი კითხულობენ წმიდა წერილის მცნებებსა და აღთქმებს, მაგრამ ფიქრობენ: „აბრაამისთვის ეს ნორმალურია, მაგრამ მე ვერასდროს ვიქნები „ღმერთის მეგობარი“.“

ზოგიერთი მათგანი, ვინც ამბობს: „წმიდა გულის ქონა შეუძლებელია“, მტკიცნეული გამოცდილებიდან ლაპარაკობს. ისინი ცდილობდნენ ეცხოვრათ წმიდა ცხოვრებით - და ვერ შეძლეს. შესაძლოა ისინი იცავდნენ გარე წესებს, რომლებსაც ისინი უკავშირებდნენ სიწმიდეს; შესაძლოა, ისინი ცდილობდნენ ცოდვილი დამოკიდებულებებისა და ქმედებების გაკონტროლებას მკაცრი თვითდისციპლინის გზით; შესაძლოა ისინი წმიდა გულის შესახებ ამოწმებდნენ კიდეც. დღეს მათ გადაწყვიტეს, რომ შეუძლებელია „იყო წმიდა, როგორც წმიდაა უფალი, შენი ღმერთი.“

წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც სწავლობს ჩიტების ხმების იმიტირებას. ის ვარჯიშობს იქამდე, სანამ არ შეძლებს სტვენით ისეთივე ნოტები გამოსცეს, როგორც შაშვი. მას ისე კარგად გამოსდის, რომ მეზობელი ფიქრობს, რომ შაშვი გალობს. მაგრამ ეს კაცი არ არის ჩიტი! მას შეუძლია ბგერების იმიტირება, მაგრამ არ იცის ამ ბგერების მნიშვნელობა. მას შეუძლია ჩიტის მიბაძვა, მაგრამ არ იცის რას გრძნობს ჩიტი, როცა ის გალობს. მას აქვს გარეგანი მოქმედებები; მას არ აქვს შინაგანი რეალობა.

ბევრმა ქრისტიანმა ისწავლა წმიდა ადამიანის ენა და თუნდაც ქმედებები. სიტყვებს ამბობენ, მაგრამ გამოცდილება გულში არ აქვთ. მათ ჩაანაცვლეს შინაგანი რეალობა გარე მოქმედებებით. ამას მალევე მოყვება იმედგაცრუება და მარცხი.

როგორია პასუხა სატანის ტყუილზე: „წმიდა გულის ქონა შეუძლებელია?“ ჩვენ უნდა გვქონდეს რწმენა ღვთის აღთქმებისადმი. უნდა გვჯეროდეს, რომ ჩვენი მოსიყვარულე მამა გვაძლევს ძალას, დავემორჩილოთ მის მცნებას.

დიახ, მე და თქვენ ვართ შეცდომებისკენ მიდრეკილი არსებები, რომლებიც ვერასდროს მივაღწევთ ღმერთის ღვთაებრივ სრულყოფილებას. მაგრამ ღმერთმა გვიბრძანა: „იყავით წმიდანი.“ მიუხედავად ჩვენი დაცემული ბუნებისა, ჩვენ შეგვიძლია ვენდოთ კეთილ ღმერთს, რომ მოგვანიჭოს ის მადლი და ძალა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავემორჩილოთ მის მცნებას.

## „მე არ მწყურია, ქონდეს წმიდა გული“

სამწუხაროდ, ზოგიერთ ქრისტიანს არ სწყურია სიწმიდე. ისინი ამტკიცებენ, რომ ქრისტიანები არიან, მაგრამ ნაკლებად ან საერთოდ არ სურთ გაიზარდონ ქრისტეს ხატების მსგავსებაში.

ჯიმი საკუთარ თავს ქრისტიანს უწოდებს, მაგრამ წმიდა ცხოვრებით ნაკლებად ინტერესდება. ის განაგრძობს განზრახ ცოდვების ჩადენას; ის ცხოვრობს ისევე, როგორც ცხოვრობდა ქრისტეს აღიარებამდე. მასთან ჩვენი ვიზიტის დროს ჯიმიმ ახსენა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც უფრო მეტად აკვირდებოდნენ თავიანთ ცხოვრების წესს. მათი დამოკიდებულებები სიყვარულიდან გამომდინარე იყო; მათი ქმედებები ცხადყოფდა მათ სურვილს, ესიამოვნებინათ ღმერთისთვის. მათ წმიდა გული და წმიდა ხელები ქონდათ.

ჯიმიმ კომენტარი გააკეთა სიწმიდის მიმართ მათი წყურვილის შესახებ და შემდეგ თქვა: „მე არ მაინტერესებს, რომ ვიყო წმიდა. ჩემმა პასტორმა მითხრა, რომ თუ მე მოვინანიე ჩემი ცოდვები და მწამს იესო, როგორც ჩემი მხსნელი, სამოთხეში წავალ. რაც მაინტერესებს არის მხოლოდ სამოთხეში წასვლა. ამაზე მეტი არ მჭირდება!“

რაში მდგომარეობს ჯიმის პრობლემა? მას არ აქვს სიწმიდის მიმართ წყურვილი. ვშიშობ, რომ ჯიმის არ ესმის რას ნიშნავს იყო ქრისტიანი. ზეციდან შობილ ადამიანს უნდა სურდეს იყოს ქრისტეს მსგავსი. ჭეშმარიტ ქრისტიანს უნდა სწყუროდეს, ქონდეს წმიდა გული.

რა არის იმის პასუხი, თუ წმიდა გულის ქონა არ გწყურია? შესაძლოა, თქვენ მართლაც ზეციდან ხართ შობილი, მაგრამ იმედგაცრუებული ხართ წარსული გამოცდილებით, იმედგაცრუებული ხართ თვალთმაქცებით, რომლებიც აცხადებდნენ, რომ წმიდები არიან, ან არასოდეს გინახავთ წმიდა გულის შესახებ გზავნილი წმიდა წერილში. თუ ასეა, სთხოვეთ ღმერთს, მოგცეთ წმიდა გულის ქონის წყურვილი.

## „მე საკმარისად წმიდა ვარ“

ალბათ ყველაზე საშიში ტყუილი, რომელშიც შეგვიძლია საკუთარი თავი დავაჯეროთ, არის: „მე საკმარისად წმიდა ვარ.“ ზოგიერთ ადამიანს სჯერა, რომ ისინი წმინდანი არიან ჩაცმულობის, ეკლესიის წევრობის ან იმის გამო, რომ აქვთ „სულიერი ნიჭები.“ როგორც კი საკუთარ თავს დავარწმუნებ, რომ „მე საკმარისად წმიდა ვარ“, სიწმიდის შემდგომი ზრდა აღარ იქნება.

წმიდა ადამიანის უტყუარი ნიშანია, სიწმიდეში შემდგომი ზრდის სურვილი. მე ვერ ვპოულობ მაგალითებს წმიდა წერილში ან ეკლესიის ისტორიაში, ვინმეს რომ თქვას: „მე საკმარისად წმიდა ვარ.“ რაც უფრო ღრმავდება ადამიანი ქრისტეს მსგავსებაში, მით უფრო სწყურია მას მეტი ზრდა.

კაცი ან ქალი, რომელიც ღმერთთან ახლოს დადის, ამბობს: „მე ბედნიერი ვარ ღმერთთან სიარულით, მაგრამ მსურს კიდევ უფრო ახლოს ვიარო მასთან!“ წმიდა ადამიანს უხარია ღმერთთან თანაზიარება, მაგრამ ღმერთთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობას ეძებს. ის ხარობს, როდესაც იზრდება ქრისტეს მსგავსებაში, მაგრამ ასევე ლოცულობს, რომ ღმერთმა კიდევ უფრო დაამსგავსოს ის ქრისტეს.

როგორია პასუხი სიწმიდის ზედაპირული აღიარების თაობაზე? თუ თქვენ მოიტყუეთ თავი ცრუ კმაყოფილებით, პასუხი არის თავმდაბლობა ღვთის სრულყოფილი სიწმიდის წინაშე. თუ დაინახავთ მის სრულყოფილ სიწმიდეს, არასოდეს დაკმაყოფილდებით სიწმიდის ზედაპირული აღიარებით. როდესაც ესაიამ იხილა „უფალი, დიდებულ და აღზევებულ ტახტზე მჯდარი“, მან გააცნობიერა თავისში სიწმიდის საჭიროება:

ვაი! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ, ჩემმა თვალებმა კი მეფე, ცაბაოთ უფალი იხილეს! (ესაიას 6:1, 5).

როდესაც ესაიამ დაინახა ღვთის სრულყოფილი სიწმიდე, მან გააცნობიერა სიწმიდეში მისი პირადი საჭიროება. წამალი სიწმიდის ზედაპირული აღიარებისგან, არის ღმერთის უფრო ღრმად შეცნობა. როდესაც ღმერთს ვხედავთ, უფრო დიდ წყურვილს ვგრძნობთ წმიდა გულის მიმართ. რაც უფრო მეტად დავინახავთ ღმერთს, მით უფრო მეტად ვისურვებთ მისდამი დამსგავსებას.

### გზა სიწმიდისაკენ

როგორ გავხდეთ ქრისტეს მსგავსნი? როგორ შეძლებ შენ, მორწმუნე, რომელსაც გსურს აღივსო ღმერთის მთელი სისავსით, მიიღო ეს შესანიშნავი საჩუქარი? როგორია წმიდა გულისკენ მიმავალი გზა?

ჩვენ არ გვჭირდება ბრძოლა, რათა ვიპოვოთ გზა სიწმიდისაკენ. ღვთის სიტყვა გვიჩვენებს გზას წმიდა ცხოვრებისკენ.

### საწყისი განწმედა

თქვენი ზეციდან შობის მომენტიდან სულიწმიდა ცხოვრობს თქვენში (რომაელთა 8:1-2, 9-11). ერთ წამში თქვენ გადახვედით სიბნელიდან სინათლეში. ამ მომენტიდან მოყოლებული, ახალი აღთქმა აღგწერთ თქვენ, როგორც „წმინდანს.“

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კვლავ გიწევდეთ ბრძოლა ცდუნებებთან, სულიწმიდა მოგცემთ ყოველდღიურ გამარჯვებას განზრახ ცოდვაზე. თქვენს გარშემო მყოფები დაინახავენ ტრანსფორმაციას, როდესაც თქვენ ცხოვრობთ თქვენი ახალი ცხოვრებით ქრისტეში. გაიხარეთ იმით, რაც ღმერთმა გააკეთა!

## **ზრდა განწმედაში**

როდესაც თქვენ მიჰყვებით ქრისტეს, სულიწმიდა გარდაქმნის თქვენს შინაგან სულს. როდესაც თქვენ „სულით დადიხართ“, თქვენ აღარ „აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს“ (გალატელთა 5:16). ძველი ცდუნებები კარგავენ ძალაუფლებას თქვენზე. ღვთისადმი მორჩილებას მუდმივი სიხარული მოაქვს.

თუმცა, თქვენ ხედავთ ბრძოლის სფეროებს. თქვენ ემორჩილებით ღმერთს, მაგრამ ზოგჯერ არსებობს ბრძოლა ღვთის მცნებებსა და თქვენს შინაგან სურვილებს შორის. არსებობს ბრძოლა ღმერთის ბრძანებასა და თქვენს ეგოისტურ ნებას შორის. თქვენ უკვე გიჭირთ ღმერთის სიყვარული სრულად და მოყვასის სიყვარული. თქვენ იწყებთ იმის გაცნობიერებას, რომ თქვენ გაქვთ „გაყოფილი გული.“

## **გულის სისუფთავე**

როდესაც ღმერთი გამოავლენს სფეროებს, სადაც უფრო ღრმა განწმედა გჭირდებათ, თქვენ გექნებათ წყურვილი 1 თესალონიკელთა 5:23-ში ჩაწერილი აღთქმის მიმართ. თქვენ შეეცდებით გაიგოთ პავლეს ლოცვის რეალობა: „თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად.“ თქვენ დაიწყებთ ღმერთისადმი შეკითხვას: „კიდევ რისი გაკეთება გსურს ჩემს ცხოვრებაში? შემიძლია გავხდე სუფთა? შეიძლება ჩემი შინაგანი სურვილები გარდაიქმნას ისე, რომ აღარ მიწევდეს ბრძოლა შენდამი სრულად დამორჩილებისთვის?“

ქრისტიანები მთელი ისტორიის მანძილზე ლოცულობდნენ, რომ ღმერთს მიეცა მათთვის სუფთა გული. 1 თესალონიკელთა 5:23-ზე დაყრდნობით, ზოგიერთმა გამოიყენა ეს სახელი, „სრულად განწმედა“, ამ გამოცდილებისთვის („მთელი“ არის „სრულის“ გამომხატველი კიდევ ერთი ტერმინი, სიტყვა, რომელიც გამოიყენება 1 თესალონიკელთა 5:23-ში. ეს არ ნიშნავს "სრულ სიმწიფეს;" ეს ნიშნავს სრულ სიწმიდეს და განწმედას.). სხვებმა მას "უფრო ღრმა ცხოვრება" უწოდეს.“ ჯონ უესლიმ გამოიყენა ტერმინი „სრულყოფილი სიყვარული.“ ტერმინოლოგიის მიუხედავად, ეს არის ღვთის შვილის ბუნებრივი წყურვილი, რომელსაც სურს გაიზარდოს ქრისტეს მსგავსებაში.

როდესაც ლოცულობთ ამ ღრმა განწმენდისთვის, შეგიძლიათ იპოვოთ სამი სფერო, სადაც ღმერთი შეგიძლვებათ. ეს არ არის ის მსჯავრდადება, რომელსაც გრძნობდით, როგორც ურწმუნო; თქვენ ახლა ღვთის შვილები ხართ! პირიქით, ეს ის სფეროებია, სადაც ღმერთი გიწოდებთ წმიდა გულის ქონისკენ.

## **ღმერთი მოგიწოდებთ სრული მორჩილებისკენ**

ზოგიერთი მორწმუნე იბრძვის წმიდა გულის მოსაპოვებლად, რადგან ისინი ჯერ კიდევ ებრძვიან დაუმორჩილებლობას გარკვეულ სფეროებში. ჩვენ არ შეგვიძლია ვიაროთ ღმერთან ერთად მჭიდრო ურთიერთობაში, თუ ამას არ გავაკეთებთ მორჩილებაში.

არცერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი არ ცხოვრობს ნებაყოფლობით აჯანყებაში ღვთის მცნებების წინააღმდეგ. თუმცა, ბევრმა ქრისტიანმა იპოვა გზა გაამართლოს ან უარყოს (თუნდაც საკუთარი თავისთვის) დაუდევრობა გარკვეულ სფეროში. ისინი არასოდეს იტყვიან: "ღმერთო, მე არ დაგემორჩილები", მაგრამ ამბობენ: "ღმერთო, არ მგონია, რომ ეს საკმარისად მნიშვნელოვანი იყოს განსახილველად." ისინი უბრალოდ უგულებელყოფენ დაუმორჩილებლობის ზოგიერთ სფეროს. თუ გვინდა ვიყოთ ის წმიდა ხალხი, როგორსაც ღმერთი მოიხსენიებს თავის ხალხად, უნდა დავემორჩილოთ ღმერთს ყველა სფეროში.

როგორც დაცემული ადამიანები, ჩვენ თავსაც კი ვატყუებთ ჩვენი ცოდვის სიღრმის შესახებ. აქედან გამომდინარე ლოცულობდა მეფსალმუნე:

გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი! (ფსალმუნის 138:23-24).

მეფსალმუნე ლოცულობდა, რომ ღმერთს გამოეკვლია და შეეცნო მისი გული. მან იცოდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ბოლომდე შევიცნოთ ჩვენი გული. მაგრამ როდესაც ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ „ღვთის მთელი სისავსე“, ჩვენ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა გამოავლინოს ჩვენი ცოდვილი ბუნების ყველა ასპექტი.

დავითი ლოცულობდა: „ვინ გააცნობიერებს თავის შეცდომებს? განმწმიდე მე დაფარულთაგან“ (ფსალმუნის 18:12). მან იცოდა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავუმალოთ ჩვენი ცოდვის რეალობა საკუთარ თავსაც კი. მხოლოდ ღმერთს შეუძლია გაანათოს ჩვენი გულის ყველაზე დაფარული კუთხეები.

როდესაც სუფთა გულს ეძიებთ, აღმოაჩენთ, რომ ღმერთი გამოავლენს სფეროებს, სადაც თქვენი დამოკიდებულებები და მოქმედებები არ ავლენს მის ხატებას. იმის გამო, რომ გსურთ იყოთ ქრისტეს მსგავსი, თქვენ ნებით აღიარებთ ამ სფეროებს და დაემორჩილებით ღვთის მოწოდებას სრული მორჩილებისკენ.

## **ღმერთი მოგიწოდებთ მიძღვნილი გულის ქონისკენ**

როდესაც თქვენ ეძიებთ სუფთა გულს, ღმერთი მოგიწოდებთ დანებდეთ მას თქვენი ცხოვრების ყველა ასპექტში. ეს უფრო მეტია ვიდრე გარე ცდუნებაზე „არას“ თქმა. ეს არის

საკუთარი თავის ღმერთისთვის სრული მიძღვნა. ეს არის თქვენი ნების სრული დამორჩილება ღვთის ნებისადმი.

პავლემ მოუწოდა ქრისტიანებს რომში, თავი წარედგინათ „ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად“ (რომაელთა 12:1). ესენი იყვნენ ქრისტიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ ღვთისადმი მორჩილებაში, მაგრამ პავლემ მათ მოუწოდა ღმერთის უფრო ღრმა მორჩილებისკენ. პავლემ მოუწოდა მათ, ეთქვათ „მარადიული დიახ“ ღმერთისთვის. მან მათ სრული მორჩილებისკენ მოუწოდა.

ოსვალდ ჩემბერსმა აჩვენა ღვთის განზრახვისთვის სრულად მორჩილების მნიშვნელობა.

იესო ქრისტესთან ერთიანობისთვის ადამიანი მზად უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდვაზე თქვას უარი, არამედ დაუმორჩილოს მას თავისი შეხედულება ყველაფერზე. ღვთის სულით ზეციდან შობა ნიშნავს, რომ ჯერ უნდა ვიყოთ მზად, რომ გავუშვათ, სანამ სხვა რამეს ჩავწედებით....

ამ პროცესის ყველა ეტაპზე, ჩვენ მოგვიწევს უარი ვთქვათ პრეტენზიაზე ჩვენ უფლებებზე, საკუთარი თავის სასარგებლოდ. მზად ვართ დავთმოთ ყველაფერი რაც გვაქვს, ჩვენი სურვილები და ყველაფერი სხვა ჩვენს ცხოვრებაში? მზად ვართ თავი გავაიგივოთ იესო ქრისტეს სიკვდილთან?

„ქრისტიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი კრიზისი არის ჩვენი ნების სრული დამორჩილება.“

- ოსვალდ ჩემბერსი

... მიიღეთ გადაწყვეტილება, გაიაროთ კრიზისი, მისცეთ მას ყველაფერი, რაც გაქვთ და რაც ხართ. და ღმერთი მაშინ მოგამზადებთ, რომ გააკეთოთ ყველაფერი, რასაც ის მოითხოვს თქვენგან.<sup>36</sup>

ჯორჯ მეთისონი იყო შოტლანდიელი პრესვიტერიანელი პასტორი, რომელმაც თავის გულში აღმოაჩინა წინააღმდეგობა ღვთის ნების მიმართ. მას სწყუროდა განუყოფელი გულის ქონა, რომელიც ნებაყოფლობით დაემორჩილებოდა ღმერთს. მან მორჩილების ეს ლოცვა წარმოთქვა:

მამყოფე შენს ტყვეობაში, უფალო, და თავისუფალი ვიქნები. მომაყოლე დანებებას და გამარჯვებული ვიქნები. შემახვიე შენს მკლავებში და ძლიერი ვიქნები.<sup>37</sup>

<sup>36</sup> Oswald Chambers, *My Utmost for His Highest* (შესვლა 8 მარტს). წვდომა <https://utmost.org/the-surrendered-life/> დან 2020 წლის 28 მარტს.

<sup>37</sup> ადაპტირებულია George Matheson, “Make Me a Captive, Lord”, მიღებულია საიტიდან [https://library.timelesstruths.org/music/Make\\_Me\\_a\\_Captive\\_Lord/](https://library.timelesstruths.org/music/Make_Me_a_Captive_Lord/) 2020 წლის 1 ივნისს

მეთისონს ესმოდა, რომ სრული მინდობით, ჩვენ ნამდვილ გამარჯვებას მოვიპოვებთ. როდესაც საკუთარ თავს ღმერთს ტყვედ ვაბარებთ, ის გვათავისუფლებს ცოდვის მონობისაგან. როდესაც სუსტები ვართ, ის გვაძლიერებს. ჩვენ ვპოულობთ ჩვენს უდიდეს გამარჯვებას, როდესაც მივაღწევთ ღმერთისადმი სრულად მინდობის წერტილს.

### **ღმერთი მოგიწოდებთ, რომ ენდოთ მას რწმენით**

თუ თქვენ სრულად დაემორჩილებით ღმერთს, შეგიძლიათ ენდოთ მას, რომ „რწმენით განწმედს თქვენს გულებს“ (საქმეების 15:9). ჩვენ რწმენის მეშვეობით, მადლით განვიწმიდეთ.

როგორც ცოდვილი, არაფრის მქონე მიხვედი ქრისტესთან. მის წყალობაზე დაიამედებული. რწმენით მიიღე მისი ხსნის უფასო შეთავაზება და მან შეგქმნა ახალ ქმნილებად.

ისევე, როგორც გწყურიათ გქონდეთ წმიდა გული, რწმენით უნდა მიხვიდეთ ქრისტესთან. ღმერთი, რომელმაც სიწმინდისკენ მოგიწოდათ, გაქცევთ წმიდად. შეგიძლიათ ირწმუნოთ, რომ მისი დაპირება თქვენთვისაა. პავლეს ლოცვა: „თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად“ შეიძლება რეალობად იქცეს თქვენს ცხოვრებაში. შეგიძლიათ დაიჯეროთ ღვთის დაპირებები „ერთგულია, ვინც მოგიწოდათ, რომელიც აღასრულებს კიდეც ამას“ (1 თესალონიკელთა 5:23-24).

### **ესაიას მე-6 თავი - განწმედის ისტორია**

„წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს“ გასძახოდნენ ანგელოზები, ხოლო ესაია კანკალებდა! ესაიას სჭირდებოდა საკუთარი თავის „უწმიდურად“ დანახვა, სანამ წმიდა ღმერთი მას ერის სულს ანდობდა.

ესაიამ საკუთარი გული რომ დაინახა, შესძახა: „ვაი! დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ.“ მან დაინახა საკუთარი ცოდვილი ბუნების სიღრმე. მაგრამ ღმერთმა არ დატოვა ის ამ საშინელ მდგომარეობაში.

„და მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი, რომელსაც ხელში სამსხვერპლოდან აღებული მოგიზგიზე მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და თქვა: "აჰა, შეეხო მუგუზალი შენს ბაგეს და მოგცილდა ურჯულოება, მიგეტევა შენი ცოდვა."“

გაწმედა ხშირად მტკივნეულია. გესმით როგორ იწვის ხორცი, როდესაც ანგელოზი აღებული მოგიზგიზე მუგუზალით ბაგეზე ეხება ესაიას? ამის მინიჭება არ იყო უფასო; გაწმედა არ არის უმტკივნეულო.

თუმცა ეს ისტორია საოცარ და გამამხნევებელ სიმართლეს გვასწავლის. თუ მას ნებას მივცემთ, ღმერთი გაგვწმედს. ღვთის განზრახვა არ იყო ესაიას ტანჯვა; ღვთის განზრახვა იყო

ესაიას განწმედა. ღვთის განზრახვა თავისი ხალხის მიმართ შეიძლება შესრულდეს. ჩვენ შეგვიძლია განვიწმიდოთ.

### უწყვეტი ზრდა სიწმიდეში

პავლე ლოცულობდა: „თავად მშვიდობის ღმერთმა კი წმიდაგყოთ სრულად და მთლიანად“. ის აგრძელებს: „თქვენი სული, სამშვინველი და სხეული დაცულ იქნეს უბიწოდ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლისთვის“ (1 თესალონიკელთა 5:23). თქვენი ზრდა ქრისტეს მსგავსებაში გაგრძელდება „ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მოსვლამდე.“ ღმერთთან ერთად სიარულისას თქვენ განაგრძობთ ღვთის ხატებაში გარდაქმნას (2 კორინთელთა 3:18). თქვენ სიწმიდეში გაიზრდებით. გააგრძელებთ ღვთის ნებისადმი სიხარულით მორჩილებას. თქვენ ივლით ღმერთისადმი უწყვეტ და გაცნობიერებულ მორჩილებაში.

დაფიქრდით თქვენი ქორწილის დღეზე. თქვენს ქორწინებაში თქვენ იღებთ მთელი ცხოვრების ვალდებულებას. ყოველ დილით არ კითხულობთ: „დღესაც ქორწინებაში ვარ? წინასაქორწინო შეთანხმება კვლავაც ძალაშია?“ თქვენ აიღეთ ერთხელ და სამუდამო ვალდებულება. აღთქმის დარღვევის ერთადერთი გზა, ქორწილში დადებულ ფიცზე უარის თქმაა.

თქვენი ქორწინების ყოველი დღე ცხოვრობთ ქორწილში აღებული ვალდებულების შესაბამისად. როდესაც გადაწყვეტილების წინაშე დგებით, ირჩევთ მოქცევას მეუღლის მიმართ სიყვარუკიდან გამომდინარე. ერთხელ და სამუდამო ვალდებულება სრულდება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ანალოგიურად, ღმერთისთვის თქვენი მორჩილება არის ერთხელ და სამუდამო ვალდებულება. არ არის საჭირო ყოველდღე იკითხო: „ისევ ვარ ღმერთის მორჩილებაში?“ ამის ნაცვლად, ყოველი დღე ცხოვრობთ იმ ვალდებულების მიხედვით, რაც თქვენ აიღეთ, როდესაც სრულად მიენდეთ ღმერთს.

დიდი შოტლანდიელი მქადაგებელი, ჰორაციო ბონარი წერდა, წმინდა პიროვნების მუდმივ ზრდაზე.

წმიდა ცხოვრება შედგება უამრავი წვრილმანისაგან. მცირე ფრაზები და არა მჭევრმეტყველი გამოსვლები ან ქადაგებები; მცირე საქმეები და არა სასწაულები, არც ბრძოლები, არც ერთი დიდი გმირული საქციელი ან ძლიერი მოწამეობა ქმნიან ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებას. წვრილმანებისგან არის შექმნილი დიდი ცხოვრება.<sup>38</sup>

<sup>38</sup> Horatius Bonar, God's Way of Holiness (Chicago: Moody Press, 1970), 125-126

ეს არის სიწმიდის ყოველდღიური ცხოვრება. თქვენ ცხოვრობთ წმიდა ცხოვრებით არა თქვენი ძალით, არამედ სულიწმიდის სისავსით. წმინდა ცხოვრება ღმერთისადმი განუყოფელი სიყვარულის ურთიერთობაა. საუბარია მისით აღტაცებაზე. ეს არის მასთან ყოფნის სურვილის ყველაფერზე მაღლა დაყენება. ეს ცეცხლი მიგიყვანთ ღმერთთან მუდმივად გაღრმავებულ ურთიერთობაში.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანი ცდილობდა ეცხოვრა ღმერთისგან დამოუკიდებლად. სატანამ აცდუნა ევა დაპირებით: „ღმერთის მსგავსები იქნებით“ (დაბადების 3:5). ბაბილონში ხალხმა გადაწყვიტა „ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, რომლის თხემიც ცას მისწვდება. და ასე შევიქმნით სახელს“ (დაბადების 11:4). თავის ეგოცენტრულობაში ადამიანს სურს ღმერთისგან დამოუკიდებლად ცხოვრება. ამის საპირისპიროდ, წმიდა ცხოვრება ღმერთზე სრული დამოკიდებულებით ცხოვრებაა.

სიწმიდე ღმერთს ეკუთვნის; მე და თქვენ წმიდები ვართ მხოლოდ მაშინ, როდესაც ვცხოვრობთ მასთან უწყვეტ ურთიერთობაში. თქვენ ვერასდროს მიაღწევთ იმ მდგომარეობას, როდესაც შეგეძლებათ თქმა: „მე ჩემი ძალით ვარ წმიდა.“ ამის ნაცვლად, თქვენ უნდა თქვათ: „დღეს სულიწმიდა მაძლევს ძალას, ვიცხოვრო წმიდა ცხოვრებით. დღეს მის ხატებაში გარდავიქმენი. დღეს მე ვემორჩილები ღმერთს გულით, რომელსაც ის სრულყოფილად უყვარს. დღეს მე მიყვარს ჩემი მოყვასი ღვთის მადლით. დღეს სულიწმიდა მაქცევს ისეთად, როგორადაც ღმერთმა მომიწოდა. ეს არის სიწმინდეში ცხოვრება.

### ათი პრაქტიკული გზა სიწმიდეში ყოველდღიური ცხოვრების განსავითარებლად

სიწმიდეში თანმიმდევრული და ნაყოფიერი ცხოვრება მოითხოვს კულტივირებას და აღზრდას.<sup>39</sup> გულის განწმედა არ არის ჩვენი სიწმიდისკენ სწრაფვის დასასრული. ჩვენ ვგავართ იმ პილოტებს, რომლებმაც თავიანთი თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე მიმართეს, მაგრამ რომლებსაც თვითმფრინავის დაშვებამდე მრავალი კორექტირება დასჭირდებათ.

ქრისტიანის სულიერი სიკვდილი საკუთარი თავისთვის არის ცოცხალი სიკვდილი - მუდმივი სიკვდილი. ჩვენი მსხვერპლი ცოცხალი მსხვერპლია - მუდმივი მსხვერპლი. სიტყვების წარმოსახვა, როგორიცაა „სიკვდილი საკუთარი თავისთვის“, მხოლოდ სულიერი რეალობის სასწავლებლად არის გამიზნული, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ არ გადავუხვიოთ ღვთის სიტყვას. სუფთა გული არ არის ჩვენი სიწმიდის ძიების დასასრული. სუფთა გული და მორჩილება უკეთესად გვამზადებს მოგზაურობისთვის, მაგრამ ჩვენ მთელი ცხოვრება გვაქვს აღმასვლისთვის!

<sup>39</sup> ეს ნაწილი ადაპტირებულია მეუფე Timothy Keep გაკვეთილიდან.

სულით სავსე ცხოვრება ზრდისა და მზარდი განწმედის ცხოვრებაა. ღვთის სულით ჩვენ „გარდავისახებით დიდებიდან დიდებაში” (2 კორინთელთა 3:18). ეს არის პრაქტიკული რჩევა მათთვის, ვისაც სურს სიწმიდის გაღრმავება (1 კორინთელთა 6:11).

(1) დარჩით სულიერად გატეხილები.

ჭეშმარიტად წმიდა ცხოვრება იქნება მუდმივი მონანიების ცხოვრება (მათეს 6:12). რადგან ღმერთი აგრძელებს ჩვენი დეფორმაციების განკურნებას და ქრისტეს სრულყოფილ ხატად ჩვენს გარდაქმნას. იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ღმერთის ღიმილი ჩვენს ცხოვრებაში, სწრაფად უნდა ვაღიაროთ ჩვენი შეცდომები და ვიაროთ იმ შუქზე, რომელსაც ღმერთი ანათებს ჩვენს გზაზე (1 ომანეს 1:7).

(2) მიიღეთ ღვთის სასჯელი.

ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი ცხადყოფს, რომ ჩვენი ზეციერი მამისგან სასჯელის მიღება და არა უგულებელყოფა საშუალებას მოგვცემს „წილი გვეკონდეს მის სიწმიდეში” (ებრაელთა 12:10). არავის სიამოვნებს ღვთაებრივი საყვედური, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს ხშირად ხდება ჩვეულებრივი ადამიანების მეშვეობით, რომლებსაც აქვთ საკუთარი ნაკლოვანებები. თითოეულ ჩვენგანს აქვს მიდრეკილება უგულებელყოს მტკივნეული შესწორებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მომდინარეობენ არასრულყოფილი მეუღლისგან ან არასრულყოფილი სულიერი ლიდერისგან, რომლებიც ღმერთმა დააყენა ჩვენს ზემდგომად. მაგრამ სასჯელი არის ღმერთის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი, რომლითაც გვაშორებს სიუხეშეს და გვაყალიბებს ქრისტეს ხატად.

თუ ოდესმე მივალთ იქამდე, რომ შესწორებას ვერ მივიღებთ, თუნდაც სულიერად ნაკლებად ზრდასრული ადამიანებისგან, მაშინ ჩვენ დავტოვებთ სიწმიდისკენ აღმავალ გზას.

(3) წარუდგინე თავი ღმერთს ყოველდღიურ მსხვერპლად.

პავლე შეგვახსენებს, რომ ჩვენ უნდა წარვუდგინოთ ღმერთს ჩვენი სხეულები, ყველაფერი მადისა და სურვილების ჩათვლით, „ცოცხალ მსხვერპლად” (რომაელთა 12:1). ჩვენი სხეულები, რომლებიც ოდესღაც იყო „უმართლობის იარაღი” (რომაელთა 6:13). ღვთის მადლით გარდაიქმნება „სიმართლის იარაღად.”

პავლემ აჩვენა ღმერთისადმი მუდმივი მორჩილების ეს მიმდინარე პროცესი ქრისტიანული ცხოვრების გრაფიკულ სურათში. მან თქვა: “თქვენ დაიხოცეთ და თქვენი სიცოცხლე დაფარულია ქრისტესთან ღმერთში”. მან განაგრძო დავალებით: „მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები” (კოლასელთა 3:3, 5). მოიქეცით ასე და თქვენ მიიღებთ მადლის უფრო და უფრო დიდ საზომებს.

(4) ყოველდღიურად ჩაუკვირდით წმიდა წერილებს.

განწმედილი, ქრისტეს მსგავსი ხასიათი არ არის მყისიერი შედეგი, არამედ მთელი ცხოვრების განმავლობაში ღვთის სიტყვაზე ჩაფიქრების და მისი მორჩილების შედეგია. იესომ უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ისინი განიწმიდენ სიტყვის მეშვეობით. „თქვენ უკვე განიწმიდეთ იმ სიტყვით, მე რომ გელაპარაკეთ” (იოანეს 15:3). შემდეგ იესო ლოცულობდა, რომ ისინი კვლავაც განწმედილიყვნენ სიტყვის მეშვეობით. „განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით; შენი სიტყვაა ჭეშმარიტება” (იოანეს 17:17). ღმერთი სრულყოფს ჩვენი განწმედის საქმეს მისი სიტყვის თანმიმდევრული მორჩილებით.

(5) ყოველდღიურად იესოთი შეიმოსეთ.

წმიდა ცხოვრება მიიღწევა ქრისტეს დამოკიდებულებებითა და სათნოებებით გააზრებულად შემოსვით. „არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე...” (რომაელთა 13:14). ფრაზა „შემოსვა“ ნიშნავს იესოს მსგავსად აზროვნებას, მისი სულის კოპირებას და მის მსგავსად მოქცევას. მორწმუნებებმა ყოველდღიურად უნდა აირჩიონ, დაემსგავსონ იესოს მის წმიდა სიყვარულში, სიხარულში, მშვიდობაში, პატიებაში, სიმშვიდეში, მოთმინებაში, სიკეთეში, სულგრძელობაში და თავშეკავებაში.

(6) ნუ იზრუნებთ ხორცზე.

ქრისტეთი შემოსვის შემდეგ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ „სხეულზე ზრუნვა გულისთქმად არ გავიხადოთ” (იქვე.). შესაძლებელია, რომ სულით აღსავსე გულში კვლავ აღდგეს პირადი ინტერესები? ეს რომ არ ყოფილიყო შესაძლებელი, პავლე ამ შეგონებას არ მოგვცემდა. სანამ ცოცხლები ვართ, თავმდაბლობა უნდა ავირჩიოთ. ყველა სულით აღმრულმა მამაკაცმა და ქალმა ისწავლა, რომ ღვთისმოსაობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ გულმოდგინედ თვითგანვითარებით, მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებიანი ლოცვით. თუ ხორცი ჯვარცმული არ დარჩება, ის ადგება და სულიერ დამარცხებას გამოიწვევს, როგორც აფრიკელი კაცი, რომელიც ვერ ირიდებდა ძაღლებისგან ფეხების დაკბენას, რადგან ჯიბეში ხორცს ატარებდა!

(7) განაახლეთ გონება ყოველდღიურად.

თქვენი გონება არის ბრძანების გამცემი ცენტრი თქვენი ცხოვრებისა და მისი გარდაქმნის საიდუმლო. „რადგან როგორც გულში ფიქრობს, ისეთია იგი” (იგავების 23:7). თქვენს გონებას აქვს ისეთი ძალაუფლება თქვენს ცხოვრებაზე, რომ თქვენ ჩამოყალიბდებით იმის მიხედვით, რისკენაც მიმართავთ თქვენს გონებას. პავლე ასწავლიდა: „ნუ მიესადაგებით ამ ქვეყნიერებას, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი” (რომაელთა 12:2).

(8) შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი.

ღმერთის სრულყოფილი გეგმა ყველა მორწმუნესთვის არის ის, რომ „შევძლოთ წინაღუდგეთ ეშმაკის ხრიკებს“ (ეფესელთა 6:11). ჩვენ ამას ვაკეთებთ ყოველდღიურად შემოსვით ღვთის საჭურველით - ჭეშმარიტებით, სიმართლით, მზადყოფნით, რწმენით, გადარჩენაში დარწმუნებით და ღვთის სიტყვით. შემოსილნი იყვით საჭურველით, რადგან ჩვენ მტერს მარტონი ვერ გავუმკლავდებით!

(9) განავითარეთ სულიწმიდის უწყვეტი გაცნობიერება.

თუ გსურთ იყოთ წმიდა, უნდა მოიწვიოთ სულიწმიდა, რათა აივსოთ მისით და მან დაალაგოს თქვენი ცხოვრების ყველა ოთახი: თქვენი მისაღები (სოციალური ცხოვრებისა და გართობის ოთახი), თქვენი საძინებელი (მორალური ცხოვრებისა და სექსუალობის ოთახი), თქვენი სამზარეულო (მადისა და სურვილების ოთახი) და თქვენი კაბინეტი (ფინანსური და საქმიანი გადაწყვეტილებების ოთახი). ძალიან ხშირად ვიბრძვით, რომ გავხდეთ წმიდები, რადგან ვერ ვახერხებთ განვავითაროთ სულიწმიდასთან ყოველ წუთიერი გაცნობიერება და გულწრფელად ვითხოვთ „მამის აღთქმულს“, რომელსაც იესო სიხარულით გვაძლევს. შესაძლოა, შიშია ჩვენი თხოვნის სურვილის ნაწილი. არ უნდა გვეშინოდეს. იესომ ეს მშვენიერი დაპირება მოგვცა: „თუ თქვენ, ბოროტებმა იცით თქვენი შვილებისთვის კეთილ მისაცემთა მიცემა, მითუმეტეს ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს!“ (ლუკას 11:13).

(10) იცხოვრეთ მადლით.

იესომ თქვა: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი გამოიღებს ბევრ ნაყოფს, რადგან უჩემოდ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ“ (იოანეს 15:5). ჩვენ გავხდით წმინდები, რადგან ვაზს ვეკუთვნით. ნაყოფს სწორედ ვაზი იძლევა. ჩვენ სულ უფრო მეტად ნაყოფიერი ვხდებით არა იმით, რომ ვცდილობთ ვიყოთ კარგები, არამედ იმიტომ, რომ იესოზე ვართ შემოხვეულები.

ბევრი ქრისტიანი განიცდის უზარმაზარ შფოთვას, ღმერთთან ერთად სიარულთან დაკავშირებით. ზოგი, ვისაც ასწავლეს სულის ღრმა ძიება, ზედმეტად თვითდაკვირვების მწარმოებელი ხდება. სულიერი ზრდის დონის მიუხედავად, ისინი შიშობენ, რომ მაინც ვერ „შეესაბამებიან“ ღვთის მოთხოვნებს.

სხვა ქრისტიანებს ასწავლიდნენ, რომ ქონიდათ განსაკუთრებული ემოციური გამოცდილების მოლოდინი მას შემდეგ, რაც ღმერთი განწმედდა მათ გულებს და გახდიდა მათ წმიდად. ისინი ყურადღებას ამახვილებენ საკუთარ თავზე და საკუთარ ემოციებზე და არა ღმერთზე. თუმცა, ბიბლია გვასწავლის, რომ სიწმიდე არის ქრისტეში დამკვიდრების

ნაყოფი. როდესაც ჩვენ სულით დავდივართ, ვფხიზლობთ ლოცვაში, ვიკვებებით სიტყვით, ვმონაწილეობთ ქრისტიანულ თაყვანისმცემლობასა და თანაზიარებაში, ვაღიარებთ ჩვენს შეცდომებს და დავდივართ სინათლეში, ღმერთი გვაყალიბებს ქრისტეს ხატების მსგავსად. ჩვენ შეიძლება ვერ დავინახოთ ისეთი განვითარება, როგორიც გვსურს ერთ კვირაში ან ერთ თვეში, მაგრამ თუ გადავხედავთ იქ, სადაც ვიყავით ერთი წლის წინ ან ხუთი წლის წინ, აუცილებლად დავინახავთ პროგრესს!

პავლე ამხნევებდა ყველა მორწმუნეს, რომ იგივე ღმერთი, რომელმაც დაიწყო ჩვენი განწმედის საქმე, აუცილებლად დაასრულებს: „და დარწმუნებული ვარ, რომ ის, ვინც დაიწყო თქვენში კეთილი საქმე, დაასრულებს კიდეც იესო ქრისტეს დღემდე” (ფილიპელთა 1:6).

გულისა და ცხოვრების სიწმიდე მოგზაურობაა. ეს ათი ბიბლიური პრინციპი დაიცავს ჩვენს სულს უბედურებისა და ცდუნების ქარიშხლებისგან და შეგვანარჩუნებინებს კავშირს ჩვენს ზეციურ სახლთან.

### იპოვეთ საიდუმლო?

თითოეულ გაკვეთილზე ჩვენ ვკითხულობდით ეკლესიის ისტორიიდან ვიღაცის შესახებ, ვინც იყალიბებდა წმიდა გულს. ზოგი მათგანი ცნობილი ქრისტიანი იყო. ზოგიც ნაკლებად ცნობილი ადამიანი, რომლებიც მშვიდად ცხოვრობდნენ წმიდა ცხოვრებით.

ახლა შენი ჯერია. გწყურია გქონდეს წმიდა გული? გსურთ ღმერთთან სიახლოვე? გსურთ დაემსგავსოთ თქვენს ზეციერ მამას? შეგიძლიათ იყოთ წმიდა.

გწყურიათ სულის სისავსე? გსურთ ემსახუროთ ღმერთს განუყოფელი გულით? თქვენ შეგიძლიათ იყოთ „სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციერი მამას სრულყოფილი.” თქვენ შეგიძლიათ გიყვარდეთ ღმერთი და მოყვასი, სულიწმიდის ძალით, რომელიც არის თქვენს ცხოვრებაში.

არჩევანი თქვენზეა. მთლიანად მიუძღვნით ღმერთს თქვენს თავს? თუ თქვენი პასუხია დიახ, თქვენ იპოვით უშრეტ კმაყოფილებას, როდესაც მიუახლოვდებით მას. თქვენ იპოვით სიხარულს, როცა ღმერთი ჩამოგაყალიბებთ თავის ხატად. თქვენ იპოვით გულის სიმშვიდეს, რომელიც მთლიანად ღმერთს ეკუთვნის. თქვენ ივლით ყოველდღიურ გამარჯვებაში სულიწმიდის სისავსით. ღვთის მადლით თქვენ შეგიძლიათ იცხოვროთ წმიდა ცხოვრებით.

## მე - 12 გაკვეთილის მიმოხილვა

(1) წმიდა ცხოვრება შესაძლებელია ღვთის ყოველი ჭეშმარიტი შვილისთვის.

- ღვთის სიტყვა გვასწავლის, რომ წმიდა ცხოვრება შესაძლებელია.
- ქრისტიანებმა მთელი ისტორიის მანძილზე აჩვენეს, რომ წმიდა ცხოვრება შესაძლებელია.
- ჩვენი, ღვთისგან ბოძებული სიწმიდის მიმართ წყურვილი მოწმობს, რომ წმიდა ცხოვრება შესაძლებელია.

(2) ღვთის სიტყვა გვიჩვენებს გზას წმიდა ცხოვრებისკენ.

- ჩვენი ხელახლა შობის მომენტში ღმერთი იწყებს მუშაობას ჩვენზე, რომ გაგვხადოს წმიდები. ეს არის თავდაპირველი განწმედა.
- როდესაც ჩვენ მივყვებით ქრისტეს, ჩვენ ვიზრდებით განწმედაში.
- ღმერთს სურს მოგვცეს სუფთა გული. მოწოდება გულის სიწმიდისკენ მოიცავს:
  - მოწოდება სრული მორჩილებისკენ
  - მოწოდება გულის მიძღვნისკენ
  - მოწოდება სრული ნდობისაკენ
- მას შემდეგ, რაც ჩვენი გული სუფთაა, ჩვენ ვაგრძელებთ ზრდას ქრისტეს მსგავსებაში.

(3) ზოგიერთი გზა, რომლითაც შეგვიძლია გავაგრძელოთ სიწმიდეში ყოველდღიური ცხოვრების განვითარება, არის:

- დარჩით სულიერად გატეხილები.
- მიიღეთ ღვთის სასჯელი.
- წარუდგინე თავი ღმერთს ყოველდღიურ მსხვერპლად.
- ყოველდღიურად ჩაუკვირდით წმიდა წერილებს.
- ყოველდღიურად იესოთი შეიმოსეთ.
- ნუ იზრუნებთ ხორცზე.
- განაახლეთ გონება ყოველდღიურად.
- შეიმოსეთ ღვთის სრული საჭურველი.
- განავითარეთ სულიწმიდის უწყვეტი გაცნობიერება.
- იცხოვრეთ მადლით.

## **გაკვეთილის დავალებები**

- (1) წაიკითხეთ 1 თესალონიკელთა 5:23-24.
- (2) თითოეულ გაკვეთილზე ჩვენ ვლოცულობდით სიწმინდისთვის. ამ გაკვეთილის ბოლოს დაწერეთ საკუთრივ თქვენი ლოცვა სიწმინდისთვის. დაწერეთ თქვენი ლოცვა და სთხოვეთ ღმერთს, გაგიძლვეთ მისი ხატების მსგავსებაში ზრდის გაგრძელებაში. სრულად მიუძღვენით თავი მის კონტროლს და მის ნებას თქვენს ცხოვრებაში. ილოცეთ რწმენით, რომ ღმერთმა, რომელმაც გიხსნათ, შეასრულოს თავისი განზრახვა, გარდაგქმნათ თქვენ თავის ხატად.

## დასკვნითი პროექტი

თქვენ უნდა იქადაგოთ სამი ქადაგება ან ასწავლოთ ბიბლიის სამი სწავლება წმიდა ცხოვრების დოქტრინა და პრაქტიკიდან. თქვენ უნდა ჩაწეროთ ეს ქადაგებები, რათა წარუდგინოთ კლასის ლიდერს თქვენი დასკვნითი პროექტისთვის. თქვენ უნდა მოამზადოთ ერთი ქადაგება ან ბიბლიის სწავლება თითოეულ შემდეგ თემაზე:

(1) ქადაგება ან ბიბლიის შესწავლა სიწმიდის ერთ თეოლოგიურ ასპექტზე. ამოირჩიე ერთი:

- სიწმიდე, როგორც ურთიერთობა
- სიწმიდე, როგორც ღვთის ხატება მის ხალხში
- სიწმიდე, როგორც განცალკევებული ცხოვრება
- სიწმიდე, როგორც განუყოფელი გული
- სიწმიდე, როგორც მართალი ცხოვრება
- სიწმიდე, როგორც სრულყოფილი სიყვარული
- სიწმიდე, როგორც სულის სისავსე
- სიწმიდე, როგორც ქრისტეს მსგავსება

(2) ქადაგება ან ბიბლიის შესწავლა სიწმიდის პრაქტიკულ ასპექტზე. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ამ კურსზე განხილული თემა, ან შეგიძლიათ აირჩიოთ თქვენი საკუთარი თემა. შესაძლო თემები მოიცავს:

- ღმერთთან დროის გატარება
- სიწმიდე და პიროვნება
- რას ნიმნავს იყო ქვეყნიერებისგან გამოყოფილი?
- სიწმიდე და საქმიანობა (ბიზნესი)
- სიწმიდე და ოჯახური ცხოვრება
- განზრახ ცოდვაზე გამარჯვების შენარჩუნება
- სიწმიდე და ეკლესიის ცხოვრება

(3) ქადაგება ან ბიბლიის შესწავლა ბიბლიურ პერსონაჟზე, რომელიც გამოხატავს სიწმიდეს.



## რეკომენდებული რესურსები

ეს წიგნები ამ გაკვეთილების ძირითადი წყაროა. ისინი ფართოდ გამოიყენება ამ გაკვეთილების განმავლობაში. კონკრეტული ციტატების გარდა, სქოლიოებში ეს წიგნები არ მომიყვანია.

Brower, Kent E. and Andy Johnson, ed. *Holiness and Ecclesiology in the New Testament*. Grand Rapids: William Eerdmans, 2007.

Brown, A. Philip, II. *Loving God: The Primary Principle of the Christian Life*. Cincinnati: Revivalist Press, 2005.

Cattell, Everett L. *The Spirit of Holiness* (revised edition). Newberg: Barclay Press, 2015.

Greathouse, William M. *Wholeness in Christ*. Kansas City: Beacon Hill Press, 1998.

Kinlaw, Dennis. *The Mind of Christ*. Wilmore: Francis Asbury Press, 1998.

Kinlaw, Dennis. *This Day with the Master*. Grand Rapids: Zondervan, 2010.

Noble, T.A. *Holy Trinity: Holy People*. Eugene: Cascade Books, 2013.

Oswalt, John N. *Called to Be Holy: A Biblical Perspective*. Nappanee: Evangel Publishing House, 1999. ხელმისაწვდომია ონლაინ მისამართზე  
<https://archive.org/details/calledtobeholy0000john>.



## დავალებების ჩაწერა

სტუდენტის სახელი \_\_\_\_\_

მიუუთითეთ ინიციალები, როდესაც დაასრულებთ თითოეულ დავალებას. Shepherds Global Classroom-ისგან სერთიფიკატის მისაღებად ყველა დავალება წარმატებით უნდა შესრულდეს.

გაპვეთილი	წერითი დავალება	წმიდა წერილის სამახსოვრო
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		

დასკვნითი პროექტი			
----------------------	--	--	--

### სერთიფიკატის მოთხოვნა Shepherds Global Classroom-ისგან

Shepherds Global Classroom-ის დასრულების სერთიფიკატის მისაღებად განაცხადი შეიძლება შეივსოს ჩვენს ვებ გვერდზე: [www.shepherdsglobal.org](http://www.shepherdsglobal.org). სერთიფიკატები ციფრულად გადაეცემა SGC-ის პრეზიდენტისგან ინსტრუქტორებსა და ფასილიტატორებს, რომლებიც ავსებენ განაცხადს მათი სტუდენტების სახელით.